

# დიტენატუნა და სეროვნება

N8  
8/2010

1522  
2010



*ნაქათუბს*

ასმათ ყურუბავიუვილი

*მუსიკა*

ანსორ ერქომაიუვილი

*ქალბს*

გივი სისარულიძე

*ქალბს*

ნუბარ ერგემლიძე

*ქალბს*

გაღმა ნავირი

*ქალბს*

ოთარ ჭილაძე







# ლიტერატურა და ხელოვნება

ISSN 1512-3189

N8(56)

8/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
**vaja otarashvili**  
Literature And Art



დამფუძნებელი,  
გამომცემელი და მთავარი  
რედაქტორი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

პასუხისმგებელი  
მდივანი:

დავით კახაბერი

რედაქტორი:

ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერები:

სალომე ფორჩხიძე  
ლექსო ოთარაშვილი

გარეკანის დიზაინი:

ასმათ ყურშავიშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და  
ხელოვნება“ გთავაზობთ  
რეკლამის განთავსებას  
ჟურნალის ფურცლებზე.  
დანვრილებითი ინფორმა-  
ციისათვის მოგვმართეთ:  
მობ: 899 25 60 14;  
893 58 95 44;

## ს ა რ ჩ ე ვ ი

3. ჭაბუა ამიხეჯიბი - სამძიმარი

### მარია დოსობა

5. თეოდონ ხაღვაში - ლექსები

### ქროშა, ჭოქოშა

7. ვანო ჩხიკვაძე - შუშების ომი (ჩემი)

26. მახინე ცხვედიაშვილი - ლექსები

29. გივი სიხაჯელიძე - მოთხრობები

32. მათა ტყემალაძე - ბატონების დედა

36. იხაელი ფაღვაძე - ლექსები

38. გიორგი ჭეიშვილი - მოთხრობები

### ფიქოქო

43. ელენე ყოდბაია - ლეჩხი ლამე

45. გვანცა იმეხლიშვილი - ჩემი მერქები

### ქალბატონი ქოქოშა

46. გიგა დაბაყაძე - ლექსები

### დამარცხებული

48. ნუგზახი ეხემელიძე - el klasiko

### იარაგანი

53. პიეტი გამახია - გახვადის ვახი  
(თახმნა ნანა თახხნიშვილმა)

### წერის უბანი

56. მოთხი ქილაძე - სიყვარული და სიყვარულის  
დედამინაზე

### ქორეოგრაფია

60. ივანე ქანიშვილი - ქართული ცეცხლის საიდებელი

### მუსიკა

66. ივანე აფაქიძე - ეროვნული საუნჯისათვის  
თავდაუხობავი მებრძოლი

### კინო

73. ივანე ლომიძე - ბადაბი ყოველთვის მწვანე  
ახა გაღმა ნაპირზე

### ნაქორეოგრაფია

76. სიმონ ქაფაჩიძე - თეატრის ჰიმნი  
(ასმათ ყურშავიშვილი)






# „როგორც უფალი, სამშობლო, ერთად ქვეყანაზედა!“

რადიელ ერისთავი

## საკონსულტაციო საბჭო:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბახანა ბრეგვაძე, მერაბ ბერძენიშვილი,  
მაყვალა გონაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ უთმელიძე,  
გივი სიხარულიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,  
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი

## ბამოცემლობა „ეროვნული მემკვიდრეობის“ 2010 წლის ბამოცემები





# ძმაო ფრიდონ!

არა მგონია მრავლად გამოიძებნოს ადამიანი, ვისაც მაღალი ღმერთი ორი ძმაკაცის ერთ დღეს დაკრძალვას მიუსჯიდა.

ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ როგორც მე დამსაჯა განგებამ და ჩემს იუბილეზე სიტყვით გამოსვლისას წამართვა ღირსეული ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ჯანსუღ ღვინჯილია, ისე მოგექცა შენც, სიტყვით გამოსვლისას წაიყვანა დიდი პოეტი და ქართველი ერის საამაყო შვილი მუნთან მაჭავარიანი შენს საიუბილეო საღამოზე.

მე და შენ ერთად გატარებული ქართული ღზინი ბევრი გვქონია, მაგრამ წუნანდელივით მახსოვს აჭარის მთებში შენი პატარა, ლამაზი სახლის აივანზე გამართული საძმო სუფრა შენი თამადაობით. სადღეგროძელოებში ხან კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის უმძიმესი, მაგრამ სასიამოვნო ტვირთით ამოვსებული ზურგჩანთა გეკიდა, ხან ოქროს თორ-აბჯრით შეჭურვილი ხმაღამოწვდილი რაინდი იყავი და გვიხაროდა, რომ ჩვენმა სამშობლომ მრავალი ტანჯვით, განსაცდელითა და თავგანწირული ბრძოლით დამოუკიდებლობა მოიპოვა, როგორც შენ კვლავ მოიპოვე ქართველთა მიერ ხვედრად ღებული მართლმადიდებლობა. ხან ენამჭევერი გონებამახვილი მგოსანი იყავი და არ ვიცი ეს ღვთაებრივი სახე – „მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ, მე შენი მიწის ერთი კენჭი ვარ, მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ“ – იმ დროისთვის შექმნილი გქონდა თუ არა, მაგრამ მე დღესაც ამ ლექსით ლამაზი მახსოვხარ.

ჩემო ფრიდონ, ღმერთს ვემუდარები ნუ მოაკლებს შენისთანა შვილებს ჩვენს აჩენილ-დაჩენილ სამშობლოს. მხოლოდ ეს გვიხსნის ნადგურისცემისგან, მხოლოდ ფრიდონ ხალვაშისთანა მამულიშვილები მოუტანენ ქართველ ერს მომავალ სიცოცხლეს.

იძინე, ძამიკო სასოებით, რომ შენმა დახვეწილმა ნიჭმა ვალი მოიხადა სამშობლოს წინაშე.

ჭაბუა ამირეჯიბი  
12.07.2010

შურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ უსამძიმრებს  
სრულიად საქართველოს ბამოჩენილი ქართველი პოეტისა და  
საზოგადო მოღვაწის – ფრიდონ ხალვაშის  
ბარდაცვალების ბამო.

27406





## ბიძინაგ, ჩემო ძამიკო!

წახვედი და ქართველ ერს კიდევ ერთი ბრწყინვალე სულიერებითა და რაინდული თავდადებით აღჭურვილი შვილი მიაკვლი.


გული არ გაიტეხო, შენი ღვაწლი კვლავაც მთიყვანს ცისქვეშეთში შენებრ დახვეწილი სულის ადამიანებს მომავალი საუკუნეების მანძილზე. ქართველი ერი ფაქიზი მენსიერებით დააჯილდოვა ზეცა-უფალმა, და სწორედ შენივე ღვაწლით ეხსომება, რომ ღმერთის ნებით მოეგლინე მას და მის უკვდავებას. მეტს აღარაფერს გაგატან მარადისობაში. ძალე გნახავ, შენზე ექვსი წლით უფროსი ვარ, ცას ხომ არ გამოფეკერები; იკმარე ეს ორიოდ სიტყვა – მიმტე-ვებელი და მხიარული კაცი იყავი, შენს ხუმრობებს შენს მუსიკასთან ერთად შეინახავს საქართველო და მთელი ცისქვეშეთიც, დიად, ცისქვეშეთი – რადგან ზეციური შთაგონებით ქმნიდი ღვთაებრივ მუსიკას შენი უსაყვარლესი სამშობ-ლოს სულის სათნად და მწამს, უფალი დაგიმკვიდრებს სასუფეველს მაღალთა შინა.

მშვიდობით, უკვდავო ძმავ!

ჭაბუა ამირეჯიბი  
10.07.2010

შუბრნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ უსამიძიძის  
სრულიად საქართველოს ბამოჩენილი ქართველი  
კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის – ბიძინა კვერნაძის  
ბარდაცვალების გამო.





ფრიდონ  
ხაგვანიძე

**მე არ ვიქნები შენი სტუმარი**

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,  
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი,  
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,  
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,  
რომ უშენობა მჭირდა ასწლობით,  
შვილი მშობელთან ველარ მოვიდა,  
ველარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.

მე მარადილში დამრჩა მარჯვენა,  
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული  
და შენი სიტყვის გადასარჩენად  
ილენებოდა ჩემი სხეული.

რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი.  
ჭოროხს მენამულ ფერში უვლია,  
საქართველოში ალბათ კალმახი  
მიტომ სისხლისფრად დაწინკლულია.

გამომივლია ჭირი ყოველი,  
ტკივილიც ვიცი, დარდის მოთმენაც,

მე ჭოროხგაღმა ორი სოფელი  
დამრჩა ნახევარ ქართლისოდენა.

ის უშენობა დედამ იტირა  
და შენი წიგნი ხელში ეჭირა.  
მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ,  
მე შენი მიწის ერთი კენჭი ვარ.

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ,  
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,  
მე საქართველოს დიდი სიმღერა  
მკერდში ჩავინთე ვით ნაკვერცხალი.

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,  
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი,  
შენი შვილი ვარ, შენი პოეტი,  
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

**მითხარ, როგორაა მემლექეთი**

*1969 წელს ბურსაში ვნახე უნახავი მამიდა,  
თვალცრემლიანი, ყოველ სულისმოთქმაზე რომ მეხ-  
ვენებოდა:  
— მითხარ, როგორაა მემლექეთი.*

მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
ჩემი სანატრელი საქართველო,  
რამე იმნაირი გამაგონე,  
გული დაკოდილი გავამთელო.  
მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
მე სულ მისი ფიქრით დავდიოდი,  
ახლად დავიბადე, თბილისიდან  
ხმა რომ დავიჭირე რადიოთი.  
კაი მექართულე ველარა ვარ,  
მაგრამ სული მიდულს იმოდენა,  
რომ შიგ სიტყვა მარად მშობლიური,  
როგორც გაზაფხული, იტოტება.  
მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
მცხეთა, ქობულეთი, კახაბერი,  
იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,  
მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს.  
ლუკმა არ მაკლია, მართალია,  
მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ,  
აი, ამნაირად, უსიცოცხლოდ,  
მთელმა სიცოცხლემ გაირბინა.  
მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
აქ ჩვენ არ გეგონოთ ჩამქრალეები,  
იზმითს ეგეოსის ნაპირებზეც  
ვაგეთ საქართველოს სახლკარები.  
მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
ჩემი სანატრელი საქართველო,  
რამე იმნაირი გამაგონე,  
გული დაკოდილი გავამთელო.



**მამიდა**

ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ პირველად,  
ბევრის თქმა გვსურდა და ვერ ვამბობდით,  
მხოლოდ მრავალი წლის შენახული  
მერგო მდულარე მისი ამბორი.  
ფოტოგრაფის წინ ერთად დავსხედით,  
მინას დასცქერის მამიდაჩემი,  
გულთან რომ უფრო ახლო ვყოლოდი,  
მხარზე დაიდო ჩემი მარჯვენი.

თრთოდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა  
სულ სურს ხსენება იმ შორეულის,  
სადაც დატოვა ხე მშობლიური,  
ნაყოფმნიფე და არმოლეული.

რა უნდა მეთქვა მისთვის იმედად?  
ხელსლა ვუქნევდი მარტოდ დარჩენილს.  
ბურსას გადაღმა, ველზე ხე იდგა,  
მოხრილი, როგორც მამიდაჩემი.

**ჭოროხის სვაშიადი**

მოდის და ამბობს ჭოროხი,  
როგორ გაჩნდა და ინვალა,  
მოაქვს შლამი და გოროხი, —  
ესეც ხომ ჩვენი მინაა.

გატეხა ბნელი კარიბჭე  
და კლდეთა შუა გუგუნებს.  
ხელს ჩავკრავ, ფოთოლს დავიჭერ  
და დიდხანს, დიდხანს ვუყურებ.

\*\*\*

მინდორში იდგა პატარა სახლი,  
პატარა სარკმლით, პატარა ბუხრით,  
ვეება მუხას ჟამთასვლით დადლილს  
იმის კედელზე მიედო მუხლი.

მინდორში იდგა პატარა სახლი  
და ქარი ქროდა ტყეების მხრიდან.  
და შემოდგომა ცივი ცახცახით  
მოყვითლო ფოთლებს ეზოში ყრიდა.

პატარა სახლზე იჯდა არწივი,  
პატარა ჩრდილი მიჰქონდა ღელეს...  
და ბერი მუხა ბერიკაცივით  
იისფერ კვამლზე ითბობდა ხელებს.

**ზაქარია ჭიჭინაძე**

ჭვანის მეჩეთთან, ზემო აჭარას,  
მოლლილი კაცი შედგა ხურჯინით.  
— ზექერია ვარ, — უთხრა ეფენდის,  
მუსლიმანი ვარ, მაგრამ გურჯი ვარ.  
მოლა დაეჭვდა, თვალი მილულა,  
სავსე ხურჯინმა თლათ გააგიჟა.  
აახაჭუნა კრიალოსანი,  
უცნობი ლოცვად მიიპატიჟა.  
მოსულმა ტვირთი რომ ჩამოიხსნა,  
ძელს მიასვენა ისე აზიზად,  
ვითომ დაფლეთილ აბგაში ედო  
ამ მემლექეთის მთელი ხაზინა.  
და ზაქარიამ ილოცა ჯუმა,  
გახსნა ყასიდად ძლიენაზიდარი  
ხურჯინი, და თავს წამომდგარ მოლას  
ფეშქაშ მიათვა ერთი ქითაბი.  
ეს „დედა ენა“ იყო — ღამეში  
მოახლოებულ დღეთა გამშლელი...  
მოლა გაოცდა, — ქითაბს დააცხრნენ  
მონყურებული მისი ბავშვები.  
— რა ქითაბია ნეტა ასეთი,  
შიგ რა წერია ასე ლამაზი?  
მოციქულს ძველი „ჰეგბით“ ამოვლილს  
მოლა ლოცავდა ყოველ ნამაზზე.  
ის კი, დაცვეთილქალამნიანი,  
გულნაღვლიანი, სახენათელი,  
არც ქრისტე იყო, არც მუჰამედი,  
იგი, უბრალოდ, იყო ქართველი.

**ილია**


რა საოცარი მზეა ილია,  
სამშობლოსავით ვენდობი, მიყვარს.  
იგი თან მახლდა, საცა მივლია,  
როგორც სინათლით ავსილი სიტყვა.

რა დიდებული გზაა ილია, —  
მივდივარ, წარსულს, მომავალს ვუმზერ.  
მივდივარ, ჰავა ისე თბილია,  
თითქოს გზა გადის სამშობლოს გულზე.

რა მშვენიერი ზღვაა ილია,  
მისი მზიანი ზვირთობა ბათუმს  
ოქროს ჩქერებად რომ მოფრქვევია,  
მიტომ დღეს ქართულს  
ვეძახით ქართულს.

და თუ მადლობა ეკუთვნის ვინმეს  
ჩემი გულისა და ჩემი კუთხის,  
ეკუთვნის იგი სიმართლეს პირველს,  
ძმებო, ილიას იგი ეკუთვნის.





# ჯანო ხხოცაძე

## შაშახის ომი

რომანი

13

ნატო ყავის მადულარას პლასტმასის კოვზს ურევს და თან მობილურზე დას ელაპარაკება.

— აქ რატომ ჩამოვედი? ასე იყო საჭირო... რა უნდა ხდებოდეს, ტანკები, ჯარისკაცები, დამწვრის სუნი, ნანგრევები... შუშის ნამსხვრევებს მიაქვს აქაურობა... სროლები? არ გამიგონია!.. ასე იყო საჭირო-მეთქი!.. რას უნდა ვაკეთებდე, შენს გამოტანებულ რაღაც-რაღაცეებს მივირთმევთ... მრავლობითი იმიტომ, რომ ორნი ვართ... — გადმომხედა, — შენ არ გეხსომება, პატარა იყავი... დაგირეკეს როდის მოდისო?.. ჰო, ჩავალ თბილისში და... კარგი, კარგი, ყავა გადმომივიდა!.. — მადულარა გამორთო, — დავატკებ თუ არა, აღარც მახსოვს, — მოისრისა შუბლი, — აბა, გასინჯე და, თუ არა აქვს, აგერ საშაქრე...

— გახსოვს, სპექტაკლის დროს, სად-გურელმა „მანაკამ“ ჩინური, წვრილპირა დანა გულზე რომ დამადო, ამ გოგოსთან გავლილი აღარ დაგინახოვ?

— როგორ შემეშინდა... მაშინვე ჩემი ადგილი დაგიტმე და შუაში ჩაგიჯექით... ველა-

რაფერი ანამა, მიყურა, მიყურა, ლოყაში შემოირტყა ხელი და დარბაზიდან გავარდა.

— „მანაკაც“ მაგრად აჟულილებდა!.. ჩვენ ლამის ერთმანეთი დაეჭამეთ და, „ქალი წავიდა სხვისასა...“

— წავედი, მაგრამ... კიდევ დალევ? — მისწვდა გრაფინს.

— დაასრულე, რაღაც კარგს ამბობდი.

— მერე, ჩემი „აღსარების“ მოსასმენად მზად რომ არ ხარ?

არაფერი მითქვამს, ჭიქაში გაზაფხულზე გაუსხვლელი ხეივნის ფოთლებში გამომძვრალი, ჩამავალი მზის სხივი დალიცილიცბდა. არაყს ვსვამდი და ახლა ამ სხივის გემოს ვგრძნობდი. ჭიქა იცლებოდა, სხივი კი ენაზე რჩებოდა, როგორც განუნნული, გაქრობამდე გათხელებული კარამელი...

ბინდი დაეცა უბრძოლველად ჩაბარებულ ქალაქს, ვიღაცამ ჯადოსნური ჯოხი რომ დაჰკრა და დაამუხჯა, გააქვავა.

ეზოში სამკლაურიანი ფორმიანები შემოვიდნენ, მიიარ-მოიარეს, საგულისხმო ვერაფერი აღმოაჩინეს და გავიდნენ.

— რა უნდათ? რას ეძებენ? იქნებ იხსომებენ, ლამე რომელი სახლი უნდა გაძარცვონ?

— არა მგონია. გაძარცვა თუ უნდათ, დღე ვინ დაუშლით.

— არც არავინ... ღმერთო!.. — მაგრამ რას სთხოვდა, აღარ უთქვამს, — მეუღლე რომ გარდამეცვალა, ყველანაირად უმწეოდ დავრჩი. ერთხანს, როგორც ფარმაცევტმა, აფთიაქში ვიმუშავე, მერე გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც, გარკვეული ანაზღაურების ფასად, ქალების ჯგუფი სამუშაოდ ამერიკაში მიჰყავდა. გავიჭირვე, თუ რამე ფასეული გექონდა მივყიდ-მოვყიდეთ, ბავშვები დედაჩემს ჩავაბარე და წავედი... წარმოგიდგენია, ამერიკაში, ორი ღერი ინგლისურით, ალაღბებზე ჩავედი და, ერთხანს ბრუკლინში, ჯგუფთან ერთად, ნახევარსარდაფის მოცემენტებულ იატაკზე ვიცხოვრე... ვიცხოვრე კი არა, საქონელივით ვეყარეთ.

ვინც ჩამოგვიყვანა, აგენტს ჩავგაბარა და თვითონ ახალი ჯგუფის შესაგროვებლად საქართველოში წამოვიდა, აგენტმა კი ვიღაც ზედამხედველი ქალი მოგვიჩინა. ზედამხედველი მაგრად ნათრევი ნაძირალა გამოდგა — როგორც გითხარი ბრუკლინში, ნახევარსარდაფის ორ პატარა, ნესტიან ოთახში, თექვსმეტი ქალი შეგვეყარა... ოთახებში არც სანოლი, არც სკამი, არც კარადა, საპირფარეშოზე და სამზარეულოზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი — დღეში ორჯერ დაგვიყრის პარკებით უგემურ სალაფავს და, ეგ არის და ეგ.

ვეკითხები, სხვა თუ არაფერი, სანოლები ხომ მაინც გეჭირდება, სად დავწვეთ-მეთქი.

იატაკზეო.

ნესტში თირკმელები დამიაგადდება-მეთქი. თქვენი თირკმელები რა ფეხებზე მკიდიაო. ახლაც, გახსენებაზეც კი მაცახცახებს, — მაჩვენა ათროლობებული ხელი.

— თუ ასეა, ნუ მოყვები.

— არა, მინდა იცოდე, რამდენი დამცილება

გავრძელება. დასაწყ. № 6,7



ვნახეთ ქართველმა ქალებმა... ზედამხედველის პასუხის შემდეგ აგენტს დავურეკეთ, ავუსხენით ჩვენი მდგომარეობა... გვითხრა, ამალამ როგორმე გაათენეთ და ხვალიდან რალაცას მოგიხერხებთო... გაიარა სამმა დღემ, არც სამსახური ჩანს, არც სანოლები, არც აგენტი... ვილაცამ ამბავი მოიტანა, ხშირად, სანაგვეებზე ძველ სანოლებს და მატრასებსაც ყრიან და წავიდეთო. დავიხვეტი მთელი ჯგუფი. მივედი. სანაგვეზე სხვებიც დაგვხვდნენ — რამდენია ჩვენნაირი უპატრონო ქვეყანა მსოფლიოში... იმით გვითხრეს, მატრასებიც იყო, სანოლებიც და დაგასწრეს, წაიღესო... რა უნდა ქნა? იქვე ჩატეხილი სავარძელი ედო. ჩავჯექი და დავინყე ტირილი... გავიხედოთ, მოვიდა ერთი კაცი, ცოტა შავ-ყვითელი, ჯერ მიყურა, მერე ხან აქედან შემომიარა, ხან იქიდან... ნახე, მგონი ბედი გეხსნებაო, მეუბნებიან ჩვენები... კაცი ძალიან ახლოს მოვიდა, მაგრამ მე კი არა, სავარძელს უყურებს, თვალით ამონმებს... გავუშალე ხელები, მისტერ, მე და ეს სავარძელი პატრონებმა ერთად გადაგვაგდეს და შეგიძლია ჩემიანად წაიღო-მეთქი, ახლა უაზრო სიცილი ამივარდა... იმავე დღეს, როგორც იქნა ბედმა გამილიმა, მდიდარ ებრაელთან ბავშვების მომვლელად ამიყვანეს. ერთი ბავშვი ეპილეფსიით იყო დაავადებული. ძალიან მომეჩვია, ახლობლებზე მეტად ჩემი დანახვა ამშვიდებდა... კარგად მიხდიდნენ, თუ სადმე წავიდოდნენ, მეც წამიყვანდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც ვერ გავძელი, მაგიუებდა იმის მოლოდინი, ბავშვი როდის გახდებოდა ცუდად.

თვითონვე მიშოვეს მოხუცებული, მარტოხელა ქალი. ისიც ებრაელი... ოთხმოცდაორი წლისას ტელეფონზე გაცნობილი, თავისი გულის მესაიდუმლე ჰყავდა. წინასწარ შეთანხმებულ დღეს, მოკალათდებოდა სასმელ-საჭმელით განწყობილ პატარა მაგიდასთან, აიღებდა ყურმილს და გაუთავებლად საუბრობდა... იმ დროს კარის შეღება, შეწუხება, თუკი ზარით თვითონ არ დამიძახებდა, აკრძალული მქონდა, — ფინჯანში ჩარჩენილ, გაციებულ ყავას ძირზე მოავლო და მოსვა, — იცი, ეს ამბავი რატომ გავიხსენე? როცა გამიჭირდებოდა, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენს გამო ვისჯებოდი... საკვირველია, რამდენს უძლებს, დამამცირებელ მდგომარეობასაც როგორ ებლაუჭება ადამიანი.

— მონას თავისი უღელი განა იმიტომ არ ეთმობა, რომ ძალიან მოსწონს, უარესის ემინია...

— სწორედ ამ შიშის გამო წავიყვანე შვილები... იქ ლუკმა მაინც არ უჭირთ, დამკვიდრდნენ და თავს ადამიანებად გრძნობენ.

— სამაგიეროდ სამშობლო არა აქვთ.

— რომელი სამშობლო, სადაც წესიერ კაცს არსებობა კი არა, სუნთქვაც რომ უჭირს?... ახლა იმათი დროა ვინც, მაპატიე და, გამუდმებით იმის ფიქრში არიან, ყბამორღვეულ, სულიან-ხორციანად დეფორმირებულ ხელისუფალს, ერთ ადგილას, უმტკივნეულოდ როგორ შეეცნონ.

— უბედურება ის არის, რომ იმ ხელისუ-

ფალსაც თავი მფარველის უკანალში აქვს გაკვეთებული.

— აუჰ, აბა, წარმოიდგინე, რა საინტერესოდ ჩაბმული ეშელონია, — იცინის.

— ეშელონზე გამახსენდა, გახსოვს ქალები აფხაზეთის დასაბრუნებლად რომ წავიდნენ?

— წავიდნენ კი არა, წავედით!

— მაშ იმ სახელოვანი ლაშქრობის მონაწილე შენც ბრძანდებოდი?

— დიას, ვბრძანდებოდი!.. მესამე ვაგონი, მეოთხე კუპე...

— იმდროინდელი ერთი ძალიან ყვითელი გაზეთი წერდა — „ჩაიარა სექციამ, ჩაატარა აქცია, თებრომ დამის ქოთანს კასპთან გადააქცია. გაიხარე მცხეთელო, გაიხარე ძეგველო. აქ ვერ წაიბოზებდი, იქ რა გინდა, შე ძველო...“

— მერე, მოგონს, თუნდაც ყველაზე გარყვნილ ქართველ ქალს, ქართული გაზეთი ასე რომ მიმართავს? იცი, იმ აქციაში რამდენი ღირსეული მანდილოსანი მონაწილეობდა?

— შეიძლება, მაგრამ მაშინდელ მოლაშქრეებში „ცნობადი“ სახეები ვნახე...

— ნურავის განიკითხავ, კაცები როგორც გვივლით, ქალებიც ისეთები ვართ...

ეზოში გამოვედით. ეზოდან — ქუჩაში. გვინდა ხეებით გადაბურულ ტროტუარზე ჩუმად ვიაროთ, მაგრამ დაფშვნილი შუშა ტკაცუნობს. ქალაქის ცენტრში ვაჩვენე კასეტური ბომბით ამოკბეჩილი ღრმულები.

მინისქვეშა გადასასვლელის კიბესთან, კუთხეში, მთლიანად დაღვნილი ერთადერთი საგაზეთო ჯიხურისაგან უშუშო რკინის კარკასილა დარჩენილი.

— ჩვენი საწყალი ქალაქი!.. დამე უფრო საშინელი ყოფილა! — მხართან მოხუცებული თვალეხს იმშრალეხს, — აღარ შემიძლია, ამ ხრამუნისა და სიჩუმის ატანა.

უკან წამოვედით.

კატები დაბრუნებულან — მუსიკალური სკოლის ჩიხში შეგუხვიეთ თუ არა, ფხუკუნით გამოვარდნენ.

კარში საკეტი გაჩხაკუნდა, მაგრამ არ შეალო, შემობრუნებული პირისპირ გამიჩერდა. ჩაბნელებულ ნიშაში მხოლოდ ერთმანეთის თვალებს და ცხვირის წვერებს ვხედავთ, სადაცაა, მაღალი ძაბვის სადენის ბოლოებივით ერთმანეთს რომ შეეხებიან და ნაპერწკლებს გაყრიან.

— ალბათ, უნდა წავიდე, — რატომღაც ჩავილაპარაკე და ჩემს თავზე გავბრაზდი.

— ჰო, ალბათ, „ძვირფასო კინი...“

— მაშინაც ამ ადგილას, ამ სიტყვებით დამემშვიდობე, მეორე დღეს კი... გამიფრინდი!

— არ გეშინია, ხვალაც რომ დავკრა ფეხი და... — აუტყდა სიცილი.

— რა მოხდა მერე, ახლა ხომ სულ ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან.

— მაშ, არავის გაუკვირდება?

— არა მგონია?..

— არც შენ?

— მე ხომ ერთხელ უკვე „გამიკვირდა...“

— ჰო, ეგ სულ დამავინყდა, — მითხრა უკვე სერიოზულად და გაყურდა.



არ ვიცი, მეჩვენება თუ თვალები ცრემლიანივით უციმციმებს.

— მოკლედ ისევ აქ, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ... — დავარღვიე სიჩუმე.

— მე უეჭველად მოვალ...

— ოცდათხუთმეტი წლის წინ სცენაზე იყო ომი, ახლა ჩვენა ვართ ომში.

— თუ ომია, ცალ-ცალკე როგორ უნდა ვიბრძოლოთ!

— არ წავიდე?

არაფერი უთქვამს, შევიდა და კარი ღია დატოვა...

საძინებელში, ტორშერი, მკრთალ იისფერს ფენდა.

ამდენი წლის ნალვერდალივით შენახული ჟრუანტელი ერთბაშად მომედო, ჩალაბულასავით აბრიალდა და... ჩაინაცრა.

— წარმოგიდგენია? არ შემიძლია! — ჩავილაპარაკე ნირნამხდარმა.

— რა არის წარმოუდგენელი, პატარა ხომ აღარ ხარ.

— აქამდე თუ შემეძლო?

— რა ვიცი, აბა, ვის ვკითხო, — თავის ნათქვამზე სიცილი აუტყდა.

— არა, გეფიცები... სხვა თუ არაფერი, ამ საქმეში მაინც არ მაკლია გამოცდილება, — დავდექი და, იდიოტივით, რაღაც სისულელეებს ვამტკიცებდი.

მისმინა, მისმინა და, როგორც იქნა ხმა ამოიღო:

— გასული საუკუნის სტაჟით, გამოცდილებით, თანაც მოძველებული „იარაღით“, ახლა შორს ვერ წახვალ.

— მოძველებული? შენ ასე თვლი?

— მე ვინ მკითხავს, თორემ „იარაღად“ აღარც უნდა ჩაითვალოს, — ვითომ დასამშვიდებლად თმა გადაამისწორა.

შევხედეთ ერთმანეთს და თავმეუტკავებლად ავხარხარდით. რომ არ წამოვმჯდარიყავით, გული წაგვივიდოდა, მუხლებზე მუშტებს ვირტყამდით, ველარ ვჩერდებოდით...

უკანა მხარეს, ქუჩაზე რალაცამ დაიხმაურა. გავეყურდით. გადავიხარე, ფანჯარაზე ფარდა გადავნიე, მაგრამ ვერაფერი დავინახე.

როცა მოვიხედე, აღმაცერ შუქზე, სწორედ რენუარის „შიშველი ქალივით“ იჯდა, კეფასთან მალლა აკრეფილი თმით, პატარა, გიმრისთვლიანი საყურეებით, ისეთივე სევდიანი გამოხედვით, არცთუ ქორფა, მაგრამ საიმედოდ მკვრივი სხეულით.

ტორშერი გამოვრთე...

მთვარის მკრთალი სინათლე ფარავს ჩვენს ნაოჭებს, სამაგიეროდ თვალები ხდებიან მეტყველნი, ნალვლიანად მეტყველნი და მოსიყვარულეები.

სასთუმალზე შუქმა გადაინაცვლა, ფრთხილად შეაცოცდა მომრგვალებულ მხრებზე, კისერზე, მთვარის ანარეკლს ჩემი ხელისგულიც მიჰყვა — თანდათან მჟღავნდება ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი სახე, ნაკეთები, მწვანე, უძირო თვალები, რომლებშიც ჩემი ნებით ვიკარგები...

ომი ყველაფერს ჩამოწერს. ალბათ, ჩვენს ცოდვებსაც!

14

უბის ნიბნაპიდან

23.12.2001

„ზღვა დამესიზმრა, ისეთივე ვრცელი, უკიდევანო, როგორც სინამდვილეშია — შორს, პორიზონტზე გადაფერდებული გემებით, აზნექილი, მუქ-ლურჯი ზურგით, ფარფლებით რომ ეყარა ქაფის შხეფები და ბავშვივით მიიკვირდა, ეს ყველაფერი ჩემს პატარა სიზმარში როგორ ეტევა-მეთქი.

ვიდექი ირიბად გაქცეული ნაპირის სველ კენჭებზე.

წვივებს, ბომბორა ლეკვებივით ზანტი, ძალგამოცლილი ტალღები მილოკავდნენ.

უკან არ გამიხედავს, მაგრამ ვიცოდი, რომ ტანმალაღი ფიჭვებისა და ევკალიპტების სიღრმეში შემოქმედებითი სახლის კორპუსი იდგა.

ბაც! — ჩატყდა სიზმრის ფერადი შუშა, ნამსხვრევეები საწოლში მოღავდნენ.

თვალი გავახილე.

ავდექი, „ნამტვრევები“ რომ არ დამბნეოდა, ზენარს თავი და ბოლო ფრთხილად ავუკეცე და აივნიდან შუალამის სიჩუმეს გადავაფერთხე.

აივნის ნამიანმა მოაჯირმა იდაყვი დამისველა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

მივიხედ-მოვიხედე, ზღვა აღარსად იყო. ქარი ნამქერს ატრიალებდა, ბოძზე გაკიდულ თუნუქის თავსახურიან ნათურას აჟღარუნებდა, გადაქანებული სინათლე სჭრიდა ნამქერს და სიპი ქვის ყორესთან, გადატრუსული მინდვრის კუთხეში, ბექობს ანათებდა.

ბექობზე გადახრილი, ნათალი ქვის ჯვარი ილანდებოდა. ქვას, ამძვრალი ოვალური ფორმის სურათის, მხოლოდ ტვიფარილა ემჩნეოდა და აღარც წარწერა იკითხებოდა.

იქვე შავი, გასუნებული ძონძი ფრიალებდა — ბექობზე ბენვდაკონტლებული ძალლი მიებლოტებოდა და უპატრონო საფლავს შეჰყმოდა.

დედამინის ზურგზე მხოლოდ მე და ძალღმა ვიცოდით, რომ ამ საფლავში ჩემი ცოდვილი სხეული განისვენებდა.

სული?

სულისა რა ვთქვა, სული, ზღვაზე აფრასავით გაშლილი, ნავს მიაქანებდა...

15

კარის ხმამ გამაღვიძა.

ნატო ფეხაკრეფით შემოვიდა, დამხედა.

თვალები მაგრად მოვხუჭე, მაგრამ გამეცინა — გავიყიდე, რომ არ მეძინა.

— თერთმეტამდე ლოგინში ნებივრობა გამიგია? — ხალისიანი და ლამაზი იყო.

— მოდი, ჩემთან.

საწოლზე ჩამომჯდარი მკლავებში გამეწაბა.

— ეკლესიაში ვიყავი.

— ღმერთს სანთელი ჩადენილი ცოდვებისათვის დაუნთე თუ შეჰპირდი, მეტს აღარ ჩავიდნო.



— არც ერთი, არც მეორე, მადლობა შეგნირე... მერე ვილოცე, ნაკურთხი პური დაარიგეს, ერთი ცალი მეც მერგო, ავიღე და წამოვედი... ცოტა ხალხი იყო, უფრო მეტი პურის საცხობთან იდგა... ჰო, მართლა, რუსების გენერალი ვნახე. იმანაც სანთელი დაანთო, მეუფეს ესაუბრა, ეკლესიის ეზოდან, „მოროდორებს“, მანქანები გაუტაციათ და შეჰპირდა, ვეცდებით ვიპოვოთ... შენ წარმოიდგინე, გამოთხოვებისას ხელზე ემთხვია, პირფვარი გადაინერა და ისე წავიდა.

— დაგავინყდა, რომ ეგენიც მართლმადიდებლები არიან?

— მე კი არა, თვითონ დაავინყდათ.

— საინტერესოა, რა სთხოვა ღმერთს უფალმა გენერალმა.

— ეგ არ ვიცი... გავიგონე, რადგან ქალაქს თქვენს მეტი პატრონი არავინა ჰყავს, მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება გვაქვს შემოტანილი და თქვენ გაანანიღეთო.

— ჰუმანიტარულის შემოტანას ტანკი და თვითმფრინავი რად უნდოდა.

— მაგდენს, პოლიტიკოსები, არც შენ გეკითხებიან, არც — მე და, მგონი, არც იმ გენერალს... ასე რატომ მიყურებ, ძალიან დავებრდი?

— ოთხმოცდაცხრის მერე არ შეცვლილხარ.

— კარგი, ერთი...

— განსაკუთრებით შიშველი.

— არ გადამრიო, ოთხმოცდაცხრაში შიშველი სად მნახე?

— ბოდიში, შემეშალა, თითქმის შიშველი... ბიჭვინთაში, პლაჟზე...

ჩაფიქრდა, საფეთქლები მოისრისა.

— კი, კი, პრესის სახლში ვისვენებდით... შენ...

— მეც იქვე, ახლო-მახლო ვტრიალებდი... ერთხელ მე და ჩემი გაგრელი მეგობარი თემური, ზღვაში შევედით, კარგა ღრმად შევცურეთ, უკან რომ ვბრუნდებოდით, ვიღაც კაცმა, ჩვენს თვალწინ ჰაერში გაასავსავა ხელები, რაღაც დაგვიძახა და ჩაყვინთა...

ნატო განერვიულდა, ანითლებულ სახეზე ხელები აიფარა.

მე განგებ გავჩუმდი. პაუზა გაინელა.

— მერე, რომ ჩაყვინთა! — ველარ მოითმინა.

— ამოვუდექით აქეთ-იქიდან და ცოცხალ-მკვდარი გამოვიტანეთ... თემური ყოჩალი ბიჭი იყო, ვიდრე სასწრაფო დახმარება მოვიდოდა, გონს მოიყვანა... — ისევ გავჩუმდი.

ნატომ სახე ჩემს ყელთან ჩარგო და დაიჩურჩულა:

— მწვალებელო, მერე?

— რა, მერე... მოშორებით, ქოლგის ქვეშ, შეზღონგზე შავსათვალისანი, სიმპათიური ქალბატონი იწვა, მგონი სიმინდს მიირთმევდა, შეიძლება მსხალს... წვნიანი, ნაადრევი მსხალი იცის დასავლეთში... იქნებ მსხალიც არ იყო... მოკლედ, ეს აურზაური რომ დაინახა, დააგდო რასაც მიირთმევდა, დაუვარდა სათვალეც და ძალიან ნაზი ფეხისგულებით კენჭებზე გამოიქ-

ცა... ვინატრე, ნეტავი მე ვიყო გულნასული და ჩემსკენ მორბოდეს-მეთქი... კაცს შემოხვეულმა დამსვენებლებმა გაინ-გამოინიეს, მეუღლეაო... გამიკვირდა, ეს მშვენიერება ამის ცოლი როგორ არის-მეთქი... მაგრამ, გაიკვირვე და იყავი — ქალბატონმა ისე შემომხედა, როგორც ცარიელ კედელს...

— მაინც როგორ უნდა შემოეხედა?

— რა ვიცი, ბოლოს და ბოლოს, თანამეცხედრე გადავურჩინეთ?

— გგონია, თავზარდაცემული ქალი, იმ წუთებში ვინმეს ხედავდა? მართალი ყოფილა, ყველაფერი ადრე თუ გვიან გაცხადდებაო!

— ამ ამბავს პირველად ვყვები.

— ის მეორე სად არის, ახლა?

— თემური?.. მას შემდეგ თემურის ცხოვრება, სულ რაღაც ოთხიოდე წელიწადში, ძალიან ტრაგიკულად დამთავრდა.

— არ მინდა, ნუ მეტყვი, ისედაც ცუდ ხასიათზე დავდექი, — ყელთან სისველე ვიგრძენი.

„ეჰ, ნატალი, ნატალი, ოთხმოცდაცხრაშიც ძალიან მაგარი გოგო იყავი... მეც კარგი დეგენერატი ვარ, რა მალაპარაკებს... ტყუილად არ ამბობენ, ამ უკუღმართ დროში კაცები უფრო ჭორიკანები გახდნენო.“

— ხომ ხედავ, ცხოვრების მკვეთრ მოსახვევებში, ჩვენი გზები ერთმანეთს ჰკვეთენ.

— ვხედავ, ვხედავ, — დამხედა ჩანითლებული თვალებით, — თავისთავად ხდებოდა, იცი... რაც არ უნდა მეკეთებინა, მოულოდნელად გავირინდებოდი და სულ ერთ კადრში მეჩვენებოდი — ზურგმექცეული წყალს მიტოპავ, გამხდარი, უმწეო მხრებით და მეტირებოდა... გუშინ, მატარებლიდან, მხოლოდ შენი დანახვის სიხარულმა კი არა, ჩემი თავის სიბრალულმაც ჩამომიყვანა... დაგინახე და გამახსენდა, რომ მეუღლისათვის, შვილებისათვის, დედისათვის, დედამთილ-მამამთილისათვის, ყველასთვის ვიცხოვრე, ჩემთვის კი, ჩემი ბედნიერებისათვის, ჩემი სიცოცხლის ერთი დღეც ვერ გავიმეტე — უცებ ლამის ჯავრმა დამახრჩო... ჩამოვხტი ვაგონიდან და გამოგეკიდე...

გული ამოუჯდა.

მეც ხომ ბევრი არ მინდა, ისედაც წკიპზე ჰკიდია ნერვები.

ჩავახველე. ცრემლები შიგნით, ყელში ჩაიწურნენ.

როგორც იქნა დამშვიდდა.

— მაშ, გენერალმა, ქალაქი უპატრონოდ არისო?

— მუნიციპალიტეტში ხმის გამცემს ვერ ნახავ, თურმე... ჩვენი ხელისუფლები არ ჰგვანან კორდოვას მერ ალმანსორს?

— რა ჰქნა, ეგეთი, ალმანსორმა?

— მავრი იყო, ვაჟკაცი, არათუ არ გაიქცა, სახადი შეიყარა და ისე შევიდა შემოსეული ესპანელების ჯარში.

— მეც დავლევ არაყს და რუსის ჯარში შევალ, — და, მერე, სერიოზულად დავამატე, — თემური შევიდოდა!.. უეჭველად, ერთ წამსაც არ დაფიქრებოდა...

სახლის უკანა მხარეს „ტ-55“ გაუჩერ-



დათ. ვინრო ქუჩაზე გახიდილი, ველარც წინ ნაიყვანეს, ვერც — უკან. ტანკისტები საბრძოლო მანქანიდან გამოძვრნენ. უტრიალეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გულგანყალებულმა, დასიცხულმა სამხედრომ ტანკის კოშკურა მიატოვა და თვითონაც დაბლა ჩამოხტა.

ტანკს გარეგნობაზე ეტყობოდა, ამ ომით არ იწყებდა თავის ბიოგრაფიას — დაბეგვილი გვერდებით მიხვდებოდი, რომ ბევრი ენანწალა, მუხლუხებს მრავალი აღმართი და ქვა-ლორღი ეღრღინა... ახლა კი, აგვისტოს მზიანი დილით, ძველი ხიდიდან მომავალმა, სწორედ ნატოს სახლის ფანჯრების წინ დაიხროტიწინა, მყარად დამდგარი ველარ გაარხიეს. რა ვიცი, შეიძლება ავღანეთში გაჩენილმა სატივიარმაც გაუხსენა...

16

აგვისტოს იმ შორეულ ცხელ დღესაც, ლუკახდელ ტანკზე მეტყვიამფრქვევე ჯარისკაცი იჯდა. შუაში ჩატეხილი ვარსკვლავიანი „ბანამა,“ წარბებამდე ჩამოწინა, უფერული, დაღლილი თვალები ზანტად გადაჰქონდა ოპერაციიდან დაბრუნებულ თანაპოლკელებზე, გასავათებულები აღჭურვილობას რომ იხსნიდნენ, და თავს გახურებულ, კალთააკეცილ კარვებს აფარებდნენ.

ჯარისკაცებს, ყურიანი თუნგით ხელში, ნაცნობი, მოხუცებული ავღანელიც მოჰყვა. ავღანელი ბანაკის ხშირი სტუმარი იყო.

— გამომართვი, ვიცი, გწყურია! — ალუმიწის ტუჩმობრეცილი ჭიქით მეტყვიამფრქვევეს წყალი მიაწოდა.

ჯარისკაცი ტანკიდან გადმოიხარა, ჭიქა მოსვა, მაგრამ სახეზე დაეტყო, რომ არ ესიამოვნა — დამპალ ლაქაშემში სუნდაცემული, დაუბელა წყლის გემო ჰქონდა.

დარჩენილი წყალი მოხუცებულს თავზე გადაავლო.

ავღანელს თვალი არ დაუხამხამებია, კეთილად გაღიმებულმა, წვერზე დაცურებული წვეთები, როგორც ნამაზის დროს სჩვეოდა, ხელისგულით ჩამოიწურა და ტანკს მოსცილდა.

ორმა ოფიცერმა მეთულუხჩე განზე გაიხმო, მტვრიანი „ვილისის“ სავარძელქვეშ მენახული, ტყავის შალითაში ჩადებული ახალი ნაჯახები აჩვენეს.

ჯარისკაცი მიხვდა, ოფიცრები სასმელზე გადასაცვლელად ევაჭრებოდნენ.

ავღანელი შინაურით ჰყავდათ, წყალი ან გასაყიდი ხილი თუ არ ჰქონდა, მაშინ ერთი და იგივე, მომაბეზრებელი მოტივის ლილინით დადიოდა ბანაკში, დაუზარებლად დაესაქმებოდა ხოლმე ყველას და ჯიბეში ხელებჩანყობილი საბჭოთა ხურდა ფულს აჩხაკუნებდა.

ოფიცრები და ავღანელი ბოლოს შეთანხმდნენ — ბერიკაცმა თავი დაიქნია.

სალამო ხანზე, ბანაკიდან გასული ოფიცრები, მეორე დილით, მათე კილომეტრზე, თავისივე ნაჯახებით დახოცილები იპოვეს. „ვილისის“ კვალი კი ცხელი ქარით აბორიალებულ ქვიშას წაეშალა.

ბერიკაცი აღარ გამოჩენილა, სამაგიეროდ,

იმავე დღეს, ხეობაში გამაგრებულმა, სამალავებიდან და გამოქვაბულებიდან ჩამოვაკებულმა მოჯაჰედებმა, როგორც კი მთავარი ძალები ბანაკიდან ქაბულის მისადგომებთან, ოპერაციაზე გაიგულეს, ბანაკს დასცხეს და თავის მცირე რაზმიანად მიწასთან გაასწორეს.

მოზრუნებულმა მთავარმა ძალებმა დამსჯელი ლაშქრობა ჩაატარეს, ჯერ მახლობელ სოფელს გადაუარეს, მერე მოჯაჰედებს მიუხტნენ, ტანკებმა და მძიმე არტილერიამ დაფშვნეს კლდეებში მოწყობილი თავშესაფრები, სამალავები. მეტყვიამფრქვევე ჯარსკაცის ტანკმა გასრისა ავღანელი მემბოხეები, მათთან ერთად — ქალები და ბავშვები.

ოპერაცია დამთავრდა, დადუმდა, მოკვდა აღებული მთის ციტადელი.

ჯარისკაცი ჩამოხტა ტანკიდან.

მიაყურადა, ჩაქცეულ მიწურში ვილაც კენესოდა.

დაჭრილი ნანგრევიდან გამოათრია და ნალმის ნამსხვრევით მუცელგამოფატრული, წყლის დამტარებელი ბერიკაცი შერჩა ხელში.

— მოლალატევე, გამცემო! — წვერზე მოქაჩა ჯარისკაცმა და ავტომატის ლულა შუბლზე მიაბჯინა.

— მოლალატე მაშინ ვიქნებოდი, რუსი ძალებისათვის რომ მიმეყიდა სამშობლო! — ძლივს ამოთქვა მოხუცებულმა.

ჯარისკაცი ხისთავიანი კი იყო, მაგრამ მაინც მიხვდა, სიკვდილი ბერიკაცისათვის შვება იქნებოდა. ავტომატი ძირს დაუშვა და წინ დაუცუცქდა.

— უნდა გიყურო, როგორ ჩაძაღღებები!

ავღანელმა ძლივს ასწია დამძიმებული ქუთუთოები, თავს ძალა დაატანა, ჯარისკაცს სახეში შეაფურთხა...

გაცოფებულმა ხელახლა მიაბჯინა ავტომატის ლულა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ავღანელს თავი ჩამოუვარდა და გამოციებული თვალებით, დაფლეთილ მუცელზე დაფარებულ ხელებს დააჩერდა...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

2008 წლის აგვისტოში, ავღანეთიდან „დემობილიზებულმა“ ტანკმა, ყოფილ ჯარისკაცთან, ახლა უკვე ბრძოლებში გამობრძმედილ ოფიცერთან ერთად, კავკასიის გადმოღმა გადმოინაცვლა. დაბომბა, მიურ-მოური სოფლები, ბალ-ვენახები, საცხოვრებელი სახლები, სროლით გახურებულ ტყვიამფრქვევის ლულას ოსშვიარი აადინა და ქალაქში, აგერ ჩვენს თვალწინ გაჩერდა, დააცივდა მიწას.

ავღანეთმოვლილი ოფიცერი, დღესაც ლუკახდელ კოშკურაზე იჯდა, ელოდებოდა მოფუტკნულ ვეტერანს როდის შეაკეთებდნენ. თან, წარამარა, თითქოს ბუზს აუქმიაო, შუბლთან ხელს გაიქნევდა ხოლმე.

ეს იმპულსური, უადგილო მოძრაობა, ავღანელი ბერიკაცის შეფურთხების შემდეგ დასჩემდა...

კარგა ხანს იცოდვილეს, იხოხიალეს ტანკის ქვეშ მექანიკოსებმა, ოხრად დაიყარა „ტ-55“-ის გარეშემო გამოცვლილი ნაწილები, ეწვალნენ,



ბევრი „უაქიმეს,“ მაგრამ მკვდარი ველარ გაა-  
ცოცხლეს — მოიყვანეს სხვა ტანკი, ჩაუბეს,  
ნელ-ნელა, ხრჭიალით „კატაფალკზე“ აათრიეს  
და წაიღეს.

რა ვქნათ, ვიქტორ პეტროვიჩ, კოკა წყ-  
ალზე გატყდა, რუსული იარაღის სიამაყე, „ტ-  
55,“ არც წაღმზე აფეთქებულა, არც მართვად  
ჭურვს დაუნგრევია, უცებ, სიბერით და ცოდვე-  
ბით დამძიმებული ჩაგვაკვდა ხელეშში.

17

### ძველი რვეულიდან

„ზღვისპირა, საკურორტო დაბაში რომ  
ჩავდი, ჯერ კიდევ ყველას პირზე ეკერა  
დედაქალაქში მომხდარი საშინელი ამბები.

ჩქარი მატარებელი სადგურზე ცოტა ხნით  
ჩერდებოდა, ამიტომ დროულად დავიჭირე  
თადარიგი, გატენილი ჩანთა წინ გავიძლოლე და  
ტამბურში გავვიდი.

მატარებელი მოსახვევში ისე მოირკალა,  
განელა, რომ თავი და ბოლო ერთმანეთს ხე-  
დავდა. მერე, თითქოს კუდზე ფეხი აუშვესო,  
გადასაბმელები ერთმანეთს შეასკდნენ, აჭრი-  
აღდნენ დამუხრუჭებული ბუფერები და ბავშვ-  
ვიანი ქალები ტამბურში, ვაგონის კედლებს შე-  
ხეთქენ.

ქალები ჯერ გაბრაზდნენ, ჩამოლოცეს  
მატარებელი, მატარებლის მემანქანე, რკინიგ-  
ზის „ნაჩაღნიკი“ და ბოლოს კრემლის უფრო-  
სობა, მაგრამ როცა ნახეს, არც თვითონ, არც  
ბავშვებს არაფერი უჭირდათ, სიცილი აუ-  
ტყდათ, უმიზეზო, ნერვიული ადამიანებისათ-  
ვის დამახასიათებელი სიცილი.

სანერვიულო კი ღამით არ მოგვკლებია —  
ვაგონში, სწორედ ჩემს მეზობელ კუბეში, ასაკი-  
ანი ცოლ-ქმარი გაძარცვეს.

რა წაიღეს-მეთქი, ვკითხე დაძმარებულ  
დაზარალებულებს, როცა მილიციელმა ოქმის  
წერა შეწყვიტა და კუპის კარს დაუნყო შემონ-  
მება.

— ყველაფერი, დედა, აი, ამის ამარა დამ-  
ტოვეს, — ქალმა წინ დაწყობილი ჩუსტები  
აიღო და ისე ჩაბლუჯა, თითქოს იმასაც ვინმე  
წაართმევდა.

— ნამდვილად ძილის წამალი შემოუშვეს,  
თორემ რანაირად გავითიშებოდი, ფაჩუნზე  
მეღვიძება, — დამორცხვებულმა კაცმა, ეს რო-  
გორ დამემართაო, მერამდენედ ამოატრიალა  
შარვლის დაცარიელებული ჯიბეები.

— ბიჭი უნდა გვენახა, ჯარში მსახურობს...  
გვექონდა ცოტა რაღაც... აბა, ხელცარიელი ხომ  
არ წამოვიდოდით, — ქალი სწორედ ისე იმტ-  
ვრევდა ხელებს, განაწყენებულმა დედაჩემმა  
რომ იცის ხოლმე და, ავლელი, მძარცველები  
იქ რომ ყოფილიყვნენ, კბილებით დავგლეჯდი.

— ჯანდაბას, წაიღეს, წაიღეს, თავებს ხომ  
არ დავიხოცავთ, მაგრამ შეურაცხყოფილი ვარ,  
შვილო, სულში ჩაფურთხებული... ერთი თავი-  
სუფლებისათვის სისხლსა ღვრის, მეორე მძი-  
ნარე ადამიანებს ძარცვავს, ასე გამოვა რამე?  
— ჭაღარა კაცის მუხლებზე ამობრუნებული  
ხელისგულები, პატრონივით გაოცებულები  
ამომყურებდნენ.

მილიციელმა მოათავა საკეტის ჩხაკუნი,  
მაგრამ რა დასკვნა გამოიტანა, არ გავიძინილა,  
ქურდები თუ ავიყვანეთ, შეგატყობინებთო,  
დაუბარა გაძარცვულებს და წასვლა დააპირა.

— მოიცა, ძმაო, მოიცა, ხომ გაიგე,  
ჩუსტების მეტი არაფერი დავგიტოვესო.

— გავიგე, მაგრამ რა ვქნათ? — დამიბრუნა  
კითხვა.

— ვიდრე ქურდებს მიაგნებთ, ვაგონში ისხ-  
დნენ და გელოდონ? უკან დაბრუნება ხომ უნ-  
დათ!

— რაც მევალებოდა, გავაკეთე, მოკვლევა  
ჩავატარე, მონაცემები ამათი, — მანიშნა ცოლ-  
ქმარზე, — ჩავინერე, საქმეს მსვლელობას მი-  
ვცემთ...

— ესენი სახელმწიფოს კუთვნილ მატარებ-  
ელში გაძარცვეს...

— მერე? — გაკვირვებულმა, საჩვენებელი  
თითით, წარბებამდე ჩამოფხატული ქუდი მალ-  
ლა ასწია, რომ კარგად დავენახე, — როგორ  
მოვიქცე, გგონია, სახელმწიფომ მე დამიტოვა  
ამათი უკან დასაბრუნებელი ბილეთების ფული  
და არ ვაძლევ?

ცხრა აპრილის მერე „შეძენილმა“ თავის  
ტკივილმა საფეთქელიდან საფეთქელამდე გამი-  
არა — ან ამან რა ქნას, მაგრამ ვილაცაზე ხომ  
უნდა გავბრაზდე.

უძილობით თვალბედასიებულმა ვაგონის  
გამცილებელმა კიდევ ერთხელ, საგულდაგუ-  
ლოდ მოათვალიერა კუბე.

ცოლ-ქმარს, ორი ათმანეთიანი, მაგიდაზე  
დავუდე.

უარი არ უთქვამთ, ოღონდ მისამართი  
გვითხარიო, შემეხვეწნენ.

ციხიდან ვარ გამოპარული, მისამართს  
არავის ვეუბნები-მეთქი.

გამოვედი ჩემს კუბეში, ისევ ავძვერი სა-  
ნოლზე, მაგრამ რაღა დამაძინებდა, მითუ-  
მეტეს, რომ ქვემოთ ფერხორციანი მეზობელი,  
მცხეთიდან მოყოლებული უპაუზოდ ხვრინავ-  
და.

ამაოდ ვინრიალე, ძილგამკრთალმა. სიბნე-  
ლეში მაგიდაზე ხელი მოვაფათურე, სიგარეტის  
კოლოფი მოვძებნე და მოსანევიად დერეფანში  
გამოვედი.

გაძარცვულები რომელიღაც სადგურზე ჩა-  
სულიყვნენ, ნათესავებს მივაკითხავთო.

— არ გაგიჟდებიან, ნაშუაღამევს ფლოსტე-  
ბით რომ მიადგებიან? — გამყოლმა თავისთან,  
ჩაიზე შემიპატიჟა.

ერთჯერადმა პაკეტმა გაამუქა მდულარე  
წყალი.

თხელ ჭიქაში კოვზი აწკარუნდა.  
ჩაი მოვსვი. თანდათან თავის ტკივილმა  
გამიარა.

— მაგარი სითხეა, ღვინოს სჯობია! — გა-  
ვუცინე გამცილებელს, გალეული კბილებით  
ჭიქაში ჩამბალ, გამხმარ ორცხობილას რომ  
ლოღნიდა.

— მეორე დღეს — კი, პახმელიაზე ჩაი ხაშს  
არ ჩამოუვარდება.

— ხაშს გააჩნია...  
— ჩაისაც...



— რა თქმა უნდა...

— ძალიან მაღლიერები იყვნენ, ფული რომ მიეცი... მიირთვი, მიირთვი! — ახლოს მომიწია ორცხოობილას პარკი.

გარეთ ყველაფერი შავად ლაპლაპებდა, ხანდახან სინათლეს გაიღვებდა და, გავერცხლისფერებული მიდამო ჩემს საპირისპიროდ გარბოდა.

ვაგონის რწევა-რწევაში, საზურგეს მიყრდნობილმა წავთვლიმი.

თვალი როცა გავახილე, გამცილებელი აღარ ჩანდა, ახლა ცარიელ ჭიქაში წკარუნობდა კოვზი.

ფარდა გავნიე. უკვე ზღვისპირას მივდიოდით. მოუაშულიყო ცის დასავალი. იფიქრებდი, აქაურობას მზე საერთოდ არ უნახავსო.

წყალი იყო მუქი, თითბერისფერი. ქაფ-მომდგარ ზღვას გულს აზიდებდა. დღის სინათლემ მაინც დამამშვიდა. ჩემს კუპეში ავიღე სამრეცხაოს ქლორის სუნიანი პირსახოცი და ძილით დასივებულმა მხვრინავამაც უცოდველი ბავშვივით შემომლიმა, როგორ მოისვენეთო.

თქვენი წყალობით, გადასარევეად — მეთქი.

აბა, აქეთობასაც ერთად ავიღოთ ბილეთებიო, თვალი ჩამიკრა ყურებამდე გაღრეჭილმა.

„გადასასვლელზე თუ მანქანა არ დაეჯახა, ნამდვილად ასწლიანია.“

პირსაბნიდან გამოსულს, გამცილებელმა, ხელმეორედ შემომთავაზა ჩაი.

უარი არ მითქვამს.

მასპინძელმა დიდ ჭიქას პატარაც მიუდგა და არაყით შეავსო, ესეც მოვიხდება, ჩემი გამობდილიაო.

მართლაც მომიხდა.

ფული არ გამომართვა, „პრავადნიკებს“ გაღლეტილებს კი გვეძახიან, მაგრამ ეგრეც არ არის საქმე, იმ საცოდავებს რომ დაეხმარე, რალაცნაირად გული შემომვარდაო...

სადგურზე ჩამოსულმა სუფთა ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. დილის არაყმა სასიამოვნო მოთენთილობით ამავსო, ზღვასთან შეხვედრის მოლოდინმა — სიხარულით, მე ხომ ზღვაზე ფიქრიც კი მამშვიდებს. ცხელი ქვიშა, ჭრელი კენჭებითა და ნიჟარებით დაჭორფლილი სანაპირო, ტალღების ჩუმი, შემპარავი ლამუნი ფეხისგულეებზე, შორს, ბავშვობაში გაკეთებული ქალაღდის გემივით გამომკრთალი ხომალდის სამკუთხედი და დასავლეთისაკენ ჩასასვლელად გადახრილი, ჩამცხრალი მზე.

„ჩამავალ მზეს, ჩამავალს...“

ამასწინათ მესიზმრა, საკლასო ოთახში, ჩემს გარემეშო შემორიგებულ შავად გადაღებულ მერხებზე, მოწაფეებივით ისხდნენ გარდაცვლილი მწერლები. მერხებშორის დავდიოდი და ვკითხულობდი, გალაკტიონი სად არის-მეთქი.

ყველამ მხრები აიჩეჩა, არ ვიცითო.

ახლა, ხომ საინტერესოა, რამ შეკრიბა გარდაცვლილი მწერლები? — ვითომ, სასკოლო პროგრამიდან „კოლხეთის ცისკარი“ უნდა ამოიღონ.

— ამხანაგებო, აქ, საიქიოში მაინც მათქმევინეთ სიმართლე... დრომოჭმულია, მიუღებელია, ცუდი მაგალითია ჩვენი, თანამედროვე ახალგაზრდობისათვის მექის, ჯერ ბოგანოს, მერე ახალი ტიპის განდიდებული მდაბიოს მორალურ-ეთიკური სახე... და, საერთოდ, რა უბედურებაა ეს სოციალისტური რეალიზმი, მართლა ბნელა?..

ბიჭოს, ვიდრე ცოცხალი იყო ეს ნითური, ენამოუღლელი ტრიბუნი, სულ პირიქით ლაპარაკობდა, — გაკვირვებული შევეყურებ ენერგიულ ორატორს...

მერე მერხების რახარუხი ატყდა და ველარ გავიგე, როგორ დამთავრდა მექი ვამაკიძის საქმე.

კიდევ ვიკითხე, სად არის გალაკტიონი-მეთქი და გამეღვიძა კიდევ...

ბაქანზე, ასანთის შესაძენად ფარდულთან მივედი.

რუსმა ოფიცრებმა დამასწრეს, გაზიანი წყალი ითხოვეს.

არ არისო, უპასუხა შავთავსაფრიანმა, სახე გამაცრებულმა ქალმა.

მაშინ ლიბონათიო.

გამყიდველი უხალისოდ დასწვდა ყუთში ჩანყობილ ბოთლებს, გახსნა და ხაზგასმულად წინ დაუხეთქა, ხურდაც დახლზე დაგროვილ წვიმის წყალში დაუყარა.

ოფიცრები მოიღუშნენ, მაგრამ ვერაფერი უთხრეს, ნაწუნდან ნამოკრიფეს მონეტები, აიღეს ბოთლები და გვერდზე მიდგნენ.

— ეს ნამუსგარეცხილები, იმ ამბის შემდეგ თავს გარეთ როგორ ყოფენ. აი, აქ მყვანან ამოსულები!.. ქალი ვარ, მეტი რა შემიძლია, — ამოიხრა და წვიმის წყალი შუბლშეკრულმა გადამხვიპა.

ტაქსში ჩავჯექი. მეც ხომ არ გამძარცვეს-მეთქი, ქურთუკის გულისჯიბეში შემოქმედებითი სახლის საგზური მოვისინჯე.

მძლოლი დედაქალაქის ამბებს მეკითხება.

მომბეზრდა დოლაბივით ერთი და იგივეს ჩამოფქვა.

— მაგრად გადაგვიარეს!

— მაგრად...

ტაქსის მრიცხველი ნიკნიკებს, გამოლექილი კურკებივით ისვრის ციფრებს.

— მაინც ის რომ ყოფილიყო, ამდენს ვერ გაგვიბედავდნენ.

— ვინ ის?

— ულვაშა...

— ცხრა აპრილი იმისმა შექმნილმა ქვეყანამ მოგვიწყო...

— ალბათ, ვინმე დაგიხვრიტეს ოცდაჩვიდმეტში და ამიტომ გძულთ სტალინი.

— არა, სუფთად გადავრჩით.

— აბა, რატომ არ გიყვართ? ბოლოს და ბოლოს ქართველი კაცია, — გულწრფელად უკვირს.

ალარაფერი მითქვამს, ხელი ჩავიქნიე და სიგარეტი შევთავაზე, ხომ არ მოსწევთ-მეთქი.

დარბევის შემდეგ, გათენებისას, საავადმყოფოში დამტოვა და, ჩემი გაგრელი მე-



გობარი, თემური, უკან, რუსთაველზე დაბრუნდა, ალექსანდროვის ბაღის მხრიდან, ქაშუეთამდე ისე გაიარა რამდენიმე პირი კორდონი, რატომღაც არავინ შეაჩერა.

ჯერ კიდევ არ მოეგავათ იქაურობა, არ აეკრიფათ მოშიშპილეთა მიმოფანტული ნივთები, ცალ-ცალი ფეხსაცმელი, ხელჩანთები, შემოგლეჯილი ტანსაცმელი, ხელჯოხი, სათვალე და, რა თქმა უნდა, არ აენმინდათ დანთხეული სისხლი. საგანგებოდ მოყვანილი მეეზოვეები ის-ის იყო იწყებდნენ პროსპექტის, მთავრობის სახლის მისადგომების და ტროტუარების დასუფთავებას.

ამბობენ, მკვლევებს განსაკუთრებულად შეივებათ — გადათელილ გაზონზე უნესრიგოდ ეყარნენ რუსეთიდან, გაფიცულების დასარბევად „დისლოცირებული“ სპეცდანიშნულების პოლკის ჯარისკაცები. პოლკს, როგორც ამბობენ, ძირითადად უპატრონო ობლებისაგან, ნაბიჭვრებისაგან, ბავშვობა უნახავი, გაბოროტებული ახალგაზრდებისაგან აკომპლექტებენ, ავსებენ, აკონინებენ და „უმართავი სიტუაციების“ ჩასახშობად იყენებენ.

ჰოდა, თბილისშიც მოიხადეს ფსკერდაფხავებული იმპერიის წინაშე თავისი მხედრული ვალი და ახლა გამაძღრები ბოთლების, კონსერვის ქილების განემოცვაში, საჭმელის ნამუსრევში ხვრინავდნენ.

პოლკსაც თავისი „მეეზოვე“ ჰყოლია, რომელიც სულ მალე წამოკრეფდა ჯარისკაცებს, ჩამქრალი ავტობუსებით გააქანებდნენ აეროპორტში, შეყრიდნენ სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავში და, ვიდრე თბილისური ავი სიზმრებისგან გამოერკვეოდნენ, თავ-თავის ყაზარმებს დაუბრუნებდნენ.

გასაოცარია, სისხლით მოვიდა, სისხლზე იდგა, სისხლით საზრდოობდა ეს ქვეყანა და მაინც არ გვეგონა თუ გაგვიმეტებდნენ, დასახოცად ხელს აღმართავდნენ. რატომ? ჩვენს ისტორიულ ერთგულებას გაუწევდნენ ანგარიშს თუ მკერდზე ჩამონუნული „ქინძმარაული“ და ხინკლის წვენი შეაჩერებდათ?..

ჯერ წყნარად, მწყობრის დაურღვევლად მოჰყვებოდნენ პროსპექტზე დამნკრივებულ ტანკებს, „მატრიოშკების“ მუცლიდან გადმომხტრებივით ერთნაირი ჯარისკაცები... მერე, მათი დინება შუაზე გაიპო, მარჯვნივ და მარცხნივ შემობრუნებულები დაგვერივნენ...

შემოქმედებითი სახლის ჭიშკარი ყარაულმა გაგვილო.

ტაქსი მრავალსართულიანი კორპუსის წინ შეჩერდა.

მძღოლმა ჩემს მინოდებულ ფულს დახედა.

— ცოტაა? — წავიდე ჯიბისაკენ ხელი.

— არა, პირიქით... იცით, შეიძლება მართალიც ბრძანდებით, მაგრამ ყველაფერს ობიექტურად უნდა შევხედოთ... მაინც დიდი იყო, კაცობრიობა აღიარებს ამას.

— აი, ეს, ცხრა აპრილის სახსოვარია! — თითი დავისვი ყვრიმალიდან დაყოლებულ ნაიარევზე.

— რას მეუბნებით!.. დიდად სამწუხაროა, მაგრამ რასაც სულელი რუსი ჩაიდნის, ყველაფერი იმ კაცს დავაბრალოთ?

— რა ვქნა, თქვენ ნუ დააბრალებთ! — საბარგულიდან ამოვიღე ხელჩანთა.

„ვერ ვისწავლე, ტყუილად წყალი არ ვნაყო!..“

ეზოდან უკუსვლით დაძრულ მანქანას ზურგი ვაქციე.

აქეთ იმიტომ მოვიჩქაროდი, რომ თუკი შევძლებდი, საერთოდ არაფერზე აღარ მეფიქრა. ყველაფერი ნაცნობი და მონატრებული ჩემს წინ იყო — მთელი გარემო, მაღალი, კორპუსს დატოლებული ფიჭვები და ევკალიპტები, პალმები, ბამბუკის ფანჩატურები, დეკორატიულ ბუჩქებთან მიდგმული სკამები, რომლებსაც თუჯის მძიმე ფეხები შავად ჰქონდათ შეღებილი, დანარჩენი — ლურჯად. კორპუსს გარეშემო უვლიდნენ დაკენკილი ფილაქნები და ბოლოს სანაპირო ლობემდე მიდიოდნენ. ფილებშორის, ღრიჭობში, წიგნის მწვანე სანიშნებივით ჩაფენილიყო ბალახი. შემოქმედებით სახლსა და სანაპიროს შორის, მთელ სიგრძეზე, ვინრო, მოასფალტებული სასეირნო გზა გადიოდა. გზის მოსაზღვრე, მოშრიალე ლაქაშს თავზე ჩხავილით დასტრიალებდნენ თოლიები.

ჩვენს ეზოს, პრესის, იგივე ყურნალისტთა სახლის ეზოსაგან ტრიფოლიატის გადაკრეჭილი ლობე მიჯნავდა.

გურიამში, პირველი შეხვედრა ამ მცენარესთან, ჩემი და ავთოს რითმებით გატაცების პერიოდს დაემთხვა.

ავთო მაინც მაგარი იყო, თვალისდახამხამებაში მთელ სტრიქონებს შეუნყობდა ერთმანეთს.

აბა, ტრიფოლიატას რითმა მითხარო.

მაშინვე მივახალე:

— ტრიფონი ატამს...

ტრიფონი ატმით არა, მაგრამ გაქერცლილი, პროფესორის ჩანთით და ცხვირზე ჩამოცურებული სათვალეებით კი მახსოვს. — ლექციის დროს, ზემოდან გადმოტარებული მზერა ზედმეტად მკერდამოღებულ, პირველ მერხზე დასკუპებულ, ფითქვინა, წითელკაბიან, ხანძარივით გოგოს დეკოლტეში რომ ჩაეკარგებოდა ხოლმე.

— დაიხსომეთ, ყმანვილებო, მაცდურია, ქალი, მაცდური... ახლა, ა, ეს ჩვენი ლამარა, — ლამარა ერქვა გოგოს, — ხოა ისეთი, ვითომ ნაზი, ნაზი, ჭიას არ გააღვიძებს... მიიყვანთ სახლში და, მერე ნახავთ რამხელა ბრჭყალებს გამოაჩენს... მოუსმინეთ რას ამბობს ესაია წინასწარმეტყველი: „როგორც ჩრჩილი გამოდის სამოსიდან, ასევე დედაკაცისაგან — დიაცური მზაკვრობა!..“ დიახ, მზა-კვრო-ბა! თქვენ გასაგონად ვამბობ, ბიჭებო...

ბატონ ტრიფონს, თამამი გამოსვლები მხოლოდ ქალების შეფასებაში არ ჰქონდა:

— მამ, რას გვეუბნება დასაწყისშივე „ევსტათი მცხეთელის“ ავტორი? — „ქართლსა მოვიდა კაცი სპარსეთით, წარმართი, ძეი მოგვისაი, და ერქვა სახელი გვირობანდაკ!.. მაშასადამე, წარმართმა გვირობანდაკმა, რომელმაც



შეიყვარა „რჯული ქრისტიანობისაი,“ ნათელი მიიღო და უწოდეს სახელი ევსტათი... — კათედრაზე დახრილი, გადაშლილი წიგნიდან უცებ თავს აიღებდა და წამოიძახებდა, — ჰო, ჰო, ლენინი, ლენინი, მიაკვდა ძალლი სულში!.. — ისევ ჩარგავდა თავს და გააგრძელებდა, — დიას, ნეტარი ევსტათი ჰმადლობდა ღმერთსა... სადაური იყო და რა ერქვა ნათლობამდე ნეტარ ევსტათის?... მამასადამე, იყო სპარსელი და ერქვა გვირობანდაკ!..

აცხონოს, ღმერთმა, ბატონი ტრიფონის სული:

— გეკადრებათ, ჩემო ბატონო, ფილოლოგმა, მითუმეტეს პოეტობაზე მეოცნებემ, ძველი ქართული მწერლობა არ იცოდეს? მეტი რომ არ ვთქვა, დიდი სირცხვილია, დიდი! — დაგვანამუსა ზამთრის სესიებზე მე და ჩემი თანაკურსელი, რამაზ ჟორჯოლიანი და მატრიკულები ორიანების ჩასანერად მოიმარჯვა.

წყალნაღებული, ამ შემთხვევაში რამაზი, ხავს ჩაებლაუჭა:

— ბატონო ტრიფონ, მე ავქსენტი ჟორჯოლიანის შვილიშვილი ვარ.

პროფესორი შეცბა.

— აუჰ, ეგ რა მითხარი! — დააგდო კალამი, — მოინი აქეთ, კარგად დამენახვე... ძალიან გამახარე, ძალიან, როგორ ბრძანდება ბატონი ავქსენტი? ეგ რომ არა, შეიძლება ახლა ჩემი ძვლებიც აღარ ყოფილიყო... ზამთარში, ხონიდან სოფელში ფეხით მიმავალ სტუდენტს, ყაჩაღები დამხვდნენ... რა მექნებოდა ჯიბეგაფხეკილ გლეხის შვილს... გამოჩნდა, საიდანღაც, ეს ღვთისნიერი ბაბუაშენი, გამოიხსნა, დააყრევინა იმ გარეგანებს ჩემი ტანსაცმელი, წამიყვანა სახლში, გამათბო, დამაპურა... კაი კაცის შვილიშვილი ხარ, ჩემო რამაზ, კაი, — ლოყაზე ხელი მოუთათუნა და გაბღენძილმა ჟორჯოლიანმა თვალი ჩამიკრა.

— მიბოძე შენი მატრიკული... თუმცა, ა, აგერ არ მაქვს!.. კეთილი... დიდად დავალებული ვარ, დიდად... ახლა ამ მატრიკულში ჩავნერთ...

ორივემ კისერი ნავიგრძელეთ, ერთდროულად ჩავხედეთ ძველი ქართული მწერლობის გრაფის გაყოლებაზე ზორბა ორიანს და, სახტად დარჩენილები მივჩერდით თავისი გადანყვეტილების სამართლიანობაში დარწმუნებულ ლექტორს.

— ბატონო ტრიფონ, მე ხომ... მე... — აწრი-ალდა ჟორჯოლიანი.

— ჰო, რა მითხარი? — ნეონის მკრთალ შუქზე აციმციმებული სათვალე პროფესორმა ბუდეში ჩადო და პორთფელში შეინახა, — გული დაგწყდა, ხომ? მართალი ხარ, ორიანი ვის გაახარებს, მაგრამ... მომისმინე, რამაზ, დავუმვათ დაგინერე ნიშანი, მერე რომ შემხვდეს ის პატიოსანი, ჩემი გადამრჩენელი, არ შემაფურთხებს სახეში და არ მეტყვის, ამიტომ გამოგიგზავნე შვილიშვილი, რომ უკან გაცუღლუტებული და უსწავლელი დაგებრუნებინაო? ასე მიხდი სამაგიეროს ჩემი სიკეთისთვისო?... რა ვუბასუხო, რითი ვიმართლო თავი, მითხარი და ახლავე გადაგიკეთებ ნიშანს!.. ასე არ გამოვა, ჩემო რამაზ, სინდისს გეფიცები, დღეს შენი ცოდნა ამაზე მეტს

არ იმსახურება! — გადახვია ხელი და გამოვედით ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიიდან.

— ეს ერთხელ, პატივცემულო! — ამოილულულულა რამაზმა.

— მოდი ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, იმ მადლიან კაცს ჩემს თავს ნუ გააღანძღვინებ! მოემზადე და, აგერ არ ვარ? — უნივერსიტეტის გაჩერებაზე ჩამომდგარ ღამის ტროლეიბუსში ავიდა.

ბიგელმა ნაპერწკლები გაყარა და წაიყვანა ჩვენი ტრიფონი.

ჟორჯოლიანმა მატრიკული მიწას დაახეთქა, თან ისეთი გამოლენჩებული სახით მომხედა, ხმამაღალი სიცილი ამიტყდა.

რალა უნდა ექნა, თვითონაც ამყვა.

ჩაის სახლის სიახლოვეს მყოფმა, მოტოციკლიანმა მილიციელებმა გამოგვძახეს, მანდ რა ხმაურია, ბიჭებოვო.

ორიანები მივიღეთ საახალწლოდ და დარდისაგან გავაფრინეთ-მეთქი.

გააფრინეთ და ვიცით თქვენნაირებს სადაც ათვინიერებენო...

რაც შეიფოთლა ტრიფოლიატა,

სულ შეექცევა ტრიფონი ატამს.

რამდენი გექონდა, მე და ავთო ბუბუტიემვილს, ასეთი „ეფექტური უაზრობა,“ ვინ მოთვლის...

შემოქმედებითი სახლის ფართე, მალალ-შუმებიანი კარის კუთხეში ქურთუქმოსხმულ ქალს კატები მოეგროვებინა და პირდაპირ სასადილოდან გამოტანილ მათლაფაზე აჭმევდა ფაფას, თან უკან მდგომებს, კოვზით უმარჯვებდა.

„ხვალ ეს თეფში და კოვზი ხომ მე შემხვდება?“ — შეფუკურთხე კატების ქომავს და ფოიეში შევედი.

ამ შენობაში მუზეუმის მოფრენას ნაკლებად ელოდებიან. უნდა შეკაზმო პეგასი და თავმომწონე მუზეუმს იქით მიუხტე... ასეც იქცევთან, საკავშირო ლიტფონდის ოცდაოთხდღიანი საგზურებით ჩამოსული შემოქმედები, შეძვრებიან თავ-თავის ნომერ-სოროებში, სათვალედაკოსებული თხუნელები და კოდალებივით საბეჭდ მანქანებს უკაკუნებენ, ანდა თეთრ, უხაზო ფურცლებზე კალმით რთული წინადადებების იისფერი ხნულები გაჰყავთ.

რა ვუყოთ თუ უფრო ხშირად შთაგონების დოპინგის გარეშე მუშაობენ, რალაც ხომ მაინც გამოვა, ლექსი, მოთხრობა, რომანი ან სულაც საგაზეთო-საჟურნალო სტატია — იმდენი ბეჭდვითი ორგანოა, მუშტარი ყველაფერს გამოუჩნდება, მთავარია მხატვრულ სიტყვას იდეოლოგიური საკმაზი არ მოაკლონ.

„კოდალები,“ შუალედებში, ბრძნულად დააბიჯებენ ფიჭვნარში, ზღვისპირზე, სხედან ბარში, შედარებით ახალგაზრდები თამაშობენ ჩოგბურთს და ცუდ ამინდშიც არ ეპუებიან აქორჩილ ტალღებს.

ზოგი იქნებ კარგ რამე-რუმეებსაც წერდეს, მაგრამ იმაზე ხმას არავინ იღებს, ირგვლივ სისხლის სუნი რომ ტრიალებს, დიდი შიში ყველა კუთხე-კუნჭულიდან რომ მოგვჩერებია, კა-



ტის სიფრთხილით გვიახლოვდება.

საზოგადოება გამოლენჩდა პოლიტიკაზე ყბედობით. შემამოფოთებლად იმუხტება ჰაერი. ნეტავი რა მოხდება? ომს ხომ თავიდან სიტყვები იწყებენ — სიტყვებში, წინადადებებში ჩატუმბული ღვარძლი ფეთქდება. ხან „წინა ხაზზე“, ხანაც „ზურგში“, ჯერ სიტყვებით ხდება ქვეყნების, კუთხეების, საზღვრების ხელახალი გადაწინაწინება, ერის თავმოყვარეობაზე იერიშის მიტანა, გამოწვევა, სიძულვილის გაღვივება. ტანკი და ავტომატი ბოლოს შემოდიან სცენაზე, რომ სიტყვების დაწყებული საქმე დაასრულონ.

კიდევ ერთხელ ახადა ქარაფშუტა პანდორამ ყუთს თავსახური, იძულებითი ძმობით გაკოჭილმა ბოლმამ ერთბაშად ამოხეთქა, მოხსნეს ძაღლებს ალიკაპი, თავისუფლების ამღვრეულ ნიაღვარს ოხრად მოჰყვა დურდო და ლექი.

აქ კი ძველებურ მოტივზე აკაკუნებს საბეჭდო ლილაკებს, სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი ოზივატელი, ინერციით ცოხნის გახუნებული იდეალების გამონურულ დვრილებს.

ადამიანი ცოდვების შესაგროვებლად არის მოვლენილი (თუ არ ჩაიდენ, რას მოინანიებ!). ამიტომ, საბეჭდო მანქანებს განზე რომ გასწევინებ სვამენ, კახპობენ, ჭორაობენ, ქირქილებენ — ენით, სხეულით, საქციელით, კალმით, ყველაფრით, რაზეც კი ხელი მიუწვდებათ. ადამიანზე მეტად რწყილიანი ძაღლები და კატები უყვართ, კოვზით აპურებენ, თეფშებს ატლექინებენ და მერე თავისი სულგრძელობით კმაყოფილები დააბიჯებენ...

ასე რომ ვარ აღრენილი უკანასკნელი თვეების ბრალია, თორემ, ცხრა აპრილამდე, არც ისე ცუდი თვალთ ვუყურებდი ამ ჯამაათს — ვინც კარგად იცის დასვენების ფასი, ზედმინევენით ასრულებს შემოქმედებითი სახლის განაწესს და ცდილობს, ჩრდილოეთში გამგზავრებამდე, სამხრეთის მზეს რაც შეიძლება მეტი სითბო გამოსტყუოს.

შემოქმედებით სახლში ყოფნისას, თავისებური ურთიერთობების მიკროკლიმატი იქმნება და, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ბოლომდე არ გენდობა და არც გულზე ეხატები, თავის „მორევში“ მაინც სიამოვნებით გაყურყუმელავებს.

შენც ისეთები უნდა მიილო, როგორებიც არიან.

შარშან, გვერდით ნომერში, შუახანს მიტანებული დიდტირაჟიანი ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილე მწერალი ისვენებდა. მწერალს ძალიან ახალგაზრდა, სიმპათიური ქალბატონი ახლდა.

კაცი, როგორც კანონი, საუზმემდე ორი საათით ადრე სავარჯიშოდ გადიოდა.

ადრიანად კარს ფრთხილად გაიხურავდა, ალბათ თანმხლები ქალისათვის ძილი რომ არ დაეფრთხო, ასაკთან შეუფერებელი სიმკვირცხლით ჩაირბენდა კიბეს, გავიდოდა ზღვის პირას და სირბილით ჯიგარამოგდებულს სასადილოში, საუზმეზე, ბრინჯის ფაფის გადაყლაპვის თავიც აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ მერე მოლო-

ნიერდებოდა, მუზებისაგან ნაკურთხი და ძალამოცემული, საბეჭდო მანქანას რომ მიუჯდებოდა სადილობამდე სკამიდან ვერ ააძრობდი.

ვარჯიშიდან დაბრუნებული მწერალი, ვიდრე აბაზანას მიიღებდა, შავ, მოღურ, გამოწუთხულ შარვალში ჩატენილი მისი მშვენიერი, ქერათმიანი მეგობარი, სასადილოში თეძობის რხევით შემოგოგმანდებოდა და, რადგან კაცი ვეგეტარიანელი გახლდათ, ყველა სახის ბოსტნეულს მოზრდილ თეფშზე დაუდებდა, „დაუმარაგებდა“ ხოლმე.

ვერ ვიტყვი ოთახში ჩაკეტილები რითი იქცევდნენ თავს, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ქერათმიანის აქ ჩამობრძანების მთავარი მიზანი და მოვალეობა მხოლოდ საყვარელი „ბაჭიას“ ბოსტნეულით უზრუნველყოფა იყო.

მაგიდა ჩემს მეზობლად ედგათ. ბოსტნეულის ხრამა-ხრუმში გართული კაცისაგან მალულად, რამდენჯერმე ქალს თავი ნიშნისმოგებით დაეუქნიე, თუ მხოლოდ ეგ გეყოფა, უზიდე შენს ყურცქვიტას სტაფილო და კომბოსტო-მეთქი.

ჯერ მკაცრი წარბის შეკვრით მიპასუხა, მერე და მერე თვითონაც ირონიული ლიმილით შეჰყურებდა თანამესუფრეს, ერთ მშვენიერ დღეს კი, ადგილი შეუცვალა, ჩემსკენ ზურგმექცევით დასვა, რომ ერთმანეთი თავისუფლად გვევალაიერებინა.

ყველაფერი იმაზე სწრაფად მოხდა, ვიდრე ველოდებოდი — კიბეზე თავპირისმტვრევით დაქანებულ მთავარი რედაქტორის მოადგილეს ორი სართულიც არ ექნებოდა ჩარბენილი, რომ ბიბილოებთან გამაბრუებელ სუნამონაპკურები ქალბატონი, ჩემს ბალიშზე თმადაფენილი მეკითხებოდა, რა გქვიათო.

ვინმე შეიძლება გაკიცხოს, სახელი მაინც გაეგო და ისე ჩაგვორებოდა ლოგინში.

საქმეც მაგაშია — იციან ამ ჯიშის ქალებმა დროის ფასი — ჯერ მთავარი მოესწროს და სახელი და გვარი სად გარბის. ან სახელი სულაც რომ არ გაიგოს, რა დაშავდება, ძირს გაფრიალებული ბიუსტჰალტერიდან ფარებივით ამონათებულ, მზემოუკიდებელ ძუძუებს სირცხვილის აღმური გაანითლებთ თუ რა...

ისე მიდის საქმე, მომავალში, შეიძლება გვარ-სახელი აღარც გახდეს საჭირო, მთელი კაცობრიობა დანომრონ და რა მოხდება, რომ ეს ექსპერიმენტი, პირველებმა ასეთმა თამამმა, „ემანსიპირებულმა“ ქალებმა განახორციელონ?

თქვენი მოცდენა როგორ შეიძლება, მაგ თქვენმა გულთამპყრობელმა სილოსის დამზადებაზე ჩამოგიყვანათ თუ მებაღეობა-მებაღეობის დამკვრელი ხართ-მეთქი, ვუთხარი და ქალი თავის ყურცქვიტაზე სერიოზულად გაბრაზდა.

სამაგიეროც ყოველდღიური და „ადეკვატური“ იყო!

ვესტიბიულშიც ნაცნობი სიტუაცია დამხვდა.

სასადილოდან გამოშლილი ნასაუზმევი დამსვენებლები, ღრუბლიან ამინდზე განაწყენებულები ირევინ. სარეგისტრაციო გან-



ყოფილების გვერდით, კედელზე ჩამოკიდულ, გამჭვირვალე პლასტმასის „აქვალანგში“ საქალაქათმორისო ტელეფონის ყურმილს ვიღაც მთელი ხმით ჩასძახის, კარგად ვიფრინე, მოვეწყე კიდეც, მაგრამ ამინდები არ ვარგაო.

ზოგი ლიფტს ელოდება, ზოგიც – დიდი ნაწილი, ტელევიზორის წინ ჩარიგებულ სკამებზე მოკალათებულა და ცენტრალური ტელევიზიის დილის საინფორმაციო პროგრამაში კარგად ნაცნობ, გაქნილ არამზადას, საერთაშორისო მიმომხილველს, გვარად ცვეტკოვს უსმენს.

მიმომხილველი გარეცხილ, უსიცოცხლო თვალებს ნუშის ნაჭუჭივით უპეებში ზანტად ატრიალებს, საზღვარგარეთულ პრესაში აგორებული ჭორი საამკარაოზე გამოაქვს — ვითომ სსრკ, რა თქმა უნდა, დიდი გამოსასყიდის ფხსად, იაპონელებს კურილის კუნძულების დაბრუნებას დაჰპირდა და სერიოზული, საიდუმლო მოლაპარაკებებიც მიდისო... ჯერ ეს ერთი, კურილის კუნძულები როდის ყოფილა იაპონიის, რომ ახლა ვითომ უნდა დაფუბრუნოთ კიდეც და, მეორეც, ძირძველ რუსულ მინას როგორ გავყიდითო.

ასეა, სადაც ფეხს დაადგამენ ყველაფერი „ძირძველი“ რუსულია!..

ქვეწარმავალის გაყინულთვალეა „სქელ-შუბლა“, „ოსტანკინოდან თითს უქნევს საზღვარგარეთელ „კოლეგა-მეგობრებს“ და სახეზე აცივდება ცბიერი ღიმილის შხამი — ასე და ამგვარად, იაპონურმა ქვეწარმავლებმა ჰარაკირი გაიკეთეს და თავისი დაფარული სურვილები ნაწილად ვითომ გამოფინესო.

უხარიათ ტელევიზორთან მსხდომებს, კრემლის ბრძნული გადარჩევილებია რუსული მინების შესახებ, იმუქრებიან კიდეც, ვიდრე ტოკიოს ქუჩებში ჩვენებური ტანკი არ გაივლის, ეგენი არ მოისვენებენო და, რა თქმა უნდა, იციონის ცვეტკოვიც, კარგად დაფინანსებული, მაძლარი აგენტი, რომელსაც თუ საჭირო გახდება, მშობელზე მიუშვებ და დააგლეჯინებ.

საბჭოთა კავშირზე ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში რუსეთის გულისათვის თვითონაც ჰარაკირს გაიკეთებს, გულ-მუცელს გამოიბღღენის. თუმცა, დააკვირდები და, თავად მიმომხილველი უცნაური ნაზავია — ცივი, უსიცოცხლო, ვერცხლისწყალ ჩაგუბებული, დაფინანსებული თვალეები, მაკიაჟით ნაპატიები აღმოსავლური ნაკვეთები და რუსული, „ღრმად ეროვნული“ გაავებული სულისკვეთება...

ან მე რაღად მიკვირს, განა პირველი შემთხვევა არარუსი რომ რუსზე უფრო რუსია? ამის დასამტკიცებლად ჩრდილოეთში მოღვაწე ჩემი თანამემამულეების ჩამოთვლაც იკმარება.

საგზურით შემოქმედებითი სახლის დირექტორს, ბატონ კოკოშას ნარვუდექი.

ადრე მხიარული, მედიდური დირექტორი, ახლა დამფრთხალი და შეფიქრიანებული მეჩვენა — აქეთკენ, აფხაზებს სხვა მუცლის გვრემა აქვთ და სულაც არ ეპიტნავენათ ჩვენი დამოუკიდებლობის სურვილიო. ბოლოს გამომკითხა აპრილის სიხლიანი ღამის შემდეგ მომხ-

დარი ამბები. ეს ნაიარევი თუ გქონდა, აღარ მახსოვდაო, დამაკვირდა სახეზე.

კი, როგორ არა, დედის მუცლიდან დამყვამეთქი.

ორივე ბოლოში ნათლილი ფანქარი დაეჭვებულმა შეატრიალა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ხმადაბლა ჩაილაპარაკა, ვის რაში სჭირდება დანყობილი ცხოვრების არევა, ნამდვილად არ ვიციო, ამოიოხრა და ქვედა, წინწანული ტუჩი, როგორც მანიფაფით გაბურთულ ბავშვს, ისე დაეკიდა.

ტერიტორიის გარეთ გვიან სიარულს მაინც მოერიდე, ცუდად აიშალა კრაზანების ბუდეო, დამარიგა კაბინეტიდან გამოსვლისას.

ნომრის გასაღები ავიღე და მეხუთე სართულზე ასასვლელად ლიფტთან, რიგში ჩავდექი.

ლიფტიორმა, ნაცნობმა აფხაზმა ქალმა გამიღიმა, კარგია რომ ჩამობრძანდითო. მოვიკითხეთ ერთმანეთი და ლილაკს თითი დააჭირა. ლილაკი განათდა. სადღაც, ზემოთ, აკვნესდნენ დაჭიმული ტროსები, ახრჭილდა ბოლო სართულის თავზე შავი, დაუხეთავი ბორბალი, დაკიდული კაბინა დაბლა დაეშვა, ჩამომარცვლა სართულები და ჩვენი წინ შეჩერდა.

ბავშვიანი ქალი და კაცი დამემგზავრა. დედისათვის ხელჩავლებულ ბავშვს ჭორფლიანი პირისახე და მეჩხერი, სიმინდის მარცვლებით კბილები უჩანდა.

უფროსებს შევხედე. სამივე ერთმანეთს ჰგავდა, გამხდრები, გახუნებულები და ცოტათი სასაცილოები.

ქალს დეკოლტედან ამოვარდნილ ლავინების ქვემოთ მკერდი ფიცარივით ჰქონდა.

„არაფერი ეტყობა და ამ ბავშვს ძუძუს როგორ ანოვებდა?“ — დავინტერესდი.

თითქოს ფიქრს მიმიხვდა, კაცმა შემომხედა. დარცხვენილმა გოგოს პაჭუა ცხვირზე თითი მოვუცაცუნე, რა გქვია-მეთქი.

ოლიაო, ამომხედა და ორმა კრიალა, ლურჯმა წვეთმა ამომანათა.

ნომერი ღია დამხვდა.

ჩანთა შემოსასვლელში, კარადასთან მივდგი.

საწოლზე გამოტილი, ვიღაც სპეცტანსაცმლიანი ხვრინავდა. წაგრძელებული კისერი ბალიშიდან გადმოვარდნოდა, შუბლი კედლისათვის მიეყრდნო და ხვრინვის შუალედებს შორის, პირის ნკლაპუნით რაღაცას ამოილაპარაკებდა ხოლმე, მაგრამ ყრუ, გულქვა კედელს ვერაფერს აგებინებდა.

ოთახში გაუნიავებელი ვაგონის კუპესავით მძალე სუნი იდგა.

აივნის კარი გამოვალე.

პლასტმასის ორი სკამი, მაგიდა, გატეხილი შეზლონგი, ღამით მოსულ წვიმას დაესველებინა.

კარის ჩარჩოს მივეყრდენი და გავაბოლე.

„სიგარეტი ორ კოლოფზე მეტი არ წამოვიღე, ამათ მოვათავებ და მორჩა,“ — გამახსენდა თბილისში მიღებული გადანყვეტილება.

უფრო ღონივრად მოქაჩე, რადგან მოწევას

90472



თავს ვანებები, ფილტვები აღარ დავზოგე.

აივნის მარჯვენა კედლის ძირში, რამდენიმე მწკრივად ჩარიგებულ ლუდის ცარიელ ბოთლებში, აქა-იქა, ათმეთაურებივით „სტალინის“ ყელმალალი ნახევარლიტრიანებიც ჩანდნენ.

ეტყობოდა, ჩემს წინამორბედს, ცუდად არ ემუშავა, თუმცა სამამულო წარმოების ლუდის იარლიყებს თვალი რომ გადაეკვლე წარმოვიდგინე, იმ ვილაცის საცოდავ ჭაჭებს, როგორი ძალაც დაადგებოდათ.

„როდემდე ველოდო ამის გაღვიძებას,“ — ვიფიქრე, უფრო ენერგიულად ვიმოქმედებ-მეთქი, რომ ოთახიდან ხმაურიც შემომესმა.

სანოლზე წამომჯდარ, თმააბურძგნულ სპეცტანსაცმლიანს, სართულის მორიგე ქალი ქართულ-მეგრულად ტუქსავდა:

— დედა? ჩქარა, გედირთი, წიე! მოვიდა დამსვენებელი და, ნორჩალს შეხვადუქუნ ონჯლორე ვაიჩქუნო? სადაც ადგილს ნახავ, ყველგან ძილად რომ მიეგდები, სახლში ვერ წადი?.. ბოდიში, ბატონო, — მომიბრუნდა ქალი, — ჩვენი სანტექნიკოსია, მილი გასკდა და ლამენათევია... ონკანიც გააკეთა, გასდიოდა ამ უპატრონოს... კაი, ახლა, გაგმაკურცხი წიე, რომ ყვლეფავ მაგ თვალებს... თეთრეულს ახლავე მოვიტან და გამოვცვლი ლოგინს, - დაფაცურდა მორიგე, ზენარი და ბალიშისპირი დაკეცა, ამოიღო ილიაში, ნამწვებით პირმოდგმული საფერფლეც გაიყოლა და დაბარბაცებულ სანტექნიკოსიც წინ გაიგდო.

სანოლსა და ტუმბოს შორის ძირზე დაყვანილი, კიდევ ორი ლუდის ბოთლი ვნახე — ეტყობა, სპეცტანსაცმლიანს გადაეყლურნა და ამიტომ ვერ მოდიოდა გონზე...

18

ელექტროქურაზე შემოდგმული წყალი შიშინებს.

აბაზანიდან ნატო გამოვიდა. იდაყვებამდე სახელოაკეცილი, ქაფიანი მკლავები, განზე უჭირავს.

- სად გამეპარე?
- აქვე, ერთი რუსული ტანკის გასვენებას დავესწარი.
- დანარჩენებს როდის გაასვენებენ?
- რა ეჩქარებათ... ეს ქვაბი მგონი, დულს.
- ჰო, გამოვრთავ... შენ არაფერი გაქვს გასარეცხი?... რა გაცინებს...
- ჩემი ცოლიც სწორედ ასე მეკითხება ხოლმე, ამ სიტყვებით, ამ ტონით...
- გეყოფა, ძალიანაც ნუ მიგვამგვანებ ერთმანეთს!.. ისე, კარგი გოგაო...
- რა იცი?
- როგორ, აქამდე მაგას არ გავარკვევდი?... მხოლოდ ერთი ნაკლი აქვსო...
- ერთი?... ერთნაკლიანი ქალი არ არსებობს.
- ხომ ხედავ, თეთრი ყვავივით, მაინცდამაინც შენ შეგხვდა... არ გიხარია?
- მაინც რა ნაკლი აქვსო?
- ქმარი ძალიან უყვარსო! — მხრებზე ჩამომანყო მკლავები, — შენ? შენც ძალიან გი-

ყვარს?

- ჩემი შვილების დედაა.
  - თუ გიყვარს-მეთქი.
  - უსინდისო უნდა ვიყო, მისი ოჯახისადმი ერთგულება რომ არ დავაფასო...
  - დამცინი?
  - შენ როგორ ფიქრობ?
  - დამცინი!
  - ეჰ, ნატალი, ნატალი, სადა მაქვს იმისი ძალა, რომ შენ დავცინო! — მოვეხვიე.
- ნატოს ხელებიდან ფხვნილის მძაფრსუნიათმა ქაფმა ჩემს კისერზე გადმოინაცვლა...

პოლიკლინიკაში ჰუმანიტარულ ნამღებზე წავედი, სჭირდებათ ბელელაშვილების ქალებს. მეც — ხანდახან, წნევა მირევს, კიდევ, ნერვები, ნერვები, კიდევ... თვალი არ მეცვს და, ომს „მობილიზებული“ შევხვდი. ამდენ დამაბულობას, უძილობას, მშვიდობიანობაში ვერ გადავიტანდი. ეგ არის, ვგრძნობ, რომ გავხდი. ყველა გახდა. საკვების მიზეზით არა, ჯერ ხომ გაჭირვების გამო ბალახის ჭამა და ვირთხების დევნა არ დავგინყია — სული გვინუსხს და იმიტომ, შეურაცხყოფილი, ჩაფურთხებული სული, ვიქტორ პეტროვიჩი... დარდით დავდნით!.. შეიძლება იცინოდე, მაგრამ დარდის საკირე მაინც გბუგავს, გაშრობს შიგნიდან... ეტყობა, ეს დამარცხებული, უფლებააყრილი ქვეყნის მოქალაქის სინდრომია...

ნამღებს რეგისტრატურაში არიგებდნენ. ღია კარი მაგიდით გადაეტყხრათ და ოთახში დანყობილ ნამღის ყუთებთან სამი ექიმი ტრიალებდა.

რიგში სულ რამდენიმე მოქალაქე იდგა, მაგრამ ჩემი მისვლის მერე მოანყდნენ, მათ ჩვენი უბნის დამწკრივებული „საკვებმომპოვებლებიც“ შემოჰყვნენ.

ექიმებიდან, ვინც გვემსახურებოდა, ზანტი და უგერგილო მე შემიხვდა. ვუთხარი წნევის, ძილის, თავის ტკივილის, ნერვების დასამშვიდებელი საშუალებები თუ გექნებათ-მეთქი.

დამიქნია თავი, მივიდა ოთახის შუაგულში, დაიხარა ნამღის ყუთებისაკენ და საფეთქელზე თითმიდებულმა ახლა იქიდან გამომხედა, გამიმეორეთ, რა გნებავთო.

გავუმეორე, მაგრამ ვიდრე მოძებნიდა, რიგში ნაცნობი ქალბატონი დაინახა, გამოელაპარაკა, შემოიღო თეძოებზე ხელი, გადგა განზე მარვალში გაფშეკილი ფხვები და აღარ მოათავა.

— ეს ჭრელთვალეა ნამდვილი ყბედია, — გადაულაპარაკა გვერდით მდგომმა მოხუცებულმა დედაკაცმა მეორე ქალს, — ჩემს ქმარს გულზე მკურნალობდა და თურმე კუჭი ყოფილა... ლამის დამლუპა... უნდა მეჩვილა, მაგრამ ხომ იცი, ჩემი ქმრის ამბავი.

მეორე ექიმმა მიცნო, რა გნებავთო. რა მნებავს და, მაინტერესებს, ეგ თქვენი ყურადღებიანი ქალბატონი რისგან არის ჩამოსხმული, ომმაც რომ ვერ შეუტოკა ნერვები-მეთქი.

ვერ გეტყვითო, ღიმილით აიჩეჩა მხრები — უცებ შემირჩია ნამღები, პარკში ჩამინყო და



ახლა ჩემს მეზობელ გერონტის ჰკითხა, თქვენ რა მოგართვათო.

რა ვიცი, სულერთია, კარგი ნამღლები მინდაო.

ოჯახი ხრამია, წაიღებს და დადებს, რა ვიცით, მომავალში რომ დასჭირდეს!

აი, ასეთი, მეტისმეტი ჯანმრთელობაც არ ვარგა.

გერონტი და გერონტისნაირები, არც ომში და არც მშვიდობიანობაში, რა თქმა უნდა, წონაში არ დაიკლებენ...

პოლიკლინიკიდან სკოლის ყოფილი დირექტორი დამემგზავრა.

— ვამბობთ, ცხოვრება წინ მიდისო... ამ დროს გაპირუტყვეების დროე კატასტროფულად მატულობს, — მეუბნება ბატონი საშა.

— პირუტყვების მართვა უფრო იოლია.

— აბა, შეხედე, — მანიშნა სკვერთან ჩამომდგარ, ჰუმანიტარულ ავტობუსზე, — დილით მოვედი, სია შევადგინეთ, მაგრამ სია ვილას ახსოვს.

რაც დაბობბვა შეწყდა მომრავლდა ხალხი ქალაქში. ავტობუსს ერთმანეთში ალუფხული ქალი და კაცი ესევა. მანქანა ლამის გადაყირავდეს. წესრიგი დავიცვათო, ვილაც წამოიძახებს, მაგრამ უკანმყოფების გარდა, არავის ესმის, უფრო აქტიურები წინა კართან მისასვლელად იბრძვიან, მიიწვევენ მუშტით, მუჯღუგუნით, მხრებით, მუხლისთავებით... რალაცას ხავიან, ითხოვენ, ივედრებიან, იმუქრებიან, იგინებიან... ამას მათი შემოღობილი სახეებით თუ მიხვდები, თორემ სიტყვებს ვერ გაიგონებ, ხორხიდან ამოსული ხმები იმ დროის პირველყოფილი ბგერებია, ვიდრე სიტყვებად ჩამოიქნებოდნენ და ადამიანები ერთმანეთს რაიმეს გააგებინებდნენ... ვუყურებ და ამ დომხალში მემიზნია ისინი არ დავლანდო, ვისაც ომამდე პატივს ვცემდი, ადამიანები მეგონა.

შედარებით მოკრძალებულები ბოლოსკენ დგანან, შემკრთალი ღიმილითა და სინანულით შეჰყურებენ ამ ჭრელ, უსახურ გორგალს, დამპალ ხორცს დახვეული მატლივით რომ ფუთფუთებს. ზოგჯერ, მკვრივად შეკრულ, ცოცხალი ნეხვის გროვას ვილაც გამოარღვევს, გამოიტანს ბრძოლით მოპოვებულ მუცლის ამოსაყორს და გარღვეული გორგალი მაშინვე მთელდება.

უცებ ვილაცამ იყვირა.

კაცის ხმა იყო.

— რა მოხდა, გავეშებული ქალები კვერცხებში ხომ არ წაწვდნენ? — იკითხეს რიგის ბოლოში.

კიდევ ერთხელ გაიპო მოტორტმანე გროვა, გამოვიდა ჩაბლუჯული მუყაოს ყუთით, სათივე ჯინივით გან-გან გადგმული, ჭიპამდე ძუძუებჩამოვარდნილი დედაკაცი და მოცოცხა, მიეფარა ქუჩის კუთხეს.

ბატონმა საშამ ქალს თვალი გაადევნა, რალაცის სათქმელად მომიბრუნდა, მაგრამ ხალხიდან გამოვარდნილია წელანდელი შებლაგვლების ავტორმა არ აცალა.

— საით წავიდა?

— მოეშვი, მაინც ვერ დაენევი... რა გჭირს

ხელზე, გაიჭერი? — ჩაეკითხა ბატონი საშა.

— მიკბინა, იმ ჩათლახმა.

— ახლა შენ ცოფის ნემსი დაგჭირდება.

— კარგი, რა, ბიძაჩემო...

— ჰო, ჰო, თორემ ეგ ისეთი ვინმეა, შეიძლება სალამომდე ვერც გაატანო.

დაზარალებულმა ჯერ მზეს ახედა, მერე ლოტოტრონით ჩამოწერილ ნადირექტორალს და ურჩია, უფროსი კაცი ბრძანდებით, სიცხეში დიდხანს ნუ იდგებითო და მოგვცილდა.

ბატონ საშას არ სწყენია:

— ვისაც იუმორის გრძობა აქვს, ის უკვე ადამიანია... ესეც ადამიანია, ოღონდ თვითონ უკვე აღარ იცის.

— ის ქალბატონი ვილა იყო?

— სახელი აღარ მახსოვს... მაისში ერთ-ერთი კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი და საარჩევნო უბანზე შევხვდი... მთელი დღე იჯდა ბუტუსურასავით, კუთხეში. ექვს საათზე კი პოლიციელებს უთხრა, ცოტა ხნით კარი გადაკეტეთო, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, უფრო სწორად, როგორც ოპოზიციონერი კანდიდატის წარმომადგენელს, მე მომმართა, ახლა არ დამინყოთ არაფერი, ჩემი საქმე უნდა გავაკეთოო... დავაჭყიტე თვალები, ნეტავ რას აპირებს-მეთქი... სულელო ჩემო თავო! — შუბლზე მიიკაკუნა თითები, — ამ ურცხვმა დედაკაცმა აინია ჯემპრი, დაგვანახა ის ჩამოთხლებილი ძუძუები, გამოიღო შიშველ მკერდზე აკრული ბიულეტენების მთელი დასტა და ჩაუშვა ყუთში... შევწუხდი, რას სჩადით, ქალბატონო-მეთქი!.. მანდ ვინ ხმაურობსო, დაიქმინეს კართან ატუზულმა პოლიციელებმა და ისე გადმომხედეს, რალა უნდა მექნა, მივაფურთხე იქაურობას — კი არ წამოვედი, გამოვიქეცი... შემძულდა ჩემი თავიც, ისინიც, ეს ქვეყანაც...

— ძნელი დასაჯერებელია, ასე ამკარად...

— შეურაცხყოფას რატომ მაყენებ? ვგავარ იმ პიროვნებას, ასეთი ცოცხალი ტყუილი ვიკადრო? — შემომწყრა ბატონი საშა.

ქალბატონი ამალია მაღლა ამოეყვანათ.

გაეხარდა ჩემი დანახვა, ვინერვიულე, ღამე რომ არ მოხვედო.

ნაცნობებთან შევრჩი, შეიძლება ამაღამაც ვერ მოვიდე-მეთქი.

ნამღლების პარკი ქალბატონ ლოლას ჩავაბარე.

— რა ამბავია, აფთიაქი ხომ არ გატეხე?

— კი, გავტეხეთ, მე და გერონტიმ... ჯერ ნერვები დაგვანყვიტეს, დაგვაავადმყოფეს და ახლა ნამღლები მოგვაყარეს... ჰუმანიტარულია!

— ანუ, უფასო...

— დიახ, ანუ...

ქალბატონი ლოლა პარკიანად სავარძელში მოკალათდა.

— ეკამ რამდენჯერმე დარეკა, ნერვიულობდა, სად არისო.

— ვერ უთხარი, საყვარელთანთქო?

— ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა... დღესაც დარეკავს!

— დღესაც არ ვიქნები, — შეწუხებულმა გავშალე ხელები.



— აბ, ეგეთები არ იყოს! — დამიქნია თითი.  
— იცით, ქალბატონო ლოლა, ამ ნერვიულ დროში კაცი საყვარელს თუ გაიჩენს, კი არ უნდა გააკიცხო, ტაშით უნდა დააჯილდოვო.

ჩემი ნათქვამით კმაყოფილმა ავადმყოფმა ხელისგულეები სუსტად დაუტყაპუნა ერთმანეთს.

— ეგრე, ხომ? გადაუდექი? ჩამოგივა დისშვილი და გაეცი პასუხი! — „დაემუქრა“ ქალბატონი ლოლა დედას.

შვიდ ათეულს მიღწეული ქალბატონი ლოლა ეკას დიდი დამცველია. თითქმის სულ თვითონ გაზარდა და, მამა რა იქნება.

გარედან ფეხქვეშ დალენილი შუშის ხმა მოისმა.

ფანჯრიდან გადავიხედე. ჯარისკაცები მოდიოდნენ, ესენიც რუსებისაგან განსხვავებულები.

ასეთები, პირველად, შუა აზიაში ვნახე.

მამაჩემი ყარაგანდის ოლქში იყო მიმაგრებაში. მე და დედა რომ ჩავედით, მოტყეპნილი იატაკიან ქოხში ვცხოვრობდით. გარემოში ჭრელი ხალხი ირეოდა, როგორც ადგილობრივები, ასევე გადმოსახლებულები, უნარსულო, უმომავლო, დაბეჩავებულები, მხოლოდ ნასვამებს რომ ნახავდი ხმაამოღებულებს და აყაყანებულებს.

ნასვამები კი ხშირად იყვნენ.

ერთი წელიწადი, მამაჩემის განთავისუფლებამდე, სკოლაში იქ ვიარე.

ირგვლივ არაფერი ქართულს არ ჰგავდა, არც სკოლის შემოგარენი, არც ადამიანები, არც ლანდშაფტი. მხოლოდ მზის ამოსვლა იყო ერთნაირი. მეც, ადრიახად სკოლისაკენ მიმავალი, მონუსხული ვუყურებდი თვალუნვდენელი მინდვრების, ყანების, დიუნების მკაცრი რელიეფის ბოლოში, როგორ ამობრწყინდებოდა მნათობი და მოძრავი ქვიშები კვრცხისგულისფრად როგორ იღებებოდა.

გზად ტიტების ველი უნდა გამევილო — საურმე გზის აქეთ და იქით, წითლად გაღალანებული, დილის ნამით აბრჭყვიალებული მინდორი. ხშირად გზიდან გადავუხვევდი, ტიტებში შევიდოდი და მივრბოდი წელამდე მომდგარ სინითლეში.

ერთხელაც, ტიტებში მიმავალი რაღაცამ შემაჩერა — ჩემს წინ, სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯის იქით, ორი ვერცხლისფერი ხვეულა ამოიგრაგნა, ამოვარდა, ყვავილების თავზე ზამბარასავით გაიშალა, ჰაერში ისეთი გრაციოზულობით დაირხა, რომ შიშის მიუხედავად, ადგილიდან ფეხი მაინც ვერ მოვიცვალე — გიურზები თავდავიწყებით ცეკვავდნენ, ხან ერთმანეთს ჩახვეულები აისვეტებოდნენ, ხან — შორდებოდნენ, მორკალულები განიზიდებოდნენ, ოღონდ ისე, რომ თვალებით სულ ერთმანეთს იყვნენ მიჩერებული. თავი თანაბარ სიმაღლეზე ჰქონდათ გაყინული, სხეულით კი, ელასტიური, მოქნილი მოძრაობებით, გულსხავდნენ... ახლაც რომ ვიხსენებ, ეს იყო ჯერ არნახული, განუმეორებელი, იქვე, ჩემს თვალწინ შეთხზული ქორეოგრაფია.

გიურზები, როგორც ამოყელყელავდნენ, ასევე სწრაფად გაქრნენ, ტიტების ცეცხლში ჩაინავლნენ.

იქ გატარებული ჩემი პატარაობის ხანმოკლე პერიოდი, კიდევ ორი ამბით მახსოვს:

მარცვლეულის ელევატორთან, ხორბალს ჭყვილით მისეული უამრავი ჩიტი ირეოდა.

კაცები მანქანის ჩრდილში, ქალაქდებე გაშლილ საჭმელს შეექცეოდნენ. ერთმა მუშამ, ეტიკეტიან ბოთლში ჩარჩენილი სასმელი, თეფშზე დაფშვნილ პურს დაასხა, დააღბო და ჩიტებს დაუდგა.

სულელები! მაშინვე მიესივნენ. მეგონა არ ესამოვნებოდათ და თავს მიანებებდნენ, მაგრამ თეფში უცებ მოასუფთავეს...

უნახავს ვინმეს მთვრალი ჩიტები, როგორები არიან? ერთბაშად დარეტიანდნენ, აირივნენ, ააფართხუნეს ფრთები, ველარც მიფრინავდნენ, ფეხზე დგომაც უჭირდათ, ერთმანეთს აწყდებოდნენ და უაზროდ ჭყიპინებდნენ, სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც გადამთვრალი ადამიანები.

მალე მხოლოდ მძლოლები კი არა, ელევატორის მუშებიც მოგროვდნენ

— გაუბედურებული, თვალუნვდენელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან მტვერივით ახვეტილი, დამნაშავეთა თუ უდანაშაულოთა ბრბო მთვრალ ჩიტებზე ერთობოდა, თავის გასაჭირს ივინყებდა.

ლამის ვიტირე ისე შემეცოდნენ ჩიტები. ერთი ჩემს ფეხებთან დავარდა — ხელში რომ ავიყვანე, უკვე მკვდარი იყო. მოხუცმა, თეთრწვერიანმა მუშამ ჩიტი გამომართვა, ხელისგულზე დაიდო და სული შეუბერა. ჩიტი არ გარხეულა, მაშინ მიუბრუნდა იმას, ვინც ჩიტები დაათრო, მკვდარი ფრინველი ცხვირთან მიუტანა და თავის ენაზე ეჩხუბა.

იმ დღიდან მოყოლებული, მოხუცებულ მუშას რაც არ უნდა ეთხოვა, სიამოვნებით დავესაქმებოდი ხოლმე.

კიდევ ჩემი კბილა ყაზახი ბიჭი მახსოვს, წყალსაქანთან რომ დაიხრჩო.

გრძელი, მარგილივით ლატნებით ეძებდნენ, დაატარებდნენ დაგუბებული წყლის ფსკერზე, ეგებ მოედოს და ამოვიყვანოთო. მერე წყალი გაუშვეს. დონემ დაბლა რომ დაინია, პირველად გვერდულად ატივტივებული, მავთულს გამოდებული ბავშვის იდაყვი გამოჩნდა — მოხრილი ხელი სახესთან ეჭირა, თითქოს ვიღაცამ ჩასარტყელად ჯოხი მოუღერა და თავის დაცვა უნდაო... მეტი არაფერი დამინახავს, ვიყვირე და გამოვიქეცი.

მას შემდეგ მოვრბივარ, მოვრბივარ და... იმ ბავშვისსახიან ჯარისკაცებს ახლა, ჩემს ქალაქში შევეჩხე...

ხახვში ჩახრაკულ მაკარონს, დესერტად, ქალბატონ ამალიას ახალი ლექსები დავაყოლე.

ჩემდა გასაოცრად აღარ უკითხავს, როგორიაო, შექებაც შედარებით უემოციოდ, გულგარეთ მოისმინა, თითქოს უფრო ამაღელვებელი ეპითეტებით შემეკობას ელოდებოდა.

— თქვენს ასაკში გასაოცარი პროდუქტი-



ულობაა, ეხუმრებით, რამდენიმე დღეში ორ-მოდარვაგვერდიანი რვეული, თითქმის შეავსეთ, - დავამატე, ცოცხალი არ იყოს, ნინო მამხარაძე.

— ნიგნისათვის რამდენი ლექსია საჭირო? — მკითხა უცებ.

— რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, ბარათაშვილს, მაგალითად, სულ რაღაც ოც-დაჩვიდმეტი ლექსი და ერთი პოემა დარჩა... მთავარია არა რაოდენობა...

— ნიგნად მინდა გამოვცე, — ხელი დააფარა რვეულს და „მთავარზე“ და ბარათაშვილზე სიტყვა აღარ გამაგრძელებინა.

— აკი მითხარით, მხოლოდ ჩემთვის ვნერო, — შევახსენე პირობა.

— თავიდან ყველა თავისთვის წერდა, სხვათა შორის, ბარათაშვილიც...

ხოლო, როცა მოწინებით დააყოლა, ამ საქმეში შენი დიდი იმედი მაქვსო, ვინატრე, ამის გაგონებას, ნეტავი ტულაში ჩამოსხმული თოფიდან დაქუხებული ტყვია მომხვედროდამეთქი.

„ჟაკანი რუსული სიტყვაა.

სამაგიეროდ ჟასმინი, ჟელე, ჟაკოა ფრანგული...“

პროფტექნიკუმის ეზოში, კალათბურთის მოედანზე დაგებული ბეტონი, მთლიანად გადაუჩიჩქნია კასეტური ბომბის ნამსხვრევებს. აქ სულ უზნის ბავშვები თამაშობენ ხოლმე — ასე მეგონა, იმათი ნაფხურები დახოცეს და გული შემეკუმშა.

ჩანგრეული, გაუქმებული აუზის გარეშემო, ნაჭაობარში, ლელსა და სიმინდა ბალახს ღონივრად რომ ამოეყარა, ვიღაც საორტულ ქუდიანი დავინახე, ნახრილი რაღაცას ეპარებოდა და ბალახის წვერებზე თითებს უცნაურად ამოძრავებდა.

მივუახლოვდი, მომხედა და ნაფოტა არ გამოდგა?

კალიებს ვიჭერ, ქაშაყი მარტო კალიაზე მოდის, ახლა ქაშაყის სეზონიაო.

ჩვენს მდინარეებში თუ ქაშაყი ბინადრობდა, ეგეც არ ვიცოდი. არც ის შემიმჩნევია, აქ თუ ამდენი პატარა კალია დახტის. გადავევლება ბალახს ზემოდან, დაეკიდება ღერებზე, ჩაებლაუჭება, რომ არ ჩამოვარდეს და ნაფოტასაც ეგ უნდა, მაშინვე წასწვდება გრძელი, გამხდარი თითებით.

თითქოს უწყინარ ნადირობას სასტიკი დასასრული ჰქონდა, რომ არ გაჰქცეოდა, ნაფოტა დაჭერილ მწერს ფეხებს აწყვეტდა და ჯიბეში შენახულ პლასტმასის ნახევარლიტრიანში ჩაუშვებდა ხოლმე.

ბოთლი თითქმის გაევსო.

აქაც ომია, მაშ რა ჯანდაბაა, კალიასათვის ნაფოტა ბომბდამმენიც არის და ჯოჯოხეთიც.

კალიაზე ნადირობა დილით ნამიანზე უკეთესია, ვიდრე ბალახი შემურება, სველ კალიას უჭირს გადაადგილება და ადვილად იჭერო, გააგრძელა ჩემი განსწავლა ნაფოტამ.

— ამ გახურებული ომის დროს, თევზაობა გამიგონია?

— ახლა უკეთესიც არის, თითქმის აღარა-

ვინ დადის, — ჩამიკრა თვალი და თითი მალლა აიშვირა, — იმას თუ უნდა, სიკვდილი ჰიტლერის ბუნკერშიც მოგძებნის.

რატომ მაინცდანიანც ჰიტლერის ბუნკერი, არ ვიცი, ალბათ რკინა-ბეტონის გამძლეობა იგულისხმა.

— ამასწინათ ნავიკითხე, რუსები, მაშინდელი „ჩვენები“, ბერლინს ბომბავდნენ და თურმე, ბუნკერში, ხელფასები მაინც დროულად რიგდებოდა... მაშ, გერმანელები მაგრები არ არიან?.. ახლა ხელფასს ვინ ჩივის, მუნიციპალიტეტი მოჩვენებებს დარჩათ...

კიდევ ერთი კალია ამაოდ უძალიანდება ნაფოტას თითებს — ესეც ბოთლში მოაყურა და საკმარისიაო, თავსახური დააფარა.

მე კი ჩემი სტუდენტობისდროინდელი, აღმოსავლური პოეზიის თარგმანების ნიგნიდან იაპონელი ტიო-ნის ხოკუ მახსენდება:

„ო, კალიების მდევნელო, ჩემო,

ან რა უცნაურ ქვეყანაში შეგიბნენია.“

ეს გულისშემძვრელი სტრიქონები, ავტორმა, გარდაცვლილ შვილს მიუძღვნა.

ნაფოტას რომ ნაეკითხა, ეგებ ასე აღარ მოქცეოდა კალიებს.

ცუდ ხასიათზე დავდექი, კალიების და შვილდაღუპული პოეტის გამო, გადატანილი ტკივილის სანაცვლოდ, შთაგონებამ, უკვდავი ლექსის ავტორობა რომ უბოძა.

გამოვბრუნდი. ნაფოტამ დამადევნა, თუ გამიმართლა, მოჰყვა თევზი, საღამოს შემოგეხმინებო.

სად უნდა შემომეხმინოს? ჩემთან, მეოთხე სართულზე, ნატოსთან თუ ბელელაშვილების სარდაფში ჩამომძახებს, დაბომბვის დროს მკვდრებზე დაბლა რომ ვისხედით ხოლმე და სროლის ხმას ვაყურადებდით?

ადრე მეტსახელების ჩამოთვლით ვამონებდი-მეთქი ჩემი მეხსიერების. სიყოჩაღეს, გუშინ, რუსულ-ქართული ლექსიკონის პირველ ტომში, ახალი სავარჯიშო აღმოვაჩინე: Бомба, Бомбардир, Бомбардировать, Бомбардировка, Бомбардировочный, Бомбардировщик, Бомбежка, Бомбить, Бомбежный, Бомбовоз, Бомбовый, Бомбадержатель, Бомбомет, Бомбометание, Бомбоубежище...

როგორია? უკეთესად სხვა რომელ ენას აქვს „დაგემოვნებული“ ეს შთამბეჭდავი სიტყვა?

ვარიაციების მთელი კასკადია, ჩვენს მდგომარეობაში განსაკუთრებულად რომ ესაღბუნება ყურთასმენას.

— უცნაური არ არის? — მეტყოდა ხოლმე ნაცნობი რეჟისორი, — თითქოს ეფერებო, რუსი მრისხანე ზარბაზნას „Пушка“-ს ეძახის, პატარა, უმწეო ბელურას კი მგრგვინავი სახელი დაარქვა — „Во-по-бей!“

მაგარია ბელურა, როცა ის ჭყიბინებს ზარბაზნები ხმას ამოიღებენ?

კლავდია აკიმოვნა, ახლა ვხვდები, რატომ გადაცვალე მშობლიური რუსული გურულ დი-ალექტზე!



ოი, Боже царя храни!

მივიხედ-მოვიხედე, ირგვლივ ნანგრევები არ ჩანს, მაგრამ მუსიკის ხმა მაინც მესმის.

ახლო-მახლო თუ არა, სადღაც, დედამიწის ზურგზე, აფეთქებული შენობების ნანგრევებში ჩამარხული ვიოლინოს სუსტი ბგერები, ნვალე-ბით ამოდიან მაღლა, რომ უგრძობელ კაცობრიობას ნერვები შეუტოკონ.

19

კველი რვეულიდან

„ჩანთა ამოვალაგე. კარი ჩავკეტე და აბაზანაში შევედი. მესიამოვნა თბილი წყალი. ჩვენს მატარებელში ღამეგათეულს ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ტალახში ვიგორავე.“

ყურებში წყლის ჩხრიალი დაგუბდა. ეს შორეული, ნაცნობი ჩხრიალი პატარობიდან მომდევს — სოფელში, ვედრით წყალს რომ აცხელებდნენ და გახურებულ ღუმელთან მზანდნენ, მაშინ პირველად მოვისმინე გადმოჩქეფილი წყლის მარტივი მელიოდა, რომელიც მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე თავზემოთ დაყირავებული ქვაბუნა ჩამოიცვლებოდა.

ნიჩაბის დარტყმამ სახე როცა გადამიხეთქა, ტაშტში ჩამდგარმა იმ პატარა, ბიჭმა შეშინებულმა მომხედა და თვალეზე ხელი აიფარა. მერე განეული თითების ქრილიდან დამინახა ბორდიურზე როგორ ჩავიჩოქე. მისმა სიბრაულმა წამომაცუნა, იმ უბედურებიდან დამძიმებული სული კბილით გამომათრევინა... გამწარებულმა ჯარისკაცის მოქნეულ ჩექმიან ფეხს ხელი ჩავავლე და ჯარისკაცი მთელი ძალით მაღლა ავიქნიე...

გაუგონარ ღრიანცელში მაინც გავიგონე, ბორდიურის ნაპირზე ჩამორტყმული „კასკინანი“ კეფის ჭახანი.

ონკანი გადავკეტე, პირი გავიპარსე და თბილისიდან წამოღებული ჟურნალით ლოგინში შევწექი.

სარჩევის ნაკითხვა ვერ მოვასწარი, ძილმა მომიტაცა.

სადილობამდე გვერდი არ შემიცვლია.

სასადილოში შუშის კედლთან მიდგმული, ჩემი შარშანდელი მაგიდა დაკავებული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც, იქვე, ახლოს მომიჩინეს ადგილი. აქედან დეკორატიული ბალი, ჩოგბურთის კორტები თუ ზღვას აფარებული ფიჭვნარიც ჩანს და მთელი დარბაზის პანორამაც თვალწინ იშლება — ვიდრე თეფშებიან ოთხთვალას მოაგორებენ, შემიძლია თვალი ვადევნო, ვინ შემოდის, როგორ შემოდის, რა აცვია. მწკრივში ჩამდგარ მაგიდებთან შემორიგებულ „კოდალებს“ და მათი ოჯახის ნევრებს მადა ხომ არ ღალატობთ.

მეოთხე იქნებითო, მითხრა თავაზიანმა ოფიცინტმა და წითელი ბორშჩის მათლაფა დამიდგა.

საინტერესოა, ვინ არის დანარჩენი სამი? სასადილოს განანესი წინასწარ არჩევის უფლებას არ გაძლევს, დამსვენებელთაგან ვინც შეგვხვდება, შეგვხვდება.

ერთ წელიწადს, ჩემს გვერდით, მშვენიერი

ქალი იჯდა, მაგრამ ის რომ არაქანის ჭამას დაიწყებდა და ცხიმისაგან აუბზინდებოდა ტუჩები, დასაბმელი ვხდებოდი.

გახსენებაზეც ურუანტელი მივლის. კიდევ კარგი, ნაცნობებმა თავისთან გადაიპატიუეს.

ნეტავი წელს არ ისვენებს? იქნებ „გამიმართლოს“ და ისევ მე შემხვდეს?

წვნიანს მარტილი დავამატე, კოვზი მოვურიე და სასადილოში კატების მეცენატმაც შემოაბიჯა.

„ოთხფეხებს თან აჭმევდა, თან ეფერებოდა, ერთ ბომბორა კატას მგონი ქეცი ჰქონდა, ალბათ, რწყილიც ჰყავდა და ბენვიც სცვიოდა, — უფრო დავამძიმე ჩემი შთაბეჭდილება, — საით მოდის, ეს დედაკაცი... ღმერთო, შენ მიშველე!“

არ მიშველა — ქალმა მაგიდებს შორის გზა გამოიკვლია, ხან ერთს გამოელაპარაკა, ხან — მეორეს...

მარტო რატომ მობრძანდით, ივან ანდრეევიჩს არ ეშინია, ვინმე რომ დაგეპატრონოთო, ნაუფლირტა ნიკაპანამონეულმა, სათვალისანმა დამსვენებელმა, მოყვითალო ხელის ზურგზე ჭორფლი რომ ეყარა.

„ლიტერატურნაია როსიას“ შეკვეთილ სტატიანზე მუშაობს და ცოტა შეაგვიანდებო, არამარტო სათვალისანს სხვებსაც გააგებინა, თავაზიანი ღიმილით, ჩასუქებული ქვედატანი სკამების ლაბირინთში მოხერხებულად გამოატარა და წინ ჩამომიჯდა.

არა, ჯერ მომესალმა, კარგი „აპეტიტი“ მისურვა...

ჩემი მადლობა აღარ გაუგონია, მაშინვე გვერდით მაგიდისაკენ შებრუნდა, მიშა, ხომ არ იცით ჩვენი ფარდულის გამყიდველი სად დაიკარგა, კბილის ჯაგრისი მაქვს შესაძენიო.

ნასაუზმევს იყო, ჩემი თვალით ვნახე, მეშახტეთა ჯგუფი ჩამოვიდა და ოდეკოლონზე რიგი უდგაო, — ყელთან ნკიპურტი მიირტყვა ჯირკვიით ჩადგმულმა კაცმა. მისი წითლად დაფორაჯებული ყელით თუ ვიმსჯელებდით, გაჭირვებაში, თავადაც არაერთი „ტრანინი“ ექნებოდა დაყუმბარებული.

— ფუჰ! — ზიზღმა სახე მოუბრიცა ჩემს თანამეინახე ქალბატონს და ურიკიდან ბარდის წვნიანი აიღო.

— გესმით, რა საძაგლობაა, — გადავიდა პირდაპირ შინაურულ საუბარზე, მაგრამ სიტყვა შუახნის მამაკაცის მოსვლამ შეანყვეტინა, სკამი მაგიდასთან რომ მოაჩოჩა და, დღეს რა გვაქვს გემრიელიო, იკითხა.

მივხვდი, ეს უნდა ყოფილიყო ივან ანდრეევიჩი, რაც ქალმაც სწრაფად დამიდასტურა:

— ცნობილი მწერალი, ივან ანდრეევიჩ სტარკოვი.

— მოკლედ, ძია ვანია! — ჩაიხვიხვინა კაცმა და ილლიიდან გამოღებული გაზეთი მაგიდის კიდეზე ჩამოსდო.

— გაიგე? — სახელო ჩამოქაჩა ქალმა, როგორც თანდათან გაირკვა, ცოლმა, ნინა ბორისოვნამ, — მეშახტეები ჩამოსულან და ჩვენს ფარდულში ოდეკოლონი პირწმინდად გამქრალა... მოგესწრო მაინც და აგელო...

— ნინა ბორისოვნა, ამდენი ხნის ერთად





ცხოვრების მანძილზე, როგორ ვერ გაიგე, რომ ოდეკოლონს არ ვსვამ, არც ფეხსაცმლის საცხს და წყალში გახსნილ კბილის პასტას ვეტანები...

— არ გადამრიო, ვინ ვითხრა დალიეო, განა ოდეკოლონს სხვა დანიშნულება არა აქვს?.. იხ-უმრე, იხუმრე და ქვეყანა რომ გაუკუღმართდა, ვითომც არაფერი... მწერლობამ, ინტელიგენციამ ამაზე ხმა არ უნდა ამოიღოს?..

ნენიანის მოტანამდე ქმარმა გაზეთში ჩარგო თავი, უპასუხოდ დატოვა მეუღლის სამართლიანი აღმფოთება. ნინა ბორისოვნა იძულებული გახდა ჩემთვის გაეზიარებინა გულის ვარამი:

— სტალინის დროს, ოცდაათიან წლებში, ერთი უცხოელი ჟურნალისტი სექსუალურ უმცირესობებს გამოუსარჩლა, საბჭოთა კავშირში იჩაგრებიან, უფლებოები არიანო... ისე გაქრა ის ჟურნალისტი, კვალსაც ვერ მიაგნეს... ანდა ვინ დაუნებდა ძებნას... ახლა, ის უმცირესობა, მგონი უმრავლესობა რომ გახდა, გულხელდაკრეფილებმა უნდა ვუყუროთ?.. იმპოტენტებით გაივსო ქვეყანა!.. თქვენთან როგორ არის საქმე? — მკითხა უცებ.

— პირადად ჩემთან?

— საქართველოში, საქართველოში! — ახალგაზრდული სიხალისით გადაიკისკისა.

— ვერ გეტყვით, მაინცდამაინც ჩახედული არა ვარ... მგონი ცუდად არ უნდა იყოს...

— ჰოდა, ძალიან კარგი!.. შეხედავ, ახალგაზრდა კაცია, გგონია სისხლი უდღულს, სინამდვილეში ჭაობის წყალი უდგას ძარღვებში.

მომტანმა ქალმა გორგოლაჭებიანი მაგი

— ანდრეევიჩს სუპი... თქვენ, კატლეტი „პერლოვკით“ თუ ვერმიშელით?

— ვერმიშელით, „პერლოვკა“ სტუდენტალაქს მახსენებს.

— მერე, გაიხსენეთ, სტუდენტობას რა სჯობს! — ნეტარებით აპყრობილ თვალებში ადვილად ამოიკითხავდით, რომ მის ყმანვილქალობაში, იმპოტენტის თემა სულაც არ იყო პოპულარული, — აგერ, ჩემი ძმისშვილი, ნელი, ანგელოზივით გოგოა... სიყვარულით გათხოვდა, მაგრამ ერთ თვეში გასცილდა... ღმერთო, როგორი ტრავმა გადაიტანა!.. სტუდენტია, მომავალი ბიოლოგი... ავდექი და წამოვიყვანე, ეგებ გული გადააყოლოს...

— ნუ გეშინია, მოძებნის ვინმეს, თქვენი გვარის ქალები გაუთხოვრები არ დარჩებიან, — მსუბუქად უკბინა გაზეთს ამოფარებულმა მეუღლემ.

პასუხად, ნინა ბორისოვნამ, მხოლოდ ირონიული გადახედვა აკმარა და სუპი და კატლეტი „პერლოვკით“ ახლოს მიუწია.

— გაგიცივდა საქმელი!.. სულ გაზეთი, გაზეთი, აღარ შემიძლია, გაზეთებმა წალეკეს სახლი და აქაც...

ტყავის ბუდეში ჩადებული სათვალე კაცმა ჯიბეში შეინახა.

ცოლმა კომპოსტოს და კიტრის მუავეც მიუმარჯვა, ჩაკეცილი პიჯაკის საყულო გაუსწორა და მხარზე მსუბუქად გადაჰკრა ხელი, ჩემი დათუნია მადას არ ემდურისო.

ქმარმა მოლუშულმა გადახედა, ისე რომ წე-

ნიანის ხვრეპა არ შეუნყვეტია და დათუნისა კი არა, უფრო წყლიდან თავამოყოფილ სქელშუბლას ჰგავდა.

ახლა ეს წარბები?.. წარბები მართლაც სანაქებო ჰქონდა! ბრეჟნევისებურ, ჯიშთან ძირებს მარჯვნივ და მარცხნივ განტოტვილებს, შიგადაშიგ ახლებიც ამოეყარათ და ორი ქედით განოლილიყვენ მაღალი, წინ გამონეული შუბლის სამხრეთში.

მრისხანე შესახედაობის წარბების შთაბეჭდილებას, მშვიდი გამოხედვის, დაღლილი თვალები ანელებდნენ.

რაკი დავინყე, ბარემ აქვე მოვრჩები ივან ანდრეევიჩის აღწერას — უტეხი შუბლი ჯაგარივით გაუვალ, უკან გადატალღულ თმასთან მთავრდებოდა.

ცოლიც შესაფერისი აღნაგობისა და გამომეტყველებისა ჰყავდა. არ ვიცი, თავიდანვე ჰგავდნენ თუ მერე დაემსგავსნენ ერთმანეთს. შეხმატკბილებული ნყვილისათვის, წვრილმან ნაკინკლავებს თუ არ ჩავთვლით, სერიოზული უთანხმოება არ შემიმჩნევია.

პოლიტიკური მიმომხილველისათვის შერქმეული „სქელშუბლა“ მომწონა და ჩემს გულში ივან ანდრეევიჩიც უყოყმანოდ დავასაჩუქრე, მითუმეტეს, რომ მისი გარეგნობაც, ამ მეტსახელს დაჟინებით მოითხოვდა. თუმცა, ალბათ, ისიც უეჭვლად უნდა აღვნიშნო, რომ სქელშუბლასთან შედარება, ორივე შემთხვევაში, მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას არ გამოუნევევია.

კაცმა სული მოითქვა, სუპის ხრუშუნისაგან ჩვენც დავისვენეთ, თვითონაც და, ნელი მოიკითხა, რატომ არ სადილობსო.

ნელი პრესის სახლშია, მოსკოველ ნაცნობებთან, გვაუწყა ნინა ბორისოვნამ.

— თუ შეიძლება, დაგტოვებთ, — წამოვიწიე სკამიდან.

— ნება თქვენია, ოღონდ, აქ მხოლოდ სახელის ინიციალი წერია... — მიმითითა ქალმა ცელოფანქვეშ ამოდებულ სასადილოს ბარათზე.

— ზაალი, ზაალ გამდლიშვილი!

„პაპაჩემს ერქვა, თორემ რომელი ზაალი და შადიმანი მე ვარ.“

— ზაალ!.. ლამაზად ჟღერს!.. ორი ა-ს წარმოთქმა აუცილებელია?

— რა თქმა უნდა.

— პროფესია?

სანოლზე წამოგორებული სპეცტანსაც-მლიანი გამახსენდა:

— ძირითადად სანტექნიკოსი ვარ, ისე...

— გესმის, ვანია? — აღარ დამამთავრებინა სათქმელი, — ვის აღარ აგ ზავნიან ამ შემოქმედებით სახლში, მეშახტეებო, სანტექნიკოსებო, მალე, ალბათ, მწველავებითა და მელორეებითაც გაგვახარებენ.

— რა ქნან, ამხელა სახლს ხომ არ მოაცდენენ... თანაც დავავინყდა, მუშურ-გლეხურ ქვეყანაში რომ ცხოვრობ, ვინც ჩამოთვალე, განა მაგ ხალხით არ გვიდგას სული? — კატლეტის თეფშიდან თავის აუნეველად გამოეპასუხა ქმარი.

— თქვენ ცუდად ნუ გამიგებთ, — ამომხე-



და მე, — ძალიანც მომეწონეთ, მაგრამ რაღაც დონე ხომ უნდა შევინარჩუნოთ, ყველამ თავისი ადგილი ხომ უნდა იცოდეს... აბა, შეხედეთ, დღეს ოდეკოლონი გაქრა, ხვალ ხამსა თევზით აყროლდება დერეფნები, ზეგ...

— მართალი ბრძანდებით.

— საზოგადოება განა გაზონია, თანაბრად რომ გადაკრიჭო! — ჩემგან გათამამებულმა გაამაგრა თავისი მოსაზრება, — მაინც არ მეთანხმები, საყვარელო? — მიუბრუნდა ქმარს.

— მაგ თემაზე, მგონი, ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ, — ამოიხვნეშა ანდრეევიჩმა, მეორედ რომ მოსწყვიტეს ყუათიან „პერლოვკას“.

„ჭიაყელა თუ არ იქნება, ნეტავი, სქელ-შუბლა „პერლოვკას“ დაინუნებს? ისეთი ღორ-მუცელაა, „პერლოვკაზეც“ უეჭველად მოვა... მოვა და, კაი „ტრაინოი“ ანკესი და მაგის ჯანი,“ — გავიფიქრე. თან შემებრალა ივან ანდრეევიჩი, თითქოს ანკესს ამოგკარი და დაბურთულ, ბავშვურ ღაბაბზე გამოვდე.

— ხმა უნდა ამოვიღოთ, მწერალთა კავშირში, ლიტფონდში, ყველგან, სადაც საჭიროა... აქ შემოქმედებითი საქმიანობისათვის ჩამოდიხართ და, ბოდიში, სტახანოველ იმას რომ დაგისვამენ...

— სანტექნიკს, — შევაშველე სიტყვა.

— თქვენი წყენინება სულაც არ მინდოდა, — ხელი ხელზე მოფერებით მომკიდა, — უბრალოდ... ხომ გესმით...

— დიახ, მესმის და გეთანხმებით... აი, დილით რომ ჩამოვედი, შემოსასვლელთან, ერთი ქალბატონი, მანანალა კატებს პირდაპირ სასადილოს თეფშიდან ატლეკინებდა ფაფას... საინტერესოა, ის ქალი მელორეა თუ სანტექნიკოსი? ნინა ბორისოვნამ, ხელის ზურგით, ანი-თლებულ ლოყებს ტემპერატურა გაუსინჯა.

— შეიძლება... ხდება... თუმცა, მანანალა კატა, ხშირად, ბევრ ორფეხას სჯობია.

— არამართო კატა, ძალიც, თავიც და ვირთხაც, მაგრამ მაინც, სანაგვეში ნათრევი კატის ალოკილი კოვზი...

— ტყუით, კოვზი ნამდვილად არ მქონია! — გამოტყდა უცებ.

— ნინა ბორისოვნა!.. — შევიკარი წარბი.

— უფრო სწორად კოვზით არ მიჭმევია... ასე მეჭირა, განზე! — მეტი დამაჯერებლობისათვის, მეუღლის ნახრუპუნევი კოვზი აიღო და მაჩვენა, როგორ „ეჭირა განზე“.

— ძალიან აზიზი ყოფილხართ! — სარდელივით დაბერილი ტუჩები ხელსანმენდში „შეახვია“ ივან ანდრეევიჩმა, — ყველაფერი ხომ ქლორნი წყალში საგულდაგულოდ ირეცხება... — თავლისათვის მაინც...

— თვალისათვის, მაგაზე უარესი საყურებელი სხვაც ბევრი რამეა... თუნდაც, ერთ ჩვენს მოძმე რესპუბლიკაში, სტუმარს ღვინოში როცა აღრჩობენ.

„არა, ამ სქელშუბლას ანკესით და „პერლოვკით“ ვერ დაიჭერ, საოკეანო ტრალი სჭირდება.“

— ეს დახრჩობა, ეტყობა, თქვენ თავზეც გამოსცადეთ.

— თანაც არაერთხელ...

— მერე, ერთხელ თუ არ მოგეწონათ, მეორედ, მეხუთედ, მეათედ რაღად „ეხრჩობინებოდით?“

— ისე, მგონი, მდინარე მოსკოვში დახრჩობას, მაინც ქართულ ღვინოში ჩაყურყუმელაება სჯობს, — თვალი ჩამიკრა სათვალთანმა, ჩვენ საუბარს ყური რომ მოჰკრა.

— კარგი გამახსენეთ — ყოველდღიურად, მდინარე მოსკოვიდან, ლოთობის ნიადაგზე, ჰალუცინაციებით დაავადებულები რომ ამოჰყავთ, ეტყობა იმათაც ქართველები ვახრჩობთ.

— იმათ არა, მაგრამ... გირჩევთ, მაინც ყურადღებით ნაიკითხოთ ასტაფიევის...

— უკვე ნავიკითხე.

— ჰოდა, დასკვნებიც გამოიტანეთ!

— ეგეც გავაკეთეთ!

— იქნებ მეც გამიმხილოთ?

— საიმოვნებით... ასტაფიევი დიაგნოზს დასვამს, გენერლები კი გვიმკურნალებენ, როგორც ეს ამ ცოტა ხნის წინ მოხდა...

სათვალთანმა, ივან ანდრეევიჩის ჩუმად, ცერი ამინია.

„სქელშუბლამ“ ველარაფერი მითხრა, მიშას გამოსდო ხელკავი და გასასვლელისაკენ წავიდნენ.

ახლა ნინა ბორისოვნამ გამომინვია.

— გაგებული გექნებათ, საზღვარგარეთ საზოგადოებებია შექმნილი უპატრონო ცხოველების დასაცავად... სკანდინავიის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში...

— ცხოველებამდე იქ ჯერ ადამიანი დაიცვეს, ადამიანის უფლებებს სცეს პატივი, ჩვენთან კი, თვითონ დაუცველი, სხვას როგორ დაიცავს?

— მაგ აზრებით შორს ვერ წახვალთ, — ვითომ ხუმრობით დამიქნია თითი.

— თუ შორს წასვლა იმას გულისხმობს, რომ ბავშვსა და კატას ერთი, საერთო თეფში დავუდგა, მიჩვენია ისევ ზოგიერთისათვის გაუგებარ ჩემს ტრადიციებში ჩავისრჩო.

— ივან ანდრეევიჩს ცუდი გულით არ უთქვამს.

გავლიზიანდი.

— ეგ გული უკვე გამოვცადეთ აპრილში, რუსთაველზე!

— ოო, თქვენ საშიში პიროვნება ხართ.

— თქვენზე მეტად, არა...

— არ მომწონს თქვენი ტონი... ხნიერ ქალს მეტი პატივისცემით უნდა მოეპყროთ.

— კამათის დროს ვერა და, ავტობუსში ადგილს სიამოვნებით დაგიტოვებთ.

— მართლაც სანტექნიკოსის ლოგიკა! — აშკარად გამინანყენდა.

— მგონი მეუღლე გიხმობთ, — სტარკოვი კართან იდგა და მილიციელის ხელჯობივით დაგორგოლებული გაზეთით მანიშნებდა, ნინა ბორისოვნა მოახედეთ.

მეც მივახედე.

სათვალთანი თავივით გასუსული იჯდა, გვისმენდა და დანის წვერს თეფშზე დარჩენილ გარნირში დაატარებდა.

ვასხამზე ნინა ბორისოვნა კვლავ მართო



მოვიდა.

სათვალანმა ისევ მოიკითხა ცნობილი მწერალი-პუბლიცისტი სტარკოვი, პასუხიც იგივე მიიღო, შეავიანდებდა, ძალიან აჩქარებენ და რა ქნასო, და იმანაც შეტყუებული, დაჭორფლილი ხელები ყვითელი ყვავილის ბუტონით გადაშალა, რა ვქნათ, მის გარეშე მოგვიწევს ვახშმის დანყებაო.

სათვალის ღინზებზე ირონიული მზერა აირეკლა.

— იცით, მიუხედავად ჩემთვის მიუღებელი თქვენი ზოგიერთი მოსაზრებისა, მაინც მომეწონნეთ, — „მაჯახა“ დაჯდომისთანავე ნინა ბორისოვნამ.

— როგორი ვაგებით?

გაეცინა.

— იმ ასაკისა აღარ გახლავართ, როგორც ქალს მომწონებოდი.

— ეგ არც მე მიგულისხმია, — აყვევი სიცილში.

— მაგრამ მაინც უნდა გისაყვედუროთ, როცა ჩემს თავს ხნიერი ვუნოდე, თქვენ უნდა გეთქვათ, მე ვერ ვხედავ ხნიერ ქალს, სწორედ თქვენს ასაკში იწყებენ ნამდვილ ცხოვრებას, სიყვარულს...

— მერე, მართალი ვიქნებოდი?

— განა კუზიანს უნდა შეახსენო, რომ მახინჯია?

— იმ შემთხვევაში თუკი კუზიანი სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მიღებას დაიჟინებს, სარკეში მაინც უნდა ჩაახედო... და საერთოდ, აღარ მოგვებზრდა ტყუილი ქება, ტყუილი გმირები, ტყუილი დამკვრელები, კომკავშირულ-პარტიული ჰეროიკა, რომელიც გულზე აღარავის ეხატება, ფუნქციონერთა გარდა, იმიტომ რომ იმათი სავარძლები ამ ტყუილებზე დგას... ბოლოს კი — ტყუილი ძმობა...

ქალი თავშეკავებული ღიმილით მისმენდა და ფაფუკ, შებერებულ ხელის ზურგს ნება-ნება იზებდა.

— აი, თქვენთან როგორი მომზადებული სანტექნიკოსები ყოფილან!.. ასე სად გაინაფეთ?

— მიტინგებზე... მსმენელის სრული კურსი გავიარე.

— მაგარი სკოლა გაგივლიათ.

— უფრო სახალხო უნივერსიტეტს დავარქმევდი.

— ბევრია ასეთი უნივერსიტეტი?

— ყოველ ფეხის ნაბიჯზე... დასწრება თავისუფალია, ოღონდ, შეიძლება, ნიჩაბი მოგვხდეს თავში ან ტანკმა კონსერვის ქილასავით გაგვსრისოს.

— ეგ ცუდია! — მოიღუმა.

— ძალიან ცუდი.

— ცხრა აპრილის მერეც ტარდება „ლექციები“?

— ახლა უფრო...

— ძირითადად რა „საგნებს“ კითხულობენ?

— „საგნები“, „ლოზუნგები და მონოდებები, რუსულ პრესაშიც ქვეყნდება.

— როგორ გგონიათ, მერმის ვიზით მომინ-

ევს ჩამოსვლა თუ ისევ ლიტფონდის საგზურით?

— მერმის, ისევ საგზურით და მერე...

ჩაფიქრდა, თან ნარჩენები ხელსაწმენდ ქალაღდში გადაახვია და სკამი უკან, ხმაურით დასწია.

— ხომ ხედავ, შენიშვნას ვითვალისწინებ, ჩემს კატუნიებთან და ცუგოებთან თეფშით აღარ მიმაქვს საჭმელი.

დამავიწყდა მეთქვა, ივან ანდრეევიჩი უკვე ჩვენთან იყო, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, საუბარში არ ერეოდა, თავისთვის ახლა ჩაის ახრუპუნებდა, ეტყობა გაბუტობანას მეთამაშებოდა. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა:

— გასაგებია, რომ თავი მართლები გგონიათ... სისასტიკის მომხრე არც მე ვარ...

— გვგონია კი არა, ვართ მართლები...

— დავუშვათ, დავუშვათ... მაგრამ ერთი ქვეყანა, ორი სიმართლით როგორ იცხოვრებს?

— განა ცხრა აპრილმა ერთხელ და სამუდამოდ არ გაარკვია, რომ ერთი ქვეყანა აღარა ვართ?

— ჩემთვის — არა! — გადაქნია თავი.

— რუსი მეგობარი მყავს, დრამატურგი, ის თქვენსავით არ ფიქრობს.

— მაშ როგორი რუსია თუ ჩემსავით არ ფიქრობს? — ძალიან გაუკვირდა „სქელშუბლას“.

— როგორი და სუფთა, ნამდვილი, ურალელი რუსი!

— საოცარ დროში ვცხოვრობთ, სანტექნიკოსი და ასეთი? — ხელკავი გამომდო ნინა ბორისოვნამ და თან გამიყოლა, ივან ანდრეევიჩისათვის მადა რომ არ წამეხდინა.

ნელი არც ვახშმად მოვიდა.

გაგრძელება იქნება





მ ა რ ი ნ ე  
ს ხ ე დ ი ა შ ვ ი ლ ი

\*\*\*

ნუ ამიტოვებთ გაცრეცილ ფრესკებს,  
ნურც ამ ტაძარში გაბედავთ წირვას,  
მე საკუთარი სხეულიც მეძებს,  
მიტოვებული ალაზნის პირას.

ყოველ ცისმარე იალქნებს ვკემსავ,  
რომ მივაშურო მშობლიურ მხარეს,  
უფლის ხელდასმით დამნიშნეს მწყემსად  
და თქვენს სიზმრებში ვდარაჯობ ქარებს.

მე ერთგულების ჯაჭვით დამაბებს,  
და რომ ავიშვა თუნდაც ამ წუთში,  
მეჩოთირება ფარჩის საკაბე,  
ვერ ჩავეტევი ჩემს ძველ ნაჭუჭში.

და როცა მიწა, ესოდენ წრფელი,  
აიხშივრებს ტკივილს დენთივით,  
ეს მე ვიქნები სამყაროს ცრემლი —  
უფლის სახეზე ჩამოდვეთილი.

და მერე მოვალ არაკად, ლექსად,  
რომ გამოვტყუო ქნარი ავსულებს,  
და თქვენ კი ლოცვად ჩამოღვრილ  
მხევალს  
რწმენის კედლებში გამანარსულებთ.

### ქრისტეს მხედარი

*(გაბასება ლექსის სტრიქონთან)*

კვლავ გულგრილობის ჯანლი მარტყია,  
ხომ არ გგონივართ მართლა ნეტარი,  
შემომახიეთ მგოსნის მანტია,  
მერე მომკალით ნაპოეტარი.

ამოგოლგოთდი ჩემში ლექსებად,  
როცა ჯვარივით გზიდე ბეჭებით,  
ახლა კი ვიცი, სული გევესება  
ამქვეყნიური ციცქნა ეჭვებით.

მეფის კარზე რომ ლიქვნა გენება,  
წამს მოგარგებდნენ ტყავის ლაბადებს  
მათ რა იციან, რომ ამ გენებმა  
ოდესლაც შვილის ნაცვლად დაგბადეს.

რომ ვერ გაკადრე მაძღრის სოხანე,  
ცრუ ჩინებისთვის კარ-კარ წანწალი,  
სად გაგონილა ჟამი მოხანე,  
ან სიტყვა-უღვთო კაცის წანწალი.

ამაოდ ჭვრეტდი ღრუბლის ჩარდახებს,  
ვინ აგანვდენდა ცამდის ხელმოკლეს,  
რამდენჯერ ჩემთან ერთად დაგმარხეს,  
მაგრამ სული კი მაინც ვერ მოკლეს.

ნაგრიგალევი ფრთებს რომ დაკეცავ,  
ისევ ქარს ნატრობ, როგორც კედარი,  
ვინც გაიმეტა თავი ლექსისთვის,  
მოკვდება, როგორც ქრისტეს მხედარი.

### მხატვარს

*(თენგიზ მირზაშვილის ხსოვნას)*

შენს დაბადებას ვინძლო დაესწრო  
ჟამი საავდროდ მონაბრუნები,  
მაშ რად გეძებენ ცაში მაესტროს  
დღემდე ფრთათეთრა მოლალურები.

არ ჰგავდი ლელოს უბარლოდ გამტანს,  
ტიალ მაცილებს ვერ უბინადრე



და მიათრევედი სიცოცხლის ჭაპანს  
ჭია-ლუიდან ქერუბინამდე.

ყოფა მითებით გაგვიმიმოზე,  
აღსავლის კართან გცდიდნენ ტვირთიანს,  
თუმც ამა ქვეყნის სანისქვილოზე  
სარგებელს მუდამ მინდით ითვლიან.

როცა ტკივილებს იაზმით გვბანდი,  
სხვა მეფის კარზე უკაკუნებდა,  
ვის აენონა ოსტატის მადლი  
გირვანქებად და უზალთუნებად.

მათხოვრის ქოლგით მოჩრდილულ ქალაქს  
ახლაც სხვა ჯურის ნადილი ბუგავს,  
მაგან რა იცის, რომ შენი ნათლიც  
უმშვენებს ცისკენ აზიდულ გუმბათს.

მადლობა უფალს, მაინც გადარჩი,  
მავანთ ეგონათ, თითქოს გინვიმდა,  
ეგ მჭლე სხეული, როგორც ზღაპარში —  
ამოახეტე მინის მიწიდან.

ცის კაბადონზე გართხმული ლოცვად  
კვლავ გეძებს სული — ნაფრიალვეი,  
და გათიშული საკუთარ ხორცთან  
შენს ნახატებში გამთლიანდებით.

თუ ნასვლაც ყოფნის მინადარია,  
ჩაიქცეს ყველა დარდის სამარე,  
გზას დაგილოცავს წმინდა მარია  
და მარადისში გაისამანებ.

### პატიება

სულში ხვატია და ვქარტეხილობ,  
ბათუმის ზეცას ვეჩონგურე,  
ბოდში, ყისმათდასეტყვილო,  
მამის სახლო და ეზო-ყურე.

ახლა რომ ჩემში მორევია,  
ზღვამ როგორ დანთქას, სვეტიალო,  
შენ მანდ ეკალი მოგრევია,  
მე კი ბულვარში ვხეტივალბო.

ჩათავდა ლამის სამი წელი  
და თითქოს უცხოდ გეჩვენები,  
კიდეც დამწყველე და გამინყერი,  
ღირსი ვარ, ღირსი შეჩვენების.

დღეები უქმად მეპარება,  
ანჯახი დროება შავრაზმელობს,  
არამი იყოს ნეტარება,  
დედ-მამის კარის ჩამრაზველო.

მეტყვიან, ბედთან რად უმძრახობ,  
ქონება განა ოხრად ყრია,  
მაგათ რა იციან, ნაფუძარო,  
უყრმო სასახლეც რომ ქობ-მახია.  
ნუ მიმზერ აგრე მომდურებით,  
ჩვენს შეყრას ისევ ჟამი ჩქარობს,  
მლოცავენ შენი ქონგურებიც:  
— ობოლი არვინ დაგვიჩაგროს.

ვაი, თუ ფუჭად ილოდინე,  
და ეულს ველარ მოგიარე,  
ისევ ტკივილებად მილოგინებს  
ხსოვნა-უსხეულო მშობიარე.

მანდ რომ ჩემი ყრმობა იასამნობს,  
ვიცი, სალარნაკედ განირავენ,  
შენთან ამყოფე, რომ გაილსაროს  
ვიდრე ზეობიდან სამძიმრამდე.

### ყაყაჩოს სანთელი

დასჯილი მინდვრები მომდევნ ბარბაცით,  
საბრალო შრომანაც ზედ გულზე მაგდია,  
„ოსანა“! — ჯვარს აცვით!, „ოსანა“! —  
ჯვარს აცვით!,  
ზეობის ჟამი თუ სიკვდილის ბანგია.

ფიცნაჭამ რაინდთა ლალატი უგვანო  
უმზეო გულების აღლუმი მგონია,  
ოდესლაც მაგ ხალხმა გაგნირა, უფალო,  
და დღესაც სამართალს ოქროთი წონიან.

როდის ხართ მართალნი, საიდან სადამდის,  
ჯილდო და სასჯელი სასწორზე ნანაობს,  
პაპათა ცოდვანიც კისრამდე გადაგვდის,  
ახალი როგორღა ვიტვირთოთ, მამაო.

როდემდე ვებრძოლოთ ამ ქარის წისქვილებს,  
ნეტაც მათ, ვისთვისაც ჯილდოა სიკვდილი,  
ჯვარცმა და დოზანა სიცოცხლემისჯილებს —  
პოეტთა სულიც ხომ მათშია მითვლილი.

გუგუნებს ზარები — გასრულდა „ოსანა“,  
გოლგოთის ჟამია — მლოცავენ მნათენი,  
გმადლობთ რომ მატარეთ სულმეუმოსავად  
სისხლიან მინდორზე ყაყაჩოს სანთელი.



\*\*\*

„ჩვენი ცხოვრება დაკეტილი საპრობლემა“

კ. გუცკოვი, „ურიელ აკოსტა“

ყმანვილქალობა ხელში მადნება,  
ამ გაზაფხულსაც შევეყურებ იჭვით,  
ვარ გრიგალივით მაინც თავნება  
და ჩემს ურიელს დავეძებ, ივდით.

ვინრო საკანში როგორ ჩავტიო  
ამ ნუთისოფლის დავიდარაბა,  
თუმც უღმერთობას არვინ გვპატიობს,  
გუნდრუკს უკმევენ მაინც ბარაბას.

და რწმენა ჩემი, ყალყზე შემდგარი,  
კარგა ხანია აღარ მზიანობს,  
როგორ შევაბა სურვილს ეჭვანი  
და თქვენს კარებთან ავახმიანო.

როგორ ავუნყო მაგ ჩანგს სიმები,  
თუ ზედაპირი გექცათ სარჩულად,  
და ერთადერთი — ხვალის იმედიც  
ბავშვობასავით შემოხარჯულა.

აქ, ბედისწერის პირქუშ ახოზე  
ვხედავ გამონვდილ ხელებს ჩხირებად,  
გული, რომლითაც უნდა მახსოვდეთ,  
ახლა უბესაც ეჩოთირება.

მაგრამ ამ სულის ქარაფებიდან  
მაინც მოჟონავს ქალი-სანყისი,  
სიკეთესავით გადამდები და  
მოლოდინივით გაუსაძლისი.

ვერ ამოვქოლე სულის სარკმელი,  
ვერ გადმოვფინე თეთრი დროშები,  
და ატუზულა კართან სასჯელი,  
როგორც კოცონთან სველი ბოშები.

მე თქვენ მომკალით უკვე რამდენჯერ  
რა საცნაური არის ეგ ტყვიაც,  
ივდითობასაც რომ არ დამჯერდეთ,  
ეს ლექსები ხომ მაინც გეტყვიან,

რომ რაშებს რწმენის ლურჯი მინდვრიდან,  
როცა გარეკავთ ბინძურ თავლაში,  
კარგად გახსოვდეთ, როგორც სიკვდილთან  
სახიფათოა გულთან თამაშიც.

## ნატვრა აღდგომის ღამეს

მინის, პურისა და კაცის  
სუნს ნუ მომანატრებ, ღმერთო,  
თუკი მწყურვალისთვის დამცლი,  
და თუ სანთლად უნდა ვენთო,

სუნთქვა გამაგონე შვილის,  
სიო მაგ ზეციურ ჰანგთა,  
მერე ერთ მშვენიერ დილით  
ლოცვად დამაყუდე კართან.  
ლიბოდ მომიქციე ძვლები,  
ანდა გამიყენე ბექობს,  
ოღონდ დაკარგული გზები  
ისევ მაპოვნინე, ღმერთო!

## ისევ აღსარება

ახლა ხომ აღარ დამემდურები,  
განბანილია ცოდვა ტკივილით...  
ყავის ჭიქაში ნაფეხურები,  
სულში კი — ჩუმი, ჩუმი კივილი.

ვაი, თუ დამრჩა მხოლოდ გოლგოთა  
და განაჩენი ეგ ზომ მარტივი...  
რად მეხვეოდი ტრფობის ბომონთან  
ჯერარშობილი შვილის დარდივით.

იმ გზებზე, თურმე, ჩვენ რომ გველოდა,  
მიმოდიოდა ათასი კვალი,  
და მოხეტქილი მწვანე მდელოდან  
ინვა სინედლე — ორსული ქალი.

მე გამიტყუეს უბრალო რაშით,  
გათქერილ მოლზე სისხლი დიოდა,  
თქვენ კი ისეთ ძველ ლეგენდად დარჩით,  
როგორც პრომეთე კავკასიონთან.

ლოცვად მოქცევას სხეული მიგრძნობს,  
დამდგარა ჟამი მუხლზე მოდრეკის,  
ემმას ქვესკნელში ავეშვი თითქოს,  
მოვალ და ისევ თქვენთან მოვკვდები.





კვირი  
ზინსარუიძე

ლიცის ნაბი

მეგობარი მყავდა, კახელი ბიჭი. არ მახსოვს კახეთში, რთველის შემდეგ თავის სოფელში არ დავეპატიჟებინე. მის დანახვაზე ბაბუას და ბებიას ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს შვილიშვილი კი არა, მზე ეწვიათ ოჯახში და რადგანაც მე მზის მეგობარი ვახლდით, ისე მიღებდნენ, თითქოს მათი ღვიძლი ვყოფილიყავი. ბებიამისი, ჯან-ლონით სავსე ქალი, ციბრუტივით ტრიალებდა, უფრო იმერელ ქალს მაგონებდა, ვიდრე კახელს, — ბაბო გენაცვალოსო, ეტყოდა, თუ რამე გამაჩნია შენთვის მინდა, შენ იცი როგორ მოილხენო, მერე მე სითბოთი სავსე თვალებით შემომხედავდა და დასძენდა, — გივი, შვილო, იცოდეთ, ერთმანეთს სამარის კარამდე გაუფრთხილდით, მეგობრობაზე

დიდი ბედნიერება ქვეყანაზე არ არისო. მართალი ვითხრათ ორივე, ჩემი მეგობრის ბაბო და პაპა მეც ძალიან მიყვარდა, სულ იმას ვცდილობდი მათთვის რამე მესიამოვნებინა. როცა ბაბო სუფრას გაშლიდა, პაპა სუფრის თავში დაჯდებოდა, მერე ჩვენც მოგვიხმობდა, მობრძანდითო, თიხის დოქიდან ღვინოს ფიალებში ჩაარიკრიკებდა, თქვენ გაგიმარჯოთ შვილებოო იტყოდა და ისეთი განცხრომით დაღვედა, აშკარად ეტყობოდა, ღვინოს კი არ სვამდა, ელაციცებოდა თავისივე შრომისა და სიყვარულის ნაყოფს. ის რამდენიმე დღე, რომელსაც კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანთში ვატარებდი, მინდოდა, რომ არასოდეს დასრულებულყო.

კარგად მახსოვს, როცა ჩემი თანდასწრებით, ძილის წინ ჩემივე მეგობრის პაპას მისმა მეუღლემ წყალი შემოუტანა და თასში ფეხების ჩაბანვის შემდეგ გაქათქათებული თეთრი წინდები ჩააცვა. ვიფიქრე, სადღაც წასვლას აპირებს-თქო, მან კი ძილი ნებისა გვისურვა, სასთუმალზე წამოწვა და თავი ძილს მისცა. ჩემ მეგობარს ზომიერად, მაგრამ მაინც, როგორც ყველა კახელ კაცს, დაღვევა უყვარდა, მე კი ორი ჭიქის დაღვევის შემდეგ მშვენიერად ვგრძნობდი თავს და სმის გაგრძელების არავითარი სურვილი არ მქონადა. ყოველთვის, კარგი სოფლის მამალივით დილის ექვს საათზე ვიღვიძებდი და სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მთაში თუ ბარში, გავრბოდი სავარჯიშოდ. იმ დალოცვილ დილასაც ადრინადად გავიღვიძე, ვხედავ, ჩემი მეგობრის პაპა სასთუმალზე წამომჯდარი თავის მეუღლეს უხმობდა. მანაც არ დააყოვნა და გაქათქათებული წინდებით ხელში მეუღლესთან მივიდა, ასე ვთქვათ ძილისპირულის წინდები გახადა და სიცოცხლისა ჩააცვა. პაპა ერთი კარგად გაიზმორა, თითქოს ღამის ჭინკები თავიდან მოიშორაო, მერე ფეხი რეზინის კალოშებში სტკუცა და ლილინ-ლილინით გაუყვა სოფლის ორღობეს. რადგანაც ვიცოდი, რომ რთველი მორჩენილი იყო და ვენახიც გაკრეფილი, დავინტერესდი, ამ დილაადრიან საით მიიჩქაროდა მოხუცი. შეუმჩნევლად უკან ავედევნე, ასე ვიარეთ სამი კილომეტრი, მივდიოდით ორღობეში ის ლილინით, მე კი მდუმარედ. დაახლოებით ორას მეტრში გამოჩნდა ყურძნის ბალი — დასაბამიდან კახელი კაცის სიცოცხლის



სიმბოლო. კაცმა ვენახში შეაბიჯა, მეც ჩუმად შევყევი, ერთ-ერთ ვაზთან შეჩერდა და რალაცას დააცქერდა. მეც მზერა იქეთ მივაპყარი, დავინახე ერთი ულამაზესი, ქარვისფერი ყურძნის მტევანი, რომელსაც ახლად ამოსული მზის სხივი ელაციცებოდა, ხოლო მტევანზე დილის ნამის წვეთები სიხარულის ცრემლებად იღვრებოდა. დიდი იდილია იყო მზის სხივისა, მტევანსა და მასზე ჩამონაჟონ დილის ნამის წვეთს შორის. უცებ კაცი ცერებზე აინია. ჩემს გაცეცხვას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი ბაგეთი მტევანს შეეხო. ვიფიქრე, ყურძნის მარცვლის პირდაპირ შეჭმას აპირებდა, მაგრამ მივხვდი, რომ ძლიერ შევცდი, რამეთუ გლეხი თავისი შრომის პირმშოს ეალერსებოდა. მინდოდა მივსულიყავი, ჯერ ბერიკაცი ჩამეკოცნა, მერე ვაზის, მზისა და ნამის წინაშე მუხლზე დავცემულიყავი და ამით მაღლიერება გამომეხატა ბერიკაცის ასეთი გახარებისათვის, მაგრამ რადგანაც მივხვდი ამ დიდებულ ბუნების სცენარში ღმერთს მხოლოდ მაყურებლად შემოვეგზავნე, ჩუმად, ისე რომ არ შევემჩინე, შემოვტრიალდი და რობერტ სტურუას დადგმული დიდებული სპექტაკლის შემდეგ რომ ბრუნდებიან სახლში, სწორედ ისეთი გალალებული ვბრუნდებოდი უკან და თან მიმქონდა ღმერთისეული სცენარისაგან გამონვეული ნეტარება, რომლის სადარი ალბათ ისე მოვკვდები რომ არ მეღირსება. აკი მერამდენედ ვიმეორებდი ჩემთვის, სხვების შეუმჩნევლად — მადლობა მზეო, გლეხისა, მტევნის და დილის ნამის თანადგომისათვის.

## სიხეთის ტაძლა

ომის შემდგომი წლები... გაჭირვებასა და სიდუხჭირეს მოუცავს სამყარო. ქვეყანა ახლად შენდება. ყველას თავისი გასაჭირი აქვს, მაგრამ მაინც ამ წესით ცხოვრობენ: — ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის. 1954 წელია. მამაჩემი გადასახლებიდან ახალი ჩამოსულია. სანყალი ერთ-ერთ სკოლაში დიდი ვაი-ვაგლახით ისტორიის მასწავლებლად მიიღეს. ვიზრდები გაჭირვებაში. სანდლები, რომელიც თითქმის ფეხზე

გაუხდელად მაცვია, ქვემოდან ყოველთვის გამოხვრეტილია. მეზობლის ქალბატონები, მიუხედავად თავიანთი გაჭირვებისა, ჩემი შესახედაობის წყალობით, პატარ-პატარა საჩუქრებით ისე მანებივრებენ, როგორც შეუძლიათ. მეც ისინი ღვიძლი ახლობლებივით მიყვარს. არის ნათესავების ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. ხანდახან პატარა ოროთახიან ბინაში სოფლიდან ჩამოსული ახლობლები იატაკზე ისე განლაგდებოდნენ, დილით ეზოს ტუალეტამდე მისვლაც კი მიჭირდა. მართალია, დიდი სივინროვეა, მაგრამ სწორედ რომ ამ სივინროვეში ერთმანეთის სიყვარული გალალებულია და მიუხედავად გაუსაძლისი სიტუაციისა, ოჯახში მაინც სიხარული ტრიალებს. ნათესავებიდან ყველაზე ძალიან იტალიურ „პლაპაში“ გამონყობილი უმშვენიერესი გარეგნობის მქონე მამაჩემის ბიძაშვილი გერონტი სიხარულიძე და მისი მეუღლე, ნინო დეიდა მიყვარს. გერონტისთვის ქალბატონი ნინო მეთერთმეტე ცოლია, ხოლო დეიდა ნინოსთვის, რომელიც დეზერტირების ბაზარში მთავარ ექიმად მუშაობს და დიდ ფულს შოულობს, გერონტი ბიძია მეშვიდე ქმარია. დეიდა ნინოს დანახვაზე თვალები მიბრწყინავს. ჯერ ერთი, შესახედავად ძალიან მომწონს, მეორე კი, ისეთ საჩუქრებს მიკეთებს, ნეტარებისგან ლამისაა სული გამეპაროს. აშკარად ვატყობ, ღვთისმორწმუნე ბებიაჩემს არც ერთი ეხატება გულზე და არც მეორე. ბევრჯერ შევსწრებივარ როგორ გადაულაპარაკებდა დედაჩემს — ამ ბოზანდარას დანახვაზე ნერვები მეშლებო. ჩემი და ბებიას აზრები ამ საკითხში მძაფრად განსხვავებულია. მე მზე და მთვარე ამომდის ნინო დეიდაზე. ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ საღამოს სწორედ გერონტი ბიძია და ნინო დეიდა გვესტუმრნენ. ნინო დეიდამ არც აცია და არც აცხელა, ჩანთის შესაკრავს თითი გაჰკრა, ესეც შენ, ჩემო ლამაზო ბიჭოო, მითხრა და ტკიცინა ორმოცდაათმანეთიანი მაჩუქა. თან დასძინა, ამ ფულით ველოსიპედი „არლონოკი“ იყიდეთ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თითქოს ჩემს გულში იჯდაო, გავქანდი, მაგრამ ჩავეკარი და ათრთოლებული ხმით გამოვხატე მისდამი მაღლიერება. სტუმრების წასვლის შემდეგ სასთუმალზე მოვიკალათე და იმის მაგივრად, რომ მეორე დღის ბედნიერების სიხარულით აღსავსეს



ღრმა ძილისათვის მიმეცა თავი, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში ახლად შემოსული იყო და თავის დამკვიდრებას ცდილობდა ამერიკული ჯაზი. საბჭოთა პარტიული ბოსები და კაკებე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ინვევდა ჯაზის მოყვარულებს. მიუხედავად ჯაზის აკრძალვისა, მე სიგიჟემდე ვიყავი შეყვარებული მუსიკის ამ ჟანრზე და დიდი აღტაცებით ვუსმენდი ისეთ დიდებულ ჯაზმენებს, როგორებიც იყვნენ ლუი ამსტრონგი, რეი ჩარლზი და ელა ფიჯერალდი. იმ დროში ასეთი ფირფიტის შეძენა, რომელიც ძალიან ძვირი იყო, მხოლოდ გადამყიდველებთან ეგრეთ წოდებულ „ფარმოვნიკებთან“ შეიძლებოდა. ჰოდა, მთელი ღამე ფიქრად დავიღვარე... ამ ფულით ჩემი ნატვრის საგანი — ველოსიპედი „არლონოკი“ შემიძინა თუ 50 მანეთად ღირებული ლუი ამსტრონგის ფირფიტა. გარიჟრაჟისას გადამყვეტილება ლუი ამსტრონგის ფირფიტაზე შევაჩერე, რადგან ველოსიპედს ჩემი მეგობრები ისედაც მთხოვნიდნენ ხოლმე. კარგად მახსოვს, სკოლიდან დაბრუნებულმაროგორ მივაკითხე ფირფიტების გადამყიდველ ებრაული წარმოშობის კაცს. — ბიძია, ფული მაქვს და ლუი ამსტრონგის ფირფიტის ყიდვა მინდა-მეთქი. მან ცოტა არ იყოს ირონიულად შეხედა ჩემს კაზმულობას, თითქოს მეუბნებოდა ამ შარვალ-პერანგში გამონყობილს ფირფიტის საყიდელი ფული სად გექნებაო. მერე ებრაული სიდინჯით მკითხა, იცი რა ღირს ფირფიტაო? — ვიცი-მეთქი, ბიძია და 50 მანეთი გავუნოდე. მან დიდი სიფრთხილით შემომხედა და მკითხა: — ბიჭო, ფული ხომ არ მოიპარეო? არა-მეთქი, ვუთხარი შეურაცხყოფილმა და თითქოს მოძღვართან აღსარებაზე ვყოფილიყავი, ბავშვური გულუბრყვილობით ფულის ჩუქების ამბავი თავიდან ბოლომდე ჩავუკაკლე. ერთი აღმაცერად შემომხედა, თვალებში ჩამხედა და თითქოს ჩემს გულში მჯდარიყოს, მიპასუხა, ნადი ბიჭო, ამ ფულით ველოსიპედი იყიდე, რა დროს შენი ჯაზიაო. ბიძია-მეთქი, მივუგე, მთელი ღამე ჩემ თავთან ჭიდილი მქონდა, ამ ნაჩუქარი ფულით რომელი მეყიდა, ველოსიპედი თუ ფირფიტა, მაგრამ არჩევანი მაინც ფირფიტაზე შევაჩერე. მართლა ასე გიყვარს ჯაზი? — მკითხა. ძალიან მიყვარს, ბიძია, ძალიან-მეთქი. იგი რამდენიმე ხნით სადღაც გაუჩინარდა. ეტყობა, საკუჭნაოში შეყოვნდა.

როცა დაბრუნდა ცალ ხელში ლუი ამსტრონგის ფირფიტა ეჭირა, მეორეში კი ჩემი მიცემული ორმოცდაათმანეთიანი. აი, შენ ბიძიკო, შენი საყვარელი ფირფიტაო, მითხრა და თან სიტყვებით: — ამით კი ველოსიპედი „არლონოკი“ იყიდეო, ჩემი მიცემული 50 მანეთიანი ფირფიტას „დაბავკასავით“ დააყოლა. მე დავიმორცხვე, თავი ჩავლუნე და ვუპასუხე: — არ მინდა ბიძია, მე მათხოვარი არ ვარ-მეთქი. მან ბრძნული სახით შემომხედა და დასძინა; მათხოვარი რომ იყო არ მოგცემდი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი იზრდები და ამიტომ გჩუქნიო. მხარზე ხელი გადამდო, მაღაზიის კარამდე მიმაცილა, თმაზე მომეალერსა და სიტყვებით: — ჯაზი მუსიკის მეფეაო, გზა დამილოცა. კი არ მოვდიოდი, გზაში მოვფრინავდი და ვხვდებოდი, რომ რალაცა ძალა ხელს უწყობდა ჩემს ფრენას. მერე მივხვდი, ეს ის სიკეთის ტალღა იყო, რომელიც ჯაზის მოყვარული ებრაელის კაცობამ გამოიწვია, ჩემი ბავშვური აზროვნებით მივხვდი, რომ ამ ტალღის შეჩერება მარტო ჩემზე არ შეიძლებოდა, მეორე დღიდან ჩემს უბანში ჩემივე ველოსიპედზე დაჯდომის რიგში ვიდექი, ხოლო ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩემნაირი გაჭირვებული ოჯახებიდან გამოსული ბიჭები პატეფონს ვატრიალებდით და სულგანაბულნი ვუსმენდით ლუი ამსტრონგს, ნათქვამია, ადამიანი მიყვება დროს და არა დრო ადამიანსო ...

ერთ დღესაც ჯაზის მოყვარულმა ებრაელმა თავისი ლამაზი სული უფალს მიაბარა. მე კი, ერთ ხელში ყვავილებით და მეორეში მის მიერ ნაჩუქარი ფირფიტით მარტოდ-მარტო გარინდული ვიდექი მის საფლავთან. ვერ გეტყვით, ებრაელი, რომელიც „დამპალოს“ სასაფლაოზე განისვენებდა, გრძნობდა თუ არა იმ სიკეთის ტალღას, რომელიც შხეფებად დაიღვარა ჩემს სულში, მაგრამ ღმერთის წინაშე ერთი რამის თქმა შემიძლო, რომ ამ ტალღის შხეფები ჩემზე არ შეჩერებულა...





მაია ცუბუკაძე

### ბატონების დედა

მისი ნამდვილი სახელი არავის ახსოვდა. „ბატონების დედას“ ეძახდა მთელი სოფელი. რა თილისმას დაატარებდა ეს ქალი, კარგად არავინ უწყობდა, ერთი კია, ყველა — დიდი თუ პატარა, მისი სახელის ხსენებისასაც კი მოკრძალებული პატივისცემით იმსჯელებოდა.

— „ბატონების დედა“ მობრძანდებო, — შემოგვესმებოდა თუ არა, უმალ ვწყვეტდით თამაშს, ცელქობას, ჩხუბს, ჭამას, რითაც არ უნდა ვყოფილიყავით დაკავებულნი, თავს ვანებებდით და გულათრთოლებულნი ჩვენდაუნებურად ვირინდებოდით.

მე ასე მეგონა ბავშვობაში, მარტო ჩემს სოფელში კი არა, მთელი სამყარო იცნობდა და ეთაყვანებოდა „ბატონების დედას“.

სულ მუდამ შავი. კოჭებამდე დაშვებული, ნაოჭასხმული კაბა ეცვა. პატარა შავ შუბლსა-ბურავს დიდი თავსაფარი უფარავდა. მხრებზე გადმოშვებული, თქომდე დაფენილი, ტანმჩატედ დადიოდა. თავჩახრილი, თანაბარი აუჩქარებელი ნაბიჯებით. ყველასაგან გამორჩეული სახე ჰქონდა. თავისი ასაკისთვის გასაოცარი სითეთრე და უჭკნობლობა. თუმცა? ღიმილი... ღიმილიც კი არასოდეს შემინიშნავს ნალველით მოცულ ულამაზეს სახეზე. დარდი გამეფებულყო მის გარეგნობაში, სიარულსა და მზერაში.

შავის გარეშე არასოდეს მენახა, ამბობდნენ

კი, ვისაც ბატონები შეეყრება და მის სმენას მისწვდება, დიდ ხონჩას გაამზადებს, ნითელ სამოსს გადაიცვამს, ნითელ თავსაფარს ნამოიფარებს, ფეხზეც ნითელს მოირგებს და ისე ეახლებო. მაშინ სულ სხვა ქალიაო — მხიარული, არსმენილად საამო ხმით მომღერალი, ტანმჩატედ, ლამაზად მოცეკვავეო. ხონჩაზე კი მისი ხელით შექმნილი ისეთი საოცარი ჩიტები აწყვიდა, გეგონება სადაცაა გაფრინდებიანო. ზოგჯერ, თუ თედოს ჩაცილებულ მზინვარე ნანნავსაც გაიშლის, მთლად ზღაპრულ ქალს ემსგავსებო.

როგორ ვნატრობდი, ღმერთს სულ ვევედრებოდი, ბატონები შემხვედროდა და ეს თილისმიანი ქალი ჩემს სახლში მისულიყო თავისი საოცარი ხონჩითა და ნითელი სამოსით.

ახლა ვიცი, ბატონები ჩვეულებრივი ინფექციური დაავადებაა, რომელიც განსაკუთრებით ნერვულ სისტემას აღაგზნებს და ალიზიანებს, მაგრამ მაინც ბოლომდე არ მჯერა. ეს, ბავშვობისდროინდელი წარმოდგენა ღრმად ჩამბეჭდია გონებაში.

პატარაობისას კი, ბატონები ხან ქარივით მოარული ადამიანი მეგონა, ხან დიდ ქურქ-მოხვეული დათვი, ხან უჩინარი ჭინკა, წყლის თმაგაშლილი ალი, თუ ნიმფა და რა ვიცი, რამდენი რამ, რომელიც თუ ბავშვს სხეულში შეუძვრებოდა და მას ბატონივით ყველას სურვილს არ აუსრულებდნენ, საშინელებებს დაატრიალებდა.

შვიდი წლისა ვიქნებოდი, ნატვრა რომ ამის-რულდა.

ღამით რაღაცამ გამომადვიდა. უკუნი სიბნელე იყო. ჩემს სხეულზე დაფენილმა მჭადისფქვილისებრმა ხორკლებმა ძალიან შემაშინა და — დედა, დედა-მეთქი, ხმამალლა ვიყვირე. შემფოთებული ნამოვარდა დედაჩემი, — დამშვიდდი, ცუდ სიზმარს ნახავდიო, — გულში ჩამიკრა.

— სიზმარი კი არა, ქალო ნახე, ტან-ფეხზე რაღაცები გამომსვლია-მეთქი, სასწრაფოდ ანთო შუქი და — უი, რადა ვარ ცოცხალი, ეს რა დაგმართნია, ჩემო სიცოცხლე, მოგიკვდა დედაშენიო, — იყვირა. მე, კიდევ უფრო შემეშინდა.

მამა შინ არ იყო. ბებიამ გაიღვიძა, დამხედა და მაშინვე ხელები აღაპყრო ზეცისკენ;

— ნუ გეშინია, ქალო, ვენაცვალე იმის სახელს, ნითელა ბატონებს უკადრებია ჩემი ლუტუნია ბიჭი. სახე და მთელი ტანი ატმის ყვავილივით დაუფოთლავსო.

ხომ სულ ვნატრობდი, ბატონები შემხვედროდა, მაშინ კი ძალიან შემეშინდა და ხმამალლა ავტირდი. იმ ღამით სიცხემ ორმოცამდე ამინია, ვაბოდებდი, ათასი საშინელება მელანდებოდა.

ორი დღე ცუდად ვიყავი. სიცხემ არა და არ დამიკლო. დედა სასთუმალს არ მოშორებია. ხელაპყრობილი გამუდმებით ლოცულობდა და დედას აფრთხილებდა: — ცრემლი არ ნაქცდეს, ბატონებს ეწყინებო. შენუხებულს, უცებ რაღაც გაახსენდა, სახე შეეცვალა და გახარებულმა ხმამალლა გვამცნო:

— იმე, ბეჩა! აქამდე რავა არ მომაგონდა, ბოშო, საგარეო ნაღები საწოლთან დამიდე, კაი ჯოხი მომიძიე, დილით უთენია ნავალ, „ბა-



ტონების დედას“ შევეხვევინები, გვინახულოს, არ დაგვზარდება, ის აუცილებლად გვიშველის, რამ გამაჩერჩეტა ამხნის ქალი, აქამდე რაფერ არ მევიფიქრეო.

იმ ღამეს, კიდევე უარესი, მთელი სხეული მეწვოდა სიცხისაგან, რა აღარ მეღანდებოდა, უკუნ სიბნელეში მეგონა თავი.

დიდი ხნის ბორგვის შემდეგ წვალეებით ჩამეძინა, თუმცა თავის ტკივილი და საშინელი ზმანებანი არ გამწვლავია.

— „ბატონების დედა“ მობრძანდებო — ჩამესმა ძილბურანში და თვალეები ვჭყიტე.

პირველად დიდი, ლამაზი ხონჩა შემოვიდა კარში, თან შემოჰყვა წითლით მოსილი, თილისმიანი ქალი.

— არ გაფრინდნენ, არ წავიდნენ, ჩქარა, კარი ჩაკეტეთ-მეთქი, — პირველად ეს ვიყვირე.

დედას ეგონა ისევ ვაბოდებდი, მე კი ხონჩაზე ფრთებგამოღილი ჩიტების გაფრენისა და საყვარლად დასკუპებული ცხოველების გაქცევისა შემეშინდა.

შემოვიდა სიმღერით წითლით მოსილი ქალი:

„ამ ბატონების დედასა, ნანა ნანი ნაო, დაუდგამს ოქროს აკვანი, ნანა ნანი ნაო, შიგ უწევს პატარა ბიჭი, ნანა ნანი ნაო, თმა ხუჭუჭ გადავარცხნილი, ნანა ნანი ნაო,“

ღმერთო, რა ხმა იყო!

მერე მირთმეულ სკამზე ჩამოჯდა, ჩონგურს ჩამოჰკრა, აახშიანა:

„ოქროს აკვანს გადაგიწვევ, დიდო ბატონოო, ტკბილ ივანანას გიმღერებ, ნანა ბატონოო, ხონჩას მოგართმევ სულ სავესეს, აჰა, ბატონოო, გულს ნეტარებით ავივსებ, კარგო ბატონოო, ნანა, ნანა, ნანი-ნანა ნანა, ბატონოო.“

სულგანაბულნი ვუსმენდით, არც მანამდე, არც მის მერე არასოდეს მსმენია ასეთი ხმით ნამღერი. ყველა, რა თქმა უნდა აღარ მახსოვს. ბებო მეუბნებოდა, სიტყვებს ზოგჯერ იქვე იგონებსო, სხვადასხვა ბატონებთან სხვადასხვანაირად მღერისო.

საამო სიმღერები სევდიანმა, გულისამათრთოლებელმა შეცვალა. ააკვნესა, აატირა ჩონგური:

„ოქროსკულულა ფერია, შენ ვინ გიმღერა ნანაო, შენმა პანანა სხეულმა, ნეტა სად დაივანაო, უმანკო სულმა მოძებნა ბინა

ღვთისმშობელთანაო, ანგელოზებმა გიმღერეს, ალბათ მანდ სულთათანაო...“

კვნესოდა ჩონგური, ტიროდა „ბატონების დედა“

„ბაცაცუნა, ციცქნა გოგო, გენაცვალოს დედაო,

ღრომ წამითაც ვერ გამიქრო შენეული სევდაო,

მენატრები, ველარა ვძლებ, საყვარელო შვილოო,

მამის გულს ჩახუტებულო, პანანინა ჩვილოო.“ ტიროდა დედაჩემი, ბებია, ჩიტები და კურ-

დღელ-ბაჭიებიც ტიროდნენ, ცრემლებს ვეღარ ვიკავებდი მე. შენიშნა ეს „ბატონების დედამ“ და უმალ დადუმდა. წუთშივე იცვალა სახე, გახალისდა, აცეკვდა, ტანმჩატედ, ნარნარად, ცეკვას სიმღერა ააყოლა: — „ამ ბატონებს უხარია, ჩონგური და ტკბილი ნანა, ნანა ნანა, ნანი-ნანა...“ — მხიარულობის კოცონი დაანთო ისევ.

„შვიდი და-ძმანი დავდივართ, ნანა ნანი ნაო, შვიდ სოფელს მოვეფინებთ, ნანა ნანი ნაო, ჩიტიც არ აგვიფრენია, ნანა ნანი ნაო, არც კაცი მოგვიწყენია, ნანა ნანი ნაო, ნანა ნანი ნანაო, ნანა ბატონოო“,

მღეროდა წითლით მოსილი ქალი, ცეკვავდა, ცეკვავდნენ ხონჩაზე ჩიტები, ბაჭიები, ციყვები, ვხარობდი მე, ხარობდა ჩემი ოჯახი. არ მინდოდა მალე გასულიყო დრო, სულ ჩემთან მინდოდა ყოფილიყო „ბატონების დედა“.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რა აღარ გადამხდა თავს. ვიხსენებ, მაგრამ ასეთი გამორჩეული, სევდიან-სიხარულიანი დღე არასოდეს მქონია. სადღაც გაიპარა საშინელი ტკივილი, მომეხსნა სიმძიმე, გამინელდა სიცხე, ავმსუბუქდი, გავხალისდი.

და იცით კიდევე რა სასწაული მოხდა იმ დღეს?

ნაშუადღევს, ჩემს აივანზე, ბევრი, ძალიან ბევრი მერცხალი მოფრინდა. აჟღურტულდნენ, აჭიკჭიკდნენ და ისეთი მხიარულება გამართეს, მეც ცეკვა-თამაში მომინდა. ჩემმა ჩიტებმა, ხონჩაზე მოხალისე ჩემმა ლამაზმა, საოცარმა ჩიტებმა და მერცხლებმა თუ მოიზიდეს ის დალოცვილები, თუ „ბატონების დედას“ მოჰყვენენ? არ ვიცი, ერთი კია, მას მერე ჩვენი სახლის აივანი ლამაზი ბუდეებით აივსო.

რამდენჯერ განიზურახეს აივნი ამოშენება, სისრულეში ვერასოდეს მოიყვანეს — ყოველთვის იმ დღეს იხსენებდნენ ბატონები რომ მქონდა. აბა, ჩემს მკურნალ მერცხლებს საზაფხულო კერას ხომ არ მოუსპობდნენ?

უკვე ტკივილგაყურებულს, დაამებულს, გამოთხოვებისას შუბლი დამიკოცნა „ბატონების დედამ“ და ჩუმად ჩამჩურჩულა: — აი, ამ სამ ჩიტუნას, ჩემს პატარა გოგონას თუ აჩუქებ?“

— მიმანიშნა ხონჩაზე განცალკევებით დასმულ ფრთანითელ ჩიტებზე.

მე ძალან გამიხარდა თუ რაიმეთი ვასიამოვნებდი თილისმიან ქალს და, კი მეთქი — სიხარულით დავუქნიე თავი.

— ასეც ვიცოდი, არ იუარებდი, შენ ძალიან კარგი ბიჭი ჩანხარ. ეს ჩიტები ბატონებს რომ გადაგილოცავენ, რახან შენ თანახმა ხარ, თავად გაფრინდებიან ჩემს გოგონასთან. შენ კი დღეიდან სულ არაფერი მეტკიცებო.

მოიხარა და კიდევე ერთხელ მაკოცა.

გული ჩამწყვიტა მისმა წასვლამ, კედლისკენ გადავბრუნდი და წინა დღეების ნაშფოთვარს მალე ჩამეძინა. ტკბილი, სასიამოვნო ზმანებანი ზღაპრებივით აფარფატდნენ თვალწინ...

გავიღვიძე თუ არა, ბებოს ვკითხე:

— შვიდი და-ძმანი ვინაა-მეთქი და, ბებომ, — შვიდი ბატონებია შვიდი და-ძმანი: ქუნთრუშა, ჩუტყვავილა, სურდო-ხველა, წითელა, ქარამ-



ნიფა, ყბა-ყურა, და, მეშვიდე?... მეშვიდე დამვი-  
წყებია მე მინდასაყრელს, ქე მინც „ბატონების  
დედისათვის“ მეკითხო. ცოტა ხანშივე სიხარუ-  
ლით წამოიძახა: ყვავილ-ბატონებია მეშვიდეო,  
დიდი ყვავილი, ნამეტანი მკაცრი ბატონებია, თუ  
გაბრაზდა დაილოცა მისი სახელიო.

„ბატონების დედამ“ განკურნა და ოჯახში  
სიხარული დატოვა. მისი სიტყვები გამართლდა.  
ჯანმრთელი ბიჭი გავიზარდე. ისე ოდნავ თუ  
რაიმე წამომტკივდებოდა, თორემ სერიოზულად  
ავად არასოდეს გავმხდარვარ.

რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, გავიზ-  
არდე, სრულიად შევიცვალე, დავცოლმეილდი,  
თმა გამიჭალარავდა, „ბატონების დედა“ კი ისევ  
უცვლელი, უბერებელი იყო. იგი მუდამ მონი-  
ვნების მომგვრელ საოცარ ქალად დარჩა ჩემს არ-  
სებაში.

თუმცა მთავარი ჯერ კიდევ არ მითქვამს.  
მთავარსა და სევდიან ამბავს, ჩემს გულში რომ  
ღრმად ჩაგუბებულა, ახლა გიამბობთ.

რა მომასვენებდა, „ბატონების დედას“ გოგ-  
ონას შესახებ რომ არ გამეგო და ცნობისმოყვა-  
რეობით შეპყრობილმა დედას ვკითხე.

— ბებომ იცის ყველაფერი კარგად, ბებო  
გიამბობსო, — მითხრა დედამ.

და იმ საღამოთი ბებოსგან გავიგე:  
ულამაზესი გოგო ყოფილა „ბატონების  
დედა“ მეზობელ სოფელში მცხოვრები. მისი  
სილამაზე ზღაპრად დადიოდა თურმე. სი-  
ყვარულის უთქმელ ზღვაში იხრჩობოდნენო  
ვაჟები. ჩვენს თანასოფელს გიგას უმარჯვნივ,  
„ოქროსხელება გიგას“ შეურთავს ცოლად ზღა-  
პრული ქალი. ხისა თუ ქვის, რკინისა თუ თიხ-  
ის, ოქროსა თუ ვერცხლის მესაიდუმლე, ბრგე  
ვაჟკაცს დაუპყრია მისი გული.

გაცნობიდან მეორე დღეს, ისეთი ლამაზი  
გულსაბნევი, ნატიფად გამოყვანილი ბეჭედი  
და საყურეები გაუგზავნია, თან შეუთვლია: —  
„ნუხელ, მთელი ღამე შენზე ფიქრში და ამათ  
კეთებაში გავატარეო,“ ქალი ისე მოხიბლულა,  
მაშინვე ცოლობაზე თანხმობა განუცხადებია.

ბედნიერი ცოლ-ქმარი ყოფილან ღვინისა თუ  
ჭირში. კარგა ხანს დადიოდა თურმე ხალხი მათ  
საცქერლად. გარეგნობით მომხიბვლელთ ცეკ-  
ვა-სიმღერაც გამორჩეული სცოდნიათ.

ჯვრისწერიდან წლის შემდეგ ქალიშვილი  
შეეძინათ. დედ-მამის სინატიფე და სილამაზე  
ბავშვზეც გადასულა. ოქროსფერკულულებიან  
გოგონას დედ-მამის სიყვარული გაუათკეცე-  
ბია...

ნითელა ბატონები შეპყრია სამი წლის  
ბავშვს. რვა დღე უცოცხლია, მეცხრე დღეს გარ-  
დაცვლილა. სიმღერაში, დედ-მამის მოფერებასა  
და ტიტინში მიჰპარვია სიკვდილი.

— მე უნდა გავფრინდე, დედიკო! შენი გა-  
მომცხვარია, ეს ლამაზი ჩიტბატონები გამატანე  
და კიდევ, მამიკოს გაკეთებული თოჯინები,  
მერეც, ასეთი ჩიტები იქ კიდევ გამომიგზავნე, —  
ამ სიტყვებში დალია სული...

სასაფლაოზე ათენ-ალამებდა თურმე, გონ-  
წართმეული დედა.

ერთი წელი შინ ჩაკეტილა, გარეთ აღარ გა-

მოუხედავს მამას.

წლის შემდეგ, პატარა საფლავზე, გაო-  
ცებულ ხალხს, ფეხზე მდგომი მათი ლამაზი  
ოქროსფერკულულებიანი, მოკლეკაბიანი გოგ-  
ონა უხილავს. ჰო, მამის მიერ სხეულ და სულ  
შთაბერილი, სამი წლის ბავშვის ქანდაკება...

ერთი კვირის შემდეგ შვილის გვერდით  
დაუმარხავთ უბედური მამა. დედას კი...

იმის შემდეგ, „ბატონების დედას“ რამდენი  
ცრემლი დაუღვრია, რამდენი ღამე უძილოდ  
გაუთევია, ყინვასა და სიცხეში რამდენჯერ  
ჩასძინებია გოგონას საფლავთან ჩახუტებულს,  
არავინ უწყის... ეს ამბავი შვიდი წლის ბავშვს  
კი არა, დიდსაც ნაღველს მოჰგვრიდა და ჩემს  
გულს უდიდესი კაეშანი დაანვა.

ფეხზე წამოვდექი თუ არა, ჩემს თანატოლ  
ბიჭებს ბებოს ნაამბობი სიტყვა-სიტყვით გა-  
დავეცი და გადავწყვიტეთ ჩვენი უბნიდან კარგა  
მანძილზე დაცილებულ სასაფლაოზე მეორე  
დღესვე გავპარულიყავით, ჩვენივე თვალთ  
გვენახა ლამაზი, ოქროსფერკულულებიანი  
გოგონას ქანდაკება.

სასაფლაოსთან მიახლოებისთანავე დიდი  
შიში ვიგრძენით, მაგრამ ერთმანეთს თვალე-  
ში შეჩერებულვებს, ხმამაღლა არც ერთს არ  
გამოგვითქვამს ჩვენი განცდა.

ფეხაკრეფით, შიშით მოვიარეთ უხეშკი-  
ნაშემოვლებული მდუმარე საფლავები და... ერთ  
ადგილზე პირდაღებულნი შევჩერდით.

ფეხზე იდგა გოგონა, შორიდან მოგვეჩვენა,  
რომ გვიღიმოდა. გრილოდა და თავზე თხელი,  
პატარა ნითელი თავსაფარი ეფარა. ქარი უფრი-  
ალებდა თავსაფრის ყურებს და მის ქვეშ მხრე-  
ბამდე დაყრილ კულულებსაც. ჰო, ოქროსფერი  
კულულებიც ირხეოდნენ ქარში...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე — ახ-  
ლოს მივიდეთო — ნაგვრჩულა ჩვენზე ცო-  
ტათი უფროსმა ბიჭმა, ნინ წავდგით ნაბიჯი, და  
ღმერთო! მოცინარ სახეზე ცრემლი უკრთოდა  
გოგონას, თვალს ქვემოთ ერთადერთი მბრწყ-  
ინავი ცრემლი და... ჩემი ჩიტები, მაღალ ბუჩქზე  
ხონჩით დატოვებული სამი ფრთანი თელა ჩიტი  
აქ მოფრენილიყო...

„ქვის გოგონა“ შევარქვით, თუმცა ქვისა  
რა ჰქონდა. მეტყველი სახე, მეტყველი ღიმილი,  
ქარში შერხეული ოქროსფერი კულულები, აფ-  
რიალებული, ნაოჭებასხმული მოკლე კაბა და  
ცრემლი, ერთადერთი, მბრწყინავი, ხან სიხარუ-  
ლის, ხანაც მწუხარების ცრემლი...

მე მიყვარდა „ქვის გოგონა“. არ ვიცი რა იყო  
ეს სიყვარული, სადაც ვიყავი, ყველგან თანმდევ-  
და, მენატრებოდა მისი სახე, რამდენჯერ, ქარსა  
თუ თოვლიან უკუნ ღამეებში, ზნელით მოცულ  
სასაფლაოზე, ხმელი ტოტების ლანა-ლუნსა და  
შორიდან მოტანილ ცხოველთა ყმუილის ხმაში,  
მარტოდ-მარტო მყოფი გოგონას შეშინებული  
სახის წარმოდგენისას ძილი გამკრთომია და  
შიშსა და ნუხილში რა აღარ მიფიქრია.

რამდენჯერ მიკაცნია თვალეებში, პატარა  
ლამაზ თითებზეც, და არასოდეს, არასოდეს მი-  
გრძენია ქვის სიცივე...

თვალის დახამხამებაში გაილია წლები. მამა



თბილისში გადავიდა სამუშაოდ, მე და დედაც გავყევით. ბებია დარჩა სოფელში მარტო.

დავინწყებას მიეცა ბევრი ბავშვობისდროინდელი მოგონება.

„ქვის გოგონა“ კი მუდამ ცოცხლობდა ჩემს მეხსიერებაში. საოცარია, მასთან მიახლოებისას ყოველთვის პატარა ბიჭივით მიცემდა გული, პატარა ბიჭად ვგრძნობდი თავს.

რამდენჯერაც სოფელში ჩავსულვარ, იმდენჯერ მინახავს, მოვფერებვარ, მივალერსებვარ ოქროსფერკულულებიანს. ხშირად მიმიტანია ყვავილები, კანფეტებიც... მინახავს ის გოგონა ზაფხულში თხელი, წითელი თავსაფრით. ზამთარში თოვლივით თეთრი, თბილი ქუდით, ქუდს ქვემოთ დაყრილი ოქროსფერი კულულებით. მინახავს როგორ აცმევდა „ბატონების დედა“ თბილ ქურქს ყინვაში, ისიც, სევდიანად რომ ებაასებოდა. მაშინ ჩუმად, ყელში ცრემლმომბჯენილი ფეხაკრეფით გავბრუნებულვარ უკან...

განგებამ კიდევ ერთ სევდიან დღეს შემასწრო. მეგობართან ერთად მივდიოდი სოფელში. ბებია ცოცხალი აღარ იყო. სამანქანო გზიდან შორიდანვე შევნიშნეთ სასაფლაოსკენ მიმავალი სამგლოვიარო პროცესია.

მანქანა შევაჩერე. თვალს ვერ გაანვდენდი, უწყვეტ ნაკადად მიემართებოდა ხალხი.

გული შემიქანდა, ვინ უნდა ყოფილიყო?!

არავინ ჩანდა სამანქანო გზაზე. საჭეზე ხელები დავაყრდენი და თავი ჩავხარე. ნაბიჯის ხმამ ისევ ზემოთ ამახედა. მანქანას ხელებში დიდთაიგულჩაბლუჯული პატარა ბიჭი უახლოვდებოდა.

სარკმელიდან თავი გადავყავი და, ვინ დაილუპა-მეთქი, გადავძახე სირბილით მომავალ ბავშვს.

— არ იცი? — წამით შეყოვნდა, გაკვირვებულმა შემომხედა, ჩვენს „ბატონების დედას“ ასაფლავებენ! — თითქოს გულიც თან ამოაყოლა სიტყვებს და უკანმოუხედავად დაეშვა თავქვე, სასაფლაოსაკენ.

ჩვენს „ბატონების დედას“!!!

მე ვერ გადმოგცემთ რა განვიცადე, ბავშვობა დამიბრუნდა თითქოს წუთიერად:

„ჩიტ-ბატონები ენვია ბატონებს  
მერცხალთ ჭიკჭიკი აამებს ბატონებს,  
ბულბულთ გალობა დაატკობს ბატონებს,  
ბიჭს უვნებელად დასტოვებს,  
დაიძინეთ ბატონებო, ნანა ნანა ნანი ნაო!“

ამომიტივტივდა გონებაში საოცრად სასიამოვნო ხმა და ტკივილიანმა თრთოლვამ გული დამიჩხვლიტა. ახლა სხვა გზით გაფრინდა ფიქრი. იქნებ იმ ბიჭსაც ჩემსავით უყვარდა „ქვის გოგონა“ და გულზე მიყუდებული ლამაზი ყვავილები სანახევროდ მისთვისაც მიჰქონდა...

მეგობარმა შემარხია, — რა გემართებაო.

მხოლოდ ორი სიტყვა ვუთხარი:

— ჩვენ იმ ქალის საფლავზე მივალთ, შენ იქ საოცრებას ნახავ!

და იცოდა რა ჭრილობები იხსნებოდა ჩემს გულში.

ხვალ ყველაფერს გაიგებს, ჩემს

მონათხრობს პირველად ის წაიკითხავს და ყველაფერს მიხვდება...

არა, ჯერ არ დამისრულება.

...ორნი მივდიოდით მდუმარე საფლავებს შუა.

შორიდანვე შევნიშნე ახლადბურცული მიწა. ისიც, „ქვის გოგონაც“, ასე მხიარულად მოცინარე არასოდეს მინახავს. ალბათ, დედის მიახლება ახარებდა პატარას.

რკინის გისოსებს გარედან ვუცქერდით დიდხანს.

ჩემმა თანმხლებმა მოკრძალებით შეალო სასაფლაოს კარი. გოგონას მიუახლოვდა, ჯერ თმებზე მიუს-მოუსვა ხელი, მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და... ცრემლი „მონმინდა“!

შემომხედა. გაოცებულ, გამაოგნებელ მხერაში უსიტყვოდ ყველაფერი ამოვიკითხე...

ჩემი მეგობარი ხელოვანი კაცი იყო...

დიდხანს ვიყავით მდუმარედ საფლავთან.

აოცებდა „ქვის გოგონას“ შემქმნელის გენია. „ცოცხალი ქანდაკება“ ხომ ნებისმიერი მუზეუმის ტაძრის გასაოცარი მშვენიერება და განუმეორებელი შედეგია იქნებოდა.

ასეთი გენიის მშობელ ერს დალუპვა არასოდეს ენერა.

იფიქრებდნენ კი, ოდესმე, მუზათა ტრფი-ალნი, რომ იმერეთის ერთ ძნელად მისასვლელ სოფლის შორეულ სასაფლაოზე სულჩადგმული ქვის საოცრება იდგა.

თუნდ ეფიქრათ, თუნდ ენახათ, შეელე-ოდნენ კი, სოფლის მკვიდრნი, სამი ადამიანის ცოცხალ მატთანეს? „ქვის გოგონა“ ხომ უკვე მათი საკუთრება იყო, საკუთრება, რომლის ამბავი ალბათ, მომავალ თაობებს ლამაზ ლეგენდად გადაეცემოდა.

— და ეს ლეგენდად ქცეული სიმართლეც ქართველთა დიადი თავისთავადობა იქნებოდა...

ნოტიო ჰაერი იგრძნობოდა სასაფლაოზე. შემოდგომის ცივი ქარი დაძვრებოდა ხეებსა და რკინის გისოსებს შორის.


ასეთ ამინდში თავზე ეფარა ხოლმე „ქვის გოგონას“, ახლა კი?...

ჩემი კაშნე მოვაფარე, ყელთან გადავუჯვარედი, უკან, დიდი მზრუნველობით ფრთხილად გავუნასკვე.

როგორ მოუხდა...

მეგობარმა გამილიმა და ისევ უსიტყვოდ, მრავლისმეტყველად დიდი მადლობა მითხრა...





## ირასკლი ფაღაველი

\*\*\*

მხოლოდ ქარი ღრიალებს უსასრულო ძახილით, შემოდგომის მახვილი აპობს თეთრ როიალებს. უშედეგოდ ტრიალებს ისტორიის მარხილი, ტირიფივით დახრილი ჩვენი დროშა ფრიალებს. რომ განგმირვის სურვილით, გაბზარული ნავეებით იმედებში გავები, ტროფობით შემობურვილი. უბადრუკი წყურვილი ცარიელი თავების ჰგავდა შემოღამებას საუკუნო დუმილით.

\*\*\*

ძველ ადამიანს მოკვეთეს თავი...  
ძველი ცნებების დაიმსხვრა კლიტე.  
განქარდა ცაზე ღრუბელი შავი,  
სხივად დაეშვა სიმშვიდით ქრისტე.  
თანამედროვე ინყება ერა,  
სიბრძნე თავისას ყოველთვის იზამს.  
ადამიანის სავსებით მჯერა,  
რომ ის ოდესღაც მიაღწევს მიზანს.

\*\*\*

ინაპერნკლებს გუმბათზე დილის ნამის ბროლი,  
გაზაფხული გადივლის ელვისებურ ქროლვით.

პულსს უჩქარებს ბუნება, სუნთქვას ჯერ  
არ ნახულს,  
რკინის ისრით დავამარცხებთ გოგირდოვან  
ზაფხულს.

მზე მოთაფლავს კიდობანს ბრინჯაოსფერ  
მშვენიით  
და სიმნიფით იფეთქებს შემოდგომა ჩვენი.

დავასვენებთ ზედაპირს, თოვლის ზენრით  
გამთბარს,  
ბალდახინით ფიფქების გავაცილებთ ზამთარს.

\*\*\*

გათენდა. ღამემ გაინოვა ქუჩის ბოჭემა  
და როიალის მოღრიალე შმაგი მიზეზი...  
ასობით სული გადაყლაპა წინა მორევმა,  
მაგრამ გაცოცხლდა დილის სხივი უფაქიზესი.  
გათენდა. თითქოს გაჯანსაღდა სულის ნაწილი,  
სად უსარგებლო რომანტიზმის ძველი ბადეა...  
გათენდა. გონში დაიბადა სულ სხვა არწივი,  
გზის ბოლოს დიდი სინათლეა, სიდიადეა.

\*\*\*

სულს რადგან შენი აზრი გონება  
შემეცნებისკენ დაუგეშია,  
ნუ განუდგები შენ ამ სამყაროს,  
ლადგან ის სრულად, მუდამ შენშია.  
დადგება დრო და წამი ისეთი,  
როცა გაცვდება ფრაზა: მე მშია!  
ნუ განუდგები შენ ამ სამყაროს,  
რადგან მასში ხარ და ის შენშია.

## დაცემული ანგელოზი

ის მუდამ სარკაზმულ აფორიზმს ამბობდა,  
ანგელოზთ სხდომაზე ეთერი გათიშა  
და როცა დიდების მწვერვალზე აბობლდა,  
ზეციურ კარებზე გააკრა აფიშა,  
რომ თითქოს ღვთისაგან ებოძა ფუნქცია –  
მოაწყოს ამბოხი და რევოლუცია.



ნატიფი ფრაზებით, თანაც სინაზეთი  
სუყველა მოთაფლა სიტყვებით უღევი.  
მან მთავარანგელოზს ესროლა გაზეთი  
და ბოლოს, მამა-ღმერთს უწოდა სულელი.  
მას შემდეგ, საბრალო, ისროლეს მინაზე,  
დაეცა, ადგომა არ გაუადვილდა.  
თვალეები აღაპრო ზეცისკენ წყლით სავსე,  
შემდეგ კი ტკივილით ძლივს გადაადგილ-  
და.

ზემოდან გალობა ისმოდა ქორალის,  
ამას კი აღარ წერს, რატომღაც, ბიბლია.  
აქ მხოლოდ ერთია სიბრძნე და მორალი,  
რომ ვინაც მამაა, იგივე შვილია.  
მე ერთი შეკითხვით მოვდივარ, როდესაც  
ვკამათობთ ამაზე, წელია რამდენი.  
რას ფიქრობთ: მამა არ იბრუნებს ოდესღაც,  
თავის შვილს, მონყალე სიბრაზით  
განდევნილს?

\*\*\*


იყო ათასგვარ აღმაფრენის წამი საამო...  
ფიქრი მრავალი, გარინდება განმარტოვებით.  
იყო მატინე, ფოიერვერკი, ცეკვა, სალამო,  
იყვნენ ქალები გაძარცული ხმელი რტოებით.  
იყო გემებით მოჭედილი ტალღის ნაპირი,  
მისტიურობით გაუღენთილი ლამის დეკადა.  
მოდრიალეებდა შესახვერებად ჩქარი ვამპირე,  
მაგრამ ამავე დროს იყო დგომაც შეუდრეკადად.  
დინჯი ალღუმი, გვირილების მსხმოიარობა,  
ხშირი ლოცვისგან პირგამმრალი მწირი, სნეული.

შორით ვანილის აფუტებდნენ ჯანსაღ არომატს  
და იდგა ცოდვის სურნელება ხორცისეული.  
მინებზე, ცრემლზე დაფენილი ფერი ნოტიო,  
იყო ჭრილობა, შინდისფერი სისხლი, შპაგები.  
საშუალო ნიჭის გენიები სწოვდნენ ოპიუმს,  
ქარი კი გლეჯდა სიმფონიებს სხვა გაშმაგებით.  
იყო სითბო და ძუძუ-მკერდი დედის მკლავებში,  
იყო ვნებათა, ოცნებათა ფერადოვნება,  
ლორდთა კოშკები მოკაფე ცად ვარსკვლავებში,  
იყო ბავშვური სიზმარიც და იმედოვნება.  
ეს მოხდა გვიან სალამოჟამს, როცა სახლები  
წვრილ ფანჯრებიდან ანათებდნენ ჭუქს  
მოციმციმეს.

ჩვენ შორს ვისხედით, ყრუდ გვწვდებოდა  
ყუფა ძაღლების.  
გარე გვმოსავდა ღვთაებრივად თბილი სიცივე.  
რადგან სხვა არის, რაც იხილა მზერამ  
სიბერის,  
სხვა შეხვედრაა, რაც იხილეს ბინდში  
თვალეებმა...

იყო ღიმილი ტრაგიკული... იმ ლიუციფერის,  
რომელს ეწერა სიმშვიდე და იდუმალეობა.  
იჯდა ამაყი, მრავალწლიან ჩემში მდგმურობით,  
თვალთ ბრწყინვალეებით, მაგრამ ბაგეთ  
ფრთხილად მდუმარე.  
ან სიმაღლეებს გადმოვყურებ მედიდურობით,  
ან სიმაღლეთა აღარა ვარ უცხო სტუმარი.  
ჩემს ჩრდილში ჩადგა იგი, ვითარც რამე სალამო  
და ბედნიერი ვიყავ ცნობით თავის ასეთით.  
იყო ათასგვარ აღმაფრენის წამი საამო,  
მაგრამ უწმინდეს შემეცნების მსგავსი  
არც ერთი.





კორნი  
ქუციანი

## იძულება მონაღიხა

ლამის ორ საათზე ბესო სხვის სახურავზე იდგა და მესხ ელოდებოდა. ორშაბათს -მა უფულო, მაგრამ ზარმაც რეჟისორ ბესოს არტ-კლიპი დაუკვეთა - "ფოტოგრაფი ჭექა-ქუხილში".

"სამართალმა პური ჭამაო. არა-და ჩემსავით კაი ხნის მშვიერია. თან მცივა. მიდი რა, დაუგრუხუნე... არ გინდა?! ასეთი ნახევარფაბრიკატი ლირიკული სიუჟეტები დასპირტული ღვინოსავით მძულს, მაგრამ ამ ათასმა დოლარმა გემოვნება შემიცვალა, ვიდრე არ გამოიღევა. მიდი რა, დაუგრუხუნე... როგორ უნდა გიჭირდეს, ჭექა-ქუხილსა და შარაბიძეზე იყო დამოკიდებული".

2:05. მძინარე ქალაქს ყოველდღიური ღამე ჰქონდა მისჯილი - ბაზრის მხრიდან ორი ლოთი საქმიანად მოფორთხავდა; შეყვარებული შეყვარებულის ფანჯერასთან გიტარას და მეზობლებს ასირინადებდა; სასწრაფოს მძლოლი ოთხჭიქიანი ყანწით ბენზინს მათხოვრობდა, თან, რატომღაც, ჰიტლერს აგინებდა; მშვიერი ფუცანა ძალი ფუცანა კატას ხიდან ჩამოთრევას ევედრებოდა; რამოდენიმე ათასი ალტკი-

ნებული სპერმატოზოიდი იტალიური პორნოგრაფიის სარეკლამო გამტიხვრას აქტიურად აპროტესტებდა.

ცხრანაირად შეფუთული ბესო კი უმთვარო ღამეში ცხელი კაკაოს მზეს ფიცულობდა.

"ცხელი კაკაო, სოკოს ღვეზელი. არ მეყოფა. ერთი თასი სოკოს ღვეზელი, სავსე თერმოსი ცხელი კაკაო და 2-3 ცალი სკანდალური ელვა. მეტი არაფერი. მერე - სამოყვარულო არტ-კლიპების ფესტივალი კოპენჰაგენში, ან მილანში. მთავარი პრიზი - მისტერ ბე-სო ბე-რიძე! არტ-კლიპი "ელვებზე მონადირე". არა, სათაურს პოეზია აკლია, ძალიან მუშურ-გლექურია. "მე და ღამე" - ძალიან პოეზიაა. "ათას მეორე ღამე" - ეროტიკა... ცხელი კაკაო და სოკოს ღვეზელი მინდა. ცხელი კაკაო და სოკოს ღვე-ზე-ლი. აი სათაური! თავმდაბლობის გარეშე - გენიოსი ვარ! ძეგლი! დაჯილდოვების ცერემონია მიჰყავს შარლიზ ტერონს. არა, ლეტიცია კასტა სჯობია. მიჰყავს ლეტიციას: "ბესო, იქნებ აგვიხსნათ, საიდან მოვიდა ასეთი ეგზისტენციალური სათაურის იდეა?". მე რაღაც ჭკვიანურს დავახეთქებ, მოვხვევ ლეტიციას ხელს და სასიმინდის უკან... კოპენჰაგენში რომ სასიმინდეები არა აქვთ! სასტუმრო არაპოეტური, მუშურ-გლექურია... მაშინ - ქარის წისქვილების უკან. გარსია ლორკას წავუკითხავ ესპანურად და - "ესო, I'm ცოლდ". ვისაც ცივა და შია - ცხელი კაკაო და სოკოს ღვეზელი.

სად ხარ ლეტიცია?

მე სახურავზე ვარ, მცივა და მენატრები. ელვა, შენ მაინც სად ხარ?"

2:15. ცა სატირლად ემზადებოდა, ოღონდ არ წვიმდა. ოთხმოცი წლის მოხუცი რომ ზრდილობისათვის გააპუებს, ისე ნაიქუხილა ერთი და გაჩერდა, ვითომ წაცდაო. უამინდობით დადლილმა ბესომ სამ საათზე ღრუბლებს მშრალი კანონი აგინა, თუმცა უშედეგოდ. მერე ააფურთხა და ოდნავ ააცილა... საკუთარ თავს. ეს ერთადერთი ნალექი იყო, რაც იმ ღამეს მოვიდა.

"ხვალ გვერდით სახურავზე გადავალ, იქედან უფრო სერიოზული გამოვა. ნახევარ საათში ცდა მომბეზრდება. გიხაროდეს, შარაბიძე! არა-და სულ მაგის ბრალია, მთელი დღე ყვავივით ჩხაოდა - არ იქნება ელვა, არ იქნება ელვაო. და მართლა არაა! იყოს კარგი დრო - კუდიანობისთვის კოცონზე დავავიჩინებდი, მერე ძვლებისაგან საპონს გავაკეთებდი, თუ საერთოდ არ გადავყრიდი".

შარაბიძეს რომ მოესიყვარულა, უფულო, მაგრამ ზარმაცმა რეჟისორმა მთელი არსება ფოტოკამერას უძღვნა. თავი სნაიპერად წარმოიდგინა და მეექვსე მცნების დასარღვევად "ოპტიკური სამიზნე" მომართა. დამიჯერეთ, ქალწული უფრო ადვილი საპოვნია ნიუ-იორკში, ვიდრე ვინმე გზააბნეული 3:10-ზე ჩვენს



ქუჩებში. ვისაც არ სჯერა, ცარიელი კუჭით დამძიმებული მარტის კაპარჩხა ნაშუალამევს სხვის სახურავზე ავიდეს ნანათხოვარი ფოტოკამერით.

ბესოს ეგონა ნახატს ათვალეერებდა. "ერთი, რაც მოძრაობს-ჩემი სისხლია, მეორედედამინა. ირგვლივ ყველა ფანჯერა ჩაბნელებულია, "ნაჩნიკიც" არავის დარჩა ჩართული, მძინარე ოთახი რომ დამეთვალეერებინა. დავუშვათ, ჩვეულებრივი ხალხი ახლა ხვრინავს, მაგრამ ვამპირები?... მარტო კინოში არიან? მშვენიერი ღამეა, გამოვიდნენ, მთვარეს სისხლი დააღვეინონ. მე - გავერთობი, თვითონ - დანაყრდებიან... დანაყრდებიან?! ხახვში მომწვარი, მწვანელებით მონათლული შამპინიონი ღვეზელში...".

და უცებ - მოპირდაპირე სახლის აქამდე უინტერესო ფანჯერა ამ წინადადებიდან აღარ იყო უინტერესო. ბესოს სამ წამში დაავინყდა ცხელი კაკაოთი სავსე თერმოსი, დრაკულა თავისი ავადმყოფი ფრანკინშტიინებით და ღერძის გარშემო მოტრ(ფ)იალე დედამინა.

ახალგამოღვიძებულ ოთახში შემოვარდნილმა წყვილმა ველური აკაუჩების პირდაპირობით "მე შენ მიყვარხარ" დაიწყო ჯერ ტუჩებში. ფარდა დანიშნულებას არ ასრულებდა, თამაშგარეში ეკიდა. ობიექტივის ფანჯერასთან დაახლოების პროპორციულად იზრდებოდა ბესოს... ნერწყვის გამოყოფა. ის, რაც ახლა იფიქრეთ, ამის შემდეგ იზრდებოდა. 3:30-ზე რუბიკონი გადაილახა და არათუ ჭექა-ქუხილი, მთვარე ორთავე დათვთან ერთად რომ ჩამოვარდნილიყო, ბესო ცალი თვალის მომცდენიც აღარ იყო. მით უფრო, როცა ქალში ყოფილი თანაკურსელი - მარია - შეიცნო.

იყო დრო, ბესო სულსაც გაჰყიდა, ოღონდ მარიას მოესურვილებინა, თუმცა, რატომღაც, გოგოს უფრო მატერიალიზებული მოთხოვნილებები ჰქონდა და თეორიული პოეტიკა არ აინტერესებდა. ქალაქში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა მარიასაგან გამობოაბაბება, ის კი კვლავ რომივით ამაყი და ტროასავით აუღებელი რჩებოდა. მეორე კურსზე ტროა მოხულიგნო ავტორიტეტ "ჩაქუჩას" ისე დანებდა, ხის ცხენი საჭირო აღარ გამხდარა. გავიდა ათი წელი და "ილიადისაგან" განსხვავებით მარია-ტროა ხელმერამდენედ აიღეს ბესო უკვე ველარ გიპასუხებდათ. აშკარაა, ტრიუმფატორი ჩაქუჩა-აგამემნონი არ იყო.

ფარდა დანიშნულებას ახლაც არ ასრულებდა, კვლავ თამაშგარეში ეკიდა. მარიას პარტნიორის "ჩამოკიდებული" პირიქით, ლივეში ოფსაიდების გარეშე მუშაობდა და თან აქტიურ პრესინგს მიმართავდა. ბესოს თავში კი ერთი ველური აზრი მნიფდებოდა თანდათან...

11 საათისთვის გაიღვიძა. ღამის შოუს გახსენებამ რეჟისორს ხმამაღლა ერთადერთი

რამ ათქმევინა - "რაც მოგივა მარია, იცოდე, შენი ბრალია", მერე ცას ახედა და ჰიდრომეტცენტრის მომგონი მოთხარა. ზარმაცმა ბესომ იმდენი მოინდომა, წვერის გაპარსვა-თავის დაბანა ერთი-მეორის მიყოლებით მოახერხა. დედამისი თვალებს არ უჯერებდა.

ზუსტად 15:00-ზე ზარი დარეკეს. ამ ბინის შესახებ ორადორმა ადამიანმა იცოდა, ორთავეს გასაღები ჰქონდა, თან რომეო სალამომდე ვერ დაბრუნდებოდა. მარიამ დამწვრობის სუნი იგრძნო, მაგრამ კარის გაუღებლობა არც უფიქრია. გზააბნეული მეზობლის მაგიერ რომ ყოფილი თანაკურსელი შერჩა, მიხვდა - ჯერ უნდა ეფიქრა. ბესოს უაზრო შესავლები არასოდეს უყვარდა, ამიტომ მიკითხვ-მოკითხვის შემდეგვე ათიოდე ფოტოსურათი გადასცა. ზემოთნახსენები დამწვრობის სუნი პირველივე ფოტოს შემდეგ ჩიკაგოს დიდ ხანძარში გადაიზარდა. სტუმარი ღვთისააო-სმენოდა მარიას, ოღონდ ამ სტუმარს ღვთიურობის არაფერი ეტყობოდა! ბესო უკვე ნაცნობ ზალა-ოთახში შეიპატიჟა. ქალი გარე სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ისე იქცეოდა, თითქოს, საოჯახო ალბომს ათვალეერებო. ბესომ ძველი დრო გაიხსენა, წამიერად გამობოაბაბდა - მარია ახლაც კი ამაყ, დიად რომს ჰგავდა, მართალია ვესტგოთებისაგან ოდნავ შეურაცხყოფილს, მაგრამ მაინც რომს.

- რამდენი? - თავაუწველად იკითხა ქალმა. წამი გავიდა. ბესო განბოაბაბდა.
- რამდენი რა?
- მეშაყირები?! ფული რამდენი?!
- ფული არ მინდა!
- მარიამ იკადრა და თანამოსაუბრეს ახედა.
- შენ ფული ყოველთვის გინდოდა, ბესო...
- ოღონდ დღეს არა!
- მაოცებ. და გისმენ.
- კარგი... კვერცხი უნდა შემინვა... შიმველმა...

ახლა მარია გამობოაბაბდა. ვერ გაეგო, "ეშაყირებოდნენ" თუ არა, მაინც ანერვიულდა. რომი პირველად ემსგავსებოდა საცოდავ პროვინციულ სოფელს აღმოსავლეთ რუმინეთში.

- ბიჭო, შენ... -შეშფოთებული, უფრო კი შეურაცხყოფილი ქალი უშედეგოდ ეძებდა საჭირო სიტყვებს.
- მარია, იცი, მიყვარდი, მაგრამ შენ ისეთი შეუგნებელი და პატივმოყვარე "სტერვა" იყავი, ჩემნაირს კაცად არასოდეს აღიქვამდი. გეგონა, იმიტომ ვარსებობდი, შენთვის ყოველ წელს საკურსოები მენერა? რატომ მიყვარდი აქამდე არ ვიცი...

არა, თუ შემოთავაზება არ მოგეწონა, მე ახლავე წავალ. - ბესო წამოდგა - ეს გქონდეს, მე კიდევ დავბეჭდავ.

- და...
- აბა, სამი ცდიდან თუ მიხვდები?
- უფულო რეჟისორმა არ იცოდა, მის ერთ



დროს საოცნებო ქალბატონს თუ ასეთი "ჩუგუნი" ლექსიკონი ჰქონდა. ამკარად "ჩაქუჩას" გავლენა გამოკრთოდა კი არა, პირველყოფილი სიმშაგით მოთხლიშინებდა. შემდეგ ზაფხულის წვიმისავით მოულოდნელად გადაიღო. გვარიანად დასველებული ბესო ისევ დაჯდა, შიშველი ტაფამწვარის პერსპექტივა უკვე ნელ-ნელა იკვეთებოდა. "ჩაქუჩა" რომ ძალიან ეჭვიანი და თავისებურად მოსიყვარულე ქმარი იყო, მთელმა ქალაქმა იცოდა.

410 ნელს ვანდალების ბელადმა აღარისმა პირველად აიღო რომი.

მარიამ პირობა სრულად მიიღო, შესაბამისად ბესოც სრულად გამობაობაბდა. სამოსისაგან განძარცვული ქალი სატაფამწვაროდ გამშვენებდა. თავისი გულის ფეთქვა ასე გამაყრუებლად ბესოს ჯერ არ სმენოდა. მზარეულის ყოველი მომდევნო მოძრაობა წინაზე გრაციოზული იყო, თუმცა მკვეთრ ტანთხევეებს შეძლებისდაგვარად ერიდებოდა. შიშველი ქალები ბერიძეს არასოდეს უკვირდა, არც კი ახსოვს როდის "მოინათლა", მაგრამ ახლა მარია ჯუჯებში ფიფქიად გამოჩნდა, ან რომაელ პოეტებში-ვერგილიუსად. ბესო ბაობაბზე თანდათან ჰკარგავდა კონტროლს და მალე საკონტროლო პაკეტსაც დაბრუნების იმედის გარეშე დათმობდა.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რას უზამდა რომს ოდოაკრი 476 ნელს. ასე დაინგრა ლეგენდა ამაყ, ოდესლაც ყოვლისშემძლე მარადიულ ქალაქზე.

დამცავ გარნიზონს წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, კარობჭე თავად გააღო და ბრძოლამონყურებულ ვესტ-გოთს უსახელოდ ჩაბარდა. ასეთ ტრიუმფს ადრენალინი აკლდა, გამარჯვებას-სიხარული. ეგონა, საოცნებო რომი კი არა, განჯა აიღო. განჯას აღება რად უნდოდა.. მარიას უსიცოცხლო სახეზე სოლომონ ბრძენიც ვერაფერს წაიკითხავდა. ქალი ცდილობდა ბესოს ნაკლები სიამოვნება მიეღო. ასეც მოხდა. მერე, მშვიდად ადგა და ხალათი მოიცვა.

- მე შენ მოგკლავ. - ისე თქვა, თითქოს ფერადი სიზმრები უსურვავო.

ბესომ ხუმრობად ჩათვალა,

- როდის?

- შეიძლება დღეს, შეიძლება გაისად, მაგრამ აუცილებლად მოგკლავ. - ფოტოფირი ჯიბეში ჩაიღო - იქედან გადაიღე?

- აი, იმ სახურავიდან. ელვას ველოდებოდი და დღესაც დაველოდები, ოღონდ აღარ გადაგიღებ, ჩვენს კონსტიტუციას გეფიცები.

- ნადი!.. ნაეთრიე, ავადმყოფო!... გისურვებ ცოცხლად დალპე, ნელ-ნელა.

- მირჩევნია შენ მომკლა, მარია..

მარიამ გააბოლა, კვლავ გუშინდელი ფოტოდისლოკაციის ადგილს ათვალეირებდა.

- ეს ერთადერთი თხოვნაა, რომელსაც შენ-

ნაირ ნაკაცარებს უსრულებენ.

ხმის ამოუღებლად დაშორდნენ. ბესო, ვითომ, შეეცადა, მაგრამ ქალის თვალებმა ყველა სურვილი დაუკარგა. "ვარ თუ არა დამნაშავე? არა! იჯდეს სახლში და გამოაცხოს სოკოს ღვეზელი. ალბათ, არ იცის. ამიტომ რაც იცის... მისია შესრულებულია მათი თხოვნით, ვისაც გული ატკინე. უბრალოდ, ბესოს გაუმართლა.

თითქოს, ოცნება ავიხდინე, არა-და დასახვრეტად მიმავალი ბაბუაჩემი უკეთეს ხასიათზე იქნებოდა. ათი წლის წინ მარია იყო ჩემი ყველაფერი- ჰაერი, წყალი, სიზმარი, მიზიდულობის კანონი, მწვანე ჩაი, სან-ფრანცისკო, ბალახის ჰოკეი... დღეს კი ყველაფერი ეს ერთად გავაბაობაბე. მარია არ შეცვლილა. მე? რატომ დაბოდიშალობს გვერდზე-გვერდზე? ყოფილიყო წყნარად, ეჭორავა დაქალთან... ახლა მეც მშვიდად ვიქნებოდი... არ აენტოთ სინათლე, ვითომ ბნელში ვერ მიაგნებდნენ?! ან ფარდა... ყველაფერი მაგათი ბრალია - მე ლენინივით სტერილური ვარ. სახლები რამ დალია, ამას არ მიხტომოდნენ".

2:05. მძინარე ქალაქს ისევ ყოველდღიური ღამე ჰქონდა მისჯილი - ბაზრის მხრიდან უკვე სამი ლოთი და ერთი კალისტრატოვიჩი მოფორთხავდა; შეყვარებული შეყვარებულის ზალაში ოთხ ჭიქიან ყანწთან მარცხდებოდა, გუშინ გამოსირინადებული სასიამორო კი - "თუ ბიჭი ხარ, ახლა იმღერეო" - აძალებდა; სასწრაფოს მძლოლი ჩელებადის ქუჩას ეძებდა და რატომღაც, სიდედრს აგინებდა; დანაყრებული ფუცანა ძალლი ფუცანა კატის ძვლებს მეექვსე საათია ინელებდა; სიახლის გარეშე მხოლოდ რამოდენიმე ათასი აღტკინებული სპერმატოზოიდი ვერ ისვენებდა და იტალიური პორნოგრაფიის სარეკლამო გამტხივრას ჩვეული აქტივობით აპროტესტებდა.

ცხრანაირად შეფუთულ ბესოს ცხელი კაკოსათვის აღარ ეცალა... საცაა ცა კონონადას დასცხებდა. შეპირებული ათასი დოლარი ბანკნოტების ფორმას იღებდა, ცნობილი სოკოს ღვეზელიც ზურგჩანთაში იდო. ბესოს ბედნიერებას 5 წუთი უკლდა. როგორც იქნა, ცამაც გააპუა, ჯერ მსუბუქად. წინა სალამონდელი ფოტო-ადგილი შარაბიძესთან თათბირის შემდეგ მეზობელ სახურავზე გადაიტანა. მარიას ფანჯერას ახლა სხვების მსგავსად ეძინა.

შემდეგ ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. მარია ჩრდილივით მიეპარა. ცა სკოლაში წასასვლელი პირველკლასელივით ემზადებოდა. რეჟისორმა მობილურზე ნომერი აკრიბა.

-სამწუთიანი მზადება: ვმუშაობთ გეგმის მიხედვით! იცოდე, შენი იმედი მაქვს.

კაცი სახურავის კიდესთან მივიდა, თურმე, არ უნდა მისულიყო. როცა შემოტრიალდა, მარია დაინახა, შიშს დიდი თვალები აქვს. დაბ-



ნეულმა ქალმა ხელი ინსტინქტურად ჰკრა. ასე გადაფრინდა... შარაბიძე - მოთხრობაში ყველაზე წესიერი ადამიანი და არტ-კლიპის ოპერატორი. დამინებამდე "შარამ" ერთი გაიფიქრა, რას მერჩოდო... მეტზე დრო არ ეყო. არანაკლებ გაკვირვებულმა მარიამ "შემოქმედებას" გადმოხედა. "ნეტა, ვინ იყო? თუმცა ახლა რა მნიშვნელობა აქვს. ბესო, ყველაფერი შენი ბრალია!". მოეჩვენა - ზეცა ცოდეილ ქალაქს ბომბავდა. ჭეჭა-ქუხილი ჟანრის საუკეთესო ტრადიციების თანახმად გრგვინავდა. გვერდით სახურავზე აღმოცენებული ბაობაბი კი მორიგ სკანდალურ სერიაზე მუშაობდა - "კოქტილი "სისხლიანი მარია"".

"ეეეეეჰ!

სად ხარ ლეტიცია?

მე კვლავ სახურავზე ვარ, მცირა და მენატრები.

მგონი, კოპენჰაგენში ვეღარ გნახავ... ვერც მილანში... მხოლოდ სიზმარში... მაპატიე...".

ბესოს თავში ძალიან ველური აზრი მნიფდებოდა თანდათან...

3:45.

## მე, ჩახა და ჰოსიონი

2005 წლის 31 აგვისტოს ვეღარ დავიხრჩვი, ამიტომ ამ მინიატურას ვუძღვნი კახას

ამბობენ, როცა კაცი კვდება, მთელი ცხოვრება თვალწინ ჩაურბენსო. ახსენდება დედა, ზოგჯერ - მამაც, ახსენდება კბილის ტკივილი, პირველი კოცნა და პირველი ხელფასი, მარწყვის ტორტი, საყვარელი ლექსის ფრაგმენტი... ეს ყველაფერი - დიდი სიაფანტობაა, დიდი სიაფანტობა.

როცა ვკვდებოდი, ერთადერთი აზრი, რაც ჩემს ნათელშუბლიან თავში ჭრიალებდა, იყო - რა მინდოდა ზღვაში, თუ ცურვა არ ვიცოდი. ღმერთო ჩემო, რა იდიოტური და უაზრო სიკვდილია... თან ეს მლაშე წყალიც რომ ნერვებს მიშლის... თან მისი თხლუმპვაც რომ არ მსიამოვნებს... რა მინდოდა ზღვაში...

ჰოროსკოპის თანახმად კუროებს "აქტიური დასვენება" გვქონდა გამოწერილი. ახლა მომცა მაგის შემდეგნელო...

არა და, სიცოცხლე ახლა მწყუროდა. უკიდურეს შემთხვევაში, სიკვდილიც შეიძლებოდა, ოღონდ არა ასეთი ტრივიალური. სად გავამხილო, ნაპირიდან ოც მეტრში დავიხრჩვი-მეთქი, სირცხვილი და თავის მოჭრა. ისე, რაც მართალი - მართალი, თავის მოჭრას ნაღდად ეს სჯობია. თუმცა ამ მიგნებას არანაირი შვება და

სულიერი სიმშვიდე არ მოუტანია. ოცი მეტრი მანძილად არასოდეს მიმაჩნდა, გინდ - იქეთ, გინდაც - აქეთ, სულ ერთია. მითუმეტეს, როცა გახსენდება, რომ მზემდე 150 000 000 კმ.-ია.

ნეტა, რატომ არ მახსენდება დედა, პირველი კოცნა ან მარწყვის ტორტი? როგორც მახსოვს, ეგოისტი თითქმის არასოდეს ვყოფილვარ და მარტო საკუთარ თავზეც თითქმის არასოდეს მიფიქრია. თუმცა, როგორც მახსოვს, აქამდე არც არასოდეს ვიხრჩვებოდი. კიდეც, მაგალითად, მახსოვს, ვფიქრობდი, რა ვითარებაში ნავიდოდი ამ ქვეყნიდან... ხელში სროლისაგან დამდნარი ტყვიამფრქვევი, ბეჭზე - დაჭრილი თანამებრძოლი, მარცხენა ფეხში ორი ტყვია, მთვრალი კუს ნაბიჯები. ბოლო გასროლა. სხვა დროს დავამატებდი, ჩემი მტრისთვის იქნა ბოლო-მეთქი, მაგრამ მართლაც ბოლოა. ჩემი მტერი კი ისევ ისვრის, მეც მესვრის. და მომკლა, როცა ჩვენების პოზიციამდე ისევ ის ავადსახსენებელი ოცი მეტრი მრჩებოდა... ალტერნატიული ვერსია: მე და ის ღამით ვბრუნდებით. რა აზრი აქვს საიდან, ან რა აზრი აქვს სად. მთავარია, რომ ოთხი ჩუჩმეკი დაგვხვდა, თავი დაგვაყაჩაღებინეთო. ჯერ მარჯვენა დავამუჭე, მერე ისევ მარჯვენა, მარცხენაც. მგონი, ნიხლიც იყო, მაგრამ... მაგრამ ერთმა დანიანმა იმარჯვა. მერე გაიქცნენ და ჩვენ დავრჩით მარტო. მერე იმდენი სისხლი დავკარგე, ისიც მარტო დარჩა და მეც. მანამდე ბევრი მეფერა, უფრო მეტი იტირა, თუმცა...

სინამდვილეში კი - მე უკანასკნელი მონღოლივით მევსება ფილტვები მარილიანი წყლით. ფილმის ასეთ საცოდავ დასასრულზე, ალბათ, ჰიჩკოკიც თვენახევარი იფიქრებდა.

ერთი დღით ადრე მცოდნოდა მაინც, მოვემზადებოდისავით. არ დავკლავდი იმ ქათამს, არ დავლევდი იმდენ ღვინოს, უფრო ჩახუჭუჭებულ სადღეგრძელოებს ვიტყვოდი, ერთ კარგ, მაგრამ ბოლო, ლექსს დავწერედი, მამაჩემს დავურეკავდი, დედას უფრო მეტ ხანს დაველაპარაკებოდი, იმ გულის მეფეს აღარ ვატარებდი და პრემიაზე გავიდოდი, მის საჩუქარს დაბადების დღემდე ვიყიდოდი და მერე ბიჭები გადასცემდნენ, დიურენმატის ნიგნს ჩავიკითხავდი და ჩემებურ ფინალთან შევადარებდი, ბოლოს-ბოლოს კი - ან ცურვას ვისწავლიდი ან ხვალ საერთოდ აღარ ჩავიდოდი იმ შავ შავ ზღვაში.

იმის გამო, რომ მომდევნო დღის "მარგალიტების" შეცნობის ნიჭი არ მქონდა, წინა დღეს ყველაფერი ზედა წინადადების საწინააღმდეგოდ გავაკეთე, ანაც გამომივიდა. ეეეეჰ! ნოიმიანის ფონდის საკონკურსო თემის გამო სამი ღამე არ მეძინა. თურმე, მიდი რა, დაიძინე. შედეგებსაც კი ვერ მოვესწარი...

თუ ასეთი უსაშველო-უშამშველო მჭირს და



ხსოვნაში აუცილებლად ახლა უნდა გადავსახლდე, ზეციერებას მაინც შევიგრძნობ უშუალოდ. დედამინაზე მატერიალური სუბსტანტიის ფორმით არსებობისას არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ რაც კი ხდება, ყველაფერი უკეთესობისკენაა მიმართული, ამიტომ ჩემი ბიოლოგიური სიცოცხლის ისტორიულ ცაიტნოტში არ შემეძლო სავარაუდო პერსპექტივების შესახებ არ ჩავფიქრებულყავი.

ზეციურ სიტუაციაზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობდი. საწყალი ჩემი სული... ორმოცამდე სახლში იქნება, მერე, ალბათ, ავა. წარმოიდგინეთ, თუ ყველას სული ამაღლებას ექვემდებარება, რა უნესრიგობა უნდა იყოს ზევით? ან იქნებ, პირიქით. წესით, რადგან სული მალღდება, მსუბუქია და სადღაც აირადიც. შესაბამისად, იქ არ იქნება ქარები, რომ არ დაფანტოს ან თავის ნებაზე არ აფრინოს უკვე ისედაც გარდაცვლილები. ფიქრიც არ მინდა იმაზე, რომ დახრჩობისთანავე ყველაფერი დამთავრდება, ანუ მერე რომ ზეციური გაგრძელება აღარ იქნება, მერე რომ ვერაფერს შევიგრძნობ. ამ უსამართლობას უფალი არ დაუშვებს, მე ტყემლის ნორჩი ყვავილი ვარ, მარტის შტერულმა სუსხმა რომ მოუსწრო. ბოლო-ბოლო ჩემი ცოდვებისათვის მაინც მაგებიონ პასუხი. ოღონდ, ერთი რამე ყველამ იცოდეს, მაშინ ფატიმასთვის ბესოზე მე არაფერი მითქვამს, დედას გეფიცებით და ამ პუნქტისათვის პასუხისმგებლობას ნამდვილად არ ვაპირებ. ცოდვები ისედაც მყოფნის. ჩემი ადამიანად ფუნქციონირების პერიოდში ყოფიერების მრავალ სფეროში გადამიხვევია მართალი გზიდან, მაგრამ გენერალურად - თითქმის არასოდეს. ისე, არც ისეთი ცუდი ვარ, უფრო სწორედ, არც ისეთი ცუდი ვიყავი, როგორც ერთი ზერელე შეხედვით ჩანდა. მართალია, ცეცხლნაკიდებული სახლიდან მეზობლის ბავშვი არ გამომიყვანია, ან ტოტალიზატორში მოგებული შეჭირვებულთათვის არ დამირიგებია, მაგრამ კეთილი საქმეებისათვის მეც ვიხარჯებოდი. ჩემი ცხოვრების წიგნში "ზეციურ კანცელარიას", ალბათ, ყველაფერი აღრიცხული ექნება. სხვათაშორის, ამის იმედი მაქვს და არ გამიკვირდება დადებითი ბალანსიც რომ აღმომაჩნდეს. აუ, ხე იყოს ნეტა სადმე, სამჯერ დავაკაკუნებდი. არადა, ირგვლივ, თითქოს ჯინაზე, მხოლოდ ეს სველი მარილიანი წყალია. ისე, ზღვის მარილი იოდიზირებულია? ქვა მარილთან შედარებით, უპირატესობას ყოველთვის იოდიზირებულს ვანიჭებდი. ჩიყვს უხდება. ახლა კი - ჩიყვი მკიდია. გამოთქმისთვის ბოდიში, მაგრამ მჯერა, ამ სიტუაციაში გამიგებთ.

მე ყოველთვის მიყვარდა ჩემი დაბადების დღეები. რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ წლები მემატებოდა, რასაც მოარული ხმების თანახმად, ვითომ, დაჭკვიანება უნდა მოჰყოლოდა. ორი მიზეზი იყო. ერთი - მერკანტი-

ლური - საჩუქრები. მეორე - ამ დღეს განსაკუთრებულად კარგ რამეებს მეუბნებოდნენ, მისურვებდნენ და მხოლოდ სიკეთებს იხსენებდნენ. ამ დღეს ჩემი თავი მეც კი ანგელოსი მეგონა. ასეთი კეთილი, ნათელშუბლიანი, ზღაპარი პერსპექტივები, ასეთი ჭკვიანი... რომელიც სიცოცხლის ბოლო წამებს ხელების უაზრო ქნევაში ატარებს... წესით, გარდაცვლილებზე ან კარგს ლაპარაკობენ, ან საერთოდ არაფერს. დიდებული ჩვეულებაა. ჩემი გასვენებაც დაბადების დღის ფორმატში ჩაივლის, ოღონდ საჩუქრების, ცეკვა-სიმღერისა და ამნაირების გარეშე. სამაგიეროდ, ლამის წმინდანად შემრაცხავენ. არადა სამადლობელი ყოველთვის მშვენივრად გამომდიოდა...

მახსენდება, ბუნებით მოუსვენარი ვიყავი, ძილის დროს - ორმაგად. საწოლი ჰექტარნახევრიანიც რომ ყოფილიყო, მაინც გადმოვვარდებოდი. ერთხელ ვიხუმრე, დრაკულასავით კუბოში უნდა ვიძინებდე-მეთქი და... ერთ კვირაში ამიხდება. ამ მხრივ ნაღდად დავისვენებ. მე ასეთი ვარ - ყველაფერში პოზიტივს ვეძებ. არადა, ქრონიკულად არ მიყვარს ძილი, უფრო ძლიერ - უძილობა. დათვებს დავცინოდი. ისინი სამი თვის შემდეგ მაინც გამოიღვიძებენ...

მაგრამ კახას წყალობით ამ გამოსამშვიდობებელ მინიატურას განვრცობა არ ეწერა... არა! ოღონდ "წყალობით" არა...

მაგრამ კახას მეცადინეობით ამ გამოსამშვიდობებელ მინიატურას განვრცობა არ ეწერა.

ის ჩემი მეგობარია და როცა მისი მეგობარი უკვე პოსეიდონს ვეკურკურებოდი, თვითონ ნაპირზე ჭყუმპალაობდა - ქვიშის ციხე-სიმაგრეს ჩრდილოეთის კედელს უშენებდა. ძალიან სენტიმენტალურია, როცა დამინახა - შევეცოდე... შემდეგ, პირველი რაც ხმელეთზე მითხრა, იყო - "ვიცი, ბევრჯერ ვინანებ ამას, მაგრამ...". ხომ ვთქვი, სენტიმენტალურია-მეთქი.

მე კი, მისმა გულჩვილობამ ყველაფერი, რაც აქამდე დავწერე, წყალში ჩამიყარა. არა, არა! ოღონდ "წყალში" არა.





გულზე ყოვლისა

## ლუკა ლამე – მოხუცი და ძალი

როდესაც მიყრუებულ სოფელში წყვდიადი ჩამონვება, ისედაც უხმო მიდამოში სამარისებური სიჩუმე დაისადგურებს. გაისმება მიტოვებული ეკლესიის ზარები და მარტოხელა ძაღლის ამაზრუნე ყეფა-ყმუილი, მგლისას რომ წააგავს ძალიან. ყოველ ლამე ისმის ეს მწუხრისმომგვრელი ტირილი. ყეფა ხმამაღლა იჭექებს, ყრუანტელივით დაუვლის წყვდიადს და სადღაც შორს მინყდება, მიიმალება მომავალი გრძელი ღამის მოლოდინში. წყვდიადი აქ ლურჯი ფერისაა, უცნაურად იდუმალი. თვით იდუმალების ზღვარსაც სცდება ლურჯ ღრუბლებში მიმალული სავსე მთვარე, მის გარშემო რომ ანათებს წრიულად, გამოკვეთილია სიბნელეში. მეფური სილამაზით იწონებს თავს. ყოველ ლამე, მთვარის ფაქიზი შუქით განათებულ, გამხმარ ბილიკზე მისეირნობენ მოხუცი ქალი და მისი ერთგული ძაღლი.

არ მინდა ზედმეტი ახსნა-განმარტებები

დავინყო და პირდაპირ ვიტყვი, რომ ერთ-ერთ მიტოვებულ სოფელში, სადაც გამაყრუებელი ორლობები არ იყო, პატარა ხის ქოხში ცხოვრობდა გულკეთილი მოხუცი ქალი ბერტა. დიდი ხანია, რაც გარიყულიყო ყველასაგან, არავისთვის საჭირო. მას არ ჰყავდა ოჯახი, ხოლო ქმარმა ის ადრეულად დატოვა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბერტას ერთადერთი ხსნა, მიმი იყო — უერთგულესი პატარა ძაღლი. მოხუცი და ძაღლი ერთმანეთისთვის დაბადებულანო თითქოს, მიმიც არ იყო რამით განსაკუთრებული. ის იყო ჩვეულებრივი, პატარა ფინია. დაბალი, ოდნავ გრძელი სხეულით. თეთრი, შავი ლაქებით. აცქვეტილი ყურები ჰქონდა, პატარა, დახვეული კუდი კი მუდამ მხიარულად უქიცინებდა. „პატარა სხეულის დიდი გული!“ — ასე იტყოდა ბერტა. პატარა მიმი ყოველთვის ერთგულად და მამაცად იცავდა თავის მიდამოს მაშინაც, როცა ეს სრულიად არ იყო საჭირო. ხოლო თუ მასზე ზედმეტად დიდ თანამოძმეს დალანდავდა, შეუმჩნევლად უკლებდა ყეფას, მაგრამ თავი ამაყად ეჭირა, ლობის იმედი ყოველთვის ჰქონდა, რაც მთავარია, ამ ძაღლის პანია გულში დიდი სიყვარული ძგერდა და დღითიდღე იზრდებოდა. ძაღლი ბერტას ყოველ დილით დაჰყვებოდა წყაროსთან, დაულალავად დაცუნცულებდა მის უკან მუდმივად და, თუ ირგვლივ ვერავის დალანდავდა, ყეფით იმხნევებდა თავს.

ბერტა მეტად კეთილი გულის მოხუცი იყო, მიუხედავად გაჭირვებული ცხოვრებისა, უიღბლობას არ უჩიოდა. მოხუცს თეთრი თმა და მუქი თვალები ჰქონდა. პირისახე — კეთილი, მომღიმარი. ბერტა სიყვარულით ეპყრობოდა თავის პანია მიმის, იცოდა მისი ფასი. გულკეთილი მოხუცი ზოგჯერ უკანასკნელ ლუკმას იმეტებდა თავისი პატარა მეგობრისთვის. ჭეშმარიტად კეთილი ადამიანი, მეზობლებში სიყვარულით არ სარგებლობდა, მათ არ აინტერესებდათ უპატრონო მოხუცი, ძლივს რომ ირჩენდა თავს. უფრო მეტიც, არაერთხელ იყო მცდელობა, ეზოს ბავშვებს პატარა ძაღლისთვის ტკივილი მიეყენებინათ. ეს მათთვის ერთგვარი გართობა იყო. მიმის ხან ქვებს უშენდნენ, ხან კეტებით დასდევდნენ, ერთხელ ფეხიც კი მოტეხეს, როცა ცდილობდნენ თოკით მოეხრჩოთ. საცოდავმა ცხოველმა ძლივს დაიხსნა თავი და მოხუცს ამოეფარა. მან კი გულში ჩაიკრა მეგობარი, ერთადერთი, ვინც არ მიატოვა. ანუგეშა, რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ თათი მოურჩინა. რაც ყველაზე მეტად უყვარდა მიმის, საღამოხანს ბერტას კალთაში მოიკალათებდა ბუხრის წინ და უსმენდა მის მშვიდ ლაპარაკს. თუმცა არაფერი ესმოდა, ყურებდაცქვეტილი უსმენდა და შიგადაშიგ ქვემოდან უცქერდა დაჟინებით. ხელებს ულოკავდა საყვარელ პატრონს. ყველანაირად ცდილობდა მისი ყურადღება მიეპყრო, ეჩვენებინა თავი-



სი სიყვარული და ერთგულება. ჭეშმარიტად უყვარდა ის, რადგან არასოდეს გაეგონა მისი ოდნავ ანეული ხმა, არასოდეს ენახა წარბშეკრული. მისგან მხოლოდ ალერსი და სითბო მოდიოდა. ბერტას მთელი თავისი სიყვარული უხვად დაეთმო მისთვის, რადგანაც არ ყავდა არც შვილი, არც არავინ უფრო ერთგული. უყვარდა ერთადერთი, პატარა არსება. თავის სხეულთან შედარებით ის ხომ საკმარისზე მეტ სიყვარულს და სითბოს აფრქვევდა, სად იტევდა პანია გულში ამდენს? ილიმოდა ბერტა.

ბერტა პატივისცემით ეპყრობოდა ყველა იმ დანარჩენ პირუტყვს, რომელთა ხარჯზეც ცხოვრობდა და პირიქით, რომლებიც ცხოვრობდნენ მის ხარჯზე. მათ ერთმანეთის დახმარებით გაჰქონდათ თავი ცივ ზამთარსა და შემოდგომაზე.

გადიოდა დრო, თვე თვეს მისდევდა, გარბოდნენ წლები, ბერდებოდა და ბერდებოდა დრო, აბერებდა ყოველივეს. პატარა მიმისაც ძველებური ჯანი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც ცოცხლად იყო. ახლა მან უმატა ბუხრის წინ ძილს და ბერტასაც იშვიათად დაჰყვებოდა დილაობით წყაროზე, მაგრამ ყოველთვის სიყვარულით ხვდებოდა მას. სევდიანი, შენითლებული თვალებიდან უწინდელ სიყვარულს აფრქვევდა, არაფერი შეცვლილა. ყოველი დღე, როდესაც ის უახლოვდებოდა დასასრულს, მისი ერთგულება და ამის გამოხატვის სურვილი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ახლა თვალებით თუ გამოხატავდა უწინდელ სიცილქეს, მუდამ ცრემლმორეული თვალებით...

ბერტა ხშირად ცდილობდა არ შეემჩნია, რომ შეუძლოდ იყო, რადგან ყოველთვის, როცა ეს ხდებოდა, მიმი აუცილებლად მიიბრუნდა მასთან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ხელებს ულოკავდა და ანუგეშებდა.

ერთ საღამოს მიმი ბუხრის წინ იწვა. ბუხარი ჩამქრალი იყო, ციოდა, პატარა ძალი კი მის წინ ძველ, დახეულ ჩვარზე მორკალულიყო, ცახცახებდა. აღარც ახსოვდა, რომ მისი საყვარელი პატრონი შეშის მოსატანად იყო წასული. ანდა სად ჰქონდათ შეშა? უბრალო ნაფოტებითა და ტოტებით ანთებდნენ ბუხარს. მიმი ძილში კრთოდა, კანკალებდა. უცებ თავი წამოყო, ყურები დაცქვიტა, მერე კი წამოხტა და კარებს ეცა, გამწარებით დაუნყოფხა. მაგრამ ბერტა ბოლო დროს კეტავდა, რომ მიმი შორს არ წასულიყო ეზოდან. ძალი აფორიაქდა, ისტერიული ყეფა ატეხა, წრეებს არტყამდა, მალლა ხტებოდა. ბერტა დაღამებისას დაბრუნდა, მაგრამ არც ამან დაამშვიდა ბოლომდე ძალი. ის სიყვარულით შეეგება პატრონს, მიუალერსა, ხოლო მერე კი კვლავ აფორიაქდა. წრეებს არტყამდა და ავად ყეფდა, იღრინებოდა მკაცრად, კრეჭდა პატარა, ნემსივით ბასრ ეშვებს და თვალები უელავდა. ასეთი ავი ჯერ არასოდეს ენახა ბერტას თავისი პანია

მხეცი. ყველანაირად ეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ ძალი თავისას იყო. ბერტა ტახტზე წამოწვა, მერე კი მიმის გახედა, ის ისევ კარებთან იდგა, უფრო სწორად, ესლა იჯდა კარების წინ, რაღაცას ელოდა. ბერტამ ხელით უხმო მას, გაუღიმა — „მოდით ჩემთან, ჩემო პატარა ცუგა. მიმი, მიმი, მოდი აქ, რამ აგაღელვა, მიმი? დანყნარდი, მიმი, ყველაფერი კარგადაა, არავინ გვერჩის.“ — დამაჯერებლად ამბობდა მოხუცი. ძალი ოდნავ დამშვიდდა, პატრონთან მიიბრინა, სხარტად ახტა ტახტზე და ბერტას მუცელზე მოიკალათა, მანაც უწინდელივით მიუალერსა, მოეფერა, ხელები ზურგზე შემოხვია. თან ელაპარაკებოდა, არიგებდა, ისე, როგორც ადამიანს. მიმამ ხმადაბლა დაინკმუტუნა და ხელები აულოკა. ბერტას ხელები, როგორც ყოველთვის, გამხდარი და ცივი იყო. მერე ორივე დადუმდა. კარგა ხანს იწვა პატარა მიმი მის მკლავებში. მერე ჩუმად დააპირა ადგომა, მაგრამ ბერტამ აღარ გაუშვა. მეორედაც სცადა. ბერტა ისევ ჯიუტად აკავებდა, ხელი მაგრად შემოხვეოდა. მიმამ გაძრომა მოინდომა, მაგრამ გადაიფიქრა, აღარ უცდია. რადგან ბერტას სურდა ასე, საყვარელი პატრონის სურვილს არ შეენიანაღმდეგა.

კარგა ხანი იყვნენ უხმოდ, მიმის ელვიძა, არ ეძინა. პატრონის მდუმარე სახეს შესცქეროდა და მოუსვენრად ცქმუტავდა. გავიდა მთელი ერთი კვირა და, ალბათ, არც არავის ააღელვებდა მოეკითხა მოხუცი, რომ არა სუნი, რომელიც მალე მთელ მიდამოს მოედო სახლის ირგვლივ, ახლომახლო... სიკვდილის სუნი!

მთელმა სამეზობლომ მოიყარა თავი ბერტას სახლთან, მაგრამ შიგ შესვლა ვერავის გაუბედა. ფრთხილად შეაღეს კარი ბოლოს... ამაზრზენი სურათი დაუდგათ წინ! მოხუცი ბერტა ტახტზე ესვენა, მათ თვალწინ იყო ოდესღაც თბილი, სიყვარულით სავსე სხეული, გახრწნილი და დროისაგან შეჭმული. თეთრი კანი, გამხმარ ძვლებში ჩამდნარი, ძლივსლა იცნობდა კაცი. თმები ალაგ-ალაგ გასცვენოდა. ამაზრზენი სანახავი იყო თვალების ადგილას იდუმალი ბნელი სიღრმეები და საზარლად ჩამწკრივებული კბილები, ღიმილის იერსახეს რომ აძლევდა მიცვალებულს.

ამაზრზენი სურათით შეძრულებმა, მერელა შენიშნეს — ბერტას ჩონჩხარა ნეშტზე ესვენა უბედური პატარა მიმი, ისიც საცოდავად გაძვალტყავებული, გამხდარი, უსაყვარლესი პატრონის უსიცოცხლო, ცივ მკლავებში სამუდამოდ მიძინებული...





ვანსა  
იმერული

## ჩოხ ბეჩუაბინა

ცხოვრებაში ერთი წამი რომ მქონოდა ზედმეტი ჩემს სხეულს შუაზე გავაპობდი და დარდს ყინულზე გადავიტანდი...ლილებად მივაკრობდი ჩემს ფიქრებს ცას და მთავრეს მუხლებზე დავუწოქებდი. ერთი წამი ზედმეტი რომ მქონოდა, ჩემს ცხოვრებას სიყალბედ ვაქცევდი და იქიდან, საიდანაც ვერასოდეს მოვდიოდი უკანმოუხედავად გამოვიქცეოდი, მას ვაქცევდი ზურგს, ვინც სამყაროს კარს გამიღებდა და მერე თვითონვე სახეში მომიჯახუნებდა. დრო რომ მქონოდა, დავწვებოდი შიშველი და ფანტელებით მოვირთავდი გაყინულ სხეულს. ვარდებს დავუკოცნიდი ეკლებს და სისხლიან წვიმაში ვიცეკვებდი. ერთ წამში მოგიყვებოდი ჩემს ისტორიას და სიცოცხლის წყურვილს შენში მოვკლავდი. გულს გავუხსნიდი მთვარეს და სიმწრისგან შენს სახელს მოვიხმოდი, ჩემს შეცდომებს ლარნაკიდან გამომოვანყობდი და როიალს სონეტებად მივუძღვნიდი. გავიხსენებდი წარსულს და ჩემს შეცდომას იმის

სახელს დავარქმევდი. მოწყენილ თვალებთან მივიდოდი და გულში მაგრად ჩავიხუტებდი. თბილ ხელებს გულზე მივიკრობდი და ადამიანების სიზმრებს დაფუძარაჯდებოდი. აღარ დავუშვებდი შეცდომებს და ჩემში მის სინაზეს მოვკლავდი, ნალველს დარდში გავურევდი და მზეს სხივებად ვაჩუქებდი. ცხოვრებას ამოვხსნიდი და ჩუმად გამოვიპარებოდი დამნაშავესავით სამყაროდან.. დამნაშავედ ვიქცეოდი, მაშინ, როცა მის გამოჩენას, ცრემლების ზღვას შევადარებდი, დავითვლიდი ჩემთვის მოგდებულ წამებს და გულს ყინულად ვაქცევდი. ერთი წამი მაინც რომ მქონოდა ზედმეტი ყველასგან გამორჩეულად სწრაფად სიარულს ვისწავლიდი და შიშს გულში აღარასდროს გავივლებდი, სამსჯავროზე წარვდგებოდი, მაგრამ თავს აღარ გავიმართლებდი, თოქს ჩამოვიკიდებდი ხეზე და ჩემს სიკვდილს ცრემლიანი შორიდან გადმოვხედავდი, აღარაფრად ჩავაგდებდი სიცოცხლეს და საკუთარი ცხოვრების ანგელოზს მის სახელს დავარქმევდი, აღარ გავცვიტავდი ფრაზებს და გრძნობებს მზეზე გავალობდი. ადამიანებს თავის დახრის ძალას შევმატებდი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემდეგ წელში გამართულად სიარულს ისწავლიდნენ. ყველაფერს ლამაზს ზღაპარს შევადარებდი და რეალობას ფანტაზიასთან სიახლოვეს ვასწავლიდი. სამყაროს ქაოსს თბილ ნიავეს მივუახლოვებდი და ერთ ამოსუნთქვას ქარიშხლის ჩადგომას შევადარებდი... დიდ სამყაროში ციდა ბავშვი დავრჩებოდი და ოცნებებთან თამაშს ვისწავლიდი, გულში ჩავიხუტებდი ღრუბლებს და წვიმის წვეთებს მის ღიმილს შევადარებდი. დავიძინებდი მაშინ, როცა გადაღლილი სამყარო უთქმელად დახუჭავდა თვალებს და გავილიმებდი მაშინ, როცა მის ლანდს ჩემს სხეულთან მოახლოვებულს დავინახავდი. ყურში ჩავჩურჩულებდი ჩუმად მაშინ, როცა იმის სუნთქვის ბგერებს ჩემს გულთან ახლოს გავიგებდი. ერთი წამი რომ მქონოდა, ზედმეტს აღარაფერს მოვიინდომებდი, მივიდოდი მასთან და ერთი წამის წართმევის უფლებასაც აღარ მივცემდი





კოკა  
რაბარსკის

**შენთან ერთად გაღვიძება მინდა**

ნამი-ნამზე ეწვეთება ფრთხილად,  
დრო — ეპოქის გადასასვლას ლამობს.  
კიდევ ბევრი გათენდება დილა,  
კიდევ ბევრი დაღამების გამო...  
კიდევ ბევრი ათროლოდება გული,  
კიდევ ბევრი აფეთქდება კოცნა,  
ალიონზე წრფელი სიყვარული,  
სიყვარულთან გაიღვიძებს როცა...  
მე კი მახრჩობს დრო და ჟამი ხელი,  
მახრჩობს შენი მონატრება წმინდა,  
დამიბრუნდი, დედოფალო, გელი,  
შენთან ერთად გაღვიძება მინდა!!!

**თუ!**

თუ აქ მინში უნდა შეწყდეს ის ყველაფერი,  
რასაც სიცოცხლე მიმზიდველი ფერებით  
სახავს,  
ფარსი ყოფილა ყოველივე და არაფერი,  
რაც მინახია ცხოვრებაში და რასაც ვნახავ!

რალა აზრი აქვს წუთისოფელს მითხარით მა-  
შინ,  
უკვე დაცლილო სიყვარულით სავსე თასებო  
და საით მიქრის აწყვეტილი დრო-ჟამის რაში,  
თუ იქ, ზეცაში, უკვდავება აღარ არსებობს!!!

**ნუკრი**

მოპარულ აფთორის სუნთქვას ყურთან  
შეი გრძნობ როცა,  
კუნტრუშით მთვრალი ნუკრო შვლისავ შენი  
ღირსება,  
მიხვდება მაშინ რომ უბინო სიცოცხლე მორჩა  
და რომ ცხოვრება ულმობელი ახლა იწყება!  
როს ცოფიანი ჟინით ვნებას ჩამოადნები,  
როს თვალს გაუყრი ელამურად თვალში სიშლეგეს,  
მერე ლამაზო, ცრემლიანი ნულარ ადგები  
და ნურც ნურავის ნულარ ეტყვი სიტყვა  
„მიშველეს“...  
სიბილნის შემდეგ, აბა სევდას რალა აზრი აქვს,  
ან ცბიერებით გამარჯვებას მითხარ ვინ გაცლის,  
ჯობს ღირსეულად მიეგებო ყველა განთიადს,  
ნაკბილარევი რომ არ დაგრჩეს სადმე ვილაცის...  
შენი სიმარდით გააოცე ნუკრო — აფთრები  
და მე გპირდები ლომის ტრფობით გაიბადრები!

\*\*\*

დედამინაც მაშინ გაჩნდა, როცა ჩვენ დავიბადეთ  
და სამყაროს გამოჩენაც ამ წამებზე დაერთო,  
უშობელად აბა განა ვის არ ჰქონდა პირბადე,  
რომლის იქეთ აღარ სჩანდა არაფერი საერთოდ...  
მაგრამ ვისი პლანეტაც კი ჩვენზე ადრე შობილა,  
იმ წინაპრებს დაუფასოთ მოტანილი ჩვენამდე,  
ტრადიცია, რაც მათ გულის ცეცხლში  
გამონრთობილა,  
აფრენილი ღირსებიდან — მაღლა, ღმერთის  
რწმენამდე...  
და გადავცეთ იმათ ვისიც მინა ანი იშვება,  
რადგან მათაც გადაცემა მომავალზე ინებონ,  
თორემ ხედავთ დემონების ბუმი რასაც გვიშვება,  
ანმყოს ხიბლში გახვეულნო უკვდავების შვილებო!!!

**ტუ-ტუ**

ყელზე, ყელზე მომეხვიე ქალო  
და მითხარი, რაც კი რამე გეთქმის,  
რომელი ხართ?! ალო... ალო... ალო...  
მაპატიეთ, არ მცალია თქვენთვის...  
არც მეცლება არასოდეს რადგან,  
ეხლა იწყებს აღსარებას ჩემი,  
ტურფა და მეც უკვდავების კართან,  
მის სულიერ სილამაზეს ველი!  
თქვენ კი წადით, გამეცალეთ სადმე,



ველარ იგებთ, რასაც გითხრობთ ნუთუ?!  
მომწყდით, მომწყდით, მომწყდით, მომწყდით თავზე,  
ტუ... ტუ... ტუ... ტუ... ტუ... ტუ... ტუ... ტუ...  
ტუ... ტუ...

## დედა

წყვდიადით შელანძღულა დილა,  
სიშლეგით აგზნებულა ღამე,  
გრიგალში გარინდულა წვიმა,  
მუხებში გაყინულა მთვარე...  
ჰამაკში ჩაძირულა მზე და  
ქაოსში გაფანტულა ნისლი,  
მოდით, მომეშველეთ დედა,  
თორემ დამეშრიტა სისხლი...  
თორემ დამიოხლდა სადღაც,  
სიბრძნე ნაბოძები შენი,  
მოდით, მომეხვიეთ მართლაც,  
მოდით, ეგ სიკეთეც ჰქენი...  
და როს ამენტება ცაზე, —  
რწმენის ბრწყინვალეობა თეთრი,  
მამას გავახარებ ასე,  
„დედა დამეხმარა-მეთქი!!!“

## ომარ ხაიამს!

როდესაც ჟამი განკითხვისა მიწაზე მოვა,  
და დაიწყება უღმერთოთა სულელების კვდომა,  
ეს მაშინ ვნახოთ ჯოჯოხეთი თუ არ გაშინებს,  
ან თუ სამოთხე არ გიზიდავს სპარსელო ომარ!

## რუსთაველივით!

„მთავარი არის ლექსის ხარისხი,  
და არა მისი რაოდენობა,“  
ეგრე უთქვიათ და ნუ განიცდით,  
ძმავო — თუ როსმე გექნა მცდელობა...  
თუნდ ერთი შექმენ მხოლოდ სიცოცხლედ,  
ოლონდ პირბასრი იყოს ცელივით,  
და მე გპირდები მარად იცოცხლებს,  
შენი დიდება რუსთაველივით!!!

\*\*\*

დიდი არასდროს, ძამია,  
ალარ ნიშნავდა უდიდესს,  
თუმცა ჩრჩილებიც ყვავიან,  
ზოგჯერ მეფეთა მუნდირზე...  
და თუ ერთია ამქვეყნად,  
მეფე-მუზათა მაქები,  
ის რომ შოთაა სახელად,  
მე მგონი დამეთანხმები!!!


## უკანასკნელი ტანგო

უკანასკნელი ტანგო,  
მინდა ვიცეკვოთ ახლა,  
რომ უცებ, ჩემო კარგო,  
თუკი იმქვეყნად წავალ...  
თან გავიყოლო უკან,  
მგზნებარე ცეკვის მადლი,  
და გავიხსენო მუდამ,  
რა ცეცხლოვანი მყავდი!!!  
მაგრამ გვაშორებს სივრცე,  
ამ უანგარო ნატვრას,  
ო, ღმერთო, რას არ მივცემ,  
ახლა ამ ტანგოს მხატვარს...  
ო, ღმერთო, რას არ ვუზამ,  
ახლა ამ ხუნდთა დამდებს,  
რადგან საკნიდან მუზა,  
ველარ ახერხებს ამდენს!!!  
და მაინც, მაინც ტანგო,  
მინდა ვიცეკვო ახლა,  
რომ უცებ, ჩემო კარგო,  
თუკი იმქვეყნად წახვალ,  
შენც გაიყოლო უკან,  
მგზნებარე ცეკვის მადლი,  
და გამიხსენო მუდამ,  
რა კავალერი გყავდი!!!

## შვილი და დედა!

სიჩუმით — ტკივილს უსმენდა გული,  
წყვდიადით — იმედს ელოდა სევდა,  
როცა აფეთქდა სამყარო სრული  
და მე გიხილე, მშობელო დედავ...  
შენ იყავ თეთრი, როგორაც თოვლი,  
მენამულ მზერით მადნობდი პირმშოს,  
მე კი პანანა ხელების თრთოლვით,  
მოგფერებოდი მინდოდა თითქოს...  
მაგრამ მბოჭავდა სიფითრე შენი,  
მონატრებულ სიცოცხლის დედავ,  
ვიგრძენ მანძილი ჩვენს შორის მთელი,  
როგორ გახელდა... როგორ გახელდა...  
როგორ გადასცდა შეძლების საზღვარს,  
ორი სამყაროს იმედი შერწყმის,  
რომელიც პირველ შეხებას საზღვრავს,  
ულამაზესი შვილის და დედის...  
და შენ წახვედი, წახვედი უმაღ,  
თუ მე წახვედი — არც ვიცი მგონი,  
მერე კი სდუმან, ხმაურში სდუმან,  
სდუმან და სადღაც მიქრიან დრონი!!!





სუკზარ  
ერკემლიძე

**el klasiko**  
„რეალი“ - „ბარსა“

პიესა 2 მოქმედებად  
პირველი მოქმედება

მონაწილეობენ:

- „რეალი“-ს და „ბარსა“-ს ფეხბურთელები
- ნიკა — 11 წლის. სკოლის მოსწავლე.
- მამა — ხელოვანი, სამინისტროს ჩინოსანი.
- დედა — დიასახლისი.
- ბიორბი — ნიკას ძმა, მუსიკოსი, 22 წლის.
- აკოლონი — კომპიუტერის ოსტატი.

(სცენა გაყოფილია ორ ნაწილად (პირობითად). მარცხნივ ფეხბურთელებს სძინავთ. მარჯვნივ — ოთახის ერთი კუთხეა, სადაც სამეული და ტელევიზორი დგას. (შემოდის ნიკა).

ნიკა. — ვაშა! ხვალ შაბათია! ჩემპიონატი გავაგრძელოთ, „ბარსა“-ს და „რეალი“-ს ფინალი დამრჩა!  
დედა. — ჯერ არ შემოსულხარ და უკვე კომპიუტერს ეძგერე, არა? (ფეხბურთელებს გამო-

ცოცხლება დაეწყოს)  
პალდესი („ბარსა“-ს მეკარე). — მგონი, იწყება საფინალო მატჩი, მოემზადეთ!  
პასილასი („რეალი“-ს) მეკარე. — ჯერ დედა დაუშლის, მერე მამა შემოვა...  
პალდესი. — მამა ორი დღეა წასულია ქალაქგარეთ და ალბათ მარტო ითამაშებს.  
დედა. — სკოლაში რა ჰქენი?  
ნიკა. — მათემატიკამ დამჩაგრა. წინ მსხდომმა გოგოებმა წყალი დამისხეს რვეულზე და ვერ დავწერე! მასწავლებელმა არ დამიჯერა და ორიანი დამინერა!  
დედა. — შევამონებ მე მაგას... (სამზარეულოსკენ მიდის).  
მოდო, ჯერ ჭამე, მერე ინგლისური იმეცადინე.  
ნიკა. — ოოოჰ! ხვალ შაბათია! მერე ვიმეცადინებ. (შემოდის გიორგი) — ვაა, „ჯოისტიკ“! მოხვედი?  
ნიკა. — ‘ჰო, გინდა ვითამაშოთ? „ბარსა“-ს და „რეალი“-ს ფინალია!  
ბიორბი. — ფეხბურთი არ მევასება. 22 კაცი ერთ ბურთს დასდევს, თუ გინდა რალი ვითამაშოთ!  
ნიკა. — რა დროს რალია, მთელი ჩემპიონატი ჩავატარე და ფინალი დამრჩა.  
ბიორბი. — შენ რომელი გუნდი ხარ?  
ნიკა. — „რეალი“.  
ბიორბი. — აბა, შენ იცი! საერთოდ მაგ ფეხბურთელობას, ინგლისური ისწავლო, ის სჯობია!  
ნიკა. — შენ არ გესმის! (რთავს კომპიუტერს).  
დედა. — მოდი ნიკა, საჭმელი მზადაა!  
ნიკა. — ჰო, მაცალე ცოტას ვითამაშებ და ...  
მემსი („ბარსა“-ს თავდამსხმელი). — ახლა დაიწყებს, — მერე დედა მაინც შეგვაჩერებს! რა ვქნათ, წავივარჯიშოთ?  
პასილასი („რეალი“-ს მეკარე). — ისევ ჩვენ რომ ვხვდებით ფინალში?! კარგია არა?  
პუიოლი („ბარსა“-ს დამცველი). — აქ ხომ მაინც ვერ დავგზავრავთ! კომპიუტერული მსაჯობაა!  
პაპა. — მსაჯი ჩვენ არ გვაინტერესებს, ისეც მოგივებთ!  
დედა. — ნიკა, არ გესმის? საჭმელი ცივდება!  
ნიკა. — კარგი! (გაბრაზებით მიაგდებს ჯოისტიკს).  
ინიქსტა („ბარსა“). — ეს ხალხი რალაცით ჩვენ გვგავს! რა ჰქვია ამ ქვეყანას?  
ანრი („ბარსა“-ს ფრანგი თავდამსხმელი). — ესენი ქრთველები არიან — ჩვენში ყუორუიანელებს ეძახიან, სხვათა შორის მაგარი ფეხბურთელები ჰყავდათ, წინათ... ბავშვობიდან მასსოვს.  
პასილასი („რეალი“). — რამდენი წლის ხარ?  
ანრი („ბარსა“). — 33-ის. ბავშვობაში ვნახე თბილისის „დინამო“-ს თამაში. ფინალში თასი აიღეს. მაგარი გუნდი იყო.  
პაპა („რეალი“-ს ბრაზილიელი თავდამსხმელი). — მე პელესთან ერთად გადაღებული ხუთი ქართველი ფეხბურთელის სურათი



მაქვს ნანახი, უფრო სწორედ ჩემს ორიგინალს აქვს ნანახი და მეც ასე დავპროგრამდი...  
**მმსი** („ბარსა“). — რა საოცარია, არა? მეც ყველაფერი მახსოვს. . . ბაბუაჩემი მიყვებოდა. არგენტინაში 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩამოსულა... ორიქართველი თავდამსხმელი ჰყოლიათ მესხი და მეტრეველი, ფრთებშესხმულებივით თამაშობდნენო.  
**ბონალდუ** („რეალი“, პორტუგალიელი). — მსოფლიო ჩემპიონატზე თუ იყვნენ?  
**მმსი** („ბარსა“). — მეტრეველი, ხურცილავა, კავაზაშვილი, სიჭინავა იყვნენ... მაგრამ მესხი არ წაუყვანიათ, შურდათ ალბათ...  
**პაპა** („რეალი“). — ყური მოვკარი, თურმე „რეალი“ ხუთ მილიონს იხდიდა მესხში, მაშინ ეს დღევანდელ 50-მილიონს უდრიდა.  
**ანრი** („ბარსა“). — ფანტასტიკაა! 50 მილიონი? მერედა, რატომ არ წავიდა?  
**პასილასი** („რეალი“). — არ გაუშვებდნენ. საბჭოთა წყობა არავის უშვებდა საზღვარგარეთ.  
**ვალდესი** („ბარსა“). — ესე იგი ფეხბურთელებს ჩაგრავენენ? თქვენც ხომ სულ გვჩაგრავენთ?  
**პაპა** (ჩაერევა). — ახლა სხვა დროა! თამაშზე ვიფიქროთ. (გახედა „რეალი“-ს მოთამაშეებს). მწვრთნელი ავტომატზე დავაყენოთ, თუ ჩვენს მმართველებს მივანდოთ ეს საქმე.  
**ანრი**. — ავტომატზე დაყენებული მწვრთნელი აფრენს. ვერაფერს გვაგებინებს. ერთ გოლს გავიტანთ და შეგვცვლის სუყველას, სჯობია, მმართველებს მივანდოთ. რა ჰქვია?  
**პაპა**. — ნიკა ჰქვია, მე ვუყვარვარ და ნიკაკა დაირქვა.  
**ანრი**. — იმიტომაც თამაშობს „რეალი“-ს მხარეზე. არადა, „ბარსა“-ს ბევრჯერ მოაგებინა. მარტო თამაშობს?  
**პაპა** (რეალი). — ვნახოთ. ჯერ ისადილოს. ფინალში მარტო გავიდა. ისე, მამაც თამაშობს ხოლმე.  
**მმსი** („ბარსა“). — მამამ თუ ითამაშა, აუცილებლად მოგიგებთ. მართვა არ იცის კარგად. შეცდომებს უშვებს!  
**პაპა** (რეალი). — ჰო, ამ საქმეში პატარები უფრო მაგრები (შემოდის გიორგი)  
**ბიორბი**. — იცი, რას ვიზამ? აქ დაგიპროგრამებ ერთსაათიან თამაშს, ერთი საათი რომ გავა, თვითონ გამოირთვება!  
**ნიკა**. — ოო, მაცალე რა, უნდა ვითამაშო!  
**ბიორბი**. — რაო, ნიკუმ, „ფლეთ აუთი“ მაინც ითამაშე, ბიჭო! დედა! გაკვეთილები მოამზადა?  
**დედა**. — არა! ჭამა მხოლოდ!  
**ნიკა**. — ვერ გაიგეთ, შაბათია!  
**ბიორბი**. — შენთვის ყოველთვის შაბათია: „ორშაბათიც შაბათია, სამშაბათიც შაბათია, ოთხშაბათიც შაბათია, ხუთშაბათიც შაბათია, შაბათი ხომ შაბათია!“ (კარზე ზარი ირეკება), შემოდის მამა,

მამა. — არ მელოდით?(ნიკა წამოხტება და შეეგებება).  
**ნიკა**. — მამა ჩამოხვედი?  
**მამა**. — არა! გზაში ვარ! (გაიცინებს). კიდევ თამაშობ? რომ წავედი — ჯოისტიკი გეჭირა, ჩამოვედი — ჯოისტიკი გიჭირავს!  
**ნიკა**. — გიორგიმ „ჯოისტიკა“ დამარქვა. მამა, მამა! ფინალში ვარ, „ბარსა“ და „რეალი“ ხვდებიან ერთმანეთს.  
**მამა**. — როდის დასერიოზულდები! ახლა შემოვედი სახლში და ეგრევე თამაში დავიწყო?  
**ბიორბი**. — გამარჯობა მამა, როგორ იმგზავრე?  
**მამა**. — კარგად! ბევრი საინტერესო ხალხი ვნახე! ჰო, ერთმა კულტურის სახლის დირექტორმა მოგიკითხა, კონცერტი გქონიათ იქ, ახალგაზრდებს, შარშან.  
**ბიორბი**. — ძალიან კარგი. მაშინ რეპერებთან ერთად ვიყავი, ახლა სხვა მუსიკას ვანვები!  
**მამა**. — ასეც ვიცოდი, შენ არ გჯეროდა, თორემ...  
**ბიორბი**. — გინდა მოგასმენინო?  
**დედა**. — გიორგი! მამას არ უსადილია, მერე მოასმენინე!  
**მამა**. — არა! ძლივს ველირსე რაღაც მოვისმინო... და თანაც „არა მხოლოდპურიტა ერთითათი“ ვართ ადამიანები! ასე არ არის? წამო, მომასმენინე.  
 (მამა და გიორგი გადიან. ნიკა მატჩს რთავს.)  
**პასილასი** („რეალი“-ს მეკარე). — ახლა კი ნამდვილად იწყება! მოემზადეთ ბიჭებო, მოედანზე გავდივართ.  
**ნიკა**. — კაკა, აბა შენ იცი! დედა, არ გაინტერესებს? მოდი, უყურე!  
**დედა**. — ჯერ კი არ გავგიჟებულვარ, საქმეებს მოვწყდე და ტელევიზორთან დავჯდე, — ვუცქირო, როგორ ათამაშებ მაგ საცოდავებს დღე და ღამ! (ოთახში მუსიკის ხმები შემოდის.)  
 აი, გიორგი უკვე კარგ მუსიკას წერს, შენ კი...  
**ნიკა**. — გიორგი არ თამაშობდა კომპიუტერს? შენ არ მითხარი, „დენდი“ გქვონდაო?  
**დედა**. — რა სულელები ვიყავით... (ფიქრებში ნავა). აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, მე, მამა და გიორგი ბათუმში ჩავრჩით, ...  
**ნიკა**. — რატომ?  
**დედა**. — ჩვენთანაც საომარი მდგომარეობა იყო. ორ ნაწილად იყვნენ ქართველები დაყოფილი: ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად. ყაჩაღებიც ბევრი იყო ტრასაზე და შეგვემინდა თბილისში წამოსვლა... ჰოდა, ჩავრთავდით ამ „დენდი“-ს, ვთამაშობდით, და ვთამაშობდით მე და მამაშენი „ტანკებს“. ვისროდით, გვესროდნენ, გიორგი გვეხვეწებოდა — მეც მათამაშეთო! (გაიცინა).  
**ნიკა**. — რა მაგარია! ომი რატომ დაიწყო?  
**ვალდესი** („ბარსა“). — აუ, დაიწყო ახლა ისტორია! ძლივს გავივარჯიშეთ და ხასიათზე





მოვედით! ისე, რატომ დაინყო ომი? ჩვენც ავტონომია ვართ, აფხაზეთივით, მაგრამ ომი არ დაგვიწყია! ფეხბურთით ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ ჩვენ, კატალონიელები, ესპანელებზე მაგრები ვართ!

პნრი. — თქვენ და ბასკებს არავინ გეუბნებათ, აგერ ვართ ჩვენ — მოშორდით მაგ ესპანელებს და აგაყვავებთო, მაგათ კი — აფხაზებს, რუსები არ ასვენებდნენ, — ჩვენთან იყავით, ჩვენ უფრო დაგაფასებთო.

პალდესი („ბარსა“). — მერე დაიჯერეს?

პნრი. — დაიჯერეს და ომიც დაიწყეს! არადა, მშვენიერი გუნდი ჰყავდათ: სოხუმის „დინამო“, თბილისის „დინამო“-შიც ბევრი აფხაზი თამაშობდა...

პალდესი. — ესე იგი ფრანგებს უნდა ვუფრთხილდეთ, მათთან შეერთება რომ არ მოგვთხოვონ.

პნრი (იციინის). — ფრანგები სხვა ხალხი ვართ. მე აგერ კატალონიაში ვთამაშობ, საფრანგეთის ნაკრებში ბევრი აღჭირელია, ზიდან რად ღირდა მარტო! ჩემზე რომ არაფერი ვთქვათ!

პპპ. — წინათ ფრანგებიც კაი ხვითოები იყავით! კოლონიზატორები! ზანგებს აწვალბდით!

პნრი („ბარსა“). — ბრაზილიელი თეთრკანიანები ხომ ანებიერებდით ზანგებს!

პპპ („რეალი“). — კი მაგრამ, პელე? ჟაიროზინიო? სანტოსი? ზანგები არ იყვნენ?

პნრი („ბარსა“). — ასე საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც თამაშობდნენ ქართველები.

პპპ („რეალი“). — ნუ შეადარებ! პელე გაცილებით ძლიერ უყვართ ბრაზილიელებს. პელეს ხათრით — ყველა ზანგი გვიყვარს! ჩუმად, მოედანზე გვეძახიან! (ნიკამ მოედანზე გაიხმო მოთამაშენი. შესრულდა ჰიმნი, შემოვიდა მამა).

მამა. — არადა, მთელი თბილისი „ბარსა“-ს გულშემატკივრობს, თუნდაც ირაკლი ჩხეიძე, „შუა ქალაქიდან“, შენ რატომ აირჩიე „რეალი“?

ნიკპ. — ფეხბურთზე რომ დავდივარ, ბიჭები კაკას მეძახიან, კაკას გავხარო! კომპიუტერში „ნიკაკა“ მქვია!

მამა. — კარგია, ვინმეს რომ ბაძავ, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს რომ თავიანთი წინა თაობისთვის მიეზაძათ, ის სჯობდა.

დედა. — რაო, რა თქვეს სამინისტროში, რა ხდება ჩვენს ფეხბურთში?

მამა. — თამაშს-თამაშზე ვაგებთ. ვერ გაამართლა უცხოელი, თუნდაც გამოჩენილი მწვრთნელების მოწვევამ. არადა, ჩივადე რომ იყო მწვრთნელი, მაგარი შედეგი ვაჩვენეთ. ეტყობა, ქართველს უფრო ესმის თავისიანების.

პუიოლი („ბარსა“). — ხედავ? რამდენს ლაპარაკობენ? და ჩვენ უნდა ვიდგეთ ასე გაშვებულნი?

ნიკპ. — მერე დანიშნეთ ქეცბაია ან გუცაევი, ან ვინმე ისეთი, ჩვენი ენა რომ იცის!

მამა. — მე მაგალითად ქეცბაიას და გუცაევს

დავნიშნავდი ნაკრების მწვრთნელებად: მთელი მსოფლიო ნახავდა, რომ ჩვენ ქართველები, არავის ვჩაგრავთ, — ეს ყველაფერი ველიკორუსული ჭორებია!

ნიკპ. — რუსებზე გამახსენდა, კომპიუტერში ვირუსები შემოვიდნენ! ყველგან რუსებია! — ომში, კომპიუტერში და ყველგან გვაზარალებენ. მამა (იციინის). — კარგი იდეა! რუსები — ვირუსები! მაგრამ შვილო, არც ერთი ერი ცუდი არ არის. ეს სულ პოლიტიკის ბრალია, დღევანდელი დროის! გავა დრო და ყველაფერი დალაგდება.

დედა. — შენ სულ ასე ლაპარაკობ! ღმერთმა გისმინოს. მოდი, ჭამე!

ნიკპ. — მამა, მე კომენტატორიც ვიქნები და მომისმინე, ვითომ რადიოს უსმენ.

მამა (იციინის). — ძალიან კარგი! (დედას ჩაულაპარაკებს) ჩემს ბავშვობას მაგონებს, ბურთით მეძინა!

დედა. — არაფერში გვჭირდება მაგის ფეხბურთელობა!

მამა. — იქნებ კარგი კომენტატორი გამოვიდეს ეროსივით, კოტესავით. რა, სხვაზე ნაკლებად უყვარდათ ხალხს?(თამაში იწყება)

ნიკპ. — ყურადღება! ყურადღება! იწყება „ელ კლასიკო!“ ჩემპიონათთა ლიგის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან მადრიდის „რეალი“ და კატალონიის „ბარსელონა“. გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას. „რეალი“.

ბიორბი. — ნიკა, მალაზიაში გაიქეცი, რა?

ნიკპ (ყურადღებას არ აქცევს). — შემოვიდა გიორგი და მატჩის შეწყვეტა განიზრახა, მაგრამ ვერ მივართვით! ...მეკარე — ვიქტორი ვალდესი, დამცველები: პუიოლი, დანი, ალვეში.

ბიორბი. — ეს ბავშვი გააფრენს! (ცოტა ხანს ფეხზე დგას და ჩამოჯდება)

ნიკპ. — „სანტიაგო ბერნაბეო“-ს სტადიონს ახალი მაყურებელი შეემატა: ცნობილი ქართველი მუსიკოსი და მომღერალი — გიორგი!

ბიორბი. — ბილეთი რა ღირს?

ნიკპ. — მოსაწვევებითაა, შენთვის! რადგან დაგვაფასეთ! ამასობაში მატჩი დაიწყო! ბურთი მიიღო კაკამ, საჭიროა დარტყმა, დარტყმა — ბურთი ტრიბუნებს გადასცდა და ზესტაფონში იპოვეს. (შემოდის მამა)

მამა. — რა ანგარიშია?

ნიკპ. — ნოლითნოლი. მოდი, ერთად ვითამაშოთ!

მამა (ჩამოჯდება). — ესე იგი, გავიხსენოთ ბავშვობა?

ნიკპ. — ეს შენი „ჯოისტიკია“. ორზე ვითამაშოთ.

მამა. — მე რომელი ვარ, პირველი თუ მეორე? ნიკპ (გულზე ხელს დაირტყამს). — პირველი მე ვარ!

მამა. — კარგი, დავინწყით!

ბიორბი. — შენს ბავშვობაში ასეთი რამ რომ არ იყო, ვიცი, მაგრამ მსგავსი თუ იყო



რამე...

მამბ. — მექანიკური ფეხბურთი იყო. ყოველ ფეხბურთელს ზამბარა ჰქონდა, მოედანი ოღროჩოლო იყო. რკინის ბურთი რომ შიგ მოხვედრილიყო, გამოკრავდიხელს ზამბარას და ფეხბურთელი ურტყამდა! მეკარის მართვა შეიძლებოდა, დანარჩენები გაშეშებულები იდგნენ.

ნიკბ. — აუ, რა ჩამორჩენილობაა!

მამბ. — წინ მიდის ტექნიკა! ეს რა არის: მალე ისეთი დრო დადგება, ჰოლოგრამული მატჩები გაიმართება.

ბიორბი. — ეგ როგორ? როგორც იმ ფილმშია კომპიუტერულ ქალს რომ ამღერებენ, სიმონეს, ალ პაჩინო რომ თამაშობს?

მამბ. — ზუსტად ისე. 22-ივე ფეხბურთელი თავის პროგრამას მიიღებს, და არც ფეხი მოტყდებათ და არც ხელი.

ნიკბ. — ჰოდა, ტოტალიზატორიც მაგათზე ითამაშონ. ეყოთ, ამდენი სისულელეები! აუ, გაგვიტანეს!

ბიორბი. — აი, სანამ ლაპარაკობდით, გაგიტანეს კიდევ!

მამბ. — კონტრშეტევაზე წამოგვიკიდეს! არა უშავს, კიდევ რამდენიმე წუთი გვაქვს!

კაკბ („რეალი“). — გვიგებთ, ბიჭებო?

მმსი. — აბა, რა გეგონათ, ნიკა გიშველიდათ და კულტურისა და სპორტის სამინისტრო? „ბარსა“ მაგარია! გაიგეთ!

ნიკბ. — ტოტალიზატორმა ალბათ „ცრცვენა ზვეზდა“-სთანაც წავვაგებინა.

მამბ. — აბა, ბიჭო! 20 ლარი დაგვიჯდა ორი ბილეთი. 2-ით ნოლი მოვიგეთ. გვიხაროდა 5:2-ს როგორ წავაგებთ-თქო და მაინც დამაინდ 5:2 არ წავაგეთ?

ნიკბ. — იცი მამა, იტალიაში იძიებენ ასეთ შემთხვევებს და დამნაშავეებს სჯიან.

ბიორბი. — იტალიამდე ჯერ შორია. მაგის თამაშს, დაჯექი და ინგლისური ისწავლე, კარგად — ეგება თავს უშველო!

ნიკბ. — ჯერ შენ წადი საზღვარგარეთ, თუ მაგარი ხარ, და მერე გადავწყვეტ, რას ვიზამ.

მამბ. — ორი წუთი დარჩა, წავაგეთ.

ნიკბ. — ეს თამაში უნდა მოვიგოთ, ერთი წუთი რომ დააკლდება, მატჩს გავაჩერებ...

მამბ. — ეგ როგორ?

ნიკბ. — თავიდან დავიწყებ. აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

ბიორბი. — ეგ რა სპორტია?

ნიკბ. — დავასტოპე! თავიდან დაიწყება, ნოლით-ნოლით. ახლა აუცილებლად მოვიგებთ.

ვალდესი („ბარსა“). — რატომ გავჩერდით?

ანრი („ბარსა“). — ნიკამ გააჩერა. თავიდან გვათამაშებს — გინდა თუ არა, უნდა მოვიგოთ!

ვალდესი („ბარსა“). — კარგი, კიდევ მოვუგოთ!

ნიკბ (აგრძელებს კომენტარს). — მადრიდის „რეალი“ სამეფო გუნდია, მას ცხრაჯერ აქვს ჩემპიონთა თასი მოგებული. ესპანეთის მრავალჯონის ჩემპიონი და თასის მფლობელია!

მამბ. — მე ახალ ამბებს უნდა ვუყურო, შენ გააგრძელე, მალე მოვალ.

ნიკბ. — ახალ ამბებში გაიგებ, ნიკაკამ და „რეალმა“ გაიმარჯვა დაძაბულ ორთაბრძოლაში. ბურთი მიიღო კანავარომ, მოატყუა ერთი კატალონიელი, მეორეს მოტყუებას აპირებდა, მაგრამ... შენ მოატყუებ კატალონიელებს? აქეთ შემოგვიტყეს! ბურთი მიიღო ინიესტამ, გადაანოდა მესის. როგორც წესი, უტევს მესი, შეიჭრა სააჯრიმოში, დაენია „რეალი“-ს დამცველი და ფეხი დაუდო მესის! დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა! მესი თავად დარტყამს პენალტს. გამოექანა... დარტყმა... არის!... კიდევ გაგვიტანეს! აბა, ბიჭებო, მაინც უნდა მოვიგოთ!

ბიორბი. — კიდევ აგებ, არა? გინდა დაგენიძლავები, რომ კიდევ გაგიტანენ...

ნიკბ. — ნუ მთარსავ... კუთხური. კუთხურს „ბარსა“-ს ფეხბურთელები ანოდებენ. ჩამოანოდეს... თავური დარტყმა... (კადრი გაშემოდა, ბურთი კარისკენ რომ წავიდა იმ მომენტში) არა! მე ამას ვერ ვუყურებ!

მამბ (შემოდის). — კიდევ წააგე?

ნიკბ. — თავიდან უნდა დავიწყო. ახე, სად გავაშეშე! გოლი გაჰქონდათ... მაინც უნდა მოვუგოთ!

მამბ. — იცი, რა მახსენდება?

ნიკბ. — რა?

მამბ. — წაკითხული მაქვს, 50-იანი წლების დასაწყისში თბილისის „დინამო“ მოსკოვში, მოსკოვის „ტორპედო“-ს ხვდებოდა. ამ თამაშს თუ მოვიგებდით, ჩემპიონები ვხდებოდით. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 2:1-ს ვიგებდით. მოულოდნელად, მაყურებელი მოედანზე გადავიდა და მატჩი ჩაშალა.

ნიკბ. — მერე, ეს ხომ უსამართლობაა? რა მოხდა შემდეგ?

მამბ. — დაინიშნა განმეორებითი მატჩი. მაშინ ლეგენდარული ბორის პაიჭაძე მოთამაშე მწვრთნელი იყო. აი, ჩვენი სტადიონი ვის სახელსაც ატარებს, ის. შეკრიბა ბიჭები და გადაწყვიტეს მეორე მატჩიც მოეგოთ. მაგრამ საქართველოს მთავრობის მეთაური ჩაფრინდა მოსკოვში და ბორის პაიჭაძეს დავალება მისცა, მატჩი წაეგოთ.

ნიკბ. — ეს როგორ?... და წააგეს?... რატომ?

მამბ. — იმიტომ, რომ რუსეთს უნდა მოეგო შვილო, ყოველ შემთხვევაში, არ გვახარებდნენ!

ნიკბ. — იმიტომ გავხდით დამოუკიდებლები?

მამბ. — ჰო, იმიტომ. მაგრამ მერე ერთმანეთს დავერიეთ, გიორგი უშუქობაში და სიცივეში, ნავთის სუნში გაიზარდა, ამიტომ, დაიმახსოვრე: არაფერი არის მშვიდობის ფასი. ჩინელები ამბობენ, ყველაზე სახელოვან ომს მშვიდობა სჯობიაო. რას შვები, აგრძელებ თამაშს?

ნიკბ. — აბა რა! უნდა მოვუგო „ბარსა“-ს!





დაჯექი, უყურე! (მამა ჩამოჯდება, ნიკა კომენტატორობს). ყურადღება! ყურადღება! ინყება ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონა“-ს შორის. (ფეხბურთელები გასახდელიდან გამოდიან).

მქსი („ბარსა“). — მგონი, ეს მატჩი არასოდეს დამთავრდება!

პპპპ („რეალი“). — ალბათ... სანამ ჩვენ არ მოვიგებთ, ასე უნდა ჩვენს პატრონს!

მქსი. — მაშინ ... ნავაგოთ უნდა! სხვა გზა არ დავგვრჩა! მაგათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენც ვიღლებით, მით უმეტეს, ბოლო წუთზე თავიდან გვანყებინებენ თამაშს... გული გვწყდება...

პპპპ („რეალი“) (ხელები გაშალა). — რა ვქნა ძმარო, ჩვენს ხელში მხოლოდ კარში ზუსტი დარტყმა... ისიც თუ დაგვაცადეს...

დქდქ. — კიდევ თამაშობ? მაგას დაგიმაღავ, საერთოდ! შენც უზიხარ, არა? (გიორგის მიმართავს). ნადი, შენი საქმე გააკეთე. (გიორგი დგება)

ბიორბი. — იცით, რას გეტყვით, ეს ქვეყანა საგიჟეთია! ეს სახლიც კონკრეტულად, მინისტრის მოადგილე „ჯოისტიკით რომ ითამაშებს“, ბავშვს რა უნდა მოთხოვო!

მამა. — მე ხომ შენც გეთამაშებოდი, შვილო!

ბიორბი. — სულ შენ თამაშობდი მაშინაც. მეუბნებოდი: „მე ხომ ჯერ ბავშვი ვარო!“

მამა. — სხვათა შორის, ყველანი ბავშვები ვართ! ყველაზე ღრმა მოხუციც კი ბავშვია. იცი რატომ? იმიტომ, რომ სული არ ბერდება! ბიორბი. — სული არ ბერდება ალბათ, მაგრამ მაინც სხვა საქმე რომ გაქვს...

მამა. — იმაზე დიდი საქმე, რომ იყო ბავშვი, არ არსებობს. აი, შენ იყავი ბავშვი და სულ გეჩქარებოდა დიდი გამხდარიყავი, მერე კი ხვდები, რა კარგი იყო უზრუნველი თამაში. როცა სხვა ფიქრობს რა ჩაგაცვას, რა გაჭამოს, არ გაცივდე, რა ისწავლო, შენ კი — თამაშობ... იცი? თამაში ცხოვრების რეპეტიციაა...

ბიორბი. — კარგი, კარგი, ნავედი ჩემს ოთახში, რამეს ჩაწერ.

დქდქ. — მართალია გიორგი! შეწყვიტეთ ახლავე ეგ თამაში!

ნიკა. — აი, ამ თამაშს დავამთავრებ და...

მამა. — ძალით უნდა წააგებინო?

ნიკა. — რა მოხდა, ესენი ხომ ცოცხლები არ არიან!

მამა. — მაგრამ, შენ უკვე ორჯერ წააგე და არ ჩაუთვალე. იმათ თუ არ იციან ეს, შენ ხომ იცი?

ნიკა (ჩაფიქრებული). — კარგი. ამას დავამთავრებ და როგორც დამთავრდება, ისე დამთავრდეს. (ტელეფონის ხარი). ჰო, თორნიკე მე ვარ! ბიჭო, იცი რა ხდება? „ბარსა“-ს და „რეალი“-ს ფინალს ვთამაშობ და ორჯერ ვაგებდი, ბოლო წუთზე შევაჩერე თამაში და ახლა მესამედ ვინყებ, უნდა მოვუგო! გაინტერესებს ხომ? მე რეპორტაჟს წავიყვან და შენ ტელეფონში მოისმინე. მამა. — არა, ნამდვილად კოტე მახარაძე

გამოვა! დიმიტრი ობოლადეოზა ხომ გარანტირებული გვაქვს.

ნიკა (ტელეფონში). — მამამ მითხრა, დიმიტრი ობოლადე ხარო! (იცინის). მოკლედ, ჩვენი სატელევიზიო სტუდია „სანტიაგო-ბერნაბეო“-ზეა განლაგებული. მშვენიერი ამინდია მადრიდში. აქ კატალონიელები თავს მთლად კარგად ვერ უნდა გრძნობდნენ, იმიტომ, რომ „რეალი“-ს ფანები თავს გატენილი სტადიონი. „მა-დრიდ, მა-დრიდ, - ჭექქენ დოლის ბრაგუნის თანხლებით. აჰა, მატჩიც დაიწყო! ბურთი მიიღო რაულმა, გადაანოდა... არა ვერ გადაანოდა! „ბარსა“-ს ფეხბურთელებმა ჩაჭრეს ბურთი. ხავი თამაშობს კარგად. გრძელი პასი წინ - მესისკენ, მესიმ გვერდი აუარა მეკარეს და... დარტყმა! ბურთი ზედა ძელს მოხვდა. თორნიკე, მაგარი თამაშია, არა? რა ვიცი ყველა მეჩხუბება, გამორთე კომპიუტერიო (თან თამაშობს). მამაჩემი მეთამაშება მარტო, ეტყობა, ბავშვობა ენატრება: გოოლ! გოოოლ! (ტელეფონს მიაგდებს და პარკეტზე მუხლებით გასრიალდება, გოოოლ!)

დქდქ. — რა გაყვირებს ბიჭო, გული გამისკდა! საგიჟეა პირდაპირ (მობილური რეკავს). ჰო, მანანა, მირეკავდი? რას გამოხვალ, ტელეფონი უჭირავს და ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მიჰყავს ძმაკაცისთვის, აი, ასეთ დღეში ვარ! (გადის, თან საუბრობს).

ნიკა. — მოკლედ, თორნიკე, გაიმარჯვა მადრიდის „რეალმა“! როგორც მოსალოდნელი იყო!

მამა. — ასე მაინც თქვი, „როგორც იქნა-თქო“!

ნიკა. — კარგი! როგორც იქნა, გაიმარჯვა მადრიდის „რეალმა“, სამეფო გუნდმა! რომელმაც მეთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასი ნიკაკასთან ერთად. აი, ჩვენ ვხედავთ დაჯილდოების ცერემონიას. კანავარო, გუნდის კაპიტანი, ხელში იღებს ვერცხლის თასს, კოცნის და მაღლა სწევს. მთელი მადრიდი ზეიმობს, ზეიმობს ჩვენი სახლიც. აი, გიორგიმ ჩაიარა და თითი საფეთქელთან დაიტრიალა, რაც იმას ნიშნავს, „ყოჩაღ, ნიკაკა, გილოცავთ შენ და კაკას გამარჯვებასო“, მოკლედ, ნახვამდის ტელემაყურებლებო და ჩემო თორნიკე, თორემ მალე გამლახავენ (ყურმილს დაკიდებს). აბა გამორთე ეგ და ტელევიზორი ჩართ (ნიკა ტელევიზორთან მიდის)

ანრი („ბარსა“). — გილოცავთ, ძლივს არ დავისვენეთ? არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, რაღაც უნდა მოვიფიქროთ!

პპპპ („რეალი“). — რას გვილოცავთ, ორჯერ თქვენ მოიგეთ...

ვალდესი. — მევიცი, რაც უნდა ვქნათ... ვიცი...

გაგრძელება იქნება





ჩიორ გაძმარა

ნახვების ვახეი

(ზღაპარი)

— ყური დამიგდეთ, ჩემო ცუგრუმელებო, კარგად მისმინეთ, თავზე ხელი გადაუსვა მეზღაპრემ პატარებს:

შორს, აქედან ძალიან შორს, გაღმა, კარ-პატების მთებში, რუმინეთში ერთი პატარა სოფელი იყო. სოფელი ისეთი პატარა იყო, შორიდან ჩიტის ბუდეს წააგავდა. სოფელში მუყაითი, გამრჯე ხალხი ცხოვრობდა. გლეხები ქანცისგანწყვეტამდე შრომობდნენ და მაინც შიმშილისგან სული სძვრებოდათ. ამის მიუხედავად, გამჩენს ყოველი დღის გათენებისათვის და ლუკმა პურისათვის, მადლობას სწირავდნენ. ერთ რამეზე კი სწუხდნენ: სოფლის განაპირას, გარიყულაზე, ქვის ციხე-კოშკში, რომელსაც თვალუნვდენელი ქვისავე გალავანი ერტყა, შავბანჯგვლიანი „ბაჯბაჯა დათვი“ ბინადრობდა და საბრალო გლეხებს სულს აძრობდა შრომაში. მისი ნაზირ-ვეზირები, მოურავი და კოშკის მცველები დაერეოდნენ ხოლმე სოფლის მცხოვრებლებს, აანოკებდნენ და მათ სარჩო საბადებელს დათვთან ეზიდებოდნენ.

ეს ამბავი ამ სოფელში მოხდა. სოფელში ერთი პირმცინარი, ლურჯთვალა, მზისაგან გარუჯული შავტუხა პატარა გოგო ცხოვრობდა მშობლებთან, ძმასთან, ბებოსთან და პაპასთან ერთად. გოგონას მიორიცა ერქვა, მის ძმას კი — რადუ. გოგონა მზესთან ერთად დგებოდა, ბაკიდან ბატკნებს გამორეკავდა და საძოვრად იალაღზე მიჰყავდა. მიდიოდა და თან მღეროდა. იგი თვითონ იგონებდა სიმღერებს და წყაროს წყალივით წკრიალა ხმით დაიმღეროდა დილიდან საღამომდე.

ჰოდა, მეზობლებს მეტი რა უნდოდათ? სიამოვნებით უგდებდნენ ყურს მიორიცას და როგორც კი წამით სიმღერას შეწყვეტდა, შეუძახებდნენ, მიდი, მიორიცა, ნუ გაჩერდები, იმღერე, გოგოცუნა, იმღერე, ცოტა გულს გადავაცოლებთო. ბებო კი, პირზე ხელს აიფარებდა და შვილიშვილს გადაუჩურჩულებდა:

— სუ, გენაცვალე, ჩუმად, ჩემო პანია, ჩემო ყვავილო. გახსოვდეს, კოშკის ბატონ-პატრონს „ბაჯბაჯა დათვს“ არ სძინავს, არ გაიგოს შენი ხმა. ხომ იცი რა ბოროტიცაა? ჭირისდღესავით სძულს ლატაკი ხალხი.

დღე დღეს მისდევდა, ასე გადიოდა დღეები... მიორიცა ბატკნებს აძოვებდა, მთები კი — ბანს აძლევდნენ... გლეხები თავნახრილები შრომაში ათენ-ალამებდნენ, „ბაჯბაჯა დათვი“ კოშკში, მხართეძოზე წამონოლილი ნებივრობდა, ყელამდე ჰქონდა საჭმელ-სასმელიცა და კარგა ბლომად საგანძურიც გააჩნდა. ყოველ დღეს უდარდელ უზრუნველად ატრებდა და არც ლხინს იკლებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, და-ძმამ ბატკნები საძოვარზე დატოვეს და გასაგრილებლად იქვე, ტყეში შევიდნენ.

ვნახოთ და, ერთ ხის ძირში ერთ პანია ნითელი ვარდის კოკორს არ წააწყდნენ?

— აუ! — წამოიძახა მიორიცამ, — რა ლამაზი ხარ, ვარდო, მშვენიერო ქალწულო! აქ საიდან გაჩნდი? აქ, რამ მოგიყვანა?

ვარდმა თავი წამოსწია:

— არ დამტოვოთ აქ მარტო, გეთაყვა. პატარა ვარ, მეშინია, შინ წამიყვანეთ, ქოთანში დამრგეთ და ბედნიერებას გაჩუქებთ.

— უსათუოდ წაგიყვანთ, აბა რა? სიხარულით წაგიყვანთ.

ბაღლებმა ვარდი ფრთხილად მოთხარეს ფესვიანად, მიორიცამ უბეში ჩაიკრა და სახლისკენ გაუდგნენ გზას. შინ მივიდნენ თუ არა, ვარდი მაშინვე ქოთანში ჩარგეს და წყალიც აპკურეს. აბა, სიტყვას როგორ გატეხავდნენ?

და-ძმა კვლავ ბატკნებს აძოვებდა,



მიორიცა მღეროდა და მღეროდა, ვარდს თავს ევლებოდა. სოფელი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა, ბოროტი „ბაჯბაჯა დათვი“ კი ბოროტულად აკრიჭინებდა კბილებს და თავი იმის ფიქრით ასკდებოდა — რა მოეგონებინა, რით გაემნარებინა ღარიბი გლეხები.

ერთ დილით, „ბაჯბაჯა დათვი“ მოურავს მოუხმო: არაფერი მახარებს და არც არაფერი მართობს, მოიფიქრე რამეო. ნადირობაზე რას იტყვითო, შეჰკადრა მოურავმა. არაო, უარი სტყვიცა „ბაჯბაჯამ“.

— სიმღერის მოსმენას ხომ არ ისურვებთ? სოფელში ერთი პატარა გოგო ცხოვრობს, სიმღერას თვითონ იგონებს და საამური ხმითაც არი დაჯილდოებული.

— ვინაა ასეთი, მე რომ არ ვიცი?

— ერთი გლეხის გოგოა, ბატონო.

— ჰო, კარგი! აქ მომგვარე.. იმღეროს... იქნებ, ცოტა გულს გადავაყოლო.

მოურავმა კოშკის მცველები აფრინა სოფელში და თვალისდახამხამებაში „ბაჯბაჯა დათვი“ მიორიცა მიჰგვარეს კოშკში.

მიორიცა დათვის დანახვაზე შიშისგან ადგილზე გაქვავდა, თითქოს ენა გადაყლაპაო.

— იმღერე, გოგო! შენ გეუბნები, ხმა ამოიღე! — დაიღრიალა საზარელი ხმით დათვი და სიბრაზისაგან კინალამ თვალეები წამოსცვივდა.

მიორიცას შიშისგან ჩიტივით უფართხალეზდა გული და ცახცახებდა.

— ეხლავე გასნით და ამ გომბიოს მამა აქ მომგვარეთ! — ბრძანა „ბაჯბაჯა დათვი“.

კოშკის მცველები ტყაპა-ტყუპით გაცვივდნენ, კალიასავით მოედნენ ყანას, კისერში წაავლეს ხელი მიორიცას მამას და კინნისკვრით მიიყვანეს კოშკში.

— ახლავე უთხარი შენ გოგოს მიმღეროს, თორემ უბედურებას ენევით, — ისევ დასჭექა „ბაჯბაჯამ“.

— ემინია, ჩემო ბატონო, — შეჰბედა გლეხმა, ვერ ხედავთ შიშისაგან ხმა ჩაუწყდა.

„ბაჯბაჯამ“ ტორი დაჰკრა ბროლის მაგიდას და მოურავს მამა-შვილის დილეგში ჩამწყვდევა უბრძანა.

სოფელში ხშირი ბინდი ჩამონვა. მთელი სოფელი ეძებდა მამა-შვილს, მაგრამ მათი ალი-კვალი არსად ჩანდა, თითქოს ორივე ცამ ჩაყლაპაო.

— რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ? სად გაქრნენ? — წრიალებდა აფორიაქებული დედა.

— სოფელში ხმა დაირხა, „ბაჯბაჯა დათ-

ვი“ მოუტაცებია და კოშკში ჰყავს გამომწყვდეულიო, — ძლივს ამოღერდა დამწუხრებულმა პაპამ.

ქოთნიდან თავი წამოსწია ვარდმა, და შემფოთებულმა ადამიანის ხმით იკითხა:

— რა ამბავია? რა ხდება თქვენს თავს?

რადუმ უამბო ვარდს, თუ როგორ მოიტაცა „ბაჯბაჯა დათვი“ მიორიცა და მამამისი და გამოამწყვდია დილეგში.

— როგორ თუ დილეგში? ეს რა ესმის ჩემს ყურებს?

— ჰო, ქვითკირის დილეგში ჩაყარეს, ერთ ჭურჭრულანას ვერ ნახავ, სინათლის სხივი ვერ აღწევს შიგ.

— ნუ გეშინია, დანყნარდი, ახლავე მივხედავ ამ საქმეს, — უთხრა ვარდმა რადუს, — მოიტანე წყალი და დამასხი. ძალიან მწყურია, ნუ აყოვნებ, ჩქარა, მალე მოიტა, უნდა გავიზარდო. უნდა გიშველოთ.

ბიჭმა ვარდს წყალი პეშვით მიუტანა და დაასხა.

ჰოი, საკვირველებავ! ვარდის კოკორი რადუს თვალწინ თვალსა და ხელშუა თანდათან გაიზარდა, გაიზარდა, კარისკენ გაინოდა გრძელი მკლავები და გარეთ გავარდა. გადაიბრინა სოფლის ორღობეები, გადაუქროლა მინდვრებს და კოშკისკენ გაექანა.

კოშკში „ბაჯბაჯა დათვი“ ფენმორთხმული იჯდა მაგიდასთან და გემრიელად შეექცეოდა ვახშამს. უეცრად, გარედან მტვრევის ხმა შემოსემა.

— ვინ ხმაურობს? ვინ მიბედავს ბრახუნს? — ზეზე წამოიჭრა დათვი.

— ჩემო ბატონო, ვარდმა მწვანე ტოტეებით შემოგვიტია და კოშკს გვინგრევს.

— რა ვარდი, რის ვარდი? — გადაიხარხარა საზარელი ხმით, მაგრამ მალევე სიცილი პირზე შეაცივდა.

ვარდის მწვანე ტოტეები კოშკის კედლებში ქვებს შორის ძვრებოდა და დილეგისაკენ მიიწევდა გამაყრუებელი ხმაურით.

— ეს, ალბათ, ჯადოსნური ხეა, რადგან ასეთ ძალას ფლობს! — შეჰყვირა „ბაჯბაჯა დათვი“, ფანჯარასთან მიიჭრა, გამოალო და უცნაური სიტყვებით დაუწყო ქარს ძახილი:

— „ქან-ქან“ ქარებო, ჩემო მეგობრებო დამეხმარეთ! ძირფესვიანად ამოძირკვეთ ვარდი!

ამაოდ უხმობდა იგი მეგობარ ქარს. ამოვარდა ძლიერი ქარი, დაბზრიალდა, დატრიალდა, მტვრის კორიანტელი დააყენა. უბერავდა და რას უბერავდა, ლამის ფილტვები დაასკდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ვარდმა გაშალა ძლიერი მკლავები სალტესავით შე-



მოაჭდო დილეგის კედლებს და მთლიანად ჩამოშალა. კირისა და ქვის ნაშაღისაგან ამოგანგლული „ბაჯბაჯა“ თან ჩაიტანა კედელმა და თქვენი ჭირი წაიღო. აღარსად ჩანდნენ ნაზირ-ვეზირები, მცველები და მოურავი.

— ნავიდეთ, მიორიცა, მამაშენიც წამოიყვანე და ამ წყეულ არე-მარეს გავეცალოთ, — უთხრა მხსნელმა ვარდმა გოგონას, — გახსოვს, გითხარი, დამეხმარე და ბედნიერებას მოგიტან-მეთქი? ასეა, სიკეთე გააკეთე და ქვაზე დადე, წინ დაგხვდებაო, ნათქვამია.

მიორიცამ მადლიერების ნიშნად ვარდს ნაზად აკოცა და სამივე გზას გაუდგა სოფლისაკენ.

ის-ის იყო მზე გორაკის თავზე ამოიწვერა, როცა სოფელს მიაღწიეს. თანასოფლელები, დიდ-პატარა, ქალი, კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა შეეგებნენ უბედურებას გადარჩენილ მეზობლებს.

ხელიხელ გადაჭდობილმა ახალგაზრდებმა წრე შეკრეს და ცეკვა-თამაში გაახურეს.

მღეროდა ყველა, მღეროდა მიორიცა და ცეკვავდა. ისევე ძველებურად მღეროდა სოფლის თვალისჩინი, ლურჯთვალა, შავტუხა გოგო, რომელსაც ვარდი მკერდზე მიეხუტებინა.


ახლა კი, ჩემო ცუგრუმელებო, ყური დამიგდეთ და დაიხსომეთ. აგისხნით, რა არის ვარდის ხე და რას ნიშნავს იგი. ამ ხეს „თავისუფლების ხე“ ჰქვია. როცა „ვარდის ხეს“, ესე იგი, „თავისუფლების ხეს“ ადამიანები თავიანთ გულებში დარგავენ, როცა მას ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭუნების, შეყვარებულების გულში გაახარებენ, მათი მკლავები დილეგების, ციხე სიმაგრეებისა და საპყრობილეების კედლებზე გაცილებით ძლიერია. მაშინ მათ წინ ვერავინ დაუდგება და ვერფერი მოერევა.

თავისი შეგონებით კმაყოფილი მეზღაპრე წამოდგა და შორეულ გზას გაუდგა.


ფრანგულიდან თარგმნა  
ნანი თარხნიშვილმა

---

გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ საზოგადოებას მიაწოდა ცნობილი მთარგმნელის — ქალბატონ ნანი თარხნიშვილის თარგმანების კრებული — „დაზამთრებამდე“, რომელშიც გარდა ფრანგი მწერლებისა (ფრანსუა მორიაკი, პიერ ბამარა, რომენ როლანი), შინაშე არის ავტორის ნაწარმოებებიც.







## სისოსხინა და სიხეთისათვის ელეაჩინაზე

(ოთარ ჭილაძის ხსოვნას)

„ბედთან ჭიდილი და თავისთავადობის დაცვა ყოველთვის უმთავრეს და უკეთილშობილეს მოთხოვნილებად დარჩება ნებისმიერი ხალხისათვის, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, ხოლო ვინც ამას დაივიწყებს, დაიღუპება, მაშინვე გაქრება საერთაშორისო ასპარეზიდან, როგორც ხალხი, როგორც განსაკუთრებული ენის, ფსიქიკის და ტრადიციის მქონე დამოუკიდებელი ორგანიზმი და, ამიტომაც, განუყოფელი, სისხლხორცეული ნაწილი მთელი კაცობრიობისა...“

ეს სიტყვები ჩვენი ეპოქოს ერთ-ერთ უდიდეს მწერალს, პოეტს, მამულიშვილს, ოთარ ჭილაძეს ეკუთვნის — სამნუხაროდ, მოულოდნელად წასულს ჩვენგან... 1988 წელს გამოქვეყნებული ეს სე „სიცოცხლისათვის“ — კიდევ ერთი დასტურია მისი ავტორის გენიალობისა.

ამ არაჩვეულებრივმა მწერალმა იმდენი სულიერი სიმდიდრე დაგვიტოვა, რასაც ნებისმიერი ერი ინატრებდა. ეს საგანძური არა მარტო ჩვენს ერს, — მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, რადგან ის არა მარტო საქართველოს, არამედ ზოგადსაკაცობრიო საფიქრალს მოიცავს. ამჯერად მხოლოდ ერთ ესსეს გავიხსენებთ...

„წინასწარმეტყველი საქართველოდან“ — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა XX საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთის პრესაში სტატია ქართველ მწერალზე, ოთარ ჭილაძეზე. იგი

წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში და, ალბათ, მიიღებდა კიდევ ამ საპატიო ჯილდოს, მაშინ — 90-იან წლებშიც ისევე დაინტერესებული რომ ყოფილიყო მსოფლიო საქართველოს ბედით, როგორც ახლა. თუმცა, მთავარი პრემიები და ტაში როდია...

მთავარი ის სულიერი სინათლეა, რაც მან დაუტოვა თავის ერსაც და კაცობრიობასაც, როგორც უძვირფასესი საგანძური.

ასეთი ადამიანები „მარადისობის კანონით“ ცხოვრობენ (როგორც ნოდარ დუმბაძე წერდა), ანუ იმისთვის ცოცხლობენ, რომ თავიანთი სულიერი სიმდიდრე — სულიერი ოქრო — სხვებს გაუნანილონ, როგორც უანგაროდ გაცემული უძვირფასესი საუნჯე, და ამით სხვა ადამიანებს — ნაცნობს თუ უცნობს, ახლობელს თუ შორეულს, „სიძნელე გზისა გაუდავილონ“, ტვირთი შეუმსუბუქონ, რადგან მათ, საკუთარ ჯვართან ერთად, სხვების ჯვარიც იტვირთეს...

ასეთი ადამიანები სიცოცხლის შემდეგაც, საკუთარი გულის და გონების შუქით წუთისოფლის გზას უნათებენ სხვებს — მათ თანამედროვეთაც და მომავალ თაობებსაც, ყველას, ვინც სიკეთის ფასი იცის, ვინც ფიქრს არ დაიზარებს და სწორად გაიგებს მათ შემოქმედებას, ვინც გაითავისებს ამ საგანძურს.

საქართველოს ყოველ ეპოქაში ჰყავდა გენიალური მოაზროვნენი, რომელთა ფიქრისა და მსჯელობის მთავარი საგანი ეროვნული და საკაცობრიო პრობლემების ურთიერთმიმართება იყო. ჩვენს სამშობლოს დაღბნიებული ცხოვრება თითქმის არასოდეს ჰქონია და ამიტომ ჩვენი წინაპრები მუდმივად ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე იდგნენ. მათგან გენეტიკურად გადმოგვეცა ახალი ეპოქის ქართველებს ეროვნული და საკაცობრიო პრობლემებზე მუდმივი ფიქრისა და მსჯელობის უნარი, მაგრამ ხსნის გზას ყველა ერთიანად როდი ხედავს...

უერთგულესი, უკეთილშობილესი მეგობრის რჩევასავით დავიმსახსოვროთ ქართველი მწერლის, ოთარ ჭილაძის გენიალური სიმარტივით ნათქვამი სიბრძნე — თუნდაც ის, რომლიც მწერალმა ერთ მცირე მოცულობის ესსეში მოაქცია (თუმცა ეს სე „სიცოცხლისათვის“ ოთარ ჭილაძის მარავლფეროვან შემოქმედებაში იგივეა, რაც ზღვაში — წვეთი):

„დღემდე მოღწეული ყველა ხალხი ერთნაირად სრულყოფილი და განუმეორებელია, ნებისმიერი მათგანის გაქრობა თანაბრად გააღარიბებს, თანაბრად დააკნინებს კაცობრიობას. ამიტომ, რაც უფრო ვითარდება ტექნიკა და რაც უფრო იზრდება მასობრივი კულტურის საზღვრები, მით უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, ერთი წამითაც არ უნდა დავივინყოთ ჩვენი მშობლიური ენა, ფსიქიკა და ტრადიცია — ის წმინდა სამება, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება მხოლოდ პიროვნების საფუძველთა საფუძველი, მრწამსთა მრწამსი და აზრთა აზრი, რასაც უბრალოდ ეროვნება და ეროვნული თვით-



შეგნება ჰქვია...

ადამიანი რწმენის გარეშე ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, უფრო სწორად, აღარ არის, რადგან რწმენა არა მარტო უადვილებს (უადვილებდა) არსებობას ამ თითქოსდა მრავალგზის ამოხსნილსა და მაინც ბოლომდე ამოუხსნელ სამყაროში, არამედ ავალდებულებს (ავალდებულებდა) არსებობას. ვალდებულად ქცეული არსებობა განაპირობებს სწორედ ადამიანური სულის ყველა კეთილშობილურ თვისებას — მოთმინება იქნება ეს, მიმტევებლობა თუ სიმტკიცე. ვალდებულად ქცეული, ანუ შეგნებული არსებობა საერთოდ არსებობის ერთადერთი მისაღები სახეობაა ადამიანისთვის, რაც თავისთავად გმირობაა, რამდენადაც მხოლოდ ბიოლოგიური არსებობა მისთვის (ადამიანისთვის) დიდი ვერაფერი შელავათია. რწმენადაკარგული ადამიანი ყველაზე დიდი მტერია საკუთარი თავისა... რწმენის გაქრობა ყველაზე ვერაგული და ყველაზე საზარელი სენის აღზევებას იწვევს — ამ სენს მე სულის ეროზიას დავარქმევდი. პირადად მე, კაცობრიობის ყველაზე დიდ საფრთხედ სულის ეროზიას ვთვლი...

რასაკვირველია, სხვა სენთა წინააღმდეგ ამხედრებულებს, არც ომი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რადგან ომიც სხვაზე არანაკლებ სახიფათო სენია და ძნელად მოსაშორებელიც... ომი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნებას სპობს და ადამიანის მსგავს მხეცებს ამრავლებს, რომელთა ხელახლა გაადამიანებას (თუკი საერთოდ შესაძლებელია) გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კიდევ ერთი ახალი ომის მომზადებას.

დანგრეული თეატრისა და ეკლესიის აღდგენა კიდევ შეიძლება, მაგრამ მათი დანგრევის შემყურე ადამიანის სულში უფრო მნიშვნელოვანი რამ ინგრევა და თანაც სამუდამოდ, — ინგრევა გარანტია იმისა, რომ ამქვეყანაზე რაღაც მაინც არსებობს ხელშეუხებელი, შეუბღალავი, წმინდა... “ (ოთარ ჭილაძე, „სიცოცხლისათვის“, თბილისი, 1988)

... ასე მგონია, გენიალური მოაზროვნეები მხოლოდ თავის თავს, თავის დროს არ ეკუთვნიან, — ისინი ცხოვრობენ ერთდროულად სამივე დროში — აწმყოში, წარსულსა და მომავალში; ისინი არიან ერთდროულად ყველგან, სადაც ადამიანები არსებობენ და ყველას სატკივარს, ყველას ჭირსა და ღბინს ისე განიცდიან, როგორც საკუთარს. ისინი არა მარტო ჩვეულებრივ, ყოველდღიურ, ყოფით პრობლემებზე, არამედ მარადიულ ღირებულებებზე ფიქრით ცოცხლობენ და ამ ფიქრს სხვებსაც აზიარებენ — ყველას, ვინც მიიღებს მათ მიერ გაცემულ სულიერ სინათლეს, — ამ უძვირფასეს საუნჯეს. თუმცა ამ განძის — „სულიერი ოქროს“ — მიღების უნარი ყველას არ გააჩნია, რადგან მრავალი ადამიანი მხოლოდ მატერიალურ ოქროს სცემს თავყვანს... ამიტომაც ხდება, ალბათ, რომ გენიოსები სიცოცხლეში თითქმის დაუნახავი რჩებიან, ხოლო ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მათ გვირგვინებით ვამკობთ, (ეს — უკეთეს შემთხვევაში, უარეს შემთხვევა-

ში კი საერთოდ ვივინყებთ)...

ისინი უანგარო ღვანლისთვის, თავგანწირული ერთგულებისა და სიკეთისთვის არიან მოვლენილნი ამქვეყნად, ამიტომ სხვებისგან არაფერს ითხოვენ, გარდა მათი აზრის მოსმენისა, — ამასაც უსიტყვოდ ითხოვენ, — არავის ანუხებენ თავიანთი ხმაურიანი აფიშირებით... ისინი საკუთარი კეთილშობილებით უპირისპირდებიან ირგვლივ გაბატონებულ სიბასტიკეს, უხამსობას, ცინიზმს, ნიჰილიზმს... ისინი თავლისჩინვით უფრთხილდებიან კაცობრიობის მომავალს და ამისთვის საკუთარ სიცოცხლეს სწირავენ, სხვებს კი ღირსების, სიკეთის, სამართლიანობის, კეთილგონიერებისა და ადამიანურობისადმი ერთგულებას შთააგონებენ თავიანთი თავგანწირვით:

„ღირსეულად უნდა დავუპირისპირდეთ ყველანი ნებისმიერ საერთო საფრთხეს. რაკი განგებამ კოსმოსურ უსასრულობაში მაინც-დამაინც ჩვენ გვანდო დღეს ადამიანის სახელისა და ღირსების ტარება, ჩვენც კეთილი ვინებოთ, შევიშნოთ ეს მართლაც უდიდესი პატივი და, რაც უნდა ძნელი იყოს, არ მოვიდრიკოთ მისი სიმძიმის ქვეშ...“

სიფრთხილეს თავი არ სტკივია... ამიტომ, მოდით, დროულად შევუდგეთ (ვისაც როგორ შეუძლია) ადამიანის სულის განაშენიანებას...

ყველა ჩვენგანის უწმინდესი და ალბათ უმძიმესი ვალია სიცოცხლის გადარჩენა, ამ ღვთაებრივი მადლის შენარჩუნება დედამიწაზე. სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი გაგვაჩნია...

თუ კაცობრიობას დაღუპვა უწერია, ეს კაცი ხელით მოხდება, და არა ბუნებისა, იმიტომ კი არა, საკმარისზე მეტი რომ დაუგროვდა კაცს თერმობირთვული იარაღი, არამედ იმიტომ, შემადრწუნებელი სისწრაფით რომ კნინდება ადამიანის სულში საუკუნეების მანძილზე ძლივს აღზრდილი პიროვნება — რასაკვირველია, შექმნაზე ადვილი დანგრევაა, მაგრამ სავალალო და გულდასაწყვეტი ის გახლავთ, ნგრევის საშუალებები გაცილებით მეტი რომ არის დღეს, ვიდრე შექმნის საშუალებები ჰქონდათ ჩვენს სულიერ მამებს კაცობრიობის გარიჟრაჟზე — კიდევ უფრო სავალალოა, რომ შექმნა ყოველთვის ტანჯვასთან, მოთმენასთან, თვითგვემასთან იყო დაკავშირებული, როცა ნგრევას მიწიერ სიამეთა აღზევება და ღამის სიგიჟემდე მისული აღტყინება ახლავს თან.

მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერი უნდა ვილონოთ სიცოცხლის გადასარჩენად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეობის, ჩვენი თავისთავადობის გადარჩენას ნიშნავს (ოთარ ჭილაძე, „სიცოცხლისათვის“ თბ. 1988).

ოთარ ჭილაძე XX საუკუნის 80-იან წლებში წინასწარმჭვრეტელურად ხედავდა იმ პრობლემებს და საფრთხეებს, რომელთა წინაშეც დგას კაცობრიობა დღეს — XXI საუკუნეში. მან გააფრთხილა თანამედროვენი, მოუწოდა მათ სიფრთხილისკენ, ზრუნვისკენ დედამიწაზე სიცოცხლის გადასარჩენად, კაცობრიობის მო-



მავალზე ფიქრისკენ, კეთილგონივრული მოქმედებისკენ ეკოლოგიის სფეროში. ის არა მარტო ბუნების, არამედ თანამედროვე ადამიანის სულიერი გაღატაკების, დაკნინების საფრთხესაც ხედავდა წინასწარ, ადამიანის გამხეცვებისა და გადაგვარების საშიშროებასაც გრძნობდა და ამის გამო შემოფოთებას გამოთქვამდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო დაწყებული ომები კავკასიაში, არ იყო მსოფლიოში ამდენი კონფლიქტის კერები, „ცხელი წერტილები“ და ტერაქტები, კლიმატური ცვლილებები კი ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ასე მკვეთრად დედამიწაზე...

მწერალი აფრთხილებდა კაცობრიობას, რომ განსაცდელი სწორედ გულგრილობით, „სულის დევალვაციით“ — სულიერი ღირებულებების გაუფასურებით, მაღალი იდეალების იგნორირებით იწყება.

„ერთი ხე რომ გახმეს სადმე, მისი ჩრდილი ყველას თანაბრად დაგვაკლდებაო“, — ოთარ ჭილაძის ეს გამონათქვამი დღეს, XXI საუკუნის კლიმატური ცვლილებების ფონზე, ასეთ აზრს იძენს:

როცა ერთი ქალაქი ინგრევა სტიქიური უბედურებისაგან, ეს ქალაქი მთელ დედამიწას აკლდება; როცა ერთი ქვეყანა ნადგურდება ომისგან, ის მთელ თანამედროვე ცივილიზაციას აკლდება და ამით მთელი კაცობრიობა ზარალდება...

მწერალი თანამედროვეთ მოუწოდებდა კეთილგონიერებისაკენ:

„ამგვარი პრობლემების მიმართ ნაჩქარევი, ზერელე და, რაც მთავარია, გულგრილი დამოკიდებულება ყოვლად გაუმართებელია... ადამიანი რომელ ეპოქასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, საბოლოო ანგარიშით, მაინც ერთნაირად გულუბრყვილო არსებაა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით — სჯერა, ივინყებს, ურიგდება, ელოდება, იმედი აქვს.. ასე რომ, მისი გულუბრყვილობა კი არ არის დანაშაული ღმერთისა და ქვეყნის წინაშე, არამედ ამ უაღრესად ადამიანური თვისების ბოროტად გამოყენება...“

არავინ ვიცით წინასწარ, რა რით დამთვარდება, პროგრესულ სინამდვილეშიც პროგრესული აღმოჩნდება თუ ახალ უბედურებად დაგვატყდება თავს. ჯერ კიდევ გუშინ ბევრი ირწმუნებოდა, ატომური ელსადგურები საშიში კი არა, მისწრებააო, მაგრამ ჩერნობილის ტრაგედიამ, როგორც ყველას მოგახსენებთ, სრულიად სანინაალღვეო სურათი დაგვიხატა...“ (ოთარ ჭილაძე, „სიცოცხლისათვის“).

რა თქმა უნდა შემამოფოთებელია სხვა ქვეყნებში მომხდარი ასეთი კატასტროფები, მაგრამ მათ ადგილზე საკუთარი ქვეყნის წარმოდგენა კიდევ უფრო შემზარავია. „სანამ ურემი გადაბრუნდება“, გზა მანამ უნდა დავინახოთ. ძალადობა ბუნების მიმართ ისევე დაუშვებელია, როგორც ძალადობა ადამიანის მიმართ. მდინარეების კალაპოტის შეცვლა, ძველი კულტურის ძეგლების (მაგ. დავით გარეჯის მონასტრის) დაზიანება, ვაზის აჩეხვა, ტრანსკავკასიური

რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები — ეს ის საკითხებია, რაზეც 80-იან წლებში ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მწერალი მეტ სერიოზულობას მოითხოვდა თანამედროვეთაგან ამ პრობლემების გადასაწყვეტად:

„იქნებ აჯობებდა, ცოტა ხნით მაინც დაგვევიწყა ქართული გულარხეინობა და მთელი ხმით, ყველას გასაგონად გვეყვირა ჩვენს სატკივარზე?! რამდენადაც ვიცი, ჯერ არავინ დაუდანაშაულებიათ არც სახელმწიფო ენის იგნორირებისათვის, არც ზვავგადავლილი თუ დამენყრილი სოფლებისათვის, ასე რომ მომრავლდა ჩვენში... არაფერი დაშავდება, თუ ჩვენს მეცნიერულ-ტექნიკურ მგზნებარებას ცოტა „ფილოლოგიურ“ შიშსაც შევუზავებთ და იმაზე დავფიქრებთ, რამდენად მიზანშეწონილია ყველაფრის ერთი საზომით გაზომვა. განა აუცილებელია, საქართველოც მძიმე ინდუსტრიული ქვეყანა იყოს, როგორც, ვთქვათ, აშშ? ჩვენ მეღვინეობის ქვეყანა ვართ, მევენახეობა ჩვენი ისტორიული, ტარდიციული დარგია, ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი და არაფერია ამაში არც საგანგაშო, არც სათაკილო - სათაკილოც და საგანგაშოც ის არის, მამა-პაპის გზა დავადოთ და ცული მოვუღეროთ ვაზს... რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო გაიზრდება დანაშაულის სიმძიმე, მით უფრო აგვეზილება თვალი ამ ცოდვის შემზარავი მასშტაბების დასანახად. ვაზი ყოველთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა ქართველი გლეხისთვის, ვიდრე შემოსავლის ნებისმიერი საშუალება. ვაზი იყო მისი პური არსობისა და, ამავე დროს, სულიერი მოძღვარიც... დავივიწყებთ რა წარსულს, იმავე წამს უგულვებელყოფთ მომავალსაც. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვიცოდეთ, რანი ვართ, რა გვევალება, რა გვსურს და რამდენად შეესაბამება ჩვენი შესაძლებლობები ჩვენსავე სურვილს“ (ოთარ ჭილაძე, „სიცოცხლისათვის“).

\*\*\*

როდესაც ცივილიზაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები სასიკეთო მიზნებს ემსახურება, ეს ღვთის წყალობად უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ ეს სიკეთე ბოროტებად იქცეს... საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ ადამიანური გონების ნაყოფი, ცივილიზაციის ახალი მიღწევები ბოროტების სამსახურში არ ჩადგეს, აღარ განმეორდეს ის ტრაგედია, რაც ატომური ენერჯის აღმოჩენის შემდეგ მოხდა... ეს მაშინ ხდება, როცა თავისი მიღწევებით გაამპარტავებული ადამიანი ღვთის რწმენას კარგავს, სულიერ ცხოვრებას უგულვებელყოფს და მატერიალურ ფასეულობებს სცემს თავყანს, როგორც კერპს. ამას შედეგად მოჰყვება უღმერთობა, სისასტიკე, „სულის კრიზისი“ (როგორც ფრანგი მწერალი პოლ ვალერი უწოდებდა ახალ ეპოქას) უფრო საშიშია, ვიდრე ფულის კრიზისი...



კაცობრიობის მომავალი მეცნიერებას და ტექნიკაზე დამოკიდებული, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ადამიანების ხელში ჩაგარდება მსოფლიოში მეცნიერება და ტექნიკა — პროგრესულად მოაზროვნე, ზნეობრივი კანონის ერთგული თუ რეგრესული, სხვათა განადგურების მანიით შეპყრობილი ადამიანების ხელში. ამაზე დამოკიდებული, განირავს თუ არა თანამედროვე ადამიანი დედამიწას კატასტროფისთვის. ამაზე დამოკიდებული მთელი ჩვენი ეპოქის, ცივილიზაციის ბედი. ამიტომაც არის საშიში უზენაესი სიკეთის, ანუ ღვთის უარყოფა. „სულის დეველაცია“ ისევე კავშირში კლიმატურ ცვლილებებთან, როგორც „სულის კრიზისი“ — ეკონომიკის კრიზისთან. ურწმუნო და უპასუხისმგებლო ადამიანი ზიანს ადვილად აყენებს გარემოსაც და სხვა ადამიანებსაც, მაშინ როცა პასუხისმგებლობის მქონეს ურჩევნია, საკუთარი სიცოცხლე განიროს, ვიდრე სხვებს რამე დაუშავოს, ზიანი მიაყენოს თუნდაც უცხო ადამიანებს... ეს სულიერ სიმალეზეა დამოკიდებული. უსამართლობაზე, ძალადობაზე, ხალხის დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტაზე თუ სხვათა ძარცვასა და ჩაგვრაზე აგებული კეთილდღეობა ამაო და წარმავალია, ჩვენს ეპოქაში ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა.

თუ უგულებელვყოფთ უფლის საჩუქარს — სულს, — ანუ ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია, — მაშინ რალა განსხვავება იქნება ადამიანსა და მტაცებელ ნადირს შორის? ადამიანი ხომ სწორედ იმით განასხვავა ღმერთმა მხეცისგან, რომ მას სული მთაბერა, გონიერება მისცა და სხვა ადამიანთა სიყვარული უქადაგა.

დედამიწაზე სიკეთის, სიყვარულის, კეთილგონიერების დამკვიდრებაა ის, რაც გადაარჩენს კაცობრიობის სიცოცხლეს. სხვათა სიცოცხლის ხელყოფამ, ხოცვა-ჟლეტამ მხოლოდ შეაფერხა ჩვენი ცივილიზაციის განვითარება. თუ ადამიანი გონს არ მოეგება, უფლის საჩუქარი — სიცოცხლე — ამ სამყაროში შეიძლება სიზმარივით გაქრეს, როგორც ადრე გამქრალან ცივილიზაციები. რწმენისა და ხელოვნების გარეშე პროგრესი ვერ იარსებებს...

„აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, — წერს ოთარ ქილაძე, — ანდა წარმოდგენილი მაინც უნდა გვქონდეს, რანი ვიქნებით ხვალ, რა ცვლილებები შეიძლება განიცადოს ჩვენმა სულიერმა ნყოფამ საერთოდ ცხოვრებაში მიმიდინარე ცვლილებათა შესაბამისად. არ შეიძლება ვცხოვრობდეთ დღეს და შეგნებული არ გვქონდეს ტექნიკური პროგრესის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი არათუ დღევანდელი, არამედ ხვალინდელი კეთილდღეობისთვისაც. არ შეიძლება, დღესვე არ გვქონდეს გათვალისწინებული, რა დამანგრეველ ძალას შეიძენს ხვალ მასობრივი კულტურა, თუკი ერთხელ მაინც დავივინყებთ, უპირველესად პიროვნებას რომ უპირისპირდება იგი ჩვენს არსებაში და იოლად მოსაპოვებელი, სწრაფწარმავალი სიამოვნების საფასურად, ის სინათლე გააქვს ჩვენი სულიდან, გენივით რომ გადმოგვეცა წინაპრიდან, როგორც ყველა ჩვენგანისა და,

ამავე დროს, საერთო საკაცობრიო სიმდიდრე, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი თაობა აგროვებდა ხელოვნების პირველი და სამუდამო პატრიარქების მარადაულაგებელ, ბუნებასავით მდიდარ, ბარაქიან სუფრებზე, სადაც, სხვა, ჩვეულებრივი სუფრებისაგან განსხვავებით, ის სასმელ-საჭმელი რიგდება, მხოლოდ სულისთვის რომ არის განკუთვნილი, ოღონდ, სულიერი შიმშილის მოსაკლავად კი არა, — კიდევ უფრო გასამძაფრებლად, რადგან სწორედ გამძაფრებელი სულიერი შიმშილი აძევებს ჩვენი არსებიდან მხეცს და იმის დანატოვარ სიცარიელეში, როგორც ნაჩლიქარში წვიმის წყალი, ნელა, თანდათანობით დგება სინათლე რემბრანტის ფუნჯისა, ოპიზრის ჩუქურთმისა თუ მოცარტის ნათითარი კლავისისა... ეს ის სახელებია, რომელთაც ძალუძთ, კაცობრიობის მასობრივი სიბრძნის ჟამს, ბრაილის ანბანის მაგივრობა გასწიონ და პირველადი ფერი, სურნელი და ჟღერადობა დაუბრუნონ ისეთ აუცილებელ, ჰაერივით საჭირო ცნებებს, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, სათნოება, თანაგრძნობა, სიკეთე, სიყვარული...“ (ოთარ ქილაძე, „სიცოცხლისათვის“, თბ. 1988).

ეს მცირე მოცულობის ესსე — „სიცოცხლისათვის“ — ოთარ ქილაძის მარავალფეროვან შემოქმედებაში იგივეა, რაც ზღვაში — წვეთი, მაგრამ მასშიც, ისევე, როგორც ამ არაჩვეულებრივი მწერლის რომანებში, ყოვლისმომცველი, მარადიული, კოსმიური სიბრძნე ირეკლება. ამიტომ, მისი მცირე მოცულობის გამო, დავინყებას კი არ უნდა მიეცეს, — კეთილგონიერების ფორმულასავით უნდა გვასმოვდეს მუდამ. მაღალი სულიერი ღირებულებების გარეშე კეთილდღეობაც და გარეგნული ბრწყინვალეობაც მხოლოდ მეშინაობაა, მეტი არაფერი. პროგრესის საშენი მასალა, უპირველესად სულიერი ოქროა, — მხოლოდ ის აძლევს აზრს მატერიალურ სიმდიდრეს. სწორედ ასეთი ღირებულებები ამდიდრებენ კაცობრიობის სულიერ საგანძურს.

ჟანა ოთხვანი





# რეზი ქანიშვილი

## ქართული სახვის სახეობები

უნიკალური და ძირძველი ქართული ხალხური ქორეოგრაფია ზოგადსაკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. იგი ის ღვთიური მადლი და ზეგარდმო ნიჭია, რომლითაც არსთავამრიგემ ქართველი ერი დააჯილდოვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ როგორც ქართული ენაა ჩვენი ერის უკვდავო ფის უტყუარი დასტური, ასეთივეა პლასტიკის ენით მოსაუბრე ქართული ხალხური ქორეოგრაფია.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიისადმი თავის აღტაცებას გამოხატავდნენ დიდი ქართველი მოღვაწეები: ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი. დიდმა აკაკიმ ქართულ ცეკვას და სიმღერას ქართული სულის ხატება უწოდა. ალექსანდრე

ყაზბეგის აზრით, „ქართული ცეკვა მარტო სანახაობა კი არაა, ქართველი ერის სულიერი სილამაზის გამოვლინება, ხალხის ცხოვრების ძნელი, მაგრამ მომხიბლავი ისტორიის გადმოცემაა“. დიდმა ქართველმა მოაზროვნემ გრიგოლ რობაქიძემ საოცარი სიზუსტითა და ლაკონურობით უწოდა მას „ქართული გენია, როკვით განფენილი“.

როკვით განფენილ ამ ქართულ გენიას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც თავად ქართველ ხალხს, მის ძირძველ ადათ-წესებს და ტრადიციებს. იგი საუკუნეების განმავლობაში იხვენებოდა ერის შემოქმედებით ქურაში და ისეთ სრულყოფილებას და სრულქმნას აღწევდა, რომ დღეს ერთნაირ აღტაცებასა და აღფრთოვანებას იწვევს მსოფლიოს ყველა კონტინენტისა და ქვეყნის, ყველა ერისა და ეროვნების, ყველა კონფესიისა და მრწამსის ადამიანებში.

ქართული ცეკვა ისეთივე მრავალფეროვანი და მიმზიდველია, როგორც კონტრასტებით სავსე ჩვენი ბუნება. მისი სიდიადე ქართული მინა-წყლის სურნელითაა ნასაზრდოები და ქართველი კაცის გულის სითბოთია ნალოლიავეები. მას ჩვენი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო აყალიბებდა, ხვეწდა და სრულყოფდა, ცხადია, ქართულ ხასათთან, ტემპერამენტთან და ყოფასთან ერთად.

სწორედ ბუნებრივ-გეოგრაფიულმა კონტრასტულმა თავისებურებებმა, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ფსიქიკურმა წყობამ და ცხოვრების წესმა არა მარტო ხელი შეუწყვეს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმოშობა-განვითარებას, არამედ უზრუნველყვეს კიდევ მისი მრავალფეროვნება და ურთიერთგანსხვავებულობა. ამიტომ, რომ ყოველი კუთხის ქართული ცეკვა იმ კუთხის ადამიანთა ფსიქიკური წყობის ადეკვატურია, ხოლო მათი ერთიანობა ისეთ პლასტიკურ ფერადოვან პალიტრას ქმნის, რომელიც უდიდეს ემოციურ და ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე.

გარდა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსა, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელ პირობას საბრძოლო-დაცვითი საქმიანობა და ყოველდღიური შრომისა თუ ნადირობის პროცესი წარმოადგენდა. სწორედ მათთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული ცეკვისა და სიმღერის იმ სახეობათა გაჩენა-განვითარება, რომლებიც ბრძოლისა და შრომის აპოლოგიას, მათ ხოტბას წარმოადგენდნენ.

ახლა თუ იმ საკმაოდ მყარ კულტურულ ფონსაც გავითავლისწინებთ, რომელიც წარმართული ეპოქის ყოფაში დასტურდება, ადვილად დაერწმუნდებით, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების ძირითადი ნიმუშები („მხედრული“, „ხორუმი“, „ფერხული“, „ფარცა“, „სამაია“, „ლაზური“,



„განდაგანა“, „ქართული“, „დავლური“, „ფარიკაობა“, „სადარბაზო“, „სვანური ფერხულები“, ხანჯლური“, „მონადირული“, „მოხევეური“, „მეჯიბრი“) სწორედ ქრისტიანობის შემოსვლამდეა შექმნილი და კარგად ასახავს იმ რეალურ რწმენა-წარმოდგენებს, სამხედრო-სპორტულ შერკინებებს, რომელთაც ეპოქის სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა ადგილი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ვერც ერთი რელიგიური წესჩვეულება ვერ შესრულდებოდა გარკვეული თეატრალიზებული რიტუალის, სიმღერა-მუსიკის, ცეკვებისა და სხვა მსგავსი სანახაობების თანხლების გარეშე. ქრისტიანულ ეპოქაში კი ხელოვნების განვითარების მაგისტრალურმა ხაზმა ძირითადად მოიცვა მწერლობა (ჰაგიოგრაფიული წყაროს ნაწარმოებები), საეკლესიო ხუროთმოძღვრება, მუსიკალური კულტურა და ჯვარ-ხატების დამზადების ოსტატობა. რაც შეეხება საცეკვაო-თეატრალურ სანახაობებს, ისინი ერთგვარად მიეფარნენ ეკლესიის მახვილ მზერას და მთლიანად ხალხური ფოლკლორული ყოფის ატრიბუტები გახდნენ.

შუა საუკუნეებში სანახაობითი ხელოვნების არსებობასა და შენარჩუნებას ხელი იმან შეუწყო, რომ იგი სისხლხორცეულად იქნა დაკავშირებული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობასთან. სწორედ ეს გახდა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ე.წ. სამხედრო-პატრიოტული ცეკვა-სანახაობანი. ასეთია, მაგალითად: „ხორუმი“, „ფარცაკუკუ“, „მთიულური“, „ხანჯლური“, „მხედრული“ და მარავალი სხვა.

გარდა სამხედრო-პატრიოტული საცეკვაო ფოლკლორისა, ქართულ ყოფაში, სამეფო კარზე, რელიგიური რიტუალების შესრულების დროს საცეკვაო ხელოვნება არა მარტო შენარჩუნებული იყო, არამედ ქართული ყოფის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, თვით საქართველოს ისტორიის ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ პერიოდებშიც. ასე მოაღწია მან, ხალხისაგან ნალოლიავებმა და ნასათუთევმა, XIX საუკუნემდე. XX საუკუნიდან, შეიძლება თამამად ითქვას, ახალი ერა იწყება ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიაში. საქმე ის გახლავთ, რომ ამიერიდან იგი მკვლევარ-ისტორიკოსთა და ფოლკლორისტთა ინტენსიური კვლევის საგანი ხდება. კერძოდ, იწყება ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მაინც სისტემატური ზრუნვა ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების დასაფიქსირებლად და შესასწავლად.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე აღწერს საქართველოში სრულიად ორიგინალურ საფერხულო-სცეკვაო და სასიმღერო წყობის სანახაობებს. ქართული საცეკვაო ფოლკლორის ცალკეული ნიმუშები განხილული აქვთ

მე-17-ე საუკუნის იტალიელ მისიონერ-არქანჯელო ლამბერტის, მოგზაურებს — რაფაელ ბერნოვოლს, დიუბუა დე მონპერეს, გამბას, რიჩარდ ვალბერხსა და სხვებს.

1874 წელს რუსეთის აკადემიამ საქართველოში მოავლინა ექსპედიცია გამოჩენილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ რამდენიმე მიმართულება შეისწავლა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მათ გურიაში ერთ-ერთ წვეულებაზე, რომელიც ექსპედიციის წევრების პატივსაცემად გაიმართა, დააფიქსირეს ცეკვები ხმლებითა და ხანჯლებით, რაც ჩვენი აზრით, უდავოდ იქნებოდა ცეკვა „ხანჯლური“ და „ფარიკაობის“ გურული ვარიანტი.

ამ მიმართულებით უდიდესია გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის, მოცეკვავისა და მკვლევარის ალექსი ალექსიძის ( სონდულაშვილი) ღვაწლი. 1895 წელს ა.ალექსიძე საფრანგეთში მიიწვიეს, სადაც მისი ხელოვნება დიდი ოქროს მედლით იქნა აღნიშნული. ა. ალექსიძე ქართულ ცეკვას ქომავად დაუდგა მაშინ, როდესაც ყოველგვარი ეროვნული იდეენობა რუსეთის მოხელეების მიერ, ვინროვდებოდა ქართული ენა, ჩაცმულობა, ტარდიციები და ა.შ. მან ყველაფერი იღონა, რათა მეფისნაცვლისგან ნებართვა მიეღო ე.წ. „აზიური ცეკვების“ სწავლებისა და შესაბამისი სტუდიის ჩამოყალიბებაზე. 1902 წელს ამგვარი სტუდია გაიხსნა. ა. ალექსიძემ „აზიური“ სტუდიის სახელით შენიღბა ის, სინამდვილეში კი ეროვნული სული შთაბერა მასში. ა. ალექსიძემ, პირველმა ქართველ ქორეოგრაფთა შორის, პირობითი ნიშნებით და ნახაზებით ჩაწერა ქართული ცეკვის ცალკეული ნიმუშები — „დავლური“, „სადარბაზო“, „ქართული“ და სხვა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სისტემური შესწავლის გზაზე, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო მომდევნო პერიოდში. ამ მხრივ უდიდესია გამოჩენილი მკვლევარის, ქორეოგრაფისა და პედაგოგის დავით ჯავრიშვილის დამსახურება. ფართო შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, მან დაამუშავა და შემოიღო ქორეოგრაფიული ნიმუშების ჩასაწერად აუცილებელი პირობითი გრაფიკული ნიშნები, რომლებიც დღესაც ხმარებაშია. დ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით 20-40-იან წლებში მოეწყო ექსპედიციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მან ქართული ხალხური საცეკვაო ფოლკლორის უამრავი ნიმუში დააფიქსირა და დაკარგვას გადაარჩინა. პირობითი ნიშნებით ცეკვების ჩაწერას, რომელიც დღესაც აქტუალურია, იმ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ა. ალექსიძის და დ.ჯავრიშვილის სამვილიშვილო საქმე შემდეგში დიდი წარმატებით გააგრძელეს გამოჩენილმა ქორეოგრაფებმა და პედაგოგებმა ავთანდილ თათარაძემ და





კონსტანტინე მანჯგალაძემ. იგივე საქმეს დღეს თავდადებული ნიჭიერებით აგრძელებენ საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფები, ქორეოლოგ-მეცნიერები: ზაურ ლაზიშვილი, რეზო ჭანიშვილი, უჩა დვალისხელი და ანა სამსონაძე. უდიდესი წვლილი ქართული ფოლკლორის შესწავლასა და მეცნიერულ განვითარებაში მიუძღვის დიდ მოცეკვავესა და გამოჩენილ მეცნიერს ლილი გვარამაძეს.

ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში ახალი საინტერესო ეტაპი იწყება 1945 წლიდან, როდესაც ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მეცადინეობით იქმნება ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართული ცეკვა სწორედ სახელმწიფო მფარველობის ქვეშ მოხვედრილიყო.

40-50-იან წლებიდან ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში ძიებებით გამორჩეული ხანა დგება. იქმნება არაერთი ცნობილი ანსამბლი, ასპარეზზე გამოდიან დღეს უკვე გამოჩენილი ქორეოგრაფები: ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი, გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, ავთანდილ თათარაძე, გიორგი სალუქვაძე, ენვერ ხაბაძე, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, დავით უშვერიძე, რომან ჭოხონელიძე და სხვა. უფროსი თაობის დანებებულ საქმეს შემდგომში დიდი წარმატებით აგრძელებენ ყველასათვის საყვარელი და აღიარებული ქორეოგრაფ-მოცეკვავეები: თენგიზ სუხიშვილი, ბესიკ სვანიძე, ლატავრა ფოჩიანი, ფრიდონ სულაბერიძე, ნინო კირვალიძე, ომარ მხეიძე, იამზე დოლაბერიძე, ფატმა კობალაძე, მედეა გვაზავა, რევაზ ჭოხონელიძე, თენგიზ უთმელიძე, გულიკო სიხარულიძე, რეზო ჭანიშვილი, მანანა აბაზაძე, ზაურ ლაზიშვილი, ელენე ნერეთელი, უჩა დვალისხელი, თამაზ ბეჟანიძე, ჯუმბერ დუნდუა, ჯემალ ნავროზაშვილი, ჯემალ სამხარაული, ბეჟან სურმავა, ვაჟა ახვლედიანი, ლექსო ნიკოლაძე, ჰამლეტ კობეშაძე, თემურ ბიბილეიშვილი, ჯემალ ჩიჩუა, ენვერ გუჯაბიძე, ამირან პაიჭაძე, გივი ჩიჩუა, ზაურ პაპიაშვილი, მურმან ლომთათიძე, გაიოზ გოგოლიძე, ნუგზარ ჯიქური, ბიჭიკო (თენგიზ) ყურაშვილი, ვიოლეტა სახვაძე, ნელი ხაჟომია და სხვა. ქართულ საბავშვო ქორეოგრაფიას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს: ნუნუ ღვინერიაშვილი, ჯემალ რეხვიაშვილი, ლამარა უთმელიძე, თამაზ გოგიტიშვილი, ნინო ტურიაშვილი, თენგიზ იმნაძე, თენგიზ სუხიშვილი, თემურ ჩხაიძე, თამაზ ჟორჯოლიანი, გივი ბურდულაძე, კახა დაშნიანი, ლევან ალიაშვილი, კობა დუნდუაძე, ანზორ გვარამაძე, გიორგი ჭანიშვილი და სხვა.

ჩამოვთავლოთ და დავახასიათოთ ის ცეკვები, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მაყურებელი.

ცეკვა „ქართული“ - არის ეროვნული

საცეკვაო ხელოვნების, განსაკუთრებით კი სატრფილაო ქორეოგრაფიული ლირიკის გვირგვინი, რომლის ფორმისა და შინაარსის მთლიანობა სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ქართველი ხალხის ზნეობრივ სინამდვილეზე, მის რაინდულ ბუნებასა და ესთეტიკურ იდეალებზე.

„ხორუმი“ — საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის ცეკვაა, რომლის ისტორიული ფესვები ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული კულტურის უძველეს ფენებშია საძიებელი. ჩვენამდე მოაღწია „ხორუმის“ რამდენიმე ვარიანტი (აჭარულმა, გურულმა, ლაზულმა). გარკვეული ლიტერატურული წყაროებითა და ზეპირი გადმოცემებით ასევე დასტურდება „ხორუმის“ არსებობა მესხეთში, სამეგრელოში, იმერეთსა და იმერხევში.

„განდაგანა“ — საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის აჭარის უაღრესად პოპულარული ცეკვაა. მასში გასაოცარი მხატვრული ოსტატობით არის ერთმანეთთან შერწყმული პოეტური ფანტაზია, სატრფილაო ლირიკის მომაჯადოებელი ხიბლი, ხალასი ხალხური იუმორი და ქორეოგრაფიული პლასტიკის უკვდავი ენა.

„ფერხული“ — ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის დიდ საგანძურში საფერხულო ცეკვებს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ქართული ფერხულების რაოდენობრივი და სახეობრივი სიმრავლე ნათლად აჩვენებს ჩვენი ქორეოგრაფიული კულტურის სიძველეს, მის მაღალ მხატვრულ-ესთეტიკურ დონეს და ქართველი ხალხის უკიდევანო შემოქმედებით ფანტაზიას. საქართველოში დაფიქსირებული ასეულობით ფერხულის გარკვეული ნაწილი ორ და სამსართულიანია.

„ფერხული ფარცა-კუკუთი“ — საბრძოლო შინაარსის გურული ფერხულია. ძველად, მას მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ. ქალების ჩართვა კი მოგვიანებით მოხდა. დღეისათვის იგი ქალ-ვაჟთა საერთო ცეკვაა — ორპირული და სამწიფიანი. პირველი წყნარია, მეორე შედარებით აჩქარებული, მესამე ნაწილი კი ძალზე ჩქარია.

„დაბრალე“ — მეგრული ფერხულის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. იგი იმ ფერხულების ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც ძველად საქართველოში ფერხულის შიგნით მოთამაშეთა მონაწილეობით სრულდებოდა. როგორც პატრიოტული ხასიათის ცეკვა იგი ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილებას გამოხატავდა.

„მოხეჯური“ („ყაზბეჯური“, „ალვანური“) — სასიყვარულო მოტივზე აგებული ლირიკული ცეკვაა, რომელშიც ორგანულადაა შეერთებული სატრფილაო ლირიზმი და ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებით მიღებული უდიდესი სიამოვნება.



„ლაზური“ — „ხორუმის“ მსგავსი ცეკვაა, სრულდება ნელი, საშუალო და ძალიან სწრაფი ტემპით. იგი განეკუთვნება ძველი ლაზიკის საცეკვაო კულტურას და მასთან დაკავშირებულ ცერემონიალებს. ამ ცეკვაში ასევე შეტანილია ძველ ლაზ მეთევზეთა რიტუალები, რომლებიც გამოხატავდნენ ბადით თევზის დაჭერას და მასთან დაკავშირებულ ემოციურ განწყობას.

„სამაია“ და „ნარნარი“ - ქალთა ლირიული ცეკვებია, რომლებიც ავლენენ ქართველი ქალის სინაზეს, სილამაზეს, კდემამოსილებას, გრაციოზულობას. „სამაია“ — სამი ქალის ცეკვაა.

აქვეა „ქალთა მოხევეური“, რომელიც განეკუთვნება მთიელთა ცეკვების ჯგუფს. ხალხური ვარიანტის მიხედვით, მას ასრულებენ მოცეკვავე ქალები ვაჟების ილეთების გამოყენებით. „ფშაველ ქალთა ლხინი“, სადღესოდ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალთა ჯგუფური ცეკვაა. ქალების მიერ ვაჟებისათვის დამახასიათებელი ცეკვების შესრულებას განაპირობებს ცხვარში თვეობით წასული მათი ახლობლებისა და გულისწორთა მონატრება. ისინი დიდი სიხალისით და ქალური გონებაამახვილობით იმეორებენ მათ მოძრაობებს, ილეთებს, ილეთთა ნაერთებს, რითაც ვაჟთა ცეკვის სრულ კოპირებას ახდენენ. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს არამარტო სახალისო და სანახაობრივად საინტერესო ხდება, არამედ დიდად უწყობს ხელს მთაში საცეკვაო ფოლკლორის შენახვასა და კიდევ უფრო განვითარებას.

„დავლური“ — ეს იყო ძველი სადარბაზო ცეკვა, რომელიც მეფის კარზე სრულდებოდა (ევროპული სამეფლისო ცეკვების მსგავსად). ამჟამად იგი მასობრივ ცეკვად იქცა, რომელიც აუცილებლად მთვარდება ცეკვა „ქართულით“.

„ძველი თბილისის ბოჰემა“ — იგი განეკუთვნება ძველი თბილისის ქალაქურ ფოლკლორს და აერთიანებს ცეკვებს: „მუხამბაზი“, „კინტაური“, „ყარაჩოხული“.

„მუხამბაზი“ — ძველი თბილისის თავადაზნაურთა ცეკვაა.

„კინტაური“ — კინტოთა, როგორც XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ წვრილ ვაჭართა ფენის, საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ისინი ტყუილებითა და თვალთმაქცობით ირჩენდნენ თავს.

„ყარაჩოხული“ — ყარაჩოხელები ხელოსნები იყვნენ. ამიტომაც მათი ცეკვა გაცილებით თავდაჭერილი და დარბაისლურია, ვიდრე კინტოთა ცეკვა.

„მხედრული“ — მხედარ მამაკაცთა მასობრივი ცეკვა, რომელსაც ასრულებენ ხმლებითა და მათრახებით ხელში. გამოირჩევა მუხლებისა და ცერების ვირტუოზული ილეთებით.

„მთიულური“ — ქართველ მთიელთა ცეკვა, რომელიც ძირითადად მუხლებსა და ცერილეთებით სრულდება. მისი ნაირსახეობაა

„ხანჯლური“. ეს უკანასკნელი „მთიულურის“ ელემენტებზეა აგებული. „მთიულურის“ ასეთივე ნაირსახეობაა „შეჯიბრი“.

„ფარიკაობა-კენჭაობა“ — ხევესურული ცეკვაა, აქ ორი მონინალმდევე მხარე ფარხმალთ უპირისპირდება ერთმანეთს. გაცხარებული ორთაბრძოლა მაშინვე წყდება, როგორც კი ქალის მანდილი ჩაეშვება მათ შორის. მანდილის ჩაგდება ერთი მხრივ, ნიშნავს მონინალმდევეთა შერიგებას, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჟების მხრიდან ქალის მიმართ დიდი პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენს, რომელსაც მსოფლიოში ანალოგია არ გააჩნია.

„თამარ დედფალ რავექსენია“ — ეს საფერხული ცეკვა შექმნილია თამარ მეფის სვანეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ცეკვაში გამოხატულია სვანთა აღფრთოვანება თამარ დედოფლის სვანთში ჩასვლის გამო და ხოტბას ასხამს მას. ფერხული თავისი არსებობის 800 წლის ისტორიას ითვლის.

ფერხული „ლილე“ — „ლილე“ მზის სადიდებელი ფერხულია. სვანეთში მზისა და მთვარის სადიდებელი რამდენიმე ფერხულია დაფიქსირებული. ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული და ჩვენდა საბედნიეროდ, გადარჩენილი ფერხული არის „ლილე“.

„მუმლი მუხასა“ — ამ საფერხული რიტუალურ თამაშს მესხურ ფოლკლორში, მათ შორის მუსიკალურ ქორეოგრაფიულ მასალაში, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. ფერხულში მუხა-საქართველოა, ხოლო მუმლი-გარსმოხვეული მტერი.

აქ ჩამოთვლილი ცეკვები მხოლოდ ნაწილია იმ უმდიდრესი ქართული ხალხური ქორეოგრაფიისა, რომელსაც მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოჰყავს. განსაკუთრებულად ინტენსიური ეს გასტროლები XX საუკუნის 50-60-იან წლებიდან გახდა, როცა შეიქმნა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ქართული ქორეოგრაფიის ორი დიდოსტატის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. მომდევნო წლებში მათ კვალს მრავალი სხვა ანსამბლი გაჰყვა. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ბევრი ისეთი ანსამბლია, რომელიც ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლზე ადრე დაფუძნდა. ასე მაგალითად: ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. დღეს იგი „ერისიონის“ სახელს ატარებს. მის ტრიუმფალურ სვლას მსოფლიოში დიდად შეუწყო ხელი ჯემალ ჭკუასელისა და რევაზ ჭოხონელიძის ფანატიკურმა თავდადებამ და უსაზღვრო ნიჭიერებამ. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“, რომლის ხელმძღვანელები არიან ლეგენდარული პიროვნებები: ანზორ ერქომაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე. ანსამბლთა შორის, რომლებიც განადიდე-



ბენ ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიასა და ქართულ ჰანგს, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს აჭარის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი გამოჩენილი ქორეოგრაფი თამაზ ბეჟანიძეა.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს სახელგანთქმულ ადამინთა შთაბეჭდილებებისა და მსოფლიოს წამყვან ჟურნალ-გაზეთებიდან:

„ეს უნდა ნახოთ, ამის აღწერა შეულებელია“.

„დანია“, კოპენჰაგენი

„სანამ საქართველოს არ გაცნობიხართ, არ მოგისმენით ქართული სიმღერა და არ გინახავთ ქართული ცეკვა, მანამ თქვენ არაფერი არ გინახავთ“.

ჯონ სტივენბერკი

„ქართულ ცეკვას ვერაფერი შეედრება“.

„დეილი ტელეგრაფი“, ინგლისი

„ქართული ხალხური ცეკვები-ცეცხლოვანი ხლოვნება“

ოლგა ლეპეშინსკაია

„ქართული ცეკვები — კოსმიური ცეკვებია, ისინი კოსმიური ენერგიით სრულდებიან“.

ლინა ლიზი, გერმანია

„სანამ სცენაზე ბრწყინავდნენ ქართველები, მოცეკვავე და მომღერალი ვაჟაკები, დარბაზი ტაშს კი არ უკრავდა, არამედ გრგვინავდა აღტაცებისგან“.

„კულტურა“, საფრანგეთი

„ქართველებს აქვთ ქორეოგრაფიის რაღაც განსაკუთრებული, საკუთარი სტილი, რომელიც მათ ყველასგან მკაფიოდ განასხვავებს“.

„დეილ მირორი“, ინგლისი

„ხორუმი“ - აღსავსეა მგზნებარე ტემპერამენტით, მოქნილობით, სისხარტით, იშვიათად მოიძებნება მსოფლიოში სხვა რომელიმე ისეთი ცეკვა, რომელიც ასე მეტყველად, თანმიმდევრულად გამოხატავდეს საომარი იერიშის სურათს“.

„ვეოგ ნოუს“, რუმინეთი

„ქართული ხალხური ანსამბლის კონცერტი - ეს არის ჩვენი ეპოქის დღესასწაული, ქართული ფოლკლორის უდიდესი გაამრჯევა“.

„ლიუმანიტი“, საფრანგეთი

„ქართული ცეკვები ყველაზე ლამაზი, ყველაზე უძველესი, ყველაზე ხალხური ცეკვებია“

სერჟი ლიფარი

„არაფერი ამის მსგავსი ჩვენ არ გვინახავს“.

„ლოს ანჟელეს ტაიმსი“, ამერიკა

„ქართველები მღერიან და ცეკვავენ ისე, როგორც ღმერთები“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“

„თუ პირველობის პალმა უნდა მიეკუთვნოს ვინმეს, იგი, პირველ რიგში, ეკუთვნის ქართველ მოცეკვავეებს“.

„ობსერვერი“, ინგლისი

„ქართული ცეკვა ფანტასტიკურია“.

ჯორჯ ბუმი /უმცროსი/

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, იმას ნიშნავს, რომ ქართულმა ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ შორს გაითქვა სახელი და მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად იქცა. ქვემოთ მოვიტანთ ცელკეულ ამონარიდებს ცნობილი ქართველი მოღვაწეების წერილებიდან ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესახებ.

„ნებისმიერი ერის კულტურა ერის სულის სარკეა. ქართული ცეკვა ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალმარგალიტია, რომელშიც ნათლად არის განცხადებული ჩვენი შინაგანი სამყარო. ქართული ცეკვა კდემამოსილების, ღირსების, ვაჟკაცობის, გაუტეხელობის, თავდადების, გონიერების, სიბრძნის, სიძლიერისა და ამაღლებული სიყვარულის საგალობელია. მის მრავალფეროვნებასა და მრავალსახეობაში ნათლად ჩანს, ერთის მხრივ, ერთიანი ქართული სულის გამოძახილი, მეორეს მხრივ კი, კუთხეების განსხვავებულობა, რაც საოცარ მოზაიკურ პანოს ქმნის.

ქართული ცეკვა ჩვენი სიამაყეა და მსოფლიოს ნებისმიერ დონეზე ჩვენი ერის ღირსეულად წარმომჩენი“.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

„ქართული ცეკვა ჩვენი საამაყო წვლილია კაცობრიობის ცივილიზაციაში“.

ედურად შევარდნაძე

„ქართული ცეკვის განუმეორებელი ხიბლი, მისი არაჩვეულებრივი რიტმულობა და პლასტიკურობა ხალხის სულიერი პოტენციალის უმაღლესი გამოვლინება“.

თამაზ გამყრელიძე

„გააცანით მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანი“, „ჯვრის მონასტერი“, „ჩაკრულო“, ცეკვა „ქართული“ და ყველასათვის ნათელი გახდება, რომ საქართველო უძველესი და უმდიდრესი კულტურის ქვეყანაა“.

ბიძინა კვერნაძე, ანზორ ერქომაიშვილი

„ქართული ცეკვის ფენომენი ისეთივე სასწაულია, როგორც თვით ბუნება და სიცოცხლე. სიცოცხლის არსი და მარადიული სილამაზე გამოიხატება ქართული ცეკვის უმდიდრეს ილეთებში. ეს ილეთები ადამიანებს არ გამოუვონებიათ — იგი ღმერთმა შთააგონა მათ.

...როცა და მამასადაძე, ცეკვის სიცოცხლისა და მარადიული არსებობის საწყის-სათავება და ჩვენი ერის უკვდავების პირობაა. სანამ ჩვენი მშვენიერი ქალ-ვაჟები ქართულად ცეკვავენ, გადაშენება არ გვინერია!“

ჭაბუა ამირეჯიბი

„ქართული ცეკვისთანა აზრიანი და სანახაობრივი ქმნილება არსად არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე“

სანდრო ახმეტელი

„ქართული ხალხური ცეკვები გვაოცებენ





გრაციით, კეთილშობილური მოძრაობებით, ტემპერამენტით, ნარნარით და სისმუბუქით. მასში გამოხატულია ქართველი ხალხის სული, საქართველოს მზე, მისი მთები, მისი ნაყოფიერი ველები, ტყეებით და ბალებით — ყველა სიმდიდრე და მრავალფეროვნება“.

ვახტანგ ჭაბუკიანი

„მე მუდამ მანცვიფრებდა ქართული ცეკვა თავისი ღვთაებრივობით, ქართული ცეკვის ურთულესი ნახაზები ცაში მნათობთა და ვარსკვლავთა მოძრაობისთვისაც კი შემადარებია“.

ნოდარ დუმბაძე

„ჩვენს ხალხურ ქორეოგრაფიაში თითქოს მთელი თავისი მშვენიერებით იშლება ის, რასაც ჩვეულებრივად ცხოვრებას ვეძახით, მაგრამ სინამდვილეში ციური კიბეა უკვდავებისა, დიხაზაც, უკვდავია ხალხი, რომელიც ასე ცეკვავს, ანუ ასე ცხოვრობს, ასე ელტვის სიცოცხლის ცხოველმყოფელ სინათლეს“.

თამაზ ჭილაძე

„მე ვიჩოქებ სრულიად საქართველოს ქორეოგრაფიის წინშე“.

ლევან სანიკიძე

„ქართული ხალხური ცეკვის გარეშე არამარტო ქართული კულტურა, არამედ თვით მსოფლიოს უდიდესი კულტურული სახეც კი უფერული გამოჩნდებოდა. ამიტომაც მჯერა, რომ ქართული ხალხური ცეკვა უბრალოდ მსოფლიო განძი კი არ არის, არამედ იგი მაგალითია მსოფლიოსათვის, მაგალითი ესთეტიკური სიმაღლის, მშობლიური მიწისადმი ერთგულებისა, სიყვარულისა და ვაჟკაცობისა. ასეთი განძის მქონე ხალხს გადაშენება არ უნერია“.

რამაზ ჩხიკვაძე

„ქართული ცეკვები სიცოცხლის ზეიმია, სულის ცეცხლია. იგი ქართველი ერის სიდიადის გამოხატველი განძია, რომელსაც მსოფლიოში ბადალი ძნელად თუ მოეძებნება“.

მერაბ ბერძენიშვილი

„ქართული ცეკვა ეს არის კაცობრიობის მონაპოვარი, თუ დავაკვირდებით, მასში შესამჩნევი ხდება ჩვენი წინაპრების ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც პლასტიკის, ცეკვის ენითაა გაცხადებული“.

ოთარ მელვინეთუხუცესი

„ქართულ ცეკვაში ქართველი ერის მსოფლმხედველობრივი სანყისია გამჟღავნებული, სანყისი, რომელსაც ქართული ქრისტიანული თუ ადრექრისტიანული კულტურა ემყარება.“

ქართული ცეკვა თავისებური პოეტური ქორეოგრაფიაა. იგი ქართული ანბანივით იღუმალა და თავისი გენიალურობით აღმაფრთოვანებელია. ქართულ ცეკვაში შერწყმულია უძველესი ქართული ფოლკლორისა და მითოსის ნაკადი. ქართულ ცეკვაში წარმოჩინებულია ერის ქრისტიანული რწმენის — როგორც ეროვნული იდეოლოგიის, როგორც სახარებისეულ მცნებათა ერთგული ერის ფსიქოლო-

გიურ-ვიზუალური, ასევე შინაგანი ბუნება, სულიერი სიღრმეები, აგრეთვე მითოლოგია და ხალხური ეპოსი“.

ვაჟა ოთარაშვილი

„საიდან მობრძანდება როკვა ქართული? ქრისტიანობამდე ხანიდან, კერპთაყვანისმცემლობის დროიდან, მაგრამ უფრო კი — ქართველი კაცის სისხლიდან, ქართული გენიიდან, უხსოვარ დროში ქართული ცეკვების ილეთები ჭინკებივით დახტოდნენ იბერთა ძარღვებში“.

ჯანსუღ ჩარკვიანი

„უნდა ვიაროთ წინ, ანუ იმათკენ ვინც ჩვენამდე მოიტანა ნასათუთევი, ნაფერებელი საოცრება — ქართული ხალხური საცეკვაო ფალკლორი“.


ოტია იოსელიანი

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ არნახულ წარმატებებს მიაღწია და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, იგი დღესაც მუდმივი ძიების, წინსვლის, განახლების პროცესშია. დღემდე გრძელდება ხალხური ცეკვების გაცენიურებისა და მხატვრული ვარიანტების ძიების პროცესი.

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების დახასიათება სრული არ იქნება, თუ არაფერი ვთქვით მის შემეცნებით და აღმზრდელი მნიშვნელობაზე, ქართული ცეკვა არამარტო ფიზიკურად აწრთობს ჩვენს თაობას, არამარტო დიდ ესთეტიკურ ტკობას ანიჭებს მას, არამედ უვითარებს ეროვნული კულტურის პატივისცემის გრძნობას, უნერგავს ქვეყნის სიყვარულს, უყალიბებს მტკიცე ხასიათსა და ნებისყოფას და, რაც ყველაზე მთავარია, აღავსებს ეროვნული ღირსების, ეროვნული სიამაყის გრძნობით. ამიტომაც, რომ ამ საქმეს დღეს მრავალი ქორეოგრაფიული სტუდია, სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები ემსახურება.

ქართულ ცეკვას ვერავითარი გლობალიზაცია ვერ მოერევა და ვერ მოახდენს მის გათქვეფას სხვა ხალხების ცეკვებში (კულტურაში), ცხადია, გლობალიზაცია მარტო სინთეზს და გათქვეფას არ გულისხმობს, არამედ კულტურათა ურთიერთდაახლოებას, ურთიერთზე კეთილი გავლენის მოხდენასაც, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს ურთიერთდაახლოება, რომელი ერის ადამიანებმაც არ უნდა მოინდომონ ქართულად ცეკვა, ალბათ, გაუჭირდებათ, რადგან როგორც ამას გრიგოლ რობაქიძე იტყოდა — „საამისოდ რასსა არ ეყოფათ“. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ უნიკალური, უმდიდრესი და უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული ცეკვა ისევე უკვდავი იქნება, როგორც მისი შემქმნელი მრავალჭირნახული, მაგრამ ქედუხრელი და გაუტყეხელი ქართველი ხალხი.





იოსონა სვანიძე

**ჩხოვნი სანჯისათვის  
თავდაუზობანი  
მეხიძლი**

ქართველ ხალხს, თუ რამ გაგვაჩნია საამაყო, ეს უნიკალური სამუსიკო ფოლკლორია, ფოლკლორი, რომელიც უცხოელს თუ თავად ქართველს სიამაყის გრძნობას აღუძრავს, უცხო ტომთა წარმომადგენლებში კი გაოცებასაც – აღტაცებასაც იწვევს. უფრო მეტიც, კომპოზიტორები ძალიან ხშირად მიმართავენ ორიენტალისტურ მუსიკას, რომელსაც თავის თხზულებებში უხვად იყენებდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის „მძლავრი ჯგუფის“ წარმომადგენლებსა და ჩაიკოვსკიზე. ორიენტალისტური მუსიკისას „მძლავრი ჯგუფის“ წარმომადგენლები ძირითადად ქართული მუსიკითა და განსაკუთრებით თბილისში გავრცელებული ქალაქური ფოლკლორით იფარგლებოდნენ, თბილისის, რომელიც მთელი აღმოსავლეთის ხალხის კონგლომერატს წარმოადგენდა. თავად პ. ჩაიკოვსკიმ თავის ბალეტ „მაცნატუნაში“ ქართული „იავნანა“ ყოველგვარი გადამუშავების (ორანჟურების) გარეშე შეიტანა.

ქართულ ხალხურ მუსიკას ბევრი ქომავიჰყავდა: ანდრია ბენაშვილი, რომელმაც პირველმა გამოსცა ქართული ხალხური სიმღერების

კრებული „ქართული ხმები“, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, ვ. ქორიძე, ზ. ჩხიკვაძე, ხ. სავანელი, დ. აღნიაშვილი, ძმები პ. და ვ. კარბელაშვილები, გრ. ჩხიკვაძე, შ. მშველიძე, ი. ჩიჯავაძე, გრ. კოკელაძე და სხვ. ქართული მუსიკის კვლევის საკითხებს დიდი ადგილი დაუთმო უდიდესმა ქართველმა ისტორიოგრაფმა, საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა, თავისი ნაშრომით „ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები“.


ქართველ მუსიკოს-ფოლკლორისტების გარდა, არც უცხოელები იყვნენ გულგრილები ამ უნიკალური სამუსიკო ფოლკლორისადმი: მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ზ. ნადელი, ნ. გრინბერგი, ი. რატილი და სხვები. ჩეხი იოსებ რატილი მოხიბლული ქართული სიმღერებით, ეცადა მათ დამუშავებას და დღესაც ისმენ რა ამ სიმღერებს, „რატილისეული“ ხელწერა ერთობ განსხვავებულად ჟღერს, თუმცა „ევროპიზირებული ქართული“ და აღტაცებაში მოყავხარ ამ უცხოტომელის მიერ ქართულ ხალხურ სიმღერაში ასეთი წვდომით და ორიგინალობით.

ქართული მუსიკის ფოლკლორის წინაშე განუსაზღვრელი წვლილი მიუძღვის დიმიტრი არაყიშვილს, რომელმაც ეს დარგი სამეცნიერო ხარისხში აიყვანა და საფუძველი ჩაუყარა მუსიკის ფოლკლორისტის მეცნიერულ კვლევას. მან მთელი საქართველოს კუთხეები შემიარა, ფონოგრაფზე ჩაიწერა ეს თვალმარგალიტები, გაშიფრა (ნოტებზე გადაიტანა), ყოველი კუთხის ზოგადი ეთნოგრაფიული თავისებურებებიც აღწერა და ერთობ ფუნდამენტური შრომები გამოაქვეყნა „მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის შრომებში“, რომელიც წარმოადგენდა „საიმპერატორო საზოგადოების საბუნებისმეტყველო, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შრომებს“.

პირველ ტომში, 1906 წელს რომ გამოიცა, შესულია აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო მეორეში (1911 წლის გამოცემა) – დასავლეთ საქართველო და ინსტრუმენტული მუსიკა. ამით ქართული კულტურისათვის წარმოუდგენელი ამაგის გარდა დიმიტრი არაყიშვილმა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა ქართველი ერის ყველაზე საამაყო (თამამად ვაცხადებ ამას – ი.ა.) საუნჯე. ეს ის საუნჯეა, რომელმაც ჯერ კიდევ ჩვენს ნელთალრიცხვამდე V – IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის, მხედართმთავარისა და მრავალმხრივ განსწავლული პიროვნების ქსენოფონტეს ყურადღება მიიპყრო, რომლის გადმოცემითაც წარმართულ ხანაში (IV ს.) საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საერო მუსიკა, სამხედრო სიმღერები და საცეკვაო მუსიკა. მისივე გადმოცემით ჭანები (ლაზები) ომს სამხედრო სიმღერებითა და ცეკვებით იწყებდნენ.

ქართული ხალხური მუსიკის თავდაპირველი ცნობები ჩვენს ნელთალრიცხვამდე





VIII საუკუნის წყაროებში გვხვდება. კერძოდ, ასურელი მეფე სარგონი ურარტუს სახელმწიფოს სამთავრო მანას აღწერისას აღნიშნავს, რომ „შრომის პროცესს თან ახლდა მხიარული სიმღერები“.

ჩვენს გაუკუღმართებულ ყოფაში, სადაც სულიერების და განსაკუთრებით ახალგაზრდების სულიერი გაჯანსაღებისთვის სახელმწიფოს არ სცალია და ტელევიზია ხომ მხოლოდ ტვინის გამოსარეცხი სერიალებითა და უხამსი შოუებით ცდილობს მოზარდ ახალგაზრდობის დამოძღვრას. გამონაკლისს წარმოადგენს ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია მეორე.

ამ უკეთურ დროში თავისი ეროვნული საქმით სრულიად საქართველოს და ქართველ ერს უღვივებს მინავლებულ სულიერ კულტურას, ხალხურ სამუსიკო შემოქმედებას, ხალხური სიმღერა რომ ჰქვია. ერის საამაყო შვილი, უფრო სწორად ერისკაცი ანზორ ერქომაიშვილი. ბატონი ანზორი არ არის მხოლოდ ქორმაისტერი; იგი ვერ იფარგლება მხოლოდ ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ ხელმძღვანელობით. ბატონი ანზორი მარად ძიებაშია, იგი დიდი ენთუზიაზმით იძიებს და სანადელს აღწევს კიდევ პირველ ქართველ პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებელთა შემოქმედებით ნიმუშებს ჩვენ ქვეყანაში და განსაკუთრებით. საზღვარგარეთის არქივებში თუ სადღაც სარდაფებში უკვე გადასაყრელად გამზადებული ჩვენი კულტურის თვალმარგალიტების მიგნებაში. რა შეიძლება ეწოდოს კაცს, რომელიც საკუთარი სოლიდური თანხებით იძენს ამ სიძველეებს და დაბრუნებისთანავე რუდუნებით ეწევა ტიტანურ ჯაფას ამ სიძველეების აღსადგენად და გამოსაცემად (დისკებზე). სიამაყის გრძნობით ივსები პირველი ქართველი მომღერლები: ფილიმონ ქორიძის, ია კარგარეთელის, ვანო სარაჯიშვი-

ლის, ტომაშვიჩის მოსმენით; ემოციურ დატვირთვაზე უკვე აღარას ვამბობ.

2000 წლიდან ანზორ ერქომაიშვილი – ლოტბარი კიდევ უფრო დიდი შემართებით მუშაობს სამუსიკო ფოლკლორისტიკის ისტორიის გაშუქებისთვის. მისი ინიციატივით იქნა გამოცემული „ქართული გალობის მოამაგენის“ პირველი ნიგნი, სადაც მკითხველი ეცნობა მომღერალ ფილიმონ ქორიძის მნიშვნელობას უძველესი ქართული საგალობლების აღდგენის საქმეში, რისთვისაც იგი თავს ანებებს კლასიკოს მომღერლობას და უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერის კულტურისთვის მსახურებას. კერძოდ, უდიდესი პროფესიონალური გამოცდილების მქონე ბატონი ფილიმონ ქორიძე საეკლესიო გუნდის მგალობლებს ასწავლიდა ელემენტარულ მუსიკის თეორიას, განუმარტავდა ტემპრებსა და მათ შორის სხვაობას, მეტრო – რიტმის მნიშვნელობას, ალტერაციისა თუ აგოგიკის ნიშნებს. ბატონი ფილიმონი მოითხოვდა მგალობლისაგან აუცილებლად ფეხზე დგომით სიმღერას, რადგან გულ-მკერდი და ფილტვები უფრო თავისუფალი უნდა იყოს, ხოლო დიაფრაგმა ყოველთვის გამართული, რაც სუნთქვის ორგანიზმისთვის აუცილებელი პირობაა, ხელები – თავისუფალი, გაღებული ან ნაკლებად გაღებული პირი რა ბგერებს გამოსცემს, ენა არ უნდა ეკარებოდეს სასას, რათა აცილებულ იქნას სიმღერისას დუდღუნი. მგალობელისთვის კიდევ მრავალ სასარგებლო ჩვევებს ასწავლიდა, რომელთა ჩამოთვლა ერთ წერილში შეუძლებელია. თავისი შემართებითა და მრავალფეროვანი მოღვაწეობით ბატონი ფილიმონი 60-იანელთა პირმშოდ გვევლინება და თავისი სფეროსთვის თავგადადებით სწორედ იმ გამოჩენილ ქართველთა რიგებში იდგა, რომელთაც ერი და ეროვნულობა და მისი მსახურება უპირველესი დანიშნულება იყო.

ქართველი ხალხის სიამაყეს წარმოადგენს ხალხური სიმღერების ოსტატი, ერუდიტული, ერთგული და, საერთოდ, ყველა სიკეთით შემკული ძუკუ ლოლუა (1877 – 1924). მასაც „თერგი ჰქონდა დალეული“ და პატრიოტიზმი და ერის მსახურება ჩვეულებად მიაჩნდა. იგი იმ პერიოდის დიდად განსწავლული პიროვნება იყო. თუ ძალიან ღრმად არ იცნობდა ბეთჰოვენის, მოცარტის დარგომოუსკისა და სხვა კლასიკოსთა შემოქმედებას, ინტერესი და სიყვარული დიდი ჰქონდა მათდამი. ბატონ ძუკუს უდიდესი კავშირი ჰქონდა იმ დროის ინტელიგენციასთან: შალვა დადიანთან და გიორგი შერვაშიძესთან, ანდრია ბენაშვილსა და ზაქარია ჭიჭინაძესთან, აკაკი ხორავასა და ილია ნაკაშიძესთან... კოლეგების და მის მიერ აღზრდილებთა რაოდენობა განუსაზღვრელია. ძუკუ ლოლუა ახლოს იყო სამღვდელოების მაღალი იერარქიის წარმომადგენლებთანაც, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა:





ლეონიდე ოქროპირიძე, სერაპიონ კალანდაძე, დავით დუმბაძე – დეკანოზი, მგალობელი ანტონ დუმბაძე – სრული მგალობელი (ალიზარდა გელათის მონასტერში), შემდგომში ათონის მთის ქართველთა საგანის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი იყო; გრიგოლ დადიანი – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ქართული საეკლესიო გალობის მოამაგე. წმ. ამბროსი (ამბროსი ხელაია) – საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი, რომელიც მოითხოვდა აფხაზეთში გალობის საქმე ძუკუ ლოლუასთვის მიენდოთ. ასეთი დიდი პატივი და ნიჭის აღიარება, ქართული ხალხური სიმღერის ბრწყინვალე ცოდნისა და უდიდესი გამოცდილების შედეგია. ძუკუ ლოლუა საუკეთესოთაგან საუკეთესო პროფესიონალად უნდა ჩაითვალოს, ჩვენ ამ დარგის მუშაკებს, მის შესახებ მხოლოდ მწირი ცნობები გაგვაჩნდა, ისიც ლექციებიდან „გადახვევისას“. რამდენი რამ შევიტყვეთ ამ მონოგრაფიიდან, რომელიც ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივითა და დიდი მონდომებით შეიქმნა „საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ პრეზიდენტის, ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ ავტორისა და საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელის, პარლამენტარ ბატონ გოდერძი ბუკიას ხელშეწყობით. არანაკლები წვლილი მიუძღვის ძუკუ ლოლუას მონოგრაფიის გამოცემაში, გენერალურ სპონსორს ბატონ მერაბ ჭოჭუას.

შეუძლებელია, ნებისმიერი ქართველი სიამაყის გრძნობით არ აღივსოს საერთო საქმისთვის დამშვრალთა მიმართ და ასეთი დიდებული ხალხური სიმღერის ოსტატის შემოქმედების და პიროვნების გაცნობით.

არანაკლებ სიამოვნებას გვგვრის კრებული „ქართული ხალხური მუსიკა ავქსენტის მეგრელიძის არქივიდან“. კრებულში 93 სიმღერაა შეტანილი. იშვიათი გამოჩაქლისის გარდა, სიმღერის თითქმის ყველა ოსტატი დიდებულად ფლობს ძირითადად თავისი კუთხის სიმღერებს. ავქსენტი მეგრელიძე სხვა კუთხეების სასიმღერო საუნჯესაც კარგად ფლობს. ამის გარდა კრებულში შეტანილია სიმღერები ჩონგურის თანხლებით. ეს ბატონი ავქსენტის დიდი სურვილითა და დაუზოგავი შრომით მოხდა, მაშინ, როცა მოზღვავებული იყო ევროპული მუსიკა და მხოლოდ აქა – იქ სოფელში ოჯახურ სიტუაციაში თუ გაიგებდით „ხმა მინავლებული“ ამ არაჩვეულებრივი საკრავის უღერადობას.

ავ. მეგრელიძე მონდომებით სწავლობდა თავად გლეხობისგან სიმღერას: „ რომელი სიმღერაც მე არ ვიცოდი, ჯერ შევისწავლე ისე, რომ თამამად შემეძლო მემღერა შევადგინე 60 – 70 კაცისგან გუნდი და ჩემს მიერ გადაღებული ნოტებით ვამღერე მთელ გუნდს. ამ გუნდში მონაწილეობდნენ ის პირებიც, რომლებიდან მე ეს სიმღერები ჩავინერე და შევისწავლე“. ავ. მეგრელიძისგან ასეთი

მუყაითი შრომა და განსაკუთრებით გულახდილობა დღევანდელობაში მისაბაძია. კრებულის ავტორი დიდი გულისყურით ეკიდება ორგუნდოვან სიმღერებს, რომელ სიმღერებშიც გუნდები მონაცვლეობით მღერიან და თითქოს მაღალოსტატურ შესრულებაშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს.

გაგაკვირვებთ კრებულში შეტანილ სიმღერათაგან „ტირიან თუშის ქალები“, ორხმიანი, ფანდურის თანხლებით. როგორც წესი, თუშური სიმღერები, დღესაც არქაულის კვალი რომ ატყვია და ერთხმიანია, ავ. მეგრელიძის მიერ არის დამუშავებული; „ნეტავი გოგო მე და შენ“ ფანდურის თანხლებით არის წარმოდგენილი, ასევე საინტერესო ჩანანერია ორფა პირველი და ორფა მეორე ჩონგურის შესრულებით „ჩონგურული ღიღინი“

კუთხური მრავალფეროვნების გარდა ბატონ ავქსენტის კრებული იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში შესულია როგორც უძველესი ქართული ხალხური სიმღერები, ასევე თანამედროვე შრომის, სახუმარო, ომის თემატიკისადმი, სამშობლოსადმი მიძღვნილი და სხვ.

კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი ნატო მოისწრაფიშვილია. იგი გამოცემულია „ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის“ მიერ, რომლის პრეზიდენტი ბატონი ნიკო ლეკიშვილი ბრძანდება, ხოლო სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე – ბატონი ანზორ ერქომაიშვილი. „ქართული ხალხური მუსიკა ავქსენტი მეგრელიძის არქივიდან მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს როგორც ამ დარგის მკვლევართათვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის.

ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ამ საქმეში მუხლჩაუხრელი და დაუღალავი, ენთუზიაზმითა და იშვიათი შედეგების მქონე არჩილ ხორავა. მისი ენთუზიაზმი არა მხოლოდ სიმღერების შეგროვებასა და გაშიფვრით შემოიფარგლებო-







დად და მტკიცედ უნდა დავიცვათ. ანსამბლი „შოუ ნანა“ ქართული ეროვნული სულის ნათელი გამომხატველი და პოპულარიზატორია, მივესალმები მის მოღვაწეობას“.

თავისი საქმის უდიდესი პატრიოტი, თუმცა, მისი ძირითადი საქმიანობა ფოთის მუსიკალური სკოლის დირექტორობა იყო, მთელი არსებით ქართული სამუსიკო ფოლკლორის მოძიება – შეგროვებითაც იყო დაკავებული, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ბატონი არჩილის ყველაზე დიდი დამსახურება ერისა და მისი კულტურის წინაშე მდგომარეობს ამ მდიდარი სამუსიკო საგანძურის კიდევ უფრო გამდიდრებაში. მის მიერ მიღწეულია, არაერთი ხალხური სიმღერის ნიმუში, რისთვისაც არც თოვლსა და ყინვას და არც თაკარა მზეს არ გაუბოდა. ამ სიყვარულით გულანთებულმა მოხუცი მწყემსისგან ჩაინერა ისეთი უნიკალური სიმღერები (მეგრული), როგორცაა „შოუ ნანა“, ოდიშური „მაცურული“, კოლხური „მრავალჭამიერ“, „მოკლე ოდოია“, „მახა“, „შვიდეკაცა“, „ფურჩალობა“, „ტურულუა ნანა“, „საომარი“ და სხვ. ეს მწყემსი კობა აბშილავა ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა. მისგან ჩანერილი მანამდე უცნობი სიმღერები დღეს მრავალი ვოკალური ანსამბლის რეპერტუარს ამშვენებს. ბატონმა არჩილმა 150-მდე სიმღერა ჩაინერა, გაშიფრა, დაამუშავა და სიმღერების კრებული წარადგინა კულტურის სამინისტროში.

არჩილ ხორავას კრებულის მეორე განხლებული გამოცემაც ბატონ გოდერძი ბუკიას ხელშეწყობითა და საორგანიზაციო ჯგუფის ყველაზე თავდადებული და დღეს ქართული ხალხური სამუსიკო კულტურის უდიდესი მოამაგის და მართლაც დღეს სწორუპოვარი მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის უდიდესი მონდომებით არის ერის საგანძურად ქცეული. გამოცემის გენერალური სპონსორია ბატონი მერაბ ჭოჭუა. კრებულის შემდგენლები არიან რუსუდან ხორავა და გომარ სიხარულიძე, რედაქტორები – გომარ სიხარულიძე და იოსებ ჟორდანიას, მხატვარი – გია ცხადაია.

უკვე ვახსენეთ ქართული სამუსიკო ფოლკლორის მოამაგეთა ღვაწლი. ისიც აღვნიშნეთ, რომ ამ დარგის მეცნიერულ რანგში ამყვანისა და ერთადერთი აკადემიკოსის (ამ დარგში) დიმიტრი არაყიშვილი – ფოლკლორისტი უდიდეს დამსახურებაზეც მოგახსენეთ, მაგრამ ეს იყო ზუსტად საუკუნის წინ (1906 და 1911 წლებში). ანზორ ერქომაიშვილმა დ.არაყიშვილის მიერ ეს ფონოგრაფზე ჩანერილ ამ უნიკალურ საუნჯეს – ქართულ ხალხურ სიმღერებს დღეს ახალი სიცოცხლე შესძინა და სულ სხვა ხარისხს სძენს მას. ამ საშვილიშვილო საქმით იგი პატივს მიაგებს არა მხოლოდ ერთ-ერთი პირველი ქართული ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ავტორსა და ქართული ხალხური სიმღერების ამადგარს, არამედ საზოგადოდ ქართულ კულტურას და მთლიანად ერის ისტორიას.

და, არამედ გუნდის ხელმძღვანელობითაც. ბატონი არჩილი დაბადებული იყო რა ფოთში, იქ ჩამოაყალიბა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც ზონალურ თუ რესპუბლიკურ დათვალეობებზე წარმატებებს აღწევდა. დროთა განმავლობაში ანსამბლი რვა წევრამდე დავიდა და ბატონმა არჩილმა მას „ფაზისი“ უწოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ. ქუთაისში ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც „ფაზისის“ და მის ხელმძღვანელს ხვდა წილად.

ბატონ არჩილის მიერ ჩამოყალიბებულ ანსამბლთა შორის ქალთა ვოკალური ანსამბლი „შოუ ნანა“ გამოირჩეოდა. ამის შესახებ თვით ბატონი არჩილი ამბობდა: „ქალთა ვოკალური ანსამბლი „შოუ ნანა“ დავაარსე 1971 წელს. განზრახული მქონდა, სკოლაში, სადაც ამჟამად ვმუშაობ, მომემზადებინა ანსამბლი, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მის მიერ დამუშავებულ ხალხურ სიმღერებს შეასრულებდა.

ანსამბლის პირველმა გამოსვლამ მაღალ დონეზე ჩაიარა, ამის შემდეგ „შოუ ნანა“ შეუდგა ჩემს მიერ ჩანერილი ხალხური სიმღერების პოპულარიზაციას“.

არჩილ ხორავას მიერ ჩამოყალიბებულმა ანსამბლებმა მრავალ ოლიმპიადასა თუ ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა და თავიც ისახელა. „შოუ ნანას“ შესახებ გამოჩენილი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე წერდა: „ეროვნული მუსიკალური ხელოვნება კაცობრიობის ცხოვრების ყველაზე მაღალი სულიერი გამოხატულება და მოვლენაა, რაც წმინ-



დ. არაყიშვილის მიერ ფონოგრაფზე ჩანერილი სიმღერები და ინსტრუმენტული მუსიკა, რომელიც საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეს მოიცავს და ყოველ მათგანს ვრცელ ეთნოგრაფიულ მიმობილვასაც ურთავს, ანზორ ერქომაიშვილის მიერ ბატონი დიმიტრის მიერ გამოცემული ფუნდამენტალური შრომებიდან შეარჩია ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშები, რომელიც ნებისმიერი მსმენელს, უდიდეს და უმდიდრეს სამუსიკო ხელოვნებას აზიარებს.

მართებულად მიმაჩნია ანზორ ერქომაიშვილის მიერ ანთოლოგიის შედგენა, რამეთუ ჩვენთვის უნიკალური არქაული სიმღერები სხვათათვის ძნელად აღსაქმელი და ემოციურ მუხტს მოკლებული იქნება.

ამ ეროვნული ღვანლის შედეგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუსიკის ეთნოგრაფიის განყოფილების გახსნა და დიმიტრი არაყიშვილის აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა. გარდაცვალების შემდეგ აკადემიის ეს განყოფილება ცოტა ხანს კიდევ არსებობდა, მაგრამ ღირსეული გამგრძელებლების არ ყოფნის გამო იგი დაიხურა.

ნიგნი – ალბომი „პირველი ფონოჩანანერები“ მრავალმხრივ ინტერესს იწვევს თავისი არქიტექტონიკით. ანზორ ერქომაიშვილი არ იფარგლება ნიგნი ალბომით და ოთხ დისკსაც ურთავს მას, ამით იგი ცდილობს ქართული კულტურა მრავალმხრივად წარადგინოს.

საამაყის გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს წარსული დიდების წარმოჩინება, როგორც არის ძვ. წელთაღრიცხვის ბრინჯაოს ეტლი (თრიალეთი), ამავე პერიოდის თრიალეთის ვერცხლის თასი, ძველი ქართული მონეტები, ძალისის ორი მოზაიკური პანო „დიონისეს სახლი“ (III საუკუნე), „განკითხვის დღე“ – ჯრუჭის ოთხთავი (XII ს.), წმიდა მამაო (გელათი XI ს.), უბისის სამხრეთის კედლის მხატვრობა და ხარება (ორივე XIV), ურთხვის კანკელის ფრაგმენტი (XI ს.), მცხეთის ჯვრის ხედი; ბატონ ანზორს არც ნეემური ნოტაციის ნიმუში და არც ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერი გიორგი მთაწმინდელის ხელით ჩანერილი შენიშვნებით გამორჩენია. ნიკო ფიროსმანიშვილის „ქეიფი გრამოფონით“, სწორედ, რომ შეესატყვისება ნიგნი ალბომის არსს. ნიგნს რამოდენიმე გამოჩენილი პიროვნების გამონათქვამები კიდევ უფრო გვარწმუნებს ჩვენი უმდიდრესი საუნჯის მსოფლიო აღიარებაში. ასე მაგალითად: „მე მუსიკოსი ვარ, მრავალი ხალხის სიმღერა მომისმენია, მაგრამ ასეთ ბრწყინვალეობას არსად შევხვედრივარ“ – რომენ როლანი.

„ხალხური მრავალხმიანობა აცვიფრებს და ქედს ახდევინებს ადამიანს ქართველი ხალხის გენიის წინაშე“ – ბორის ასაფიევი. „საქართველოში მღერის ყველაფერი: ადამიანები, მთები, მდინარეები, ცა და მიწა მღერიან მშვი-

დობაზე და ომზე, სიყვარულზე, კერიაზე უმღერიან დედას, სატრფოს, უმღერიან მეგობარს, ძმას, მღერიან ორნი, სამნი, მღერიან მძლავრ გუნდად. ქართული სიმღერა საოცრად ლამაზია, სევდიანია და მხიარული, ძალმოსილია და ალერსიანი, მრავალხმიანობის მხრივ ანალოგი არ მოეპოვება, ყოვლისმომცველია და ნატიფი, ერთხელაც რომ გაიგონო, მარადიულობას გაგრძნობინებს!“ – მსტისლავ როსტროპოვიჩი. ასეთსავე აღფრთოვანებას გამოთქვამენ ჯორჯ ბალანჩინი, იგორ სტრავინსკი, ჩინგიზ აიტმატოვი და გია ყანჩელი.

ამ უნიკალურ ნიგნი – ალბომში შეხვდებით ყოველი გამოჩენილი პიროვნების თუ მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენის მოკლე ანოტაციებს. არც ისტორიული მომენტები გამორჩენია ქართველი ერის საამაყო შვილს – ანზორ ერქომაიშვილს; ეს იქნება დუშმანის შემოსევა თუ ბრწყინვალე გამარჯვება.

რაც შეეხება ალბომში ჩადებულ ოთხ „კასეტას“, იგი მართლაც ქართული ხალხური სიმღერის და მისი დიდებული შემსრულებლებით განუმეორებელი და უნიკალურია, უფრო სწორად აბსტრაქციის აბსტრაქციაა ისევე, როგორც თვით მუსიკა – ვერც დაიჭერ, ვერც შეხედავ და ვერც ზუსტად ვერ გაიმეორებ.

თუ არა უდიდესი წარსულისადმი სიყვარულისა და წარმოუდგენელი პატივისცემისა და მოკრძალებული დამოკიდებულებისა შეუძლებელი იქნებოდა ხალხური სიმღერის უნიჭიერეს შემსრულებელთა სრული ნუსხის წარმოდგენა კრებულში. მათი ჩამოთვლა შეუძლებელია, ერთი კი შემიძლია აღვნიშნო, რომ ყოველი მათგანის დამსახურება ბატონ ანზორს მისხალ-მისხალ აქვს „ანონილი“ და დაფასებული.

ამ საშვილიშვილო საქმის ბრწყინვალე ენთუზიასტსა და ამ ენთუზიაზმის უზადო განმახორციელებელს ერის საამაყო შვილს ვერ ვუნოდებ; იგი ჭეშმარიტად ერისკაცია.

ნიგნი – ალბომი „პირველი ფონოჩანანერები“ უზადო გემოვნებით არის გაფორმებული ვახტანგ რურუას მიერ; შემდგენლები ანზორ ერქომაიშვილი და ვახტანგ როდონია. ამ უნიკალური ნიგნის – ალბომის, როგორც მივხვდი, ტექსტის ავტორიცა და რედაქტორიც თავად ანზორ ერქომაიშვილია. გამოცემის მხარდაჭერისა და დახმარებისთვის უდავოდ დიდ მადლობას იმსახურებენ ბატონები ივანე ჩხარტიშვილი, თეოდორ ლევიჩისი; შარონ ჰადსონ დინი და ქალბატონი ნინო გაგუა, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი ნიკო ლეკიშვილი და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე ანზორ ერქომაიშვილი.

ნიგნი – ალბომის „რუსთავის“ მოკლე ექსკურსის ავტორი მანანა ახმეტელია; საიუბილეო კომპაქტდისკის აღდგენისას უდიდესი დახმარება გაუწია ამ საქმის უზადლო სპეციალისტმა, ხმის რეჟისორმა მიხეილ კილასონიძემ. ნიგნზე მუშაობდნენ ანზორ ერქომაიშვილი,





მიხეილ კილასონიძე და ვახტანგ როდონაია.

ამის კიდევ უფრო დიდი დამამტკიცებელი ფაქტორია ა. ერქომაიშვილის ყოველდღიური შრომა ორ ანსამბლთან – „მართევსა“ და „რუსთავთან“. ეს ერთი შეხედვით ლოტბარობა („რა მოხდა სიმღერას ასწავლის“), რამდენ ბავშვს თუ მოზარდს ჯანსაღი სულით ზრდის, ქუჩას აშორებს და მრავალი ხიფათისაგან იცავს. სწორედ ჩემი „ოპონენტებისგან“ ანზორი ყველაზე უმცროსი და, რაც მთავარია, ყველაზე აქტიური საზოგადო მოღვაწეა (გამონაკლისს წარმოადგენს ბატონი დიმიტრი არაყიშვილი, რამეთუ პირველი პირველია და მას ქართული კულტურის ისტორიაში დიდი ხანია თავისი ნიშა გააჩნია). სწორედ ამიტომ უპრიანია მის ნაგოგმანებ „რუსთავზე“ და მის შესახებ გამოცემულ წიგნ – ალბომზე ყველაზე გვიან მოგახსენოთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II წერს: ანსამბლ „რუსთავის“ მოღვაწეობა უმნიშვნელოვანესი ნაწილია ქართული ხალხური მუსიკისა და სიმღერის ისტორიისა... ბატონმა ანზორმა მარტომ შეძლო ისეთი საქმის გაკეთება, რასაც ზოგჯერ თაობები ვერ ახერხებენ...“ წიგნ – ალბომში უხვად შეხედვებით ქართველი და უცხოელი მოღვაწეების დიდი აღფრთოვანებით და გამეტებით, უშურნელად გამოთქმულ აზრებს ეროვნული საქმის უდიდესი მოამაგის, ქართველი ერის საამაყო კაცის ანზორ ერქომაიშვილის შესახებ. იგი

სტუდენტობის წლებიდანვე თავის მომავალ პროფესიას სერიოზულად მოეკიდა და თავისი თაოსნობით არაერთი ანსამბლი შექმნა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, კონსერვატორიის დამთავრებისთანავე 7 – 10 კაციანი მონოლითური, ჯანსაღი ქართული სულით შთაბერილი ანსამბლი „რუსთავი“ შექმნა, რომელიც დღეს უკვე დაარსების 42 წელს ითვლის; ითვის და კიდევ მრავალ ათეულ წელს მიითვლის.

ადამიანი თუ სალი გონებით იბადება, იმ გარემოში, რომელშიც ანზორი აღიზარდა, შეუძლებელია ასეთ კაცად არ ქმნილიყო, რადგანაც მის ოჯახში ბაბუაც და მისი ძმებიც ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატები იყვნენ. მახსოვს, ბატონ გრიგოლ ჩხიკვაძემ უკვე ხანში შესული „უკანასკნელი მოჭიკანი“ ბატონი ლადიკო რომ ჩამოიყვანა ქართული ხალხური სიმღერების გურული შტოს ჩასაწერად. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც თავისი საქმის ეს ბრწყინვალე მცოდნე სამივე ხმას თავად ასრულებდა; ვინერდით ჯერ მთქმელსა და მომძახნელს, შემდეგ კი – კრიმანჭულს. ასე გრძელდებოდა 10 დღის განმავლობაში. ბატონ ლადიკოსაც არ ელეოდა თავისი „სათქმელი“.

ანზორი ბავშვობიდან ნაზიარები ამ ბრწყინვალე და ურთულეს სიმღერებს სტუდენტობისას სიყვარულით აგრძელებდა და ცოდნის არეალს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერებით ამდიდრებდა. ამ ეროვნული საქმის სიყვარულმა განაპირობა ანზორ ერქომაიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა: იგი ხალხური სიმღერების ახალი ვარიანტების მოძიებაშიც არის და მათ გამომზეურებაშიც, ჟამთა ვითარებაში დავინყებულ სახელების „გამცოცხლებელიცაა“ და მათი ნაღვანის შთამომავლობებისთვის დამტოვებელიც; იგი ქართველ და უცხოურ ხალხებს ბედნიერ წუთებს ჩუქნის ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტებით, ხოლო ქართველობას სიამაყის გრძობითაც ავსებს მისი ძირძველი კულტურის უმაღლეს დონეზე გატანით.

როგორ შეიძლება გულგრილად შეხვდე უდიდესი სამუსიკო კულტურის მქონე ხალხის გერმანელების გამონათქვამს: „... მაყურებელმა შეიყვარა ანსამბლი „რუსთავი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ანზორ ერქომაიშვილი, შეიყვარა მისი სიმღერები. ეს შესანიშნავი მომღერლები გასაოცარი ინტონაციური სიზუსტით მღერიან ჰარმონიულად და პოლიფონიურად სრულქმნილ ქართულ ხალხურ სიმღერებს...“

„... ქართველმა მომღერლებმა მოგვიტანეს სხვადასხვა საუკუნის ხალხური სიმღერები – მელანქოლიური სატრფიალო ჰანგები და იავნანები, მგზნებარე, შრომის სიმღერები, მხიარული პატარა ბალადები და ცეცხლოვანი მგზავრულები, რომელთა უმეტესობა მხედრულეობა. ცხრა მომღერლისაგან შემდგარი ანსამბლი იმდენად მშვენივრად ჟღერს, რომ უკეთესს ვერ





ინატრებს მსმენელი. სუნთქვასავით მსუბუქი და ნაზი პიანო, ამავე დროს ინტენსიურ დატვირთვასაც იტანდა. შრომის ომახიან საგუნდოს სიმღერებში მამაკაცური ძლიერება გამოსჭვიოდა და არავითარი ფორსირება არ შეიმჩნეოდა. თუმცა გუნდი მძლავრად ხმოვანებდა...“ (ორივე ციტატა „ზაარბრიუკენ ცაიტუნგიდანა“ 31.04.05.01.1974).

„სამშაბათს ძალიან დიდი ყურადღება მიიქცია საქართველოს სიმღერისა და ცეკვის აკადემიური დონის ანსამბლმა „რუსთავმა“, რომლის შემადგენლობაში შედიან ვირტუოზი მოცეკვავეები, შესანიშნავი მომღერლები და ინსტრუმენტული ტრიოს არაჩვეულებრივი შემსრულებლები. ანსამბლი გასაოცარი კონტრასტის ორგანული ერთიანობით, ჰარმონიულად შეკავშირებული და შერწყმული სახით წარმოგვიდგა დაუფინყარი სანახაობა აჩვენეს ჩვენს ვალენსიელ მაყურებელს.

სცენაზე შესანიშნავად შესრულებული სიმღერები და ცეკვები უძველესი დროით თარიღდება.“ (25.07.75 ესპანეთი, გაზ. „ლეპანტი“.

„პროგრამა უაღრესად თანმიმდევრული და დიდი გემოვნებით იყო დაგეგმილი. ეს ნააგავდა სრულყოფილი მოზაიკით შესრულებულ ქმნილებას, რომლის ხილვითაც ტკბები და ესთეტიკური სიამოვნების ექსტაზში შედიხარ...“ (01.09.75 გაზეთი „ედისონ დე ანდალუსია“.

„... ქართველმა ხალხმა ორი ცივილიზაციისგან საუკეთესო შეითვისა: ამით აიხსნება მათი ცეკვების, მუსიკისა და სიმღერების ხმოვანების სიმდიდრე, მრავალხმიანობა და გამომსახველობა. სოლისტები ფლობენ ძლიერ ხმებს, გუნდი – არაჩვეულებრივ ერთიანობასა და განუმეორებელ პოლიფონიას...“ (საფრანგეთი, ქალაქ ნანტის პრესა, 1981 წ.).

„ეს არის მამაკაცური გულადობის მშვენიერი გამოვლინება, გამოხატული არა მარტო ცეკვებში, არამედ მრავალხმიან სიმღერებში, რომლებსაც ვაჟთა გუნდი არაჩვეულებრივად ასრულებს. შესანიშნავია იმერული „ნანა“, პირქუში სამონადირეო სიმღერა „შავი შაშვი“, სევდიან-ლირიკული, ამალღებულები პატრიოტული და შრომის სიმღერები, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ შუა საუკუნეების საქართველო არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიას“ ბელგია, ბრიუსელი. (გაზეთი „ლა ლიბრ ბელჟიკ“ 18.02.82).

„საქართველოს ანსამბლი „რუსთავი – ოქრო და ცეცხლი“. ისინი ჩამოვიდნენ შორეული კოლხეთიდან, მედეასა და ოქროს სანმისის ქვეყნიდან, დღევანდელი აზიისა და ევროპის საზღვართან მდებარე საქართველოდან, ისინი ჩამოვიდნენ რათა წარმოგვიდგინონ თავიანთი ერის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი ტრადიციები.

მოელვარე ცეკვებს შორის მამაკაცთა მიმღერალ გუნდს შემოაქვს პოეტური სიმშვიდე,

განმუხტავს მოცეკვავეთა დაუოკებელ მგზნებარებას. ცხრა მომღერლის ყოველი სიმღერა წარმოადგენდა საუკეთესო მუსიკალურ ხელოვნების გვირგვინს. თბილი, ნაზი, მელოდიური, ზოგჯერ ჯადოსნური „პიანისიმოთი“ შესრულებული „სერენადები“ და უცნაური სევდიანი მელოდიები, ხანაც მქუხარე „ფორტე“ პატრიოტული და ბრწყინვალე ანტიკური დროის სიმღერები ჯავარიანი შეძახილებით, რომელთა ჰარმონია და „მელოდია ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ძალზედ მომხიბლავია – ნარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს“ (საფრანგეთი, გაზ. „ლე ფიგარო“, 1983 წ.).


ეს მცირედი ამონარიდი წიგნ-ალბომიდან „რუსთავი“.

რენე სარვინი, საფრანგეთი, გაზ. „ლე ფიგარო“ 03.03.1983 წ. სრულ წარმოდგენას ქმნის ანზორ ერქომაიშვილ – ქორმაისტერსა და უნიჭიერეს მუსიკოსზე, რაც უდავოდ უდიდეს ეროვნულ საქმეს სიცოცხლის ფესვებით კიდევ უფრო ამდიდრებს – უდავოდ ეროვნულ ნიადაგზე დგას იგი და ერისკაცის სახელს იმსახურებს. ისიც გათვალისწინებულია, რომ ამ ალბომში შეტანილი მასალა – საგასტროლო თუ დივიდით მონვდილი სასიმღერო მასალა 2003 წლით არის შემოფარგლული.

თუ გავითვალისწინებთ ანზორ ერქომაიშვილის დაუდგრომელ შრომას, სანუკვარი საქმისათვის ნაღვერდალივით რომ ღვივის, 7 წელი პატარა პერიოდი ასეთი შემოქმედისთვის. ამ წლებში გამოსცა ქართული ხალხური სიმღერის ოსტატების სანდრო კავსაძისა და გიგო ერქომაიშვილის უნიკალური ფონოჩანაწერები დივიდიზე. ასევე კირილე პაჭკორიას და ნიკო ხურციას უნიკალური ჩანაწერები; პოლიკარპე ხუბულავას „მეგრული სიმღერები“; მომავალი თაობისთვის უდიდესი შენაძენია „შვეისნავლოთ ქართული ხალხური სიმღერები“ (მეგრული შტო სამ ვიდეო დისკად).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სიამაყეს ანზორ ერქომაიშვილს 70 წელი შეუსრულდა, როგორც იგრძნობა, მას კიდევ ბევრი ჩანაფიქრის განხორციელება აქვს გეგმაში ეროვნული საქმეების სისრულეში მოსაყვანად. ვუსურვოთ ამ ჭეშმარიტ ერისკაცს ჯანმრთელობა, გამძლეობა და კვლავაც მებრძოლი სული.






# ნოსტალგია

## ბადასი ყოველთვის მხანა ახან ბაღთან ნახიხა

„გაღმა ნაპირი“, „გაღმა“ სამყარო და მის მიღმა დარჩენილი აფხაზეთიდან დევნილთა თაობა, რომელიც უსახლკაროდ რჩება და ამ სახლის ძიებაში ადამიანურ სახეს კარგავს. იმედი შორია, მაგრამ მაინც არსებობს, მთავარია რწმენა. შეგიძლია, მაგრამ დახუჭო თვალები, გაეთიშო რეალობას, დაყრუვდე, დამუნჯდე, არ დაინახო დაუნდობელი სამყარო, მაგრამ ერთადერთი გზა მაინც შეგუებაა — ამ მწარე რეალობასთან შეგუება.

აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ეს დიდი ტკივილი, რაც წლების განმავლობაში გულს უღრღნიდა დევნილ მოსახლეობას, ნუგზარ შატაიძემ თავის ნოველაში „მოგზაურობა აფრიკაში“ თორმეტი წლის ბიჭის ენით გადმოსცა. მისი გაორებული მზერით შეცნობილი სამყარო გატეხილ სარკესავით ასახავს რეალობას. ტყვარჩელისკენ მიმავალი გრძელი და სირთულეებით აღსავსე გზის ძიებაში კი, რომელსაც, წესით, ოცნებისკენ უნდა მიჰყავდეს, იმედიც ქრება...

ისევ ოფოფები, ჟირაფები, ზებრები, რომელთაც ცხენის სუნი აქვთ, ლომი ყვითელი თვალებით, სპილოები და წარმოსახვა, რომელიც გაქვავებს... და თუმცა ეს ცხოველები ნარკოტიკული ზემოქმედების ნაყოფია, მაინც დაუნდობელ უდაბნოში გამკრთალ მირაჟს გავს და შეუძლებელია, ვერ დაინახო სინათლე, რომელიც ალაგ-ალაგ მაინც შემორჩენილა. კეთილი ადამიანების მიერ გამოწვეული ხელი ბინძური გზით ნაშოვნია ფულით უნდა დასვარო, დედას ზიზლით გაუნოდო და მაინც მოგაძახებს, შენ მოუკვდი შენს დედასო, თვი-







თონ კი, ძველებურად გააგრძელებს ცხოვრებას, და რალა დაგრჩენია? მომავლის ბურუსიდან მომზირალი ერთადერთი მოგონება მამაზე. ასე იწყება გზა აფხაზეთისკენ, სადაც მხოლოდ რუსულად და აფხაზურად საუბრობენ, მაგრამ ქართული მაინც ყველამ იცის და ეშინია. ვისაც არ ეშინია, რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ხვრეტენ, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება დახმარება, შუა გზაზე ტოვებენ ბედის ანაბარა. ამ „შორეულ“ სამყაროში ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობენ და მონებივით ექცევიან. ძნელია ამ მინიმუმებს პოლიტიკური უნოდო, მაგრამ ეს ბოროტმოქმედება და აგრესია ზუსტად რუსეთის მხრიდანაა მომართული ქართულ ერზე. ეს წლების წინ მომხდარი ტრაგედიის შეხსენებაა, რომელმაც უამრავი მსხვერპლი მოიტანა და ამოურეცხავი ლაქა დატოვა თავისი ისტორიის ფურცლებზე.

მერე გზაც მთავრდება. თბილი და მონატრებული კერიის ნაცვლად, თოვლიანი შენობების მწკრივი, ყველასგან მიტოვებული ბინები და აფხაზეთი, რომელზე ფიქრიც გკლავს. დედისგან გაქცეულს, მამაც ივინყებს. ყრუმუნჯად მოაქვს თავი, მაგრამ არ გამოსდის. ძნელია გაქცევა, როცა ბევრი რამ გესმის. გესმის, რას ამბობენ შენზე, როგორ სძულთ შენი ერი და როგორ იმალებიან კრავის ტყავში მგლები.

აფხაზეთი — ეს ის მოურჩენელი იარაა, რომელიც მუდამ განვალებს და ვერ იშუშებ.

ძნელია მოუძებნო სიტყვები ამ ტკივილს, მაგრამ ავტორმა ძლიერი ემოციით გვითხრა: „იმას ვაკეთებ, რაც სხვამ ვერ შეძლო, ვერ გაბედა, მე კი, გადავწყვიტე და აი, უკვე მივდივარ...“ რა თქმა უნდა, „ამქვეყნად ცუდი და ბოროტი ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე კარგი“ და ზღვაც, რომლის სუნი, გემო და ხმა დღესაც ჩაგესმის, ბობოქარი და დაუნდობელი აღმოჩნდა... ცივი, სასტიკი და ჭუჭყიანი...

გიორგი ოვაშვილის ნამუშევარი „გალმა ნაპირი“ სხვადასხვა პრესტიჟული კინოფესტივალის პრიზიორია: 2009 წელს აღებული აქვს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მე-9 კინოფესტივალის გრანპრი „ოქროს შროშანი“, სიეტლის 35-ე საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი. კინოფესტივალ „სამხრეთ კინოს“ მთავარი პრიზი „ოქროს ალამაბარა“, პარიზის მე-7 საერთაშორისო ფესტივალის, „პარიზი სინემას“ ჟიურის პრიზი, ერევნის მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს გარგარი“. „გალმა ნაპირმა“ კიდევ რამდენიმე კინოფორუმზე მოასწრო სტუმრობა - ის დიდი წარმატებით უჩვენეს გრანადის (ესპანეთი), სიეტლისა (აშშ) და ვისბადენის (გერმანია) კინოფესტივალებზე.

სათაური, რომელიც მწერალმა უწოდა თავის ნოველას „მოგზაურობა აფრიკაში“ — იმ ტრაგედიისკენაა მიმართული, რომელიც დღესაც აქტუალურია. ტრაგედია, რომელიც წელი სიკვდილით გკლავს და მისგან გაქცევა



შეუძლებელია. ასეთივე პესიმიზმი ჟღერს ფინალში, როცა მწარე რელობასა და მამის სიტბოს, უკან მიხედვასა და არაფრისმომცემ მირაჟებს არჩევს. ეს ის მოგზაურობებია, რომელიც ხშირად ფატალურად სრულდება, თუმცა იმედიანად კი ჟღერს — „აფრიკაში...“

ფილმის სახელწოდება „გალმა ნაპირი“, ზუსტად ასახავს იმ მიუწვდომელ ოცნებას, რომელიც გალმა და მიახლოება დიდი წვლების ხარჯზე უნდა მოხდეს. ეს ურთულესი მოგზაურობა უამრავი რამის გარკვევაში გვეხმარება, მაგალითად, რომ ბალახი ყოველთვის მწვანე არაა გალმა ნაპირზე. რეჟისორი რამდენიმე განსხვავებულ ეპიზოდს ამატებს, ოღონდ, ეფექტურობა ამ შემთხვევაში მხოლოდ ტრაგიზმის ხარჯზეა მიღწეული. ეს სცენები საზარელია: ახალგაზრდა გოგონას გაუპატიურება, გამოსარჩლებული ქართველის დახვრეტა, პატარა ბიჭის შუა გზაზე მიტოვება იმის გამო, რომ ქართველია, უფრო მეტი ზიზლი ჩვენი ერის მიმართ და ფინალი, რომელიც უფრო შემზარავია ნანარმოებში, რადგან ფილმი ჯერ კიდევ გვაძლევს დაკარგულის პოვნის ღვთიურ იმედს. ეს ისტერიული ცეკვა, რომელიც ნერვული დაძაბულობის მოხსნას ემსახურება, მამის სახე და მაგრად დახუჭული თვალები — რეალობისგან გაქცევის ყველაზე იოლი გზა. ისევ ცხოველე-

ბი და სიმღერა, სადაც დამეს ყოველთვის საოცარი დილა და გათენების იმედი ცვლის...

რეჟისორი მთელ დატვირთვას პატარა თედოზე აკეთებს და ცდილობს, იგი მუდამ წინა პლანზე ამყოფოს. თედო ბექაური, პატარა ნიჭიერი დებიუტანტი სოფელ ორბეთიდან, უდავოდ, ფილმის ერთადერთი ვარსკვლავია, რომელიც თავისი დამახასიათებელი გარეგნობის გარდა, თამამის გულწრფელობითაც გამოირჩევა. მაყურებელს კი თანადგომის მომენტი უჩნდება პირველივე კადრებიდან.

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი ინტერნაციონალურია: ოპერატორი ირანელი, მემონტაჟე - კორეელი. სურათისთვის მუსიკა ისრაელში მცხოვრებმა კომპოზიტორმა იოსებ ბარდანაშვილმა დანერა.

ნანარმოების ძირითადი მიზანი, საკუთარ თავში რწმენის დაბრუნებაა... ეს იმედი კრახით სრულდება, საზარელ წარსულთან შეხებით, რომლის იქით აღარაფერია...

ისევ ოფოფები, ჟირაფები, ზებრები, რომელთაც ცხენის სუნი აქვთ, ლომი, ყვითელი თვალებით და სულ ბოლოს, ორი სისხლისმსმელი გიგნა — წარმოსახვის უიმედო და შემზარავი დასასრული.







ანათ ყაჩაღიანი

# ნიმონ ჭაფარიძე

## ფაქტთა ჰაიმონია

როგორც ნაავდრალ ცაზე ცისარტყელის ფერთა ჰარმონია წარმოგვიდგება სიმბოლოდ სიმშვიდისა და მშვიდობისა, ანალოგიური განცდა გეუფლებათ როდესაც შეაბიჯებთ ფერადოვან სამყაროში, რომელსაც ასმათ ყურშავიშვილის შემოქმედება ჰქვია. ფერთა შთაგონებით შექმნილი ნაწარმოებების ხილვით გამონეწულ გაცეხას ვერ მალავენ ისინიც კი, ვინც მრავალი წლის განმავლობაში მის გვერდით იდგა, მაგრამ მის შემოქმედებით საქმიანობაზე, ავტორისავე უპრეტენზიო ბუნების გამო არაფერი სმენოდათ.

პროფესიით მედდა, შინაგანად კი მაძიებელი ხელოვანი, ქალბატონი ასმათი 35 წლის განმავლობაში მუშაობდა ზ. კახიანის სახელობის რკინიგზის მეორე საავადმყოფოში. თავის მეგობრებთან ერთად მოხვდა ერთ-ერთი ფრანგი მხატვრის ვერნისაჟზე, სადაც სხვა ნამუშევრებთან ერთად რამდენიმე ნაქარგობაც იყო წარმოდგენილი. მანამდე მას ნახატი არ შეუქმნია, მაგრამ ქარგვის ნიჭი და სიყვარული დედისა და დიდედისაგან გამოჰყვა. პაპის მხრიდან მას ფესვები ხევსურულ ხალხურ ხელოვნებასთან აკავშირებს.

„ადრე ყოველთვის ემოციური ვიყავი, ქარგვა კი საოცარ სიმშვიდეს მანიჭებდა“, —

ამბობს ქალბატონი ასმათი და მართლაც მისი მშვიდი ბუნება მისი სიტყვების სიმართლეში გარწმუნებს, მაგრამ დაკვირვებულ თვალი მაშინვე შეამჩნევს, რომ ამ სიმშვიდეში უდიდესი ემოციაა შეფარული, რომელიც მის მიერ შექმნილ სურათებში, ფერთა ჰარმონიით შეზავებულ კომპოზიციებად ქცეულა...

„მხატვარი ცდილობს ნაქარგობა დაუმორჩილოს ფერწერის პრინციპებს და ამას მისეული ოსტატობით აკეთებს“, — ჩაუნერია პოეტ ერეკლე საღლიანს მხატვრის შთაბეჭდილებათა წიგნში და მისი ეს შეფასება სრულყოფილად გამოხატავს ამ უნიჭიერესი ქალბატონის შემოქმედების შინაარსს: ჩვენს წინაშეა მხატვარი, რომელიც განწყობილებისა და ფიქრების გამოსახატავად იყენებს მასალას, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში განუმეორებელ სახეებსა და ორნამენტებს ქმნიდნენ ქართველი მანდილოსნები. ერთი შეხედვით, ფერწერული პალიტრისათვის ეს მოუხელთებელი მასალა, მრავალფეროვანი ფერთა გამისა და გამომსახველობითი შესაძლებლობების თვალსაზრისით, შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს ქმნის შემოქმედი ქალბატონის ხელში.

„მე არ მომაქვს თავი იმით, რაც გამიკეთებია როგორც პოეტს“, — ამბობდა გოეთე, — ბრწყინვალე პოეტები ცხოვრობდნენ ჩემს დროში, უკეთესებს უცხოვრიათ ჩემამდე და იცხოვრებენ მომავალშიც; მაგრამ რაც ჩვენს საუკუნეში, უაღრესად რთულ მეცნიერებაში, ფერის პრობლემებს ეძღვნება, მხოლოდ ჩემთვის არის ცნობილი ჭეშმარიტება. ეს მავსებს სიამაყით და შეგნებით, რომ მრავალს აღვემატები“.

დიდი გერმანელი პოეტის ეს საუბარი ჰეკერმანთან, ეხება ზუსტად 200 წლის წინ დაწერილ და ორ ტომად გამოქვეყნებულ 1500 გვერდიან გამოკვლევას — „მოდღერება ფერებზე“ — სადაც მან განიხილა ფერისა და სინათლის ბუნება.

გოეთეს განმარტებით ფერთა ჰარმონია ადამიანის თვალეში ხდება საჩინო. ამაზე დაყრდნობით ააგო „ხელოვნების ჰარმონია“ — რომლის მიხედვითაც ფერის შეგრძნებაში ძირითადია ადამიანის მიერ ფერთა აღქმა.

სწორედ ასეთი ფერთა ჰარმონია ხდება საჩინო იმ ნამუშევრების ხილვისას, რომელიც ასმათ ყურშავიშვილის 11-12-13 ივნისს გამოუფენია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ და ნათელ დარბაზში.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისა და თოიძისეული ილუსტრაციების, ფიროსმანის, გუდიაშვილის, მატისის, პიკასოსა და სხვათა ფერწერული ნაწარმოებების ვარაუცების, საეკლესიო მოღვაწეთა და წმინდანთა გამოსახულებების გვერდით იგი ქმნის საკუთარ კომპოზიციებს, სადაც საგნები თუ ფიგურები გადმოცემულია იმავე ტექნიკური ხერხებითა და ემოციური განცდით, რაც ორიგინალური



ფერწერული ნახატებისთვისაა ნიშანდობლივი. ურთულესი კანონიკური ხატწერის ნიმუშებთან ერთად, სადაც მცირედი გადაცდომა ან შემოქმედებითი იმპროვიზაცია დაუშვებელია, იგი სრულ თავისუფლებას აღწევს საკუთარ შემოქმედებით კომპოზიციებში.

მოზრდილი სურათისთვის, რომელზეც კომპოზიციურად და ფერწერული მრავალფეროვნებით საინტერესო პეიზაჟია წარმოდგენილი, ავტორს „ჩემი სოფელი“ დაურქმევია. ამ სურათზე ჩრდილ-სინათლის, სივრცისა და პერსპექტივის, ახლო და შორეული პლანის, საგნების განლაგების, პროპორციებისა და ფერთა ტონალობის ჰარმონიაა, რომელიც ჩვეულებრივი, მარტივი მატერიალური მასალითაა შექმნილი. ჯადოსნური ხელით, დიდი გემოვნებით და განსაკვიფრებელი რუდუნების ფასად, — ნატიფი ხელოვნების ნიმუშებად წარმოუდგება ხელოვნებით დაინტერესებულ ყოველ მხილველს.

„გუყურებ რა თქვენს თითოეულ ქმნილებას, კიდევ ერთხელ მინდებოდა დაუწოქო უფალს და მადლობა ვუთხრა ჩემს ერს, ესოდენ დიდი ნიჭი რომ მოჰმადლა.“ — ეს სიტყვები ეკუთვნის პოეტ ვანო სურგულაძეს და თავისი დიდი ემოციის სრულყოფილებისათვის ლექსის სტრიქონები ჩაუნერია შთაბეჭდილების ნიგნძი:

„დღეს ხელოვნების თუმც დაინია ფასმა,  
მაინც იბრწყინებს, ჩვენი ქართული გენი;  
მშვენიერი ხართ თქვენ, ქალბატონო ასმათ,  
მშვენიერია შემოქმედება თქვენი.“

ამაღლებული პოეტური სტრიქონების ადრესატი თავადაც ქართული პოეზიის მოყვარული და დიდი დამფასებელია: ლადო ასათიანის ქალიშვილმა ქ-მა მანანა ასათიანმა ჯერ პოეტის ლექსის — „კრწანისის ყაყაჩოების“ ავტორგრაფის მხატვრული გაფორმება სთხოვა ქალბატონ ასმათს, ხოლო როცა მისი შემოქმედებითი ნახელავი იხილა, კვლავ ლადოს ორი ლექსის ქარგულობა და გუდიაშვილის მიერ შესრულებული ლ. ასათიანის ცნობილი პორტრეტის ფერებში გადატანა სთხოვა ხელოვანს.

ზეზითა და აშკით მოსირმული აბრეშუმის, ყაჭის, სელისა თუ სხვა სახის ქსოვილები, ძველთაგანვე გამოიყენებოდა ხალხური მხატვრული ოსტატების სამუშაო მასალად. ხელოვნების ნამდვილი ნიმუშები, საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ქართველ ქალთა დაუღალავი მარჯვენით. შემოქმედებითი შესრულების ეს თეტიკური დონე კარგად აისახებოდა ნაირგვარი გობელენების, ფარდაგების, ჯეჯიმების, ხურჯინების ნაქარგობაში, ფშავ-ხევსურული და თუშური ეროვნული სამოსის მხატვრულ გაფორმებაში.

უძველეს ოსტატთა შემოქმედების ნიმუშთა მრავალფეროვნებას, წარსულის უდიდესი ტრადიციები და გარემომცველი გარემოს მრავალფეროვნება უძევს საფუძვლად, მაგრამ




იცვლება დრო და იცვლება გარემოებანი. თუ უწინ ქალთა შემოქმედებითი ხელსაქმე დროის მოთხოვნით იყო ნაკარნახები, დღეს თითქმის აღარ არსებობს გარეგანი მასტიმულირებელი ფაქტორები, თუმცა საუკუნოვანი ტრადიცია დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს ისეთი მრავალმხრივი ენთუზიასტების შემოქმედებითი ენერჯის ხარჯზე, როგორიც ქ-ნი ასმათ ყურშავიშვილია.

ამჟამად მხატვარი აპირებს თავისი ნამუშევრების ფერადი რეპროდუქციების ალბომის გამოცემას. ამ ალბომისათვის იგი ახალ შემოქმედებით ჩანაფიქრსაც ახორციელებს, რათა უფრო გაამდიდროს და მეტი შინაარსი შესძინოს ამ გამოცემას.

ხშირად, ღვთისმშობლის მხატვრული ხატები, იმ ადგილთა სახელწოდებით მოიხსენიებიან, სადაც იგი იქმნებოდა, ინახებოდა და განსაკუთრებულ თაყვანისცემას გამოხატავდნენ მისდამი. მაგალითად ცნობილია დონის, ტიხვინის, ვლახერნიტის, უსტიუგის ღვთისმშობელთა იკონოგრაფიული გამოსახულებანი. ქართველთა განსაკუთრებულ თაყვანსაცემ სინმინდეს წარმოადგენს ივერთა ქართული ღვთისმშობელი — ათონის ქართველთა მონასტრიდან. წმინდა მარიამის განსაკუთრებული სახე აქვს შექმნილი ლადო გუდიაშვილსაც — ღვთისმშობლის ქართული ხატება ქაშუეთის ტაძრის გუმბათიდან გადმოსცქერის დედა თბილისს და მთლიანად საქართველოს. ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში რომ გამორჩეულად მოწინებით ეპყრობიან ღვთისმშობელთან დაკავშირებულ სინმინდებს, ეს ბუნებრივი მოვლენაა და ამაში საკვირველი არაფერია, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ქ-ნი





ასმათი არაორდინალურ მხატვრულ კომპოზიციას ქმნის ღვთისმშობლის ხატისას.

ჭიათურის რაიონის სოფელ რგანში ეკლესიის იატაკის დონის ასამაღლებლად ჩატარებული სამუშაოების დროს, ფილების ქვეშ აღმოჩნდა ჩამარხული სხვადასხვა პერიოდის ხატები: ლითონის ფირფიტაზე ჭედური ორი ხატი წმინდა გიორგისა, ღვთისმშობლის ჭედური, გულზე ჩამოსაკიდებელი ვერცხლის სანაწილე, წმინდა ნიკოლოზის ჭედური ხატი, ორი ცალი ბრინჯაოს ბალთა პირველი საუკუნისა, სასაკმევლე, სამირონე, მინის მცირე დეკორატიული ჭურჭელი და სხვა.

როგორც გაირკვა ადგილობრივ მღვდელს ვგარად ყიფშიძეს 1937 წელს გადაუმაღლავს ეს ნივთები, რათა განადგურებისაგან დაეცვა იგი. საქართველოს პატრიარქის შეფასებით ეს საუნჯე უნდა იყოს დაცული და სათანადოდ შესწავლილი.

ნაპოვნ ნივთთაგან მხატვრულად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვერცხლის მინიატურული სანაწილე, რომელზეც ღვთისმშობელია გამოსახული ყრმა იესოსთან ერთად. იგი განუმეორებელია შესრულების ხასიათის თავისებურებებით.

ხელოვნებათმცოდნეებისა და მკვლევარების აღიარებით ღვთისმშობელი ყრმით — ეს თემა ყველაზე გავრცელებული და პოპულარული იყო შუა საუკუნეების ხელოვნებაში. ამგვარი გამოსახულებები განსაკუთრებული თავყანისცემის საგანს წარმოადგენენ. ამ თემაში მხატვრებსაც და მორწმუნეებსაც ხიბლავდათ ადამიანური გრძნობების — დედობრივი სიბოძის, სიყვარულის, სინაზის გადმოცემა, რაც ამ ზეციურ წმინდანებს აახლოვებდა მიწიერ ადამიანებთან. ეს სიუჟეტი სხვადასხ-

ვავარად არის ხოლმე გადმოცემული: ხან დედას შვილი ხელში უჭირავს, ჩვილს კი ხელები აქვს შემოხვეული და ნაზად ეკვრის მას, ხან ღვთისმშობელი ძუძუს ანოვებს მას, ანდა მარიამს დახრილი აქვს თავი და თავის პირმშოს დაჰყურებს. გვხვდება დედა და შვილის ურთიერთობის მრავალი ვარიაცია და ამის მიხედვით განასხვავებენ ღვთისმშობლის გამოსახულების იკონოგრაფიულ ტიპებს, მაგალითად: ოდიგიტრია, ელეუსა, ღვთისმშობელი კვიპროსის, ნიკოპეისა და სხვა მრავალი.

ოდიგიტრიის ტიპის შექმნას მეექვსე საუკუნეს უკავშირებენ. ამგვარი ტიპი არის მარიამისა და ყრმის ყველაზე უფრო გავრცელებული გამოსახულება. იგი უპირატესად ხატებზე გამოისახებოდა. ამავე დროს ოდიგიტრია ბიზანტიის ემბლემას და გამომსახველ ნიმუშს წარმოადგენს. გადმოცემის მიხედვით ოდიგიტრიის ტიპის ღვთისმშობელი ყრმით დახატა წმ. ლუკა მახარებელმა, ესეც ამ ტიპის გამოსახულების სიძველეზე და მნიშვნელობაზე მეტყველებს. ღვთისმშობლის მფარველობის და შემწყნარებლობის იდეა ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში შეიქმნა, მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული გახდა მე-12-13 საუკუნეებში. ამ თავისებურებებმა გამოიწვია ოდიგიტრიის განსაკუთრებული პატივისცემა მართლმადიდებლურ სამყაროში.

რგანში აღმოჩენილი ვერცხლის ხატი კანონიკური ხატწერის კომპოზიციას სრულად შეესაბამება. განსაკუთრებულ სირთულეს გამოსახულების სრულყოფილად აღქმის თვალსაზრისით, ჭედური ხატის დეფორმირებული და გაფერმკრთალებული კონტურები წარმოადგენს, რის გამოც ვერ მოხერხდა ზოგიერთი ხაზისა და სურათის ცალკეული დეტალის სრული რესტავრაცია.

სწორედ ამ გამოსახულების „გაცოცხლება“ გადაწყვიტა ქ-მა ასმათმა, რომელსაც არაერთხელ შეუსრულებია მსგავსი კომპოზიციის ასლები და მათი ყველა ხაზისა და დეტალის განლაგება ზედმიწევნით ზუსტად აქვს ათვისებული. მისი გამოცდილება აძლევდა იმ რწმენის საბაბს, რითაც მეტალის ცივი ფაქტურა აამეტყველა და ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანას შემატა ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ფერებში ამეტყველებული ხატება.

რამი მდგომარეობს „რგანის ღვთისმშობლის“ ხატის ორიგინალობა და თავისებურება?

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ის ფაქტი რომ პორტრეტული გამოსახულება, ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით — ტიპაჟი ამ კომპოზიციისა უაღრესად ქართულ ხასიათს ატარებს. ფიგურების განლაგება დედა-შვილის ურთიერთდამოკიდებულების საოცარ ემოციას ასხივებს. ბიზანტიური ოდიგიტრიული ემბლემის — ძისა და ღვთისმშობლის ხატებში ჩვილისა და დედის ნაკვთების განლაგება გარკვეულწილად დისტანციურია რგა-



ნის სანაწილის ფიგურებთან შედარებით. თუ პირველი გამოსახულების ჩვილის პერსონაჟს თავი უკან აქვს გადახრილი და ქვემოდან შესცქერის მშობელს, „ქართულ“ ხატზე ჩვილისა და დედის სახე იმდენად თანაბრადაა განლაგებული ერთ ხაზზე, რომ ღვთისმშობლის სახე მხოლოდ თავსაბურავის მოცულობითაა ამალელებული, დედისა და შვილის ნიკაპი თითქმის ერთ ხაზზეა გამოსახული, ხოლო ლოყა ლოყაზე აქვს მიდებული.

„ქართულ“ ხატზე ღვთისმშობელი ერთი ხელით იჭერს ჩვილს, ხოლო მეორე ხელი წინ მიმართული თითებით, კი არ ეხება ყრმას, არამედ დაშორებით უჭირავს მისგან, თითქოს მიუთითებს მლოცველს: „აჰა, ესაა, ძე ღრმთისა, მომავალი მტვირთველი საგოლგოთე ჯვრისა“.

იკონოგრაფიულ კომპოზიციებზე მუშაობისა და კანონიკური ხატწერის რთულ შემოქმედებით გზაზე კურთხევა ხელოვანმა გლდანის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვრისგან, მამა დიმიტრი სუხიტაშვილისაგან მიიღო.

წმ. გიორგის ეკლესიის იატაკის ფილებქვეშ გადამალული, „რეპრესირებული“ „რგანის ღვთისმშობელი“, აბრეშუმზე გადატანილი და ფერებით „გაცოცხლებული“ ხატი აკურთხა საბურთალოს წმ. ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ზაზა ბეჟანიშვილმა, თანადგომა და დახმარება კი დედა ქეთევანმა არ დაიშურა ხელოვანისადმი.

რაც შეეხება ქალბატონი ასმათის მიერ დაქარგულ „სამებას“ — იგი უწმინდესთან და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორესთან ინახება.

მოძღვრის ლოცვა-კურთხევით მინიჭებული ძალმოსილებით, სულიერად აღვსილმა ხელოვანმა კვლავ შექმნა ღვთისმშობლის ხატება — „უჭნობი შროშანი“. იკონოგრაფიულ თვალსაზრისით თეთრი შროშანი მარიამის უბინოებისა და უმანკოების სიმბოლო, აღსავსე ყოვლითა სინმინდითა“. შროშანს უწოდებს მეფე დემეტრეც ყოვლადწმინდა ქალწულს თავის ცნობილ საგალობელში: „ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი, დედა ქალწული, შუენიერი შროშანი...“

საქართველოს სახელოვანი წარსულითა და კულტურით ნასაზრდოები ნატიფი შემოქმედების ავტორს უდიდესი შრომა გაუწევია გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ჰარმონიით შეზავებული, ესთეტიკურად თვალწარმტაცი ნამუშევრების შესაქმნელად, რომელმაც გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველზე. ერთი დაბნეული სტუმარი კარგახანს ცდილობდა აეხსნა მხატვრისათვის, რომ მას ნაქარგი ექსპონატები აინტერესებდა და არა ფერწერული ნახატები.

სურათების ავტორს არ უკვირს — აკი ერთმა უცხოელმა სტუმარმა ერთხელ ჩარჩოც



მოახსენებინა სურათზე, რათა ხელით შეხებოდა და დარწმუნებულიყო გამოყენებული მასალის სინამდვილეში.

გამოფენის გახსნაზე მრავლად იყო ხელოვნების მოყვარული საზოგადოება და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ბატონები: ზურაბ ქაფიანიძე, გივი სიხარულიძე, ლევან ფრუიძე, გოგი დოლიძე, ვანო ჯაფარიძე, მურმან გელენიძე, გვანჯი მანია, ჯუმბერ ლეჟავა და სხვ.

„იმდენად ნატიფი ნამუშევრებია, რომ ნემსითა და ძაფით შექმნილ კომპოზიციებს შორიდან ფერწერული ტილოსაგან ვერ განასხვავებთ. ავტორს, ალბათ, მისი ოჯახის გენეტიკა და ქართული ნაქარგობის დიდი ტრადიცია ეხმარებოდა“, — თავისი შთაბეჭდილება ასე გამოხატა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა, სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრმა მურმან გელენიძემ.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია დავლოცოთ ხელოვანი ქალბატონი და გავიმეოროთ ბატონი ზურაბ ქაფიანიძის სიტყვები, შთაბეჭდილებათა წიგნში რომ ჩაუნერია:

„დედამინა ყველა სიცოცხლით — მცენარეებით, ცხოველებით, ადამიანით და ცივილიზაციით — დიდი ღმერთის შექმნილია! ქრისტიანული რელიგია დიდი ღმერთის მემკვიდრეა და შეგენით და გწყალობდეთ ნინო წმინდა, გიორგი წმინდა. ამინ!“



გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალი გამოცემები



ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:  
 სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;  
 „ელვასერვისი“, იოსებოძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“- ტელ: 95-51-70,  
 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43  
 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.  
 რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
 სალომე ფორჩხიძე

ოპერატორები:  
 მაია ჯინორიძე  
 თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:  
 ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4  
 ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.  
 Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში







